# კვირის პალიტრა

№ 40 (451) ◆ 6 – 12 ოქტომბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## „მარკირების სითხის შემადგენლობა არჩევნებამდე არ გამჟღავნდება“

საჯაროდ ვაცხადებ — თუ რომელიმე საარჩევნო უბანში ზემოქმედებისა და იძულების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერ წევრს თუნდაც უმნიშვნელო შეურაცხყოფას მიაყენებენ, იქ უბრალოდ არჩევნებს ჩაშლილად გამოვაცხადებ... გვ.3

## ტიტანის თვითმფრინავიდან — ნაჭრის თვითმფრინავამდე

### რეპორტაჟი ერთ დროს ყველაზე გასაიდუმლოებული საამქროდან...

გვ.9

XXI საუკუნის ტექნოლოგიები პირველად ქართულ ავიამშენებლობაში.

პირველი ქართულ-ამერიკული „რეაქტიული მოხეტიალე“.




## „კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის ახალი პროექტი გრძელდება

გვ.12

## სახელმწიფო უწყებები ბრაკონიერებისგან წაღლეჯილი ფულისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ



### ექსკლუზიური ინფორმაციები ბრაკონიერების ნავიდან...

გვ.11,13

### „60 ათასი ლიტრი საწვავი რომ მომცა, საერთოდ ჩავკეტავდი აფხაზეთს“(!)

გვ.5,7



რუსეთის სპეცსამსახურები ამზადებენ გეგმას არჩევნების შემდგომ პერიოდში დესტაბილიზაციისათვის, რომელსაც ერთ-ერთი წაგებული პარტია გაუკეთებს პროვოცირებას... რამდენადაც ვიცი, ამ თემაზე ამერიკელებს სერიოზული და პრინციპული ლაპარაკი ექნებათ ოპოზიციასთან.

სენატორ მაკკეინს შეუძლია სენატისა და კონგრესის მხარდაჭერით პასუხი აგებინოს საქართველოს ხელისუფლებას, თუ ის ხელს არ აიღებს არჩევნების ტოტალური გაყალბების განზრახვასა და ძალადობაზე.



ლამაზი ქალების დადებითი შეფასება, ბუნებრივია, გამიხარდა. გვ.7

გვ.6



ჩვენი ხელისუფლება ბრეჟნევის დროინდელი მენტალიტეტისაგან ვერ გათავისუფლდა, როდესაც სახაროვს, სოლჟენიცინს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დასავლეთთან სამშობლოს ინტერესების „ჩაშვებაში“ ადანაშაულებდნენ. ...ქვეყნის კურსს ხელისუფლება განსაზღვრავს და არა — ოპოზიცია.

...იციან კი მათებურად „ლიდერებმა“, როგორი უნდა იყოს შუაგულ გვირაბში „გარჩენილი“ საქართველოს ლიდერი?.. გვ.17

ჩამოვწეროთ ახლა ის თვისებები, რაც მათ მოეთხოვებათ ქვეყნის თავკაცობისთვის და იქნებ დაფიქრდნენ — ეს რა შარში ვყოფთ თავსო...

***თემურ ჭკუასელი***



## გააკეთეთ პროგნოზი და... მოიგეთ ფერადი ტელევიზორი

გვ.5

### არჩევნები-2003

## ეკონომიკა, ბიზნესი:

მთავრობას არა აქვს პოლიტიკური ნება, ეკონომიკაში მიმდინარე სახიფათო პროცესებს შეებრძოლოს და ბიზნესჯგუფების მტაცებლურ ინსტინქტებს ლაგამი ამოსდოს. ბიზნესჯგუფებს და კლანებს კი არა აქვთ საკმარისი გონება, რომ ქვეყნისთვის და მათთვისაც საზიანო შედეგები განჭვრიტონ.

...თვითგადარჩენის ინსტინქტი, ალბათ, დინოზავრებსაც ჰქონდათ, მაგრამ დიდი კუჭისა და პატარა ტვინის გამო, შეცვლილ გარემოსთან ადაპტირება ვერ მოახერხეს... გვ.27

## ალპინისტთა ლეგენდარულმა თაობამ კიდევ ერთხელ გადმოხედა საქართველოს...



გვ.20

ისინი 60-70 წლისანი არიან. ზოგიერთს 20-30 წელია, მთაზე ფეხი არ დაუდგამს, არიან ისეთებიც, დღემდე მთის ძნელი ბილიკებით რომ დადიან...

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ამერიკული პოლიტელიტა საქართველოში

ნატოს ჯარების ყოფილი სარდალი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი, სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ტელბოტი და სენატორი ჯონ მაკკეინი თბილისში წინასაარჩევნო სიტუაციის გასაცნობად ჩამოვიდნენ. სენატორი უკვე ჩამოსვლის დღეს, კვირას შეხვდა ნაციონალური და ლეიბორისტული პარტიების ლიდერებს. მისი განცხადებით, საქართველოში არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარებაში ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულად არის დაინტერესებული, რადგან ეს რეგიონი ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებში შედის. როგორც ცნობილია, სენატორი მაკკეინი მმართველი, რესპუბლიკური პარტიის წევრია და ვაშინგტონის პოლიტიკურ წრეებში საკმაოდ გავლენიანი ფიგურაა.

## „ახალ მენეჯმენტს“ „თბილგაზი“ გადაეცა

„ამხანაგობა ახალ მენეჯმენტს“ „თბილგაზი“ 10-წლიანი მართვის უფლებით გადაეცა. აქციონერთა მიერ არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა ახალ დირექტორებს დანიშნავს, რომლებიც „ახალი მენეჯმენტის“ წარმომადგენლები იქნებიან. ახალი მმართველების მოსვლისთანავე თანამდებობებიდან ავტომატურად გათავისუფლდებიან „თბილგაზის“ ამჟამინდელი ხელმძღვანელები. წინასწარი ინფორმაციით, „თბილგაზის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე „ახალი მენეჯმენტი“ ნოდარ გობიანიძეს დანიშნავს, დისტრიბუციის ნაწილში კი კომპანიას ლევან ფურცელაძე უხელმძღვანელებს. „ახალმა მენეჯმენტმა“ „თბილგაზის“ მართვის უფლება მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შემდეგ მოიპოვა. „თბილგაზში“ ახალი მმართველის შესვლას დაემთხვა ახალი მომწოდებელი კომპანიის საქმიანობის დაწყებაც. თბილისი ბუნებრივ აირს რუსული კომპანია „გაზპრომისგან“ მიიღებს.

## ენერგოსისტემა კვლავ დეფიციტს განიცდის

საქართველოს ენერგოსისტემაში არსებული დეფიციტის გამო თბილისის რამდენიმე რაიონს ელექტროენერგია არ მიეწოდება. დედაქალაქის სრულ დატვირთვას 30 მეგავატის სიმძლავრე აკლია, რის გამოც ელექტროენერგია პერიოდულად არ მიეწოდება — ნაძალადევის, ორხევის, ვარკეთილისა და საბურთალოს რაიონების ნაწილს. როგორც „თელასში“ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვალერი ფანცულაიამ განაცხადა, გამორთვების ძირითადი მიზეზი სიხშირის ვარდნაა. მისი თქმით, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, მიმართავს თუ არა „თელასი“ მარეგულირებელ კომისიას შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. თუმცა, როგორც ფანცულაიამ აღნიშნა, საკითხი ამჟამად განიხილება კომპანიაში. არ არის გამორიცხული, „თელასმა“ „სახელმწიფო ელექტროსისტემას“ სემეკში უჩივლოს.

## გუბერნატორი საკადრო ცვლილებებზე ალაპარაკდა

ქვემო ქართლის გუბერნატორი სამხარეო ადმინისტრაციაში გასატარებელ საკადრო ცვლილებებზე ალაპარაკდა. თუმცა, იგი კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს იკავებს. კობიაშვილმა, რომელიც თანამდებობაზე დანიშვნისას აცხადებდა, რომ კადრებს არ შეეხებოდა, უკვე მიმანიშნებელი განცხადებები გააკეთა. ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში ვაკანტურია რწმუნებულის აპარატის უფროსისა და სოციალურ საკითხებში რწმუნებულის მოადგილის ადგილები. ასევე გაურკვეველია, დატოვებს თუ არა თანამდებობებზე კობიაშვილი დანარჩენ ორ მოადგილეს — მერაბ ასანიშვილსა და ალი იუზბაშევს. არ არის გამორიცხული კობიაშვილმა ცვლილებები მხარის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებშიც გაატაროს.

## უზბეკური ტვირთები საქართველოზე გაივლის

უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი 9 ოქტომბერს თბილისს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში უზბეკეთის სახელმწიფოს მეთაური საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს და სახელმწიფო მინისტრს, ავთანდილ ჯორბენაძეს შეხვდება. მოლაპარაკებებზე მთავარი ყურადღება სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებას, საქართველოს პორტების გავლით უზბეკური მშრალი ტვირთების ტრანსპორტირებას და საქართველოს საპორტო ინფრასტრუქტურასთან უზბეკეთის თანამშრომლობის გაფართოების საკითხს დაეთმობა. ვიზიტის დროს დაგეგმილია ხუთი შეთანხმების ხელმოწერა. მათ შორისაა, საქართველოსა და უზბეკეთის შეთანხმება ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ.

## ცოფით გარდაცვლილთა რიცხვმა იმატა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ ქვეყანაში ცოფის შემთხვევების მნიშვნელოვან მატებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა და განაცხადა, რომ მიმდინარე საუკუნეში ცოფის შემთხვევებით ადამიანის გარდაცვალება სამარცხვინოა, რადგან „ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც კი ამ დაავადებით არავინ კვდება, არამედ ძალიან ცოტა ადამიანი იცრება ცოფის ვაქცინაზე“. გამყრელიძის თქმით, სამინისტროში სპეციალური ბრძანებულება მზადდება, რათა მაწანწალა ძაღლების პრობლემის გადასაჭრელად შესაბამის სტრუქტურებს სპეციალური ღონისძიებების ჩატარება დაევალოთ. წელს, 9 თვეში საქართველოში ცოფით უკვე 10 კაცი გარდაიცვალა, მაშინ როცა შარშან, მთელი წლის განმავლობაში ცოფის სულ 9 შემთხვევა დაფიქსირდა.

## „ლეიბორისტები“ პარტიებს სთავაზობენ...

ლეიბორისტული პარტია ოპოზიციურ და სახელისუფლებო პარტიებს სოციალური გადარჩენის ფონდის შექმნას და მასში წინასაარჩევნო კამპანიებისთვის გათვალისწინებული თანხების აკუმულირებას სთავაზობს. გალეიბორისტებული ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნოდ „აღვირახსნილ კამპანიებს აწარმოებენ“ და თითოეულ ტელეარხზე რეკლამისთვის დღეში საშუალოდ 16.000 აშშ დოლარს ხარჯავენ. ამასთან, ბაღათურიას მტკიცებით, ეს თანხები პარტიების წარმომადგენლებმა ხელისუფლებაში ყოფნისას იშოვეს და არჩევნების დროს დახარჯულის ანაზღაურებას კვლავ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ შეეცდებიან. „ჭეშმარიტ ოპოზიციურ პარტიას ვერასოდეს ექნება ამხელა ხარჯების გაღების საშუალება“, — განაცხადა ბაღათურიამ და მაგალითად „ლეიბორისტული პარტია“ მოიყვანა, რომელსაც, მისი მტკიცებით, არა აქვს საშუალება, საარჩევნო კამპანია სარეკლამო კლიპებით აწარმოოს.

## ხურციძე სისხლის ღვრას არ გამორიცხავს

ვანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბეჟან ხურციძე რაიონში წინასაარჩევნოდ დესტაბილიზაციისა და სისხლის ღვრის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. მისი პროგნოზით, ვანში მომავალი არჩევნები აუცილებლად ჩაიშლება. ხურციძის თქმით, ამას მისი ოპონენტის, მელორ ტყეშელაშვილის მომხრეები და რაიონის გამგებელი ალეკო ბელთაძე ერთობლივად გააკეთებენ. როგორც ქუთაისში გამართულ პრესკონფერენციაზე ხურციძემ აღნიშნა, „ვითომ გატაცებებსა და ავტომატიანების სირბილს“ რაიონში ოქტომბრის თვეშიც უნდა ველოდოთ და თუ შესაბამისი სამსახურები დროულად არ მიიღებენ ზომებს, „ვანში არჩევნებამდე სისხლი აუცილებლად დაიღვრება“.

## „საზეიმო“ სამხედრო აღლუმი სოხუმში

30 სექტემბერს, „აფხაზეთის დამოუკიდებლობის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი სოხუმში, თავისუფლების მოედანზე, 500-მდე ოფიციალურად მიწვეული სტუმრის თანდასწრებით გაიმართა. აღლუმში სოხუმის სამხედრო გარნიზონის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. სადღესასწაულო ღონისძიებებს რუსეთის ფედერაციიდან კრასნოდარის მხარის ყოფილი გუბერნატორი ნიკოლაი კონდრატენკო და ამჟამინდელი გუბერნატორი ალექსანდრ ტკაჩოვი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრ შაბანოვი, დსთ-ის ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი და რუსეთის სათათბიროს ყოფილი ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი ესწრებოდნენ. ე.წ. რესპუბლიკურ სტადიონზე მთავარი სადღესასწაულო კონცერტი გაიმართა, რომელშიც ადგილობრივი თვითშემოქმედებითი კოლექტივების გარდა, მოსკოვიდან ჩასული ცნობილი ანსამბლი „ლუბე“ და სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს თეატრის სოლისტები, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან ჩასული შემოქმედებითი კოლექტივები მონაწილეობდნენ. სეპარატისტების ლიდერის, არძინბას ბრძანებით, „საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის“ „აფხაზეთის გმირის“ წოდება 4 აფხაზ მეომარს მიენიჭა სიკვდილის შემდეგ, „ლეონის“ ორდენით 115 მეომარი დააჯილდოვდა, მათ შორის 24 — სიკვდილის შემდეგ. მედლით „მამაცობისათვის“ 343 მეომარი დააჯილდოეს, მათ შორის 50 — სიკვდილის შემდეგ.(!)

## გატაცებაში ბრალდებულმა თავი ჩამოიხრჩო

თეონა ბაგრატიონის გატაცებაში ბრალდებულმა, 28 წლის ასლან პლიევმა თბილისის მე-5 საპყრობილის მე-18 საკანში, 4 ოქტომბერს, 01.30 საათზე თავი ჩამოიხრჩო.

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს, პლიევმა თავი ელექტროგაყვანილობის სადენით ჩამოიხრჩო. ამავე უწყების ცნობით, პლიევს მიდრეკილება ჰქონდა თვითმკვლელობისკენ, ამიტომ იგი პირადი უსაფრთხოების მიზნით მე-18 საკანში იყო გადაყვანილი. პლიევი ვლადიკავკაზიდან არის, მას ბრალი თეონა ბაგრატიონის გატაცებაში ედებოდა. ფაქტის მოკვლევას მე-5 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახური აწარმოებს.

## თუ გიორგაძე საქართველოში ჩამოვა, დააპატიმრებენ

საქართველოს უშიშროების მინისტრის, ვალერი ხაბურძანიას განცხადებით, თუ პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტში ეჭვმიტანილი იგორ გიორგაძე საქართველოში ჩამოვა, მას აუცილებლად დააპატიმრებენ. მან არ გამორიცხა, რომ იგორ გიორგაძე ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე — აფხაზეთსა და ცხინვალში იმყოფებოდა, თუმცა მინისტრის თქმით, იგორ გიორგაძე თბილისში უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში არ გამოჩენილა. მან კომენტარი გააკეთა ასევე იგორ გიორგაძის მიერ საქართველოს უშიშროების სამინისტროს მისამართით გაკეთებულ ბრალდებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ხაბურძანიას უწყებაში არაპროფესიონალები მუშაობენ. „თუ როგორი პროფესიონალი იყო იგორ გიორგაძე, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ღვთის მადლით, მან ნორმალურად აფეთქებაც კი ვერ შეძლო“, — განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ.

## გათხრებისას უძველესი ნივთები აღმოაჩინეს

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრების დროს, ტაბაწყურის ტერიტორიაზე, ბრინჯაოს ხანის ანტიკური და შუა საუკუნეებისდროინდელი არქეოლოგიური ნივთები აღმოჩნდა. ბრინჯაოს ხანის ნივთები ჩვ. წ. აღ-მდე V-V საუკუნეებს განეკუთვნება. აღმოჩენილია ბრინჯაოს სამკაულები, კერამიკა, სანაყი, კერამიკის გამოსაწვავი ქურა კერამიკის ნატეხთან ერთად და სხვ. პროექტის ფარგლებში გათხრები მიმდინარეობს წალკაში. აქაც ბრინჯაოს ხანის ნივთები გვხვდება. აღმოჩენილია ყორღანი და სამარხი, რომელიც „მტკვარარაქსის“ კულტურას განეკუთვნება. გათხრები მიმდინარეობს მარნეულშიც, უახლოეს ხანებში კი აღმოჩენებს თეთრიწყაროდან უნდა ველოდოთ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის 2 მლნ დოლარი უკვე დაიხარჯა.

## რეკომენდაციები 2 ოქტომბრამდე უნდა შესრულდეს

საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულება 12 ოქტომბრამდე უნდა შეძლოს. ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, გიორგი ისაკაძემ განაცხადა. მისი თქმით, 22 ოქტომბერს საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია პაოლო ნეუჰაუსის ხელმძღვანელობით ჩამოდის. „ნურავინ ეთამაშება სავალუტო ფონდის პროგრამას. მართალია, ფონდი ამა თუ იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხს არ აყენებს, მაგრამ ამის გაკეთება საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია“, — განაცხადა ისაკაძემ.

## ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე დააყაჩაღეს

მირიან მურჯიკნელის საცხოვრებელ ბინაში გამთენიისას, ხუთი ნიღბიანი პირი შეიჭრა,, რომლებმაც სახლიდან 1.000 აშშ დოლარი და 1.500 ევრო წაიღეს. სამართალდამცველთა თქმით, ორი მათგანი ბინაში აივნიდან გადავიდა, ხოლო დანარჩენ სამს მათ კარი შიგნიდან გაუღეს. მურჯიკნელი ხელშია დაჭრილი. მეზობლების განცხადებით, მურჯიკნელის ბინიდან ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმა 2-ჯერ გაისმა. მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის შესწავლა, მოწმეთა დაკითხვა და მომხდარის დეტალების დაზუსტება. სისხლის სამართლის საქმე რა მუხლით არის აღძრული, სამართალდამცველები ჯერ არ ახმაურებენ. ფინანსთა ყოფილი მინისტრების — მიხეილ ჭკუასელისა და დავით ონოფრიშვილის დროს მირიან მურჯიკნელი ფინანსთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

## ქვემო ქართლი დაპირისპირების კერად რჩება

ბოლნისის რაიონი კვლავ ხელისუფლებასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დაპირისპირების კერად რჩება. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ქვემო ქართლის მისადგომებთან „ნაციონალების“ წინააღმდეგ გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი და სამხედრო დანაყოფებია მობილიზებული. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის განცხადებით, „ნაციონალები“ უკან დახევას არ აპირებენ“. ამჟამად „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლნისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, ქემალ მურადხანოვის რეგისტრირების პროცედურის დასრულებას ელის. მომავალი კვირიდან კი ქვემო ქართლის უკლებლივ ყველა რაიონში ამომრჩევლებთან შეხვედრას გეგმავენ. სააკაშვილის მომავალი კვირის გეგმაში სენაკის რაიონში ვიზიტიც შედის.

## ხუჯაძეს ურჩევენ

არასამთავრობო ორგანიზაცია „ვაკის გონივრული განვითარება“ „ალორძინების“ ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, მომღერალ დათო ხუჯაძეს პარლამენტში კენჭისყრის სანაცვლოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას ურჩევს. როგორც „ვაკის გონივრული განვითარების“ ლიდერმა, ლეილა გაფრინდაშვილმა განაცხადა, დათო ხუჯაძეს წარმოდგენა არა აქვს დეპუტატის უფლება-მოვალეობებზე. „იმისთვის, რისთვისაც ხუჯაძე პარლამენტში მოსვლას აპირებს (საკუთარი და ხელოვანი ხალხის უფლებების დაცვა), არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნაა საჭირო და არა პარლამენტარობა“, — აღნიშნა გაფრინდაშვილმა. არასამთავრობო ორგანიზაცია აღშფოთებას გამოთქვამს სხვა არაკომპეტენტური და არაპროფესიონალი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების გამოც.

## ასლან აბაშიძე ევროსაბჭოში

სტრასბურგში, ევროსაბჭოში, საქართველოს წარმომადგენლობის გვერდის ავლით მყოფმა ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დადებითად შეაფასა ის ახალი მეთოდები, რაც აჭარაში არჩევნების ჩასატარებლად დაინერგა. როგორც ვალტერ შვიმერთან შეხვედრის შემდეგ აჭარის ლიდერმა აღნიშნა, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს ევროპის საბჭოს დამკვირვებლებიც დაესწრებიან. „ჩვენ არჩევნებზე მეთვალყურეობის დაშვებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილებაც კი შევიტანეთ. ისიც უნდა ითქვას, რომ აჭარაში ბოლო ორი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დემოკრატიულობის ხარისხი ევროპის საბჭომ იდეალურად შეაფასა“, — აღნიშნა აბაშიძემ.

## ეკოპოლიციის თანამშრომელი მოკლული იპოვეს

ეკოპოლიციის განყოფილების თანამშრომლის, 37 წლის ესტატე ჯიოშვილის გვამი სოფელ ატენში, მისივე კუთვნილ „ნივის“ მარკის ავტომანქანაში იპოვეს. გარდაცვლილს სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული მრავლობითი ჭრილობები აღენიშნება. მკვლელობისას გამოყენებული იარაღის ტიპი ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდება. ამ დროისათვის დაკავებული არავინაა, მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია, გამოძიება არაერთ ვერსიაზე მუშაობს. გორის პოლიციის უფროსი რევაზ კოტიაშვილი კი კომენტარს არ აკეთებს.

## მოიწამლა თუ მოწამლეს?




ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრი ანატოლი პოპოვი, რომელიც მძიმე მოწამვლის დიაგნოზით მოსკოვის კლინიკურ საავადმყოფოში იმყოფება, სამშაბათს ჩეჩნეთში დაბრუნებას აპირებს. მოწამვლის სიმპტომები პოპოვს შაბათს მას შემდეგ გამოუვლინდა, რაც მან ჩეჩნეთის გუდერმესის რაიონში გაზსადენის გახსნის ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა. მედიკოსებმა მის ორგანიზმში ჰეპატოტროპული შხამი აღმოაჩინეს, რომელიც ღვიძლის დაშლას იწვევს. ამჟამად ჩეჩნეთის სამართალდამცავი ორგანოები ამოწმებენ ვერსიას, რომლის მიხედვითაც პოპოვი საზეიმო ცერემონიალის დროს მოწამლეს. ჩეჩნეთის რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის, ალექსანდრ ნიკიტინის თქმით, რესპუბლიკურ პროკურატურას ასეთი მონაცემები არ გააჩნია.

## აშშ იუნესკოში დაბრუნდა

თითქმის 20-წლიანი შესვენების შემდეგ, აშშ იუნესკოში დაბრუნდა. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ცერემონია პარიზში, იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე გაიმართა. მასში აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მეუღლემ, ლორამ მიიღო მონაწილეობა. აშშ იუნესკოდან 1984 წელს გამოვიდა. ვაშინგტონმა ეს ორგანიზაცია არაეფექტურ მართვაში, კორუფციასა და ანტიამერიკულ პოლიტიკაში დაადანაშაულა. ლორა ბუში საფრანგეთის პრეზიდენტს, ჟაკ შირაკს შეხვდა. მანამდე აშშ-ის პირველმა ლედიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ვოიაჟის მიზანია, მსოფლიოს მიანიშნოს, რომ „ამერიკა არც ისე ცუდი ქვეყანაა“. ლორა ბუშის ხუთდღიანი ევროპული ტურნეს პროგრამაშია მოსკოვში ვიზიტი, სადაც ის მისი რუსი „კოლეგის“ ლუდმილა პუტინას მიერ ორგანიზებულ წიგნის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

## პუტინი მოგვიწოდებს

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმირ პუტინმა საქართველოს ე.წ. თურქი მესხების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საკითხის გადაწყვეტისკენ მოუწოდა. „ამ საკითხში სამართლიანობამ უნდა იზეიმოს“, — განაცხადა პუტინმა კრასნოდარში, დიდი სამამულო ომის ვეტერანებისა და კაზაკობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. 2002 წლის დასასრულის მონაცემებით, კრასნოდარის მხარეში 21 ათასი თურქი მესხი ცხოვრობდა. მათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიწის იჯარით აღებაზე უარი უთხრა, — იმაში ადანაშაულებენ, რომ სპეციალურად ჩასახლდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მხარეში, რათა მიწა ხელში ჩაიგდონ. კრასნოდარის მხარის კანონებით, თურქ მესხებს რუსეთის მოქალაქეობის უფლება არა აქვთ, 2001 წლის 1-ელი იანვრიდან დროებით რეგისტრაციაზეც კი უარი ეთქვათ. ადგილობრივი მოსახლეობა მათ გაძევებას მოითხოვს და აცხადებს, რომ ცხოვრების კაზაკური და აზიური წესი შეუთავსებელია და თურქ მესხებს ყუბანში ვაჰაბიზმის გავრცელებაში ადანაშაულებენ.

# რომც მოვინდომოთ, გაყალბება ძალიან გაგვიჭირდება

## მარკირების სითხის შემადგენლობა არჩევნებამდე არ გამჟღავნდება



თანდათან იკვეთება სურათი „არაჩვეულებრივი გამოფენისა", რომელსაც არჩევნების შემდეგ მომავალ პარლამენტში ვიხილავთ — მოჭიდავეები, მოკრივეები, მოჭადრაკეები, მომღერლები, რეჟისორები, მწერლები — თანაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ჩამოთვლილ პროფესიათა თვალსაჩინო წარმომადგენლები შეიკრიბებიან. მათ მოღვაწეობას მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ნაკლი აქვს — რატომღაც, პარლამენტარობა მოინდომეს. თუ მათ წინასაარჩევნო კამპანიას ვენდობით, საქართველოს კონსტიტუცია ისეთი ნორმატიული აქტებით გამდიდრდება, როგორიც არის — „კანონი ჭიდაობისა და საესტრადო ხელოვნების შესახებ"; „კინოგადაღების ძირითადი პრეამბულა საჭადრაკო ხელოვნებაში"... უცნაურია, მაგრამ საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს იმიჯის ასამაღლებლად რეჟისორის, სპორტსმენის თუ მომღერლის გვერდით გამოჩენა სჭირდებათ, ხოლო საკუთარ ხალხთან ურთიერთობის „გასაჯანსაღებლად" კი „იმიჯმეიკერები" ცხრა მთის გადაღმიდან ჩამოჰყავთ... ისიც საგულისხმოა, რომ ამ ყველაფრის ფონზე თითოეული პარტია პარლამენტში მოსვლას აბსოლუტური უმრავლესობით გეგმავს — მინიმუმ 150 დეპუტატი. რეგისტრაცია კი 21-მა პარტიამ გაიარა და თუ ამ რიცხვს არანაკლებ თავდაჯერებულ მაჟორიტარებსაც მივუმატებთ, გამოდის, რომ ერთ სავარძელზე 20 კაცი უნდა დაჯდეს.

ასეა თუ ისე, საქართველო კვლავაც წინასაარჩევნო ცხოვრებით ცხოვრებას განაგრძობს. პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაცია უკვე დასრულდა — სამშობლოს სიყვარულში ერთმანეთს ამჯერად 5000-მდე მოქალაქე შეეჯიბრება. რასაკვირველია, ასეთი კონკურენციის პირობებში ოპონენტის დასარწმუნებლად მხოლოდ ლოგიკა არ კმარა და მეტი დამაჯერებლობისთვის აქაიქ სახელდახელო ცემა-ტყეპაც იმართება. ამ ტრადიციულ სანახაობაზე დასასწრებად უცხოელი საპატიო სტუმრებიც გვეყოლება — როგორც ჩანს, ქართული არჩევნების თავისებურებათა ახლოს გასაცნობად უკვე თბილისში იმყოფებიან შალიკაშვილი, ტელბოტი და საქართველოს პრეზიდენტის სიყვარულით ცნობილი სენატორი მაკკეინი.

საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია საარჩევნო სიახლემ — მარკირებამ. ეს მეთოდი ახალ საარჩევნო კოდექსში ჩვენში ესოდენ პოპულარული „კარუსელების" წინააღმდეგ შემოიღეს. მავანთ მარკირება აპოკალიფსურ „ბეჭდის დასმას" შეადარეს — მართლმადიდებელ მოსახლეობას საგანგებო სითხით ფარულად დადაღავენო... სიმართლის დასადგენად საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას დავუკავშირდით. როგორც საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსმა, დეკანოზმა დავით შარაშენიძემ განაცხადა, მარკირება არჩევნების სამართლიანად ჩატარების ერთ-ერთი ხერხია და აპოკალიფსური ბეჭდის დასმასთან არავითარი კავშირი არ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების თანახმად, ანტიქრისტეს ბეჭდის დასმა

> მეც და ყველა პარტიამაც რომ მოვინდომოთ, იმდენი საწინააღმდეგო მექანიზმია ჩადებული, გაყალბება ძალიან გაგვიჭირდება... მარკირება გამორიცხავს კარუსელის გამოყენებას, ხმის მიცემის წესი კი – ბიულეტენების ბლუჯა-ბლუჯა ჩაყრას, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ.

სახალხოდ, საკუთარი ნება-სურვილითა და ფაქტის აღიარებით მოხდება და არა დაფარულად.

რაც შეეხება მარკირების მავნე მოქმედებას ჯანმრთელობაზე, ამასთან დაკავშირებით არაერთ კომპეტენტურ ქიმიკოსს გავესაუბრეთ. იმის გამო, რომ მარკირების სითხის ზუსტი ფორმულა გასაიდუმლოებულია, დეტალური ანალიზის და პასუხის მიღება ვერ შევძელით. თუმცა, როგორც გაირკვა, არსებობს აბსოლუტურად უვნებელი ნივთიერებები, რომელთაც ულტრაიისფერ დასხივებაზე სწორედ ისეთი რეაგირება აქვთ, როგორც მარკირების შემთხვევაში — როგორც ცნობილია, ამომრჩევლის ხელზე დასხურებული უფერო სითხე მხოლოდ ულტრაიისფერ შუქზე ანათებს. ანალოგიური მოწყობილობა (ულტრაიისფერი ფარანი) ყოველდღიურ პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად გამოიყენება, მაგ., ფულის ან საბუთების შემოწმებისას.

საკითხის დანარჩენ დეტალებზე, ცესკოს პრობლემებზე, კომისიაში პარტიებს შორის დამოკიდებულებასა და არჩევნების ჩატარება-არჩატარების პერსპექტივებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გვესაუბრება. **ნანა დევდარიანი** მომავალ არჩევნებს არცთუ სკეპტიკურად უყურებს. მისი თქმით, საბოლოოდ ყველაფერი მაინც ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

— საქართველოში არჩევნებს ისე განიხილავენ, როგორც სტიქიურ უბედურებას. არადა ეს მართლა სტიქიურად ხომ არ ხდება! არჩევნებიდან არჩევნებამდე მთელი ოთხი წელი გვაქვს მოსამზადებლად. რატომღაც, ზარმაცი სტუდენტივით ბოლოსკენ მოვიტოვებთ ხოლმე და უკანასკნელ თვეებში, ფაციფუცით ვამზადებთ არჩევნებს. სამწუხაროდ, პარტიები ისე გამოთქვამენ ზოგად პრეტენზიებს არჩევნების გაყალბების თაობაზე, თითქოს საარჩევნო კანონმდებლობა და მასთან დაკავშირებული ნიუანსები თავის დროზე მათი გასაკეთებელი არ ყოფილიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ როდესაც ხუთი წლის წინ, მაშინდელი ოპოზიცია გაყალბების საწინააღმდეგო მეთოდებზე ლაპარაკობდა, დღევანდელი ოპოზიცია სიცილით კვდებოდა. დღეს კი სხვაგვარი სურათი გვაქვს... ალბათ უფრო ამიტომაც, პოლიტიკოსები მოვლენებს ცოტა სხვაგვარ, მომავლის პერსპექტივაშიც უნდა აფასებდნენ. სხვათა შორის, როდესაც დღეს ცესკოს მისამართით ზოგადი ბრალდებები ისმის, ბრალმდებელი პარტიები ისევ ერთმანეთს სცხებენ ჩირქს და გამოდის, რომ ისევ ერთმანეთის ეშინიათ — მე რა პირადი ინტერესი უნდა მქონდეს, რომ ამა თუ იმ პარტიას შედეგები გავუყალბო? ამით ხომ ისევ და ისევ სხვა პოლიტიკური პარტია, მისი კოლეგა უნდა იყოს დაინტერესებული... თუმცა, მეც და ყველა პარტიამაც რომ მოვინდომოთ, იმდენი საწინააღმდეგო მექანიზმია ჩადებული, გაყალბება ძალიან გაგვიჭირდება... მარკირება გამორიცხავს კარუსელის გამოყენებას, ხმის მიცემის წესი კი — ბიულეტენების ბლუჯა-ბლუჯა ჩაყრას, როგორც ამას ადრე აკეთებდნენ. ბიულეტენებიც დაცულ ქაღალდზე იბეჭდება და მისი კოპირება გამორიცხულია. თუმცა, ყველა მექანიზმს შეგნებულად არ გავახმაურებ, რათა მავანთ წინასწარ არ დაიწყონ მათ „გაუვნებლებაზე" ზრუნვა. სხვათა შორის, როგორც ვრწმუნდები, სხვადასხვა პარტიის ზოგადი განცხადებები, არჩევნების გაყალბების თაობაზე, იმიტომ კი არ კეთდება, რომ ზოგადად ეს მოვლენა აღმოიფხვრას. უბრალოდ, თვითონ რომ ჰქონდეთ ამის საშუალება და მათ მოწინააღმდეგეს კი არა.

**— ალბათ გაყალბების საწინააღმდეგო ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანი საშუალება მარკირებაა. თუმცა, ამის თაობაზე საზოგადოებრივი აზრი უკვე რამდენიმე ნაწილად არის გაყოფილი — ზოგი ამბობს, რომ ეს ჯანმრთელობისთვის არის მავნე, ზოგიც მის მდგრადობას სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ ზოგიერთ პარტიას უკვე ჩამოტანილი აქვს მისი ანტიდოტი საშუალება...**

— თავისთავად, მარკირების საწინააღმდეგოდ გაშლილი კამპანია მეტყველებს იმ ფაქტზე, თუ რამდენად ხელისშემშლელი იქნება იგი გამყალბებლებისთვის. სწორედ ის ძალები ცდილობენ მარკირების დისკრედიტაციას, ვისაც „კარუსელების დატრიალება" და არჩევნების გაყალბებით მოგება სურს. რაც შეეხება მის მავნე ზემოქმედებას ჯანმრთელობაზე, ეს გამორიცხულია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მარკირებისთვის საჭირო ტექნიკა ეუთომ შემოიტანა — მართალია, ეუთო და ეუთო ზოგიერთ პოლიტიკოსს ერთმანეთში ერევა, მაგრამ ეს ხომ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და პრესტიჟული საერთაშორისო ორგანიზაციაა... ზუსტად ამ სითხით და მეთოდებით საქართველომდე მარკირება ჩატარდა ბოსნიაში, ხორვატიაში, სერბეთში, ნიგერიაში. როგორ ფიქრობთ, ამ ქვეყნების მოსახლეობას მარკირების გამო რომ რაიმე შემთხვეოდა, ეს ამბავი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა? გარდა ამისა, როდესაც ამერიკაში, ფლორიდის შტატში, გამანადგურებელი ქარიშხალი იყო მოსალოდნელი, შტატის მთელი მოსახლეობა — დიდიან-პატარიანად — სწორედ ამ სითხის მეშვეობით აღნუსხეს და სხეულზე დაზღვევის ნომრები და პირადი მონაცემები წააწერეს — უბედური შემთხვევისას უგონოდ მყოფი ადამიანების დახმარება რომ გაიოლებულიყო. ვითომ ამერიკელები დაუშვებდნენ, რომ ჯანმრთელობისთვის საზიანო სითხე გამოეყენებინათ? რაც შეეხება მის შემადგენლობას — არჩევნების ბოლომდე არ გამჟღავნდება — მართალია, ფუჭი, მაგრამ მაინც მისი ანტიდოტის შესაქმნელი აჟიოტაჟი რომ არ ატყდეს და ამით ისევ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები არ დაზარალდნენ, რადგან ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მსოფლიო გამოცდილების თანახმად, მისი ხელიდან მოშორება 24 საათზე ადრე შეუძლებელია, სხვადასხვა მძიმე ქიმიური ფორმულის მქონე ნივთიერება მარკირებას კი წაშლის, მაგრამ კანსაც თან გააყოლებს...

საარჩევნო უბანზე მისულ მოქალაქეს ჯერ ჩვეულებრივი, ულტრაიისფერი ფარნით შეამოწმებენ — აქვს თუ არა მარკირება გაკეთებული. თუ არ აქვს, ხმის მიცემამდე თითზე დაასხურებენ უფერო და უვნებელ სითხეს, რომელიც 48 საათში თავისით გაქრება. ეს ჩემი ახირება არ გახლავთ. მარკირება საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული...

**— როგორც ცნობილი გახდა, გაყალბების წინააღმდეგ ახალ კანონმდებლობაში სხვა მრავალი მექანიზმიც არის ჩადებული, თუმცა, მათი დაფინანსება შეუძლებელი ხდება...**

— ჩემდა გასაოცრად, დიდი აჟიოტაჟის მიუხედავად, პარლამენტმა ისე დაამტკიცა ახალი საარჩევნო კოდექსი, რომ მისი განხორციელების ფინანსური ხარჯთაღრიცხვა არც „პოზიციას" გახსენებია და არც ოპოზიციას. არადა პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტროსთვის შესაბამისი დასკვნის მომზადება უნდა დაევალებინათ. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ არსებობს ახალი კოდექსი, უამრავი ცვლილება არჩევნების ჩატარების ორგანიზებაში და არ არსებობს მთავარი — ფული — მათ განსახორციელებლად... არადა გაყალბების საწინააღმდეგოდ ჩადებული უამრავი ახალი მექანიზმი ახალ ხარჯებს მოითხოვს, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებულზე 4 მილიონი ლარით მეტია. ნონსენსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ფინანსთა სამინისტრო ყველანაირ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას იხსნიდა — ხარჯების გაზრდაზე ჩვენთვის არავის არაფერი უკითხავსო. კონსტიტუციის თანახმად კი, არჩევნების ჩატარებისას ერთი, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ სავალდებულო წესიც რომ არ შევასრულოთ, არჩევნების შედეგების გაპროტესტება მასში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს შეუძლია და შესაბამისად, ეს შედეგები ბათილად გამოცხადდება... მოგეხსენებათ, პარლამენტი ვერ იკრიბება, რომ საბიუჯეტო ცვლილებები დაამტკიცოს. ამიტომაც სერიოზული ბრძოლა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ფინანსთა სამინისტრო ახალი თანხების გამოყოფაზე დათანხმებულიყო — რაც, საბოლოოდ, პრეზიდენტის საგანგებო ბრძანების საფუძველზე გაკეთდა...

**— ახალი კოდექსის თანახმად, ცესკოს თავმჯდომარე ნეიტრალური პიროვნებაა, კომისია კი პარტიების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. პოლიტოლოგები თავიდანვე გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ ასეთ პირობებში კომისიის მართვა თავმჯდომარეს ძალიან გაუჭირდებოდა. პირველი სხდომები და კონფლიქტური სიტუაციები უკვე ჩავლილია. როგორ კომენტარს გააკეთებს ნეიტრალური თავმჯდომარე კომისიის პარტიულ წევრებზე?**

> რაც შეეხება მის შემადგენლობას – არჩევნების ბოლომდე არ გამჟღავნდება – მართალია, ფუჭი, მაგრამ მაინც მისი ანტიდოტის შესაქმნელი აჟიოტაჟი რომ არ ატყდეს და ამით ისევ შეცდომაში შეყვანილი ადამიანები არ დაზარალდნენ, რადგან ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მსოფლიო გამოცდილების თანახმად, მისი ხელიდან მოშორება 24 საათზე ადრე შეუძლებელია, სხვადასხვა მძიმე ქიმიური ფორმულის მქონე ნივთიერება მარკირებას კი წაშლის, მაგრამ კანსაც თან გააყოლებს...

— ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ. როდესაც პირველად, ოფიციალური სხდომების დაწყებამდე, შევიკრიბეთ, მაშინვე მოვილაპარაკეთ, რომ წარსული გამოცდილების გამო ახალმოწვეული კომისია განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნებოდა. შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგებოდა თითოეული ჩვენგანის რეპუტაციაც, თუნდაც მცირედი დარღვევის შემთხვევაში. რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, მოქმედებს პარტიული ინტერესის მომენტი. მაგრამ საქმეს ის აადვილებს, რომ ყველა კენჭისყრა და გადაწყვეტილების მიღება საჯაროდ ხდება, ანუ საჯაროა და იოლად დასანახი ამა თუ იმ პარტიის ქმედება და შესაბამისად, მისი რეპუტაცია და სახელიც. ამიტომ, ბოლო გადაწყვეტილებას თუ არ ჩავთვლით, რომელიც არჩევნებში პარტიების ნუმერაციას და რიგითობას ეხებოდა, შეიძლება ითქვას, რომ კომისიის წევრები საკითხებს საკმაოდ კოლეგიალურად უდგებიან...

**— ალბათ ნუმერაციის გარშემო ამხელა აჟიოტაჟის ატეხაც წმინდა ქართული მოვლენა უნდა იყოს ისევე, როგორც პრესტიჟული სანომრე ნიშნები ავტომობილზე, ან მობილურ ტელეფონზე... სხვაგვარად, რა მნიშვნელობა აქვს, პარტია არჩევნებში 539 ნომრით გამოვა თუ 44-ით? ხალხი ხომ პარტიას აძლევს ხმას და არა რიცხვს...**

— მთლად ასეც არ არის საქმე. აი, აქ კი კომისიის წევრებმა ვიწროპარტიული ინტერესები გამოამჟღავნეს: როგორც ცნობილია, ნუმერაცია, ანუ რიგითობა გასულ არჩევნებში მოპოვებული შედეგების მიხედვით დგება — ის პარტიები, ვისაც გასული არჩევნებიდან ნომერი განაღდებული აქვთ, ყველანაირად ცდილობენ, დანარჩენები დააბრკოლონ — ეს ერთგვარი საარჩევნო „კვანტია", მოწინააღმდეგისთვის დადებული. — თუ არ ეცოდინება ნომერი, რომლის შემოხაზვისკენაც ამომრჩეველს უნდა მოუწოდოს, მთავარ წინასაარჩევნო კამპანიას ვერც მოამზადებს და ვერც განახორციელებს. ამაში მდგომარეობს რიგითობის გაჯანჯლების მთელი საიდუმლოება... თუმცა, ამ ჩანაფიქრის ავტორებს რატომღაც, საჯაროობის მომენტი ავიწყდებათ —

> საჯაროდ ვაცხადებ – თუ რომელიმე საარჩევნო უბანში ზემოქმედებისა და იძულების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერ წევრს თუნდაც უმნიშვნელო შეურაცხყოფას მიაყენებენ, იქ უბრალოდ, არჩევნებს ჩაშლილად გამოვაცხადებ. მთლიანი სურათი ამით არ დაზარალდება – მოძალადე კანდიდატისგან განსხვავებით.

რა რეაქცია ექნება ამომრჩეველს ასეთ საქციელზე? არა მგონია, ვინმეს ჩაუქობაში ჩაეთვალოს...

**— როდესაც ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი წყდებოდა, თქვენი კანდიდატურის მოწინააღმდეგეების ერთ-ერთ არგუმენტს ისიც წარმოადგენდა, რომ შედარებით ლოიალური იყავით და პრეზიდენტის მიმართ მწვავე განცხადებები არ გაგიკეთებიათ — პირდაპირ რომ ვთქვათ, პრეზიდენტს არ ეწინააღმდეგებოდით... ეს კი შევარდნაძეს საშუალებას მისცემდა, თქვენს საქმიანობაში ჩარეულიყო. მეორე არგუმენტი კი ქალის ფაქტორი გახლდათ — თითქოსდა ვერ შეძლებდით იმ კონფლიქტების განეიტრალებას, რაც საარჩევნოდ არის მოსალოდნელი...**

— ამ სამი წლის მანძილზე, რაც სახალხო დამცველი ვიყავი, პრეზიდენტი ჩემს საქმეში არ ჩარეულა — ასე რომ ყოფილიყო, ალბათ ჩემი ოპონენტები აუცილებლად გაამჟღავნებდნენ. რაც შეეხება ლოიალურობას: ალბათ არავის შეუტანია პრეზიდენტის სახელზე იმდენი სარჩელი სასამართლოში, რამდენიც მე. რაც შეეხება წინააღმდეგობას, წინააღმდეგობა არ არის სიძულვილი, სიძულვილზე კი რა გითხრათ — ზოგადად, ამ გრძნობის წინააღმდეგი ვარ, რადგან იგი აშკარა დაღს ასვამს ადამიანებს. გადახედეთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს და თავად დარწმუნდებით — როგორი მიმიკა და გამომეტყველება აქვს ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს...

კონფლიქტებისა და დესტაბილიზაციის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამას არავითარ შემთხვევაში მასობრივი ხასიათი არ ექნება, რადგან ჩვენს მოსახლეობას გასული წლების მანძილზე საკმარისზე მეტი გამოცდილება დაუგროვდა საიმისოდ, რომ პოლიტიკის და არჩევნების გამო ერთმანეთს არ დაერიოს — მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმე დეპუტატი გახდეს და ერთ თვეში თავისი ამომრჩევლის არსებობაც კი დაივიწყოს — როგორც ეს ჩვენთან ხშირად ხდება ხოლმე. სხვა საქმეა, თუ რომელიმე პარტიის მიერ დაქირავებული, თუნდაც მრავალრიცხოვანი ჯგუფი რაიმე პროვოკაციას ჩაიდენს — ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, სახელისუფლებო იქნება ეს პარტია თუ ოპოზიციური. საჯაროდ ვაცხადებ — თუ რომელიმე საარჩევნო უბანში ზემოქმედებისა და იძულების მიზნით საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერ წევრს თუნდაც უმნიშვნელო შეურაცხყოფას მიაყენებენ, იქ უბრალოდ, არჩევნებს ჩაშლილად გამოვაცხადებ. მთლიანი სურათი ამით არ დაზარალდება — მოძალადე კანდიდატისგან განსხვავებით. თუ უღირთ ასეთი პოლიტიკა, მაშინ იმოქმედონ...

***დაჩი გრძელიშვილი***

# მტკვარში „ოქროს თევზი“ თქვენც გინახავთ?..

ამას წინათ ნაღდ ქართულ, თბილისურ ოჯახში ერთი უცნაური კაცი გამაცნეს — ეს სტაჟიანი მეთევზეაო. რა გქვიათ ბატონო-მეთქი, კრძალვით ვკითხე, ალბათ სამოცს გადაცილებულ მზისგან გარუჯულ მებადურს. „ოსკარ უაილდიო“ — მიპასუხა. მასპინძლებს ჩემი გაოცებული სახის დანახვაზე გაეცინათ. უხერხულად გავიღიმე და უცნაურ ხუმარას ისევ შევბედე — ეს ალბათ მეტსახელია, ნამდვილი სახელი რა გქვიათ-მეთქი. — რას გადამეკიდე, შვილო, პოლიციელივით, ოსკარი ვარ, დამიჯერე, ოსკარიო. იმის მერე სანამ თვითონ არ მოვიდა საუბრის ხასიათზე, სიტყვა აღარ მითქვამს. ყველა ილხენდა, ის კი მხოლოდ სვამდა და ჭროლა, მოჭუტული თვალებით სადღაც იდუმალში იცქირებოდა თითქოს. მერე უცებ ჭიქა აიღო და თქვა: — ეს იმ ოქროს თევზს გაუმარჯოს, დღესაც რომ დაცურავს მტკვარში და მშობლიური მდინარის ჭუჭყიანი წყალი რომ ურჩევნია უცხო, ანკარა მდინარეებს და ჩანჩქერებსო. მეგონა, მებადური გაიგავებულ სადღეგრძელოს ამბობდა, ოქროს თევზში იმ ქართველს გულისხმობდა, ვისაც საქართველოს სალი კლდეები სხვა ქვეყნის სამოთხეს ურჩევნია ჯერაც. „გამოსვლა“ რომ დაამთავრა და სასმისიც ბოლო წვეთამდე დაცალა, ისევ შევბედე კითხვა — ნამდვილი ოქროს თევზი გინახავთ-მეთქი? აბა, ახლა რაზე ვლაპარაკობდიო, — გაკვირვებულმა მიპასუხა და მეც აღარ მოვეშვი. ის კაცი დიდი უცნაური ვინმე გამოდგა.

**— კი მაგრამ, სად გინახავთ ოქროს თევზი?**

— მტკვარში. პირველად ბავშვობაში ვნახე, მეტეხთან. ღამე იყო, როგორც ციცინათელა, ისე კრთებოდა მტკვრის ტალღებში. ტარიანი ბადურა გამოვდე მანათობელს. ბადეში სხმარტალებდა, მტკაველისხელა იყო. უცნაურ, ზანზალაკივით წკრიალა ხმას გამოსცემდა. ზღაპარი გამახსენდა გრძნეული ოქროს თევზის შესახებ. ვინ გავხდები-მეთქი? ვკითხე. მებადურიო, მომესმა სუსტი ხმა. კიდევ სამჯერ გამიმეორა ეს სიტყვა და წყალში გადახტა. არავის არ სჯერა დღესაც ეს ამბავი. მამაჩემმა იმ დღიდან სალამოობით მტკვრისპირას გასვლა ამიკრძალა — ავ სულს აიკიდებო. გავიდა წლები. ჯერ სკოლა, მერე სამხატვრო აკადემია დავამთავრე. გავხდი არქიტექტორი და ჩემი პროფესიით მუშაობაც დავიწყე, მაგრამ ოქროს თევზი და მისი წინასწარმეტყველება სულ თავში მიტრიალებდა.

**— იმ ხნის განმავლობაში აღარ გითევზავიათ?**

— როგორ არა. მსოფლიო მაქვს მოვლილი. უამრავი მდინარე, ტბა და ზღვა მინახავს, ათასი უცნაური თევზი დამიჭერია, მაგრამ ოქროს თევზი მხოლოდ მტკვარში ვნახე. ახლა იტყვით, თუ სულ თევზაობდი, ყოფილხარ მებადური და ეგ არისო. სანამ ცხოვრება აირეოდა, გასართობად ვთევზაობდი. მერე კი უმუშევარი დავრჩი... რასაც ხელი მოვკიდე, არაფერი გამომივიდა. შვილები უცხოეთში წავიდნენ. ჩემი მეუღლეც მათ გაჰყვა. მე კი ვერ დავტოვე ეს დალოცვილი ქვეყანა, მხოლოდ იმიტომ, რომ კუჭი მქონოდა მაძღარი. უკვე ათი წელია, დავდივარ მდინარეებზე, ტბებზე და თევზს ვიჭერ. ვყიდი და იმით ვირჩენ თავს. მებადური ვარ, აბა რა ვარ. ამიხდა ოქროს თევზის ნათქვამი.

**— მტკვარში დაჭერილი თევზი არ იჭმევაო, მსმენია.**

— გააჩნია, მტკვრის რომელ ზონას გულისხმობთ. თბილისში, რუსთავსა და ისეთ ადგილებში, სადაც მტკვრის დაბინძურების დონე პიკს აღწევს, თევზი მართლაც არ იჭმევა... მე ღამღამობით მაინც დავდივარ მტკვარზე თბილისში და ოქროს თევზს ველოდები.

**— ბავშვობის მერე კიდევ ნახეთ?**

— შარშან შვილმა დამირეკა ამერიკიდან, მამა, როდემდე უნდა იყო მანდ მარტო, ჩამოდი, ადამიანურად იცხოვრეო. გავბრაზდი, შენ რა გგონია, აქ ძაღლურად ვცხოვრობ, რახან შენსავით ოჯახს არ ვტოვებ და თევზის სუნი რომ ამდის-მეთქი? ყურმილი დავკიდე და სუნთქვაშეკრული ქუჩაში გამოვედი. მტკვრის სანაპიროს გავუყევი უსიამო ფიქრების გასაფანტავად. ორი ნაბიჯი არ მექნებოდა გავლილი, ტრასაზე ზურგს უკან ჯერ მანქანის მუხრუჭების და მერე დაჯახების საშინელი ხმა მომესმა. მივიხედე, ორი უცხო მარკის მანქანა ისე შედუღებოდა და წამში ისე აზელილიყვნენ ერთმანეთში, რომ გავშრი, დავმუნჯდი. უცებ შეწყდა მოძრაობა. მანქანებს მივვარდი. მხოლოდ ერთ-ერთის უკანა სალონიდან ისმოდა კვნესა, ძლივს გამოვამტვრიეთ კარი, მძღოლის გვერდით მჯდომი ოციოდე წლის ბიჭი დარტყმის ძალას გადაუგდია უკან. ფეხები ჰქონდა დამტვრეული. მძღოლი კი, ისიც პირზე რძეშეუმშრალი, უკვე მკვდარი იყო. სანამ მანქანა არ დაჭრეს, მანამ ვერ ამოიღეს საწყალი. მეორე მანქანაშიც მძიმედ იყვნენ დაშავებულნი. მერე გაირკვა, გარდაცვლილის მშობლები უცხოეთში მუშაობდნენ ოჯახის სარჩენად. ერთი თვის წინ გამოუგზავნიათ შვილისთვის მანქანა. ამ ამბავმა ერთიანად შემძრა, მოვდიოდი და ვფიქრობდი, რომ არ წასულიყვნენ, ის ბიჭი ახლა ცოცხალი იქნებოდა-მეთქი. მტკვრის პირას ჩავედი, უკვე ბნელოდა. უცებ შევნიშნე, რომ მაისური სისხლით მქონდა მოთხვრილი, იმ ბიჭის სისხლით. მდინარეში შევედი ჩაცმული, წყალი თბილი იყო. გავცურე. უცებ რაღაცამ გაიელვა წყალში ისე, როგორც მაშინ, ბავშვობაში. ოქროს თევზი წყლიდან ამოხტა. ისევ აწკრიალდა ნაცნობი ზანზალაკის ხმა, პეშვები შევატყუპე წყალში. თევზი ხელისგულებზე შემოცურდა და გავიგონე, — არ წახვიდე, ოსკარ, არ წახვიდე!..

**— რას გულისხმობდა, ამერიკაში არ წახვიდეო?**

— ჰო, ბევრი მელაპარაკა ოქროს თევზი მაშინ...

მებადური გაჩუმდა და ისევ გაირინდა. ყველანი გატრუნულები ვუსმენდით. მასპინძლებმა მერე მითხრეს — აი, ეგ ამბები ოსკარისგან სხვა დროს არ გვსმენია... ისე ძალიან უცნაური კაცია და თანაც მეტისმეტად სიტყვაძუნწიო. ცხადია, ოსკარი მართლაც უცნაურია. მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული ორი კვირაა უკვე ვფიქრობ: ნეტავ მართლა არსებობს ოქროს თევზი და თანაც მტკვარში?

***ეკა ლომიძე***



# — თუ ისროლე, შეიძლება პარლამენტშიც დაგსვან...



სულ ცოტა ხნის წინ სან-სებასტიანის კინოფესტივალზე **დიტო ცინცაძის** მიერ გერმანიაში გადაღებულმა ფილმმა „გასროლის შიში“ „ოქროს ნიჟარა“ მიიღო. დიტო ცინცაძის ფილმები ადრეც არ დარჩენილა აღიარების გარეშე. 1991 წელს მისი ფილმი „სტუმრები“ „ოქროს არწივის“ პრიზით დაჯილდოვდა ორიგინალური რეჟისურისათვის, ხოლო 1993 წელს ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი, საუკეთესო რეჟისურისათვის, მიიღო მისმა ფილმმა „ზღვაზე“. მიუხედავად მოუცლელობისა, ბატონი დიტო მაინც სიამოვნებით დაგვეთანხმა საუბარზე:

**— უცხოეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორები ძალზე მოკლე დროში იღებენ ფილმებს. რამდენ ხანში გადაიღეთ ეს ფილმი?**

— სულ 33 დღეში. მთავარი პრობლემა იყო გადასაღები ფულის შოვნა იმიტომ, რომ მე არაკომერციული ფილმის გადაღება მინდოდა...

**— არაკომერციული ფილმის გადაღება იქაც ჭირს?**

— დიდი ვაჟკაცობაა ამგვარი ფილმის გადაღება. მდარე პროდუქციამ გადაუგვარა ხალხს გემოვნება.

**— თბილისში შეცვლილი დაგხვდათ რამე?**

— უბედურებაც ის არის, რომ აქ არაფერი იცვლება. ყველგან რაღაც ვითარდება, აქ კი 10 წელია ყველაფერი გაყინულია. ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია ნორმალური ქვეყნის ცხოვრებაში. ესე იგი, ქვეყანა არის ავად.

**— ასეთი ქვეყნიდან ბევრი მიდის სარჩოს საძებნელად უცხოეთში, მაგრამ უმრავლესობა ვერ ახერხებს საკუთარი თავის რჩენას პროფესიით. თქვენ ეს შეძელით.**

— ძნელია ამის თქმა. კომერციული თვალსაზრისით, ჩემს ფილმებს ჯერჯერობით არანაირი მოგება არ მოაქვთ. იმედი მაქვს, „გასროლა“ მოიგებს რამეს. მე მხოლოდ საარსებო საშუალება მაქვს. „ოქროს ნიჟარაც“ დამეხმარება, რომ შემდეგ პროექტზე ვიმუშაო, არ გავჩერდე.

**— შემდეგი პროექტი უკვე არსებობს?**

— არსებობს და არა ერთი...

**— ისევ გერმანელებთან იმუშავებთ?**

— ახლა ინგლისელებთან მაქვს შეხვედრა, მერე კანადელებთან... უკვე ასარჩევია, ვისთან ვიმუშავებ.

**— ენობრივი ბარიერი არ გაქვთ?**

— გერმანული არ ვიცი, მაგრამ ინგლისურად ვლაპარაკობ. მყავს დიალოგ-რეჟი, რომელიც მეხმარება.

**— საქართველოდან როცა მიდიხართ, რას განიცდით?**

— გული მტკივა... ჩემი მშობლები, მეგობრები, ჩემი შვილი, შვილიშვილი — ყველანი აქ არიან. ამათი დატოვება იოლი არ არის... თანაც ვტოვებ ცუდ ქვეყანაში. სამწუხაროდ, ეგრეა, ჯერჯერობით... მერე ან აქ გამოსწორდება საქმე, ან მე გამოვსწორდები იქ, რომ შევძლო მათი ცხოვრების პირობების შემსუბუქება.

**— შიში ზოგჯერ კეთილშობილურია, მაგალითად, გასროლის შიში. იმიტომ, რომ ამ დროს მეორე ადამიანზე, მის სიცოცხლეზე ფიქრობ, რას იტყვით, საქართველოში თუ არის დღეს გასროლის შიში?**

— ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ახლა აქ სინდისის ქენჯნის გარეშე ისვრიან... შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, კანონი აქ არ არსებობს. გერმანია მთლიანად კანონზეა დაფუძნებული. იქაც არის კორუფცია, მაგრამ ეს შენ არ გეხება. გერმანიაში კანცლერი რომ დაიჭირონ, რასაც უნდათ, იმას უზამენ. აქ რაც უფრო მაგარი მუშტი გაქვს, მით ძლიერი ხარ. აქ გასროლისა ვის ეშინია?! დახოცეს ერთმანეთი. თუ ვერ ისროლე, მაშინ ხარ ცოდო, თორემ თუ ისროლე, შეიძლება პარლამენტშიც დაგსვან.

**— თქვენ ვერ იტყვით, აღიარებას კარგა ხანს ველოდიო. საკმაოდ დიდი წარმატებები გაქვთ...**

— ლოდინი მაინც მომიხდა... სამაგიეროდ, რაც გამოვტოვე, ვცდილობ, ის წლები ახლა ავინაზღაურო.

**— იქაური და აქაური მაყურებელი სხვადასხვანაირია?**

— იქაც არიან ემოციური ადამიანები, აქაც... ცოტა სხვაობა არის, მაგრამ ეს დიდად მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს.

**— ძალიან გაგვიხარდა თქვენი ბოლო წარმატება. გილოცავთ „კვირის პალიტრისა“ და ყველა კინომაყურებლის სახელით.**

— დიდი მადლობა. მე ბედნიერი ვარ... ვგრძნობ ამ თანადგომას. ბატონმა ოთარ იოსელიანმა გერმანიაში დამირეკა, მომილოცა. ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს?

**— მოკლედ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის 33 დღე, რაც „გასროლის შიშის“ გადაღებაზე დახარჯეთ, „ოქროს სანიჟარე“ დღეები იყო...**

— ალბათ. გამიმართლა... იმ დღეების შრომამ შედეგი გამოიღო...

***ლელა ჯიყაშვილი***




## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რისთვის წველიან მინდორში ძროხებს პატარა ნარკომანები“ — 122 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „საგვარეულო ქამარი“ — 97
3. **ეკა ლომიძე** — „ერთმა ქართულმა ოჯახმა 5 გენერალი გაზარდა“ — 57
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „უცვლელი რეპერტუარი — მკვიდრდება შეხედულება, რომ ღირსეული არავინ არის“ — 34
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 25
6. **იზო რიკაძე** — „მამალაძე ბოლნისში ოქროს გასაკონტროლებლად მოდის“ — 14
7. **მარინა ბაბუნაშვილი** — „რატომ ვუღალატე“ — 13
8. **მარინა მამისაშვილი** — „ეი-ი-ეს-ის“ უკანონო ჩათვლებიდან ნიკას წილს სთავაზობდნენ...“ — 9
9. **ლელა ჯიყაშვილი** — „ნაცნობი სახეები“ — 7
10. **სპორტი** — 3

თქვენი პრემიის მფლობელი ამჯერად **ზვიად ჩაკვეტაძეა.**

***„მკითხველის პრემიაში“ 406 რესპონდენტი მონაწილეობდა***

# პანკისის ხეობა პროვოკაციის მოლოდინშია...



**სად წავიდე, ქმარი და მაზლები მაგათ დამიხვრიტეს. ერთი ცხრა წლის ბიჭი მეზრდება და რუსების ხელში ვერ ჩავაგდებო. მაგრამ რუსებმა დაიქადნეს, რომ ლტოლვილებს მაინც დააბრუნებენ ჩეჩნეთში. ამიტომ ახლა მთელი ხეობა პროვოკაციის მოლოდინშია. ყურადღებით უნდა ვიყოთ. რამე არ მოგვიწყონ.**

ქართველი ძალოვნები ამაყობენ, რომ სკეპტიკური პროგნოზების მიუხედავად, ფეთქებადი სიტუაცია პანკისის ხეობაში ნელ-ნელა ჩაცხრა და მდგომარეობა სასურველი კალაპოტით წარიმართა. დღეს აქ აღარც ჩეჩენი ბოევიკები გადმოდიან და აღარც გაუთავებელი სროლა გაისმის. თუმცა პანკისისა და თიანეთის ტყეებში იქაურები დღემდე აწყდებიან ჩეჩენი მებრძოლების ნაკვალევს. მწყემსები და შეშის საჭრელად ტყეში წასული გლეხები თურმე მიტოვებული იარაღის საწყობებსაც პოულობენ.

ჩვენ შევხვდით პანკისელ ქისტს, **ჯემალ ქავთარაშვილს**, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ ხეობის მიმდებარე ტყეებში იარაღის პატარა საწყობები მართლაც არის: — ერთი ასეთი საწყობი ჩემი ბიძაშვილის ბავშვებმაც იპოვეს. გავგიჟდით, ავტომატგადაკიდებული ბავშვები რომ დავინახეთ. ხუთი ბავშვი იყო ტყეში წასული და უკან რომ დაბრუნდნენ, თითოს ორ-ორი ავტომატი მოჰქონდა. თურმე ტყეში საეჭვოდ დაყრილი ფიჩხი უნახავთ. გადაუქექავთ და პატარა ორმო უპოვიათ. იარაღი ისე ყოფილა გახვეული, რომ წყალი არ მიჰკარებოდა. კიდევ კარგი, სროლა არ დაიწყეს და ერთმანეთი არ ამოხოცეს.

**— რა სახის იარაღი იყო?**

— ავტომატები და ორი ტყვიის ყუთი (ე.წ. „ცინკი“). ბავშვები ამბობდნენ, საპნის მსგავსი რაღაცებიც არის ჩაწყობილიო. თურმე ტროტილზე ლაპარაკობდნენ. იმავე დღესვე ვუთხარით პოლიციელებს და ქართველი სამხედროები ავიდნენ ტყეში იარაღის წამოსაღებად. მადლობაც კი გვითხრეს, მაგრამ გაგვაფრთხილეს, თუ კიდევ წააწყდებით ასეთ ადგილებს, უჩვენოდ ხელი არ ახლოთო.

**— ასეთ საწყობებს ხშირად პოულობენ?**

— ჩემი თვალით რაც ვნახე, ეს პირველი შემთხვევა იყო. ისე კი მქონდა გაგონილი, მწყემსები მიტოვებულ იარაღს პოულობენო. ამაში გასაკვირიც არაფერია. ჩეჩნები ეტყობა ფიქრობდნენ, რომ აქ დიდხანს დარჩებოდნენ, მაგრამ მერე სწრაფად მოუწიათ უკან დაბრუნება და ყველაფერი ერთად ველარ წაიღეს. მით უმეტეს, ტროტილი ძალიან მძიმეა...

ისე კი, პანკისში დღეს სიმშვიდეა — ლტოლვილი ჩეჩენი ქალებისა და ბავშვების გარდა, აქ არავინ, მით უფრო ბოევიკები აღარ არიან.

**— ერთხანს ძალზე დაძაბული მდგომარეობა იყო ხეობაში და მის გარშემო მცხოვრებ ქართველ და ქისტ მოსახლეობას შორის.**

— ეს, ძირითადად, საქონლის ქურდობით იყო გამოწვეული — მწყემსებს საქონელს ართმევდნენ. მაშინ ეტყობა, ვიღაცას ჩვენსა და ქართველებს შორის შეტაკება აძლევდა ხელს და ათასგვარ ხმას გვიყრიდნენ. თუმცა, ვერ უარვყოფ, რომ ხშირად ქისტებიც აყაჩაღებდნენ მწყემსებს. ერთხელ ჩემს თუშ მეგობარს მოჰპარეს სამი სული ძროხა. ჩვენ გვთხოვა დახმარება. დუისში ვიპოვეთ მისი ძროხები, ორი უკვე დაკლული იყო. დღეს ქურდობას ასეთი მასობრივი ხასიათი აღარ აქვს.

**— გამოდის, ჩეჩნების წასვლის შემდეგ საქონლის ქურდობაც შეწყდა?**

— ჩეჩნები აქ არაფერ შუაში არიან. ისინი რომ გადმოდიოდნენ, მწყემსებისაგან ხორცს და ყველს ყიდულობდნენ და არავის არაფერს ართმევდნენ. ჩეჩნები, პირიქით, ეხმარებოდნენ მწყემსებს ნაქურდლის დაბრუნებაში. ალვანში ერთი მწყემსი ცხოვრობს — ხაჩო ალვანელს ეძახიან. ზაფხულში თიანეთის რაიონში, სოფლიონის მთის მიდამოებში აძოვებს ძროხებს. შარშან, გელაევის რაზმი რომ გადმოვიდა, 19 სული ძროხა მოჰპარეს. ხაჩო პირდაპირ მასთან მივიდა და ყველაფერი უამბო. გელაევი ძალზე გაბრაზებულა და უთქვამს: ამას პროვოკაციის მიზნით აკეთებენ, რომ ჩეჩნებს დააბრალონ ძროხების ქურდობაო.

**— მერე, დაეხმარა გელაევი ძროხების პოვნაში?**

— მარტო ოთხი ძროხა იპოვა. გელაევი ხომ არ დაიწყებდა ძროხების ძებნას. ხაჩომ მითხრა: გელაევს ბრძანება გაუცია, ადგილზევე დაეხვრიტათ ყველა, ვინც კი მწყემსებს დააყაჩაღებდა. ასე რომ, ჩეჩნებისთვის ამის დაბრალება არ შეიძლება. ერთ ამბავს მოგიყვებით, მაგრამ უნებართვოდ გვარს ვერ ვიტყვი, რადგან შეიძლება ეწყინოთ — ალვანში ერთი გვარის ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო გადაკიდებული ჩემს მონათესავე გვართან. შარშან თიანეთიდან პანკისში მომავალი თუშები სცემეს და საქონელი წაართვეს. ერთ-ერთ მწყემსს ჩხუბისას თვალი ამოსთხარეს. ყველაფერი ეს ჩემს ნათესავ ქისტებს დაჰბრალდათ. თუშებში ბევრი მეგობარი მყავს და გული დამწყდა, როცა გავიგე, რომ ჩემი ორი ნათესავი მართლა ყოფილა გარეული ამ ისტორიაში. ბევრი შუამავალი გავგზავნეთ, მაგრამ არ შეგვირიგდნენ. სისხლის აღებას ითხოვდნენ. ბოლოს ისევ ჩეჩნები ჩაერივნენ საქმეში. ზაფხულში ერთი ჩეჩენი — მუსა კურგაევი იყო გადმოსული ცოლ-შვილის სანახავად. ადრე იგი რამდენჯერმე იყო ალვანში — ხელოსნებს ცხენის უნაგირებს აკეთებინებდა. თუშები დიდ პატივს სცემდნენ. პირველად მუსა წავიდა თუშებთან და დაზარალებული მწყემსის ოჯახი ნახა. თავიდან უარზე იყვნენ, მაგრამ ბოლოს მეზობლებიც ჩაერივნენ და ყველამ აღიარა, რომ სისხლის აღებას გაუთავებელი მტრობა მოჰყვებოდა, შეიძლება სოფელი სოფლის წინააღმდეგაც კი წასულიყო. ამიტომ შერიგება ურჩიეს. მეორე დღეს დამნაშავე ქისტებთან ერთად გადავედით თუშებთან. ექვსი ცხვარი დავკალით და შევრიგდით. ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ისე, მხოლოდ ქისტებს რომ ჰბრალდება ყველაფერი, არც ქართველები აკლებდნენ ხელს. ქისტი ძროხის ქურდი ხეობიდან, მაგალითად, სოფელ ქისტაურში რომ გადავიდეს და ძროხა მოიპაროს, სოფლის ბილიკები კარგად უნდა იცოდეს. ამას კი იქაურების დახმარების გარეშე ვერაფრით მოახერხებს...

**— გასულ კვირას ხეობაში რუსულმა დელეგაციამ ჩეჩენ ლტოლვილებს ჰუმანიტარული დახმარება ჩაუტანა და ჩეჩნეთში დაბრუნება სთხოვა. ლტოლვილები რატომ ამბობენ უარს?**

— ჩემი ნათესავი ჩეჩნები ამბობენ, რომ რუსების ნდობა არ შეიძლება. ეშინიათ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გენოციდი არ მოუწყონ. რუსებისაგან ეს მოსალოდნელია. ჩემს ოჯახს შეფარებულმა ქალმა მითხრა, — სად წავიდე, ქმარი და მაზლები მაგათ დამიხვრიტეს. ერთი ცხრა წლის ბიჭი მეზრდება და რუსების ხელში ვერ ჩავაგდებო. მაგრამ რუსებმა დაიქადნეს, რომ ლტოლვილებს მაინც დააბრუნებენ ჩეჩნეთში. ამიტომ ახლა მთელი ხეობა პროვოკაციის მოლოდინშია. ყურადღებით უნდა ვიყოთ. რამე არ მოგვიწყონ.

**— რა პროვოკაცია შეიძლება მოხდეს?**

— რუსები ამ საქმეში დახელოვნებულები არიან. ნებისმიერი რამ შეიძლება მოაწყონ. შესაძლოა ისევ ჰუმანიტარული დახმარების საკითხმაც შეასრულოს ფითილის როლი. რამდენიმე თვის წინ უკვე იყო ასეთი ინციდენტი. მუქთი ჰუმანიტარული დახმარების მიღების შემდეგ ჩვენებური ქისტებიც ეწერებოდნენ სიებში, ვითომ ჩეჩნები არიან და დახმარებას იღებდნენ. ერთი პერიოდი რომ შეწყდა ჰუმანიტარული დახმარების შემოსვლა, ხეობაში ვიღაცამ ხმა გაავრცელა, რომ ყველაფერი ეს გაბერილი სიების ბრალი იყო — ზედმეტი ხალხის გამო დახმარება ყველას არ ხვდებოდა. მაშინ ამ ხმებს დიდი ამბავი მოჰყვა. ქისტები და ჩეჩნები ლამის ერთმანეთს დაეჯახეთ. კიდევ კარგი, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. მაგრამ გამორიცხული არ არის, რუსეთის აგენტურამ ბევრი ასეთი სუსტი წერტილი გამოძებნოს ხეობაში...

ფაქტს, რომ ხეობაში დღეს სტაბილური მდგომარეობაა და საქონლის ქურდობის ბუმიც ჩაცხრა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

**ჯარაფ ხანგოშვილი**, სოფელ დუისის გამგებელი: „დღეს ისეთი მდგომარეობა აღარ არის, როგორც შარშან ამ დროს. ქურდები ყველგან არიან, მაგრამ ვფიქრობთ, ყველაფერს მართლა პროვოკაციის სუნი ასდიოდა. ხეობაში რამდენიმე ოსური სოფელია. იქაურებმა ქისტების ენა კარგად იციან. გავიგეთ, რომ ქურდები მოპარულ საქონელს მიერეკებოდნენ და დაახლოებით ღამის სამი საათისთვის დუისის ტერიტორიაზე უნდა გაევლოთ. ჩავუსაფრდით. გამთენიისას გამოჩნდნენ. სამნი იყვნენ. ერთმანეთში ქისტურად ლაპარაკობდნენ. გავისროლე და მეც ქისტურად დავუძახე — არ გაინძრეთ-მეთქი. ადგილზე გაშეშდნენ. საინტერესო ის არის, რომ ოსები აღმოჩნდნენ. ქისტურად იმიტომ ლაპარაკობდნენ, დაზარალებულებს ქისტები ჰგონებოდათ და ქურდობა ქისტებს დაჰბრალებოდათ“...

პანკისის ხეობის ტყეებში იარაღის საწყობების არსებობის ფაქტს უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

**ნიკა ლალიაშვილი**, უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი: „იმ მარშრუტებზე, რომლებითაც ჩეჩენი მებრძოლები დადიოდნენ, იარაღის ორი დიდი საცავი აღმოვაჩინეთ — ძირითადად, ავტომატები, ყუმბარმტყორცნები და ასაფეთქებელი ნივთიერებები. გამორიცხული არ არის და ინფორმაციაც გვაქვს, რომ ასეთი საცავები იქ კიდევ ბევრი უნდა იყოს. თუმცა წინასწარ, გამიზნულად მათი აღმოჩენა შეუძლებელია, გლეხები და მწყემსები თუ იპოვიან შემთხვევით...“

***დავით დევიძე***

# რუსული სპეცსამსახურები არჩევნების შემდგომ დესტაბილიზაციას გეგმავენ?!

## ეჭვი მეპარება ხელისუფლებას ვინმეზე ნაკლები სია ჰქონდეს

საქართველოში მიმდინარე პროცესებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობელიც გაფაციცებით შესცქერის და დასავლეთიც. ფაქტია, რომ წინასაარჩევნოდ ქვეყანაში ფეთქებადი ვითარებაა. ამის დასტური ბოლოდროინდელი არაერთი „უცნაური“ და, ერთი შეხედვით, ალოგიკური (სინამდვილეში კი სავსებით ლოგიკური) მოვლენა გახდა. ცხადია, რაღაც ძალა საქართველოში პროცესებს „ურევს“, დამნაშავეთა სამყარო მეტისმეტად აქტიურდება (თითქმის ყოველდღე — შეიარაღებული თავდასხმები). რუსი სამხედროები ზუგდიდში ბობოქრობენ, პანკისში რუსი ჩინოვნიკები ძაბავენ ვითარებას, მძიმდება სიტუაცია სამაჩაბლოშიც. ყოველივე ამის ფონზე კი ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ისეთ რამეებს აბრალებენ, თუ ეს ბრალდებები დამტკიცდა, დამნაშავეს ერის მოღალატის ტიტული გარანტირებული აქვს. ჩვენ რომ ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, ერის მოღალატეებს ქართველი ხალხი თავად მოუწყობდა სამსჯავროს, ან ხელისუფლება მაინც იფიქრებდა სახელმწიფოებრივად. მაგრამ, რაკი დღეს ყველა (ხელისუფლებაც და ოპოზიციაც) პირადულზეა გამეცადინებული და არა საქვეყნო საქმეზე, თანამედროვე შადიმანები, როგორც ამბობენ, გალაღდნენ. მაგრამ ქვეყნის ღალატი, ადრე თუ გვიან, ყველას მოეკითხება... მოსალოდნელ საფრთხეზე განცხადებები **ირინა სარიშვილმა** გააკეთა.

**— ოპოზიციაც და ხელისუფლებაც დესტაბილიზაციის საფრთხეზე ლაპარაკობს. ავიღოთ თუნდაც ბოლნისის ინციდენტი, რომელმაც ქვემო ქართლში არეულობის რეალური საშიშროება შექმნა, როგორ გგონიათ, ვინ იყო ამ კონკრეტულ შემთხვევაში დამნაშავე?**

— ამ ინციდენტში ისეთ საშიშროებას ვხედავ, რომელიც ნაკლებად უკავშირდება უშუალოდ არჩევნების დღეს. რაც ბოლნისში მოხდა, რუსული სპეცსამსახურების სცენარს ჰგავს. იგი გულისხმობს არჩევნების შემდგომ ვითარების გამწვავებას, დესტაბილიზაციას, რომელიც ქვეყნის კურსის შეცვლის საფრთხეს შექმნის. სამწუხაროდ, ზოგიერთი ნებსით თუ უნებლიეთ ერთვება ამ სცენარში. მსგავსი ინციდენტების ინიციატორს ხელისუფლებამ საკადრისი უნდა მიუზღოს. ძლიერი ხელის გარეშე რუსეთის სპეცსამსახურებში დაგეგმილ პროვოკაციებს ვერ ავცდებით. ამ შემთხვევაში არ ვამართლებ არც ხელისუფლებას და არც ოპოზიციას.

*(გაგრძელება იხ. გვ. 7.)*


# არჩევნები–2003

## მოიგეთ ფერადი ტელევიზორი



ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩვენი გაზეთის მიერ გათამაშებული ფერადი ტელევიზორი. მაშინ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ადგილები 54 წლის ავთო სტურუამ ყველაზე ზუსტად გამოიცნო და გახდა პრიზის მფლობელი. „კვირის პალიტრა“ ტრადიციას აგრძელებს და გაძლევთ შანსს მოიგოთ ფერადი ტელევიზორი. ამისათვის საჭიროა შეავსოთ ეს ბარათი და **„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)** საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

**თქვენი პროგნოზი** — როგორი იქნება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები?! მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების დასახელებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

### რომელი პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება დაიკავებს I–X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **წარმატებებს გისურვებთ!**

**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 29, ხოლო რაიონებში 28 ოქტომბერი.** ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

**პოლიტიკური პროგნოზი**

| ადგილი | პოლიტიკური პარტია/ბლოკი |
| --- | --- |
| I | |
| II | |
| III | |
| IV | |
| V | |
| VI | |
| VII | |
| VIII | |
| IX | |
| X | |

ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში?

__________

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი ტელეფონი

ქალაქი, რაიონი

# 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში 9 ბლოკი და 13 პარტია ცდის ბედს

## გთავაზობთ მათ ჩამონათვალს (ანბანის მიხედვით)

**ბლოკები**

1. ახალი მემარჯვენეები
2. ახალი საქართველოსათვის
3. ბურჯანაძე-დემოკრატები
4. ეროვნული თანხმობა — იბერიის გაბრწყინება (გურამ აბსანძე)
5. ჯუმბერ პატიაშვილი — პოლიტიკური გაერთიანება ერთობა („ერთობა“, სოციალ-დემოკრატები)
6. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (სუბიექტები „მრეწველები“, „სპორტული საქართველო“)
7. მშვიდობიანი კავკასია (საზ. ორგანიზაცია „კავკასია“, საქართველოს ქრისტიან-სოციალისტთა კავშირი, ქალთა დაცვის კავშირი, მამუკა არეშიძე)
8. სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა
9. „სამშობლო“ არასახელისუფლებო ბლოკი (სუბიექტები — „მონარქისტები“ და „კონსერვატორები“ თემურ ჟორჟოლიანი)

**პარტიები**

1. დედა სამშობლო (თემურ გუგუშვილი)
2. დემოკრატიული აღორძინების კავშირი (ასლან აბაშიძე)
3. ერთიანი საქართველო (ავთანდილ მარგიანი)
4. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია (ალექსანდრე ხითარიშვილი)
5. ლეიბორისტული პარტია (შალვა ნათელაშვილი)
6. მრეწველობისა და ეკონომიკის აღმავლობის პარტია (ზაზა ხვედელიძე)
7. საქართველოს ეროვნული სახალხო ფრონტი (პეტრე გავაშელი)
8. საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტია (ჰამლეტ გეგია)
9. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება „მძლეველი“ (ლაშა ლომიძე)
10. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (პანტელეიმონ გიორგაძე)
11. საქართველოს ადვოკატები (ქართლოს ღარიბაშვილი)
12. საქართველოს ინტელექტუალთა ლიგა (ირაკლი ლომთაძე)
13. სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი (ბესარიონ ბერძენიშვილი)

*ამ ჩამონათვალში თავდაპირველად „სახალხო პარტია“ და მერაბ კოსტავას საზოგადოებაც იყვნენ. მოგეხსენებათ, სახალხო პარტიის ლიდერი „ერთობის“ სიაში მოხვდა. „მერაბ კოსტავას“ საზოგადოების თავმჯდომარემ ვაჟა ადამიამ უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე.*

## პოლიტიკური პარტიების პირველი ოცეულები ასე გამოიყურება

### ახალი მემარჯვენეები



**სიაში სულ 250 დეპუტატობის კანდიდატია**

1. დავით გამყრელიძე
2. რეზო შავიშვილი
3. ფიქრია ჩიხრაძე
4. დავით საგანელიძე
5. ნონა გაფრინდაშვილი
6. ვახტანგ ხმალაძე
7. თემურ გოცირიძე
8. ვალერი კვარაცხელია
9. ირაკლი იაშვილი
10. დავით კოღუაშვილი
11. მზია თოთლაძე
12. მამუკა კაციტაძე
13. გიორგი მოსიძე
14. ოთარ გოგოძე
15. თამაზ გოცირიძე
16. ავთო (ზურაბ) ბერიძე
17. გიორგი ცანავა
18. ოთარ შენგელია
19. გურამ წიწილაშვილი
20. ნუგზარ ბერიძე

. . . . . . . . . . . .

77. ლევან გაჩეჩილაძე

### ახალი საქართველოსათვის



**სიაში 212 დეპუტატობის კანდიდატია**

1. ვაჟა ლორთქიფანიძე
2. ელგუჯა მეძმარიაშვილი
3. ვახტანგ რჩეულიშვილი
4. ირინა სარიშვილი
5. ირაკლი ბათიაშვილი
6. ნინო გურიელი
7. თამაზ ნადარეიშვილი
8. ლევან მამალაძე
9. მერაბ სამადაშვილი
10. ვიტალი ხაზარაძე
11. გიორგი კანდელაკი
12. ირაკლი გოგავა
13. ნანა ბიჭიაშვილი
14. გიორგი ზურაბაშვილი
15. თამაზ წივწივაძე
16. ირაკლი მინდელი
17. გიორგი გაჩეჩილაძე
18. გია შერაძე
19. ნელი ნადირაშვილი
20. თამაზ გაიაშვილი

### ბურჯანაძე-დემოკრატები



**სიაშია 155 დეპუტატობის კანდიდატი**

1. ნინო ბურჯანაძე
2. აკაკი ასათიანი
3. ზურაბ ჟვანია
4. ელდარ შენგელაია
5. გიგი წერეთელი
6. მიხეილ მაჭავარიანი
7. ლადო პაპავა
8. გიორგი გაბაშვილი
9. გიორგი მარგველაშვილი
10. ელენე თევდორაძე
11. შოთა მალაშხია
12. დავით სალარიძე
13. ედვარდ სურმანიძე
14. ირაკლი ჩუბინიშვილი
16. ვასილ მაღლაფერიძე
17. დავით ტყეშელაშვილი
18. გუბაზ სანიკიძე
19. ზაქარია შერაზადიშვილი
20. გელა ძიძიკაშვილი

. . . . . . . . . . . .

75. გია ბარამიძე

### დემოკრატიული აღორძინების კავშირი



**სიაში 230 დეპუტატობის კანდიდატია**

1. ასლან აბაშიძე
2. ჯემალ გოგიტიძე
3. ელიზბარ ჯაველიძე
4. როსტომ ჯაფარიძე
5. ჯიმი ყიფიანი
6. თეიმურაზ მეგრელიძე
7. ცოტნე ბაკურია
8. გია შაქარიშვილი
9. დავით ხუჯაძე
10. ნატო ჩხეიძე
11. ფელიქს ტყებუჩავა
12. მიშა ოსაძე
13. ანზორ აბრალავა
14. ჰამლეტ ჭიპაშვილი
15. გოჩა პაიჭაძე
16. რევაზ მიშველაძე
17. ზაზა ოქუაშვილი
18. კოტე ბარქაია
19. ილია დალაქიშვილი
20. თორნიკე ფიფია

. . . . . . . . . . . .

სანდრო ბრეგაძე სიაში ვერ მოხვდა

### ერთობა



**სიაშია 187 დეპუტატობის კანდიდატი**

1. ჯუმბერ პატიაშვილი
2. ალექსანდრე ჭაჭია
3. ჯუმბერ კირვალიძე
4. ზვიად მირგატია
5. რომან ბაქრაძე
6. ნანული ჭყოიძე
7. მამუკა გიორგაძე
8. ვასილ კოპალიანი
9. ვლადიმერ ქვარცხავა
10. ზვიად ცეცხლაძე
11. სლავა ბოჭორიშვილი
12. ხახუტა ასანიძე
13. რამაზ გოგლიძე
14. დიმიტრი გონაშვილი
15. ლილი მეტრეველი
16. შოთა კვირტია
17. ჯემალ ონიანი
18. მალხაზ ხარაძე
19. ავთანდილ ველთაური
20. ელენე მათიაშვილი

### ლეიბორისტები



**სულ მათ სიაში 235 დეპუტატობის კანდიდატია**

1. შალვა ნათელაშვილი
2. ფრიდონ ინჯია
3. გოდერძი ჩოხელი
4. გიორგი გუგავა
5. სოსო შატბერაშვილი
6. პაატა ჯიბლაძე
7. კოტე გუგუშვილი
8. კახა ძაგანია
9. გედევან დანელია
10. რეზო ჩხიკვიშვილი
11. კახა ლორია
12. გივი მთვარელიძე
13. გიორგი წიკლაური
14. ავთო საყვარელიძე
15. გულნაზ გალდავა
16. ომარ ლეკვეიშვილი
17. მალხაზ ვარდიძე
18. ბერდია გუგავა
19. ედიშერ რევიშვილი
20. ალექსანდრე ნიკოლაიშვილი

. . . . . . . . . . . .

25. ახლახან გალეიბორისტებული ჯონდი ბაღათურია ოცეულს მიღმა დარჩა.

### მრეწველები



**მრეწველთა საარჩევნო სიაში 196 კანდიდატია**

1. გოგი თოფაძე
2. ზურაბ ტყემალაძე
3. თამაზ ბეჟანიშვილი
4. კახა გიუაშვილი
5. ბეატრის რუსია
6. რომან რურუა
7. ლევან პირველი
8. თენგიზ გოგიჩაშვილი
9. ზურაბ კოსტავა
10. ლევან ფოცხვერია
11. როლანდ ნაჭყებია
12. ალეკო ჯაფარიძე
13. ალეკო კურცხალია
14. ვალერი გელაშვილი
15. მიშა ზაალიშვილი
16. ვახტანგ ძაბირაძე
17. გია ცაგარეიშვილი
18. თამაზ ყაჭეიშვილი
19. ალექსანდრე ახალაძე
20. გოჩა ბოკუჩავა

### სააკაშვილი-ნაციონალური მოძრაობა



**სიაში 150 დეპუტატობის კანდიდატია**

1. კობა დავითაშვილი
2. მაია ნადირაძე
3. კოტე კემულარია
4. ზვიად ძიძიგური
5. დავით ბერძენიშვილი
6. რომან გოცირიძე
7. გიორგი არველაძე
8. ვანო მერაბიშვილი
9. ირაკლი ოქრუაშვილი
10. ბესო ჯუღელი
11. ზურაბ მელიქიშვილი
12. პეტრე ცისკარიშვილი
13. გრიგოლ ქობულია
14. დავით მუმლაძე
15. გიორგი მაღლაკელიძე
16. პაატა ლეჟავა
17. ქემალ მურადხანოვი
18. ნოდარ გრიგალაშვილი
19. ვლადიმერ ჭიპაშვილი
20. თამაზ გველუკაშვილი

. . . . . . . . . . . .

მიხეილ სააკაშვილმა სიაში ყოფნა არ ისურვა

### სამშობლო



**სულ სიაში 143 დეპუტატობის კანდიდატია**

1. იგორ გიორგაძე
2. თემურ ჟორჟოლიანი
3. ირაკლი დოკვაძე
4. გიორგი კარტოზია
5. გიორგი მეტრეველი
6. რევაზ გულია
7. თამაზ გველესიანი
8. აივენჰო ჩაგელიშვილი
9. ნანა ციმაკურიძე
10. ირაკლი კობრავა
11. მაია თოფურია
12. ვახტანგ ჭანტურია
13. პაატა გოგალაძე
14. ვარლამ გალდავა
15. გიორგი კიკნაძე
16. ჯემალ კვირიკაშვილი
17. ანდრო ჭელიძე
18. გიორგი ნასიძე
19. ჯულიეტა მუხაძე
20. ქეთევან ჯოჯიშვილი

*სანამ „ბურჯანაძე-დემოკრატები“ „ცოდნით, ერთად და პატიოსნად“ გვპირდებიან ქვეყნის აშენებას, მათი მისამართით ხელისუფლება სერიოზულ ბრალდებებს ახმაურებს. ბურჯანაძე-ჟვანიას ალიანსს ქართული, სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატი და რუსულ სპეცსამსახურებთან ალიანსი ბრალდება. ბუნებრივია, დაგვაინტერესა, როგორი კონტრარგუმენტებით გასცემდნენ ისინი პასუხს ასეთ ბრალდებებს.*

*ვესაუბრებით „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს,* **ზურაბ ჟვანიას**.

— ***ბატონო ზურაბ, სტრასბურგში ვიზიტისას, როგორც თქვენი ოპონენტებისგან შევიტყვე, რუსეთის წარმომადგენლობასაც სწვევიხართ, იქნებ გვითხრათ — რა მიზნით?***

— არ ვაპირებ კომენტარი გავაკეთო ირინა სარიშვილის აბსოლუტურ უაზრობაზე. ადამიანი, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის სპიკერად დანიშნეს, ხელისუფლების სახელით ლაპარაკობს და თავს უფლებას აძლევს, იჭორაოს და გაავრცელოს თავისივე მოგონილი ტყუილები. ეს მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად მძიმე, აგონიურ მდგომარეობაშია ხელისუფლება.

სამწუხაროდ, სტრასბურგში სესიას ვერ დავესწარი, რადგან ევროპის საპარლამენტო ასამბლეის სესიები დაიწყო 29 სექტემბერს, როდესაც თბილისში დავბრუნდი. ამიტომ ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ სესიაზე გამოვედი, სიცრუეა. იქ ყოფნისას შევხვდი ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, ვალტერ შვიმერს და რამდენიმე ფრაქციის ხელმძღვანელს. დატვირთული გრაფიკის გამო არ შევხვედრივარ რუსეთის დეპუტაციის წარმომადგენლებს.

# „მზად ვარ დებატებისთვის შევარდნაძესთან“



**„85-ში ყველა ოჯახში ტყუპი დაბადებულა“**

**არც შევარდნაძეს, არც ჯორბენაძესა და არც სარიშვილს არ უნდა გაუკვირდეთ, რომ ევროსაბჭოს შეფასებები მკაცრია.**

— ***ითქვა, რომ ევროსაბჭოში თქვენი და ასლან აბაშიძის სტუმრობის შემდეგ, სტრასბურგმა მკვეთრად გააკრიტიკა საქართველო ეროვნული უმცირესობების შევიწროების გამო. ახლა იმაზე ბჭობენ, თქვენ უნდა ჩაგეტანათ იქ ეს ამბავი თუ აჭარის ლიდერს?***

— არც შევარდნაძეს, არც ჯორბენაძესა და არც სარიშვილს არ უნდა გაუკვირდეთ, რომ ევროსაბჭოს შეფასებები მკაცრია.

1999 წლის 25 იანვარს, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრების დღეს, მთელი ასამბლეა თვალცრემლიანი ფეხზე იდგა და ტაშს გვიკრავდა, ტაშს უკრავდა საქართველოს, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით სანიმუშო ქვეყნად მიაჩნდათ. ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ ამ 4 წლის განმავლობაში საქართველო მუდმივი გაკიცხვის, შენიშვნებისა და ცუდი მითითებების ობიექტი შეიქნა. ჩვენი ხელისუფლება ბრეჟნევის დროინდელი მენტალიტეტისაგან ვერ გათავისუფლდა, როდესაც სახაროვს, სოლჟენიცინს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დასავლეთთან სამშობლოს ინტერესების „ჩაშვებაში“ ადანაშაულებდნენ. ეს არის იმ ავადმყოფის რეაქცია, რომელიც თერმომეტრს ამსხვრევს, იმის გამო, რომ ეს უმარტივესი ხელსაწყო 42 გრადუსს უჩვენებს.

— ***ითქვა, რომ ნინო ბურჯანაძეს ფარული შეხვედრა ჰქონდა პუტინის ადმინისტრაციის მეთაურთან, ვოლოშინთან.***

— გვინდოდა, რომ ქალბატონი ნინო შეხვედროდა ვოლოშინს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა — იმ დღეს რუსეთის უშიშროების საბჭოს სხდომა იყო დანიშნული. შეხვედრა რომც შემდგარიყო, ნამდვილად არ გავასაიდუმლოებდით. ბატონ ვოლოშინს ბევრი ქართველი ოპოზიციონერი ლიდერი და ხელისუფლების წარმომადგენელი შეხვედრია და არ ვიცი, რატომ დაბადა ეჭვი ჩვენმა მცდელობამ. საქართველოს ხელისუფლებამ უპირობოდ გადაულოცა რუსეთს კონტროლი საქართველოს ენერგეტიკაზე და ასეთი ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ, რუსული ინტერესების დაცვის ბრალდებით ვინმესკენ გაიშვირონ თითი.

ჩვენ გვექნება დიალოგი რუსეთის ხელისუფლებასთან, მაგრამ ეს არ იქნება დიალოგი იმაზე, თუ როგორ გადაულოცავს საქართველო თავის სიმდიდრეს ან სტრატეგიულ ობიექტებს რუსეთს. ჩვენ ვისაუბრებთ სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე, რომ შეწყდეს რუსეთის მიუღებელი პოლიტიკა აფხაზეთში, რომ საქართველოდან გავიდნენ რუსული სამხედრო ბაზები და ამ ქვეყანასთან ნორმალური ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები აღდგეს.

— ***კეთდება პროგნოზი, რომ ჯონ მაკკეინი, ტელბოტი და ჯონ შალიკაშვილი ხელისუფლებასთან და განსაკუთრებით, ოპოზიციასთან აპირებენ მკაცრ საუბარს ქვეყნის საგარეო კურსის ცვლილების გამო.***

— (იცინის) ხელისუფლება სისულელეების გავრცელებაში კი არის გაწაფული, მაგრამ რა აზრი ჰქონდა ისეთი ტყუილის თქმას, რომელიც სულ მალე, ორიოდ დღეში გაცხადდება. საუბედუროდ, ქვეყნის კურსს ხელისუფლება განსაზღვრავს და არა — ოპოზიცია. ამერიკიდან იმ ხალხის ჩამოსვლა იმის ნიშანია, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-ის ადმინისტრაცია ამ არჩევნებს — მათი მთავარი მოთხოვნა ისაა, არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს.

— ***როგორ მიიღეთ უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია, რომ ამა თუ იმ რაიონში ჩასვლისას ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსში უნდა ჩააყენოთ?***

— ეს აბსოლუტურად ანტიკონსტიტუციური მოთხოვნაა. უშიშროების საბჭოს არ აქვს დადგენილების მიღებისა და ჩვენთვის რაიმეს აკრძალვის უფლება. თუ შევარდნაძეს სურდა საქართველოსგან თურქმენეთის შექმნა, მეტისმეტად დააგვიანა. ასე ნაჩქარევად, სამ კვირაში საქართველოს თურქმენიზაცია არ გამოვა. ის, რომ სააკაშვილის ბოლნისში ჩასვლის გამო მის წინააღმდეგ შინაგანი ჯარის მობილიზება ხდება, ის, რომ შსს-ს დათვლით 2002 წლიდან დღემდე საქართველოს ამომრჩევლის რაოდენობა 500 ათასით გაზრდილა, ნიშნავს იმას, რომ 1985 წელს (18 წლის წინ) 800 ათასი ადამიანი დაბადებულა — ისეთი დემოგრაფიული აფეთქება ყოფილა საქართველოში, რომ ლამის ყველა ოჯახში ტყუპი იბადებოდა. ხელისუფლება ჩიხშია მოქცეული, გამოსავალს ვერ პოულობს. არადა, არსებობს გამოსავალი — ხელისუფლება უნდა შეეგუოს იმას, რომ საქართველოს ასეთი ხელისუფლება არ სჭირდება. იგი უნდა შეიცვალოს და მთავარია, ეს მშვიდად, უკონფლიქტოდ და უპრობლემოდ მოხდეს.

— ***ქვემო ქართლის გუბერნატორმა არაერთხელ გამოგიწვიათ დებატებში თქვენ და მიხეილ სააკაშვილი. რატომ არ მიიღეთ მისი წინადადება?***

— (იცინის) ბევრი შეცდომა დამიშვია, მაგრამ საზოგადოებაში რაღაც სტატუსი მაქვს. არ ვაპირებ, თავი გავუყადრო იმას, ვინც მთელი შესაძლებლობები საკუთარ გამდიდრებას, ამ ქვეყნის დაქცევასა და ძარცვას მოახმარა. მზად ვარ დებატებისთვის შევარდნაძესთან, მთავრობის ნებისმიერ წევრთან (მქონდა დებატები ჯორბენაძესთან), მაგრამ არ ვაპირებ იმ მაგიდას მივუჯდე, სადაც ცინიკოსი მამალაძე იჯდება. ის არის ადამიანი, რომლის მთავარი თვისებებია თავხედობა, ცინიზმი და უზნეობა.

— ***სამი სპიკერი როგორ გრძნობს თავს ერთ ბლოკში?***

— შესანიშნავად. ბლოკის ლიდერი ნინო ბურჯანაძეა. მე და კაკო ასათიანი მას გულწრფელად ვუჭერთ მხარს და ჩვენ-ჩვენს ფუნქციებს ვასრულებთ.

***მოამზადა იზო რუკაძემ***

CMYK

# რუსული სპეცსამსახურები არჩევნების შემდგომ დესტაბილიზაციას გეგმავენ?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

საყურადღებო და საშიში პროცესები ვითარდება ზუგდიდსა და სამაჩაბლოში. შეგნებულად არ ვლაპარაკობ უფრო დაწვრილებით ამ თემაზე, იმიტომ, რომ შესაძლოა ეს ბევრი რამის მაპროვოცირებელი შეიქნეს. ჩრდილოეთიდან სერიოზული საშიშროებაა და თუ გავიხსენებთ 1921 წლის მოვლენებს, დავრწმუნდებით, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის სქემა დიდად არ შეცვლილა, მხოლოდ მისი ფორმებია განსხვავებული.

„ნალმების ჩადების“ პერიოდს საინტერესოდ ემთხვევა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის ვიზიტი რუსეთსა და სტასბურგში. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ასლან აბაშიძესა და ზურაბ ჟვანიას იქ მხოლოდ სასესიო შეხვედრები არ ჰქონიათ. ისინი ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ რუსეთის წარმომადგენლობის რეზიდენციასაც. აბაშიძე და ჟვანია ერთ გუნდს არ წარმოადგენენ და ჩვენი ქვეყნისთვის საშიში სწორედ ის არის, რომ ერთმანეთის „კონკურენტი ფირმები“ რუსეთის სპეცსამსახურებთან აწ-



რუსეთის სპეცსამსახურები ამზადებენ გეგმას არჩევნების შემდგომ პერიოდში დესტაბილიზაციისათვის, რომელსაც ერთ-ერთი წაგებული პარტია გაუკეთებს პროვოცირებას.

არმოებენ მოლაპარაკებებს. მათი სტრასბურგში ყოფნის შემდეგ ევროსაბჭომ გააკეთა მკაცრი შეფასება საქართველოში ეროვნული უმცირესობების ჩაგვრის გამო (საქართველოდან ჩატანილი ინფორმაციების საფუძველზე). „საინტერესოა“ ნინო ბურჯანაძის ვიზიტიც რუსეთში. აუცილებელია, გაირკვეს — რა შეხვედრები ჰქონდა იქ პარლამენტის თავმჯდომარეს (რომელიც უცნაურად დაემთხვა ზურაბ ჟვანიას ვიზიტს სტრასბურგში). მოარული ხმების თანახმად, ნინო ბურჯანაძე შეხვდა ვოლოშინსაც, თუმც მეეჭვება ერთმა ან მეორე მხარემ ეს დაადასტუროს. ასე რომ, ბევრი დოკუმენტურად თუ სიტყვიერად დადასტურებული ფაქტი ერთმანეთს ემთხვევა და ამის ფონზე ბოლნისში მომხდარი ინციდენტი ნამდვილად არ უნდა აღვიქვათ ერთ რომელიმე რაიონში გამართულ შეტაკებად. თუ ასეთი პროცესები გაგრძელდება, პასუხისმგებლობა უთუოდ ხელისუფლებას დაეკისრება. თუ მან დროულად და სათანადოდ არ დასაჯა დამნაშავეები, მაშინ თავად გამოჩნდება ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების წამახალისებლად. ხელისუფლებას არ უნდა შეეშინდეს ვინმეს დასჯა იმ საბაბით, ვაითუ ეს პოლიტიკურ დევნად ჩამეთვალოსო, ან კიდევ იმის გამო, ეს კაცი ჩემიანიაო... მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო ბლოკში ვარ, უნდა ვთქვა, რომ ხელისუფლება ჯერჯერობით უსუსურობას ავლენს. უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც კანონს არღვევს, ოპოზიცია იქნება თუ პოზიცია, ანუ ხელისუფლებამ თავისიანებიც არ უნდა მიუშვას ნებაზე. ეს თემები, რომელზეც ვილაპარაკე, ნელ-ნელა ამოტივტივდება...

მაგრამ ის, რასაც ყველა ასაიდუმლოებს, უკვე ჟონავს ნაკლებად კონტროლირებად რუსულ პრესაში. რუსეთისთვის ძნელი იქნება საქართველოში ისე მართოს პროცესები, რომ არჩევნებზე მისმა სასურველმა ძალამ გაიმარჯვოს. რუსეთის სპეცსამსახურები ამზადებენ გეგმას არჩევნების შემდგომ პერიოდში დესტაბილიზაციისათვის (რომელსაც ერთ-ერთი წაგებული პარტია გაუკეთებს პროვოცირებას). შევარდნაძის ინტერესშია არჩევნების სამართლიანად ჩატარება, რადგან მხოლოდ ამით შეინარჩუნებს შტატებთან კარგ ურთიერთობას.

საყურადღებოა მაკკეინის, ტელბოტისა და შალიკაშვილის ჩამოსვლა საქართველოში, რაც სწორედ ჩემ მიერ ხსენებულ საფრთხეს უკავშირდება. აშშ-იც და ჩვენი პრეზიდენტიც იმიტომ არიან სამართლიანი არჩევნების მომხრენი, რომ ვერ განხორციელდეს არჩევნების შემდგომ დაგეგმილი დესტაბილიზაცია (რისი სიგნალებიც უკვე მოდის ჩვენს შესაბამის სამსახურებში), ამ თემაზე ამერიკელები შეხვდებიან პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს და ასევე სერიოზული და პრინციპული ლაპარაკი ექნებათ ოპოზიციურ პარტიებთან და რამდენადაც ვიცი, მათ მკაცრადაც გააფრთხილებენ.

— **თუმც ამერიკელების სტუმრობის მიზეზს სხვაგვარად ხსნის ოპოზიცია, — ისინი აქ ჩვენს მხარდასაჭერად ჩამოდიანო...**

— არც ერთი ამერიკელი არ ჩამოვა აქ რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის მხარდასაჭერად. ეტყობა, ზოგიერთებს ამერიკა რუსეთში ერევათ. ამერიკელი პარტნიორების მთავარი მიზანი ის არის, რომ არჩევნების სამართლიანობა არ დადგეს ისეთი კითხვის ნიშნის ქვეშ, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს რუსეთის მიერ დაგეგმილ დესტაბილიზაციას — ეს არის მათთვის და შევარდნაძისთვის უმნიშვნელოვანესი და არა ის, ვინ მოვა პარლამენტში უმრავლესობით. საყურადღებო ფაქტია, არჩევნების წინ იგორ გიორგაძის გააქტიურებაც. ამასთან, არავინ იცის, რამდენად „უყურადღებოდ“ დატოვეს ის ქართველმა პოლიტიკოსებმა, ვინ შეხვდა მას რუსეთში.

— **ხელისუფლება წინასაარჩევნო კამპანიას, ფაქტობრივად, არ აწარმოებს (სარეკლამო რგოლებს და პლაკატებს, ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ). ამის მიზეზი უფულობაა თუ სტრატეგიული მოსაზრება?**

— სტრატეგიული მოსაზრების გამო არ ჩავთვალეთ საჭიროდ საარჩევნო რეკლამები თუ პლაკატები ზოგიერთივით 3 თვით ადრე გამოგვეფინა და მოსახლეობისთვის თავი მოგვებეზრებინა. იმის თქმა, რომ საამისო ფული არ ჰქონდა ხელისუფლებას, არ იქნება მართალი. მას შეეძლო ფულის შოვნა, რაც აქამდე არაერთხელ გაუკეთებია, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ საარჩევნო კლიპები და პლაკატები არჩევნებამდე 25 დღით ადრე გამოგვეჩინა.

პრეზიდენტი არც წინა არჩევნებში იყო და არც ახლა არ არის ფულის შოვნით დაკავებული. არც ერთი სამინისტროსთვის არ დაურეკავს, — არჩევნებისთვის ფული მოიტანეთო, რასაც აკეთებდა წინა არჩევნებში ხელისუფლების საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობა.

ადრე თუ გვიან, პენსიონერთა 14 ლარზე მოქვითინე პოლიტიკოსებს დაუთვლიან ათასობით დოლარად ღირებული რეკლამები რამდენჯერ დაატრიალეს ტელევიზიით და რამდენ პენსიონერს ეყოფოდა ეს ფული...

— **წინა წლებში არაერთი, შემდეგ შეუსრულებელი დაპირება მოგვისმენია ხელისუფლებისგან, ამჯერად რას დაგვპირდებით (ანუ რით მოგვატყუებთ)?**

— ხელისუფლებას პოპულისტური დაპირებები არ ექნება. წინა პლანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა წამოიწევს და ჩვენი მთავარი ლოზუნგიც შესაბამისი იქნება — „გავერთიანდეთ“.

— **რისი იმედი აქვს ხელისუფლებას ამ არჩევნებზე, როდესაც მის სიაში არაერთი კორუმპირებულის გვარი „კიაფობს“?**

— სხვა პარტიების სიებს გადავხედე და ეჭვი მეპარება, ხელისუფლებას ვინმეზე „ნაკლები“ სია ჰქონდეს. მალე გაცხადდება, რა იმალება ზოგიერთი პარტიის ლამაზად გაფორმებული სიის მიღმა. გამოჩნდება, რა კონფლიქტები მოხდა სიების გამო ოპოზიციურ პარტიებში, რაც არავის გაუხმაურებია, ერთადერთი მიზეზით — ხელისუფლებაში მოსალოდნელ განხეთქილებაზე ლაპარაკია მოდაში. არა მგონია, ირაკლი ბათიაშვილის, გია ყარყარაშვილისა და ელგუჯა მეძმარიაშვილის სახელები გადაწონოს რომელიმე გაახლებულმა, განაციონალებულმა და დღეს გადემოკრატებულმა კორუმპირებულმა პირმა.

— **კმაყოფილი ხართ იმ კვოტებით (2 კაცი 60 კაცში) რაც ედპ-მ მიიღო?**

— ბლოკის არც ერთ წევრს არ მოვუწონებ დაჩაგვრასა და უკმაყოფილებაზე ლაპარაკს. არ დაგიმალავთ, რაც ბლოკს ახალი სუბიექტები დაემატა, დადებული პირობა შეიცვალა. მაგრამ ედპ-ს არ დაუწყია შანტაჟის ენით ლაპარაკი. ხელისუფლება სერიოზული ძალით აპირებს პარლამენტში მოსვლას. ამაში მას ხელი ოპოზიციურმა პარტიებმაც შეუწყვეს, რომელთაც ამბიციურობის გამო ვერ შეძლეს გაერთიანება და დღეს ხელისუფლების ნაცვლად, ერთმანეთს უყოფენ ხმებს. გამოკითხვების თანახმად, ოპოზიციურ პარტიებს, ყველას ერთად, მოსახლეობის მხარდაჭერა აქვთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მათ რაოდენობას, ანუ იმას, რომ ეს ხმები გაიყოფა, ხელისუფლების უკეთესი პოზიცია აშკარა გახდება. თან ჩვენ ახლა ვაპირებთ საარჩევნო კამპანიის დაწყებას, რის შედეგადაც რეიტინგის მომატებას ველოდებით, მაგრამ მედია რატომღაც ერიდება პოზიტივის ჩვენებას და ხელისუფლების მიმართ ინტერესს მხოლოდ უარყოფითი კუთხით ავლენს. ოპოზიციურ პარტიასაც იმ შემთხვევაში აქცევენ ყურადღებას, თუ ყვირის, იგინება და სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. მცირე გამონაკლისის გარდა, საინფორმაციო საშუალებები ნეგატივზეა გაფაციცებული. მედიაც პოპულისტი პოლიტიკოსის მსგავსად იქცევა, თავისი პროდუქციის გასაღებას სკანდალებით ცდილობს, მაგრამ ბოლო დროს გამოკვეთილი ტენდენციით ყველაფერი ეს მოსახლეობის აგრესიას იწვევს და, შესაბამისად, ეს საინფორმაციო საშუალებები მაყურებელსა და მკითხველსაც კარგავს. ეს პროცესი ჩანს პოლიტიკაშიც — რადიკალიზმი ხალხს აღარ მოსწონს.

— **რომელიმე საინფორმაციო საშუალებამ გაგალიზიანათ?**

— ზოგადად ვსაუბრობ, წივილ-კივილისა და ინტრიგების ხლართვის დრო უნდა დამთავრდეს და გონიერ და გააზრებულ ქმედებებზე უნდა გადავიდეს საზოგადოება.

# „როდესაც მინისტრი ან პარლამენტარი წითელ შუქნიშანზე არ აჩერებს...“

## „ლამაზი ქალების დადებითი შეფასება ბუნებრივია, გამიხარდა“

2 ნოემბერს დიდი ნადირობა გაიმართება — ხელისუფლება და ოპოზიცია ხალხის ხმებზე ინადირებენ: „ნადავლის“ მოსაპოვებლად ორივე მხარე შეძლებისდაგვარად ემზადება. ხელისუფლებას რაკი ხალხთან არ მიესვლება, გზებს ოპოზიციასაც უკეტავს და თავის გატანას ადმინისტრაციული რესურსით ცდილობს. უშიშროების საბჭოს მითითებით შესაძლოა ოპოზიციონერებს ამა თუ იმ რაიონში სტუმრობისას აუდიენციის თხოვნა, ანუ ადგილობრივი ხელისუფლების გაფრთხილება დასჭირდეთ. ხელისუფლების ასეთი ფაციფუცი ოპოზიციას ავადმყოფის ბორგვად მიაჩნია და მას უკვე ლეიბორისტთა იურისტი ლიდერიც კი ურჩევს — აბი გლუკოზა და კარგი ფსიქიატრი გჭირდებათო.



ამ კვირაში ოპოზიცია ამერიკელ სტუმრებს დიდის ამბით ელის. მათი თქმით, ცნობილი ამერიკელი პერსონები ოპოზიციისთვის პოზიციის მოსამაგრებლად ჩამოდიან. თუმც სხვა ინფორმაცია ჟონავს სახელისუფლებო კულუარებიდან...

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერთან, **დავით გამყრელიძესთან** საუბარი 1999 წლისა და წლევანდელი საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდის შეფასებით დავიწყეთ:

— 1999 წელს მაშინდელი სახელისუფლებო ძალა „მოქალაქეთა კავშირი“ გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე დღეს, რადგან მასში დასავლურად მოაზროვნე ახალგაზრდები იყვნენ გაერთიანებულნი. „მოქკავშირის“ ერთადერთი ალტერნატივა მაშინ „აღორძინება“ გახლდათ, რომელსაც საქართველოს ბევრ კუთხეში დიდი სიმპათიით არ უყურებდნენ, ამიტომ ეს ხელისუფლებისათვის სახეირო იყო. დღეს კი პრეზიდენტმა შევარდნაძემ თავის დასაყრდენად კორუმპირებულობითა და არადემოკრატიულობით გამორჩეული ხალხი აქცია. მათ ერთადერთი ღირსება — პრეზიდენტ შევარდნაძისადმი უსიტყვო მორჩილება აღმოაჩნდათ. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში რამდენიმე სერიოზული ოპოზიციური ძალა გაჩნდა, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფლანგზე, რამაც განაპირობა ის, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ხელისუფლება ურეიტინგო და არაპოპულარულ ძალად გამოიყურება, რომელსაც მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსის, გაყალბებისა და ძალადობის იმედი აქვს.

სენატორი ჯონ მაკკეინი სიტუაციას წინასწარ, ადგილზე შეაფასებს. იგი 2 ნოემბერსაც საქართველოში იქნება 30-კაციან ჯგუფთან ერთად. სენატორს შეუძლია სენატისა და კონგრესის მხარდაჭერით პასუხი აგებინოს საქართველოს ხელისუფლებას, თუ ის ხელს არ აიღებს არჩევნების ტოტალური გაყალბების განზრახვასა და ძალადობაზე.

— **ცნობილია, რომ „ახლები“, „მრეწველები“ და „ბურჯანაძე-დემოკრატები“ ზომიერ ამომრჩეველზე აკეთებენ აქცენტს. ფაქტია, ამით ერთმანეთის ხმებს გაუყოფთ და ამასთან, არც ზომიერი ამომრჩეველია ბევრი.**

— გეთანხმებით, რომ რადიკალები არ ვართ, მაგრამ დღევანდელი ვითარების არარევოლუციური, თანამიმდევრული მეთოდებით რადიკალურ შეცვლას მაინც ვითხოვთ. კვლევებმა ცხადყო, რომ გადაჭარბებული რადიკალიზმი მოსახლეობას აფრთხობს. გაცილებით პოპულარულია ზომიერად ოპოზიციური პოლიტიკა. ჩვენ მემარჯვენე ცენტრისტები ვართ. ვერ ვიტყვი, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატებიც“ ჩვენნაირები არიან. მათი პოლიტიკა უფრო ცენტრისტული და მარცხნივ გადახრილია (თუ გავიხსენებთ სახელფასო მინიმუმის გაზრდაზე მათ პოპულისტურ განცხადებებს). „მრეწველებთანაც“ ბევრი სხვაობა გვაქვს, მაგრამ მაინც გვინდოდა მათთან ერთად ერთიანი პოლიტიკური მოძრაობა (და არა ბლოკი) შეგვექმნა, მაგრამ მათ ჩათვალეს, რომ სახელისუფლებო წრეებთან ყოფნა უფრო მომგებიანი იქნებოდა მათთვის, ვიდრე ნამდვილ ოპოზიციასთან.

— **როგორც წესი, პოლიტიკოსები ბევრ ფუჭ დაპირებას იძლევიან. ასეთად ჩანს თქვენი 900-დღიანი პროგრამაც. მაინტერესებს გაძარცულ და უამრავი ვალის მქონე ქვეყანას 2,5 წელში როგორ ააშენებთ?**

— სარისკო იყო კონკრეტულ ვადაში კონკრეტულ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება. თუ ამომრჩეველი მხარს დაგვიჭერს, 2,5 წელიწადში საქართველო შვეიცარიად და ლუქსემბურგად არ იქცევა, მაგრამ შედეგი უთუოდ იქნება. ჩვენ მიერ შეთავაზებული ცვლილებების გარანტი სახელმწიფოში პირველი პირი უნდა იყოს. იმიტომ, რომ უკანონობა, კორუფცია, დაუსჯელობის სინდრომი პირველი პირისგან და აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოს მაღალი ეშელონებიდან მოდის. როდესაც მინისტრი ან პარლამენტარი წითელ შუქნიშანზე მანქანას არ აჩერებს (რადგან კანონი მისთვის არ არსებობს), ჩვეულებრივ მოქალაქეს კი ამის გამო ავტოინსპექტორი აჯარიმებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოუწესრიგებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ... ეს არის ჩვენი ქვეყნის უდიდესი პრობლემა, რომელიც ფსიქოლოგიურად ანგრევს ჩვენს საზოგადოებასა და მენტალიტეტს.

არ ვამბობთ, რომ 900 დღის შემდეგ ყველა პრობლემას აღმოვფხვრით, მაგრამ ეს პროცესი უთუოდ დაიწყება და აუცილებლად გვექნება კონკრეტული შედეგები. თუ მოსახლეობამ მხარი დაგვიჭირა და 2,5 წელიწადში მაინც ვერ შევძელით კონკრეტული საქმის გაკეთება, მაშინ არც პოლიტიკაში და, მით უმეტეს, ხელისუფლებაში ყოფნის პრეტენზია აღარ გვექნება.

— **პრეზიდენტმა ბრძანა, 900 დღე მაცალონ და ამ ქვეყანას მეც ავაშენებო.**

— შევარდნაძეს 900 დღეც ჰქონდა და 9000-იც. 30 წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას და დღეს ამის შედეგს ვიმკით. დღეს სრულიად ურეიტინგო სახელისუფლებო ძალა თავხედურად აცხადებს, — პარლამენტში უმრავლესობით მოვალთო. ესე იგი, არჩევნების გაყალბების ენით აუწერელი მეთოდის გამოყენებას გეგმავს. შესაძლოა ყალბი ბიულეტენების ბეჭდვასა და ჩაყრაზე აღარც შეიწუხონ თავი და უშუალოდ საარჩევნო კომისიის ოქმები გააყალბონ. იქნება დარბევა, უბნების დაყაჩაღება და ძალადობა, მაგრამ ხალხის მხარდაჭერის იმედით, ამას წინ აღვუდგებით.

სენატორი ჯონ მაკკეინი სიტუაცია წინასწარ, ადგილზე შეაფასებს. იგი 2 ნოემბერსაც საქართველოში იქნება 30-კაციან ჯგუფთან ერთად. სენატორს შეუძლია სენატისა და კონგრესის მხარდაჭერით პასუხი აგებინოს საქართველოს ხელისუფლებას, თუ ის ხელს არ აიღებს არჩევნების ტოტალური გაყალბების განზრახვასა და ძალადობაზე.

— **ამბობენ, თქვენმა რეკლამებმა ხალხი გააღიზიანაო. წინასაარჩევნო კლიპი ამიტომ მოხსენით?**

— ამ კლიპს და ჩვენს საარჩევნო სტრატეგიას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ის ამერიკელი კონსულტანტების მითითებით შეიქმნა. როდესაც სარეკლამო რგოლების ფასი გაცილებით იაფი იყო დღევანდელზე, ჩვენს მოსახლეობას მივაწოდეთ ინფორმაცია, ვინ ვართ და რისი გაკეთება გვინდა. ვფიქრობ, კლიპმა თავისი დანიშნულება შეასრულა. ოქტომბერში კი სხვა სახის რეკლამას შევთავაზებთ ამომრჩეველს. ჩვენი ოპონენტები იმაზე რატომ დუმან, როდესაც ადგილობრივი არჩევნების დროს არც ერთი პლაკატი არ გაგვიკრავს და საამისოდ გამოყოფილი თანხები მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდში გადავრიცხეთ?!

— **პრეზიდენტმა ბრძანა, — ჩემთან მოსასვლელ ხიდებს ნუ დაწვავთო. თქვენ წვავთ ხიდს?**

— პრეზიდენტი ვალდებულია ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლოს, რომელსაც საზოგადოება უჭერს მხარს. ასევე, პოლიტიკური ძალებიც ვალდებულნი არიან, ჰქონდეთ ურთიერთობა პრეზიდენტთან, მაგრამ ამაში არ ვგულისხმობ მასთან გარიგებას. ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად, თუ საჭირო იქნება, პრეზიდენტსაც შევხვდებით და ხელისუფლებასაც.

— **სიაში ლევან გაჩეჩილაძის 77-ე ნომრად ჩაწერა საზოგადოებამ იაფფასიან პოპულიზმად აღიქვა.**

— ლევანმა თავად წამოგვიყენა ასეთი პირობა, თუ ვაკეში ვიყვრი კენჭს, პარლამენტში მხოლოდ მაშინ შევალ, თუკი მაჟორიტარი დეპუტატი გავხდები. თუკი ვაკელები მხარს არ დამიჭერენ, უფლება არა მაქვს პარტიული სიით შევიდე პარლამენტშიო. თავიდან შევეწინააღმდეგე, მერე კი დავეთანხმე. ლევანი ცხოვრებაშიც გულწრფელია და პოლიტიკაშიც. არა მგონია, მისი ნაბიჯი პოპულისტური იყოს, როდესაც სხვა პარტიაში, გამსვლელ სიაში მოხვედრაზე ერთი ამბავია, ლევანის ნაბიჯმა ჩვენთან დიდი გამოხმაურება პოვა. ყველა მაჟორიტარობის კანდიდატი მთხოვდა, — სიაში უკან ჩაგვწერეთო, მაგრამ მე აღარ დავეთანხმე.

— **ცოტა ხნის წინ, თბილისში სტუმრად ჩამოსულმა ანსამბლ „ვია გრას“ ლამაზმა გოგონებმა ყველაზე სიმპათიურ პოლიტიკოსად გაღიარეს, გაგიხარდათ? და კიდევ, თქვენი ფოტო (იმ ფოტოებში, რომლებიც მათ აჩვენეს) ყველა ლიდერისას სჯობდა, ხომ არ „ჩააწყვეთ“?**

— პირიქით, იმ ფოტოზე პროფილში ვარ და არ მომეწონა. ლამაზი ქალების დადებითი შეფასება, ბუნებრივია, გამიხარდა. განსაკუთრებით კი ჩემი მეუღლე იყო აღტაცებული და ჩემით გაამაყებული.

— **დასასრულ, რამდენი პროცენტის აღების იმედი გაქვთ არჩევნებზე?**

— ძნელია პროგნოზირება, მაგრამ გვინდა 15-დან 20%-მდე ავიღოთ.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რკაძემ*

CMYK

# „სტეჩკინი“ უკვე დახლზე გამოჩნდა

## სტატიის კვალდაკვალ

15 სექტემბერს „კვირის პალიტრაში“ სტატიაში „ვინ გაყიდის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს?!“ ვწერდით იმ ლაფსუსზე, რომელიც შემთხვევით თუ განზრახ იქნა დაშვებული საქართველოს პარლამენტში კანონის — „იარაღის შესახებ“ ახალი რედაქციის დამტკიცებისას.

შეგახსენებთ, რომ ახალი კანონის თანახმად, იზღუდება გრძელლულიანი ავტომატური იარაღით (მაგალითად, „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატით ან M16 ტიპის ავტომატური შაშხანით) ვაჭრობა, ხოლო შინ შენახვის უფლებით, დაშვებულია მოკლელულიანი თვითდამტენი იარაღის („ნაგანის“ ტიპის რევოლვერი, „მაკაროვის“, „ზიგ-ზაუერის“, „ჩეზეს“ თუ სხვა ტიპის პისტოლეტები) ყიდვა-გაყიდვა.

კანონში გამორჩენილია კიდევ ერთი სახეობა — მოკლელულიანი ავტომატური იარაღი. შეიძლება კანონის შემდგენლები, მათი კონსულტანტები ან იარაღის მეტისმეტად მოყვარული ჩვენი პარლამენტარები არ იცნობდნენ ავტომატურ პისტოლეტებსა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის არსებობს.

სტატიის დაწერიდან ერთი თვეც არ გასულა და თბილისის ცენტრში, ერთ-ერთი იარაღის მაღაზიაში, უკვე გამოჩნდა გასაყიდად (შინ შენახვის უფლებით) სტეჩკინის სისტემის ავტომატური პისტოლეტი АПС.

**ჩვენი დოსიე: რუსმა კონსტრუქტორმა სტეჩკინმა ავტომატური პისტოლეტი 1951 წელს შეიმუშავა იმ სამხედროთათვის (ტანკისტები, ყუმბარმტყორცნელები და ოფიცერთა ნაწილი), რომელთაც შტატით „კალაშნიკოვის“ ავტომატი არ ეკუთვნოდათ, ხოლო „მაკაროვის“ პისტოლეტი მათთვის არასაკმარისი სიმძლავრისა იყო. მაგრამ მათ АПС მალე დაიწუნეს — ტანკის ლუკიდან ამოძრომისას თითქმის კილოგრამნახევრიანი, დიდგაბარიტიანი პისტოლეტი ხელს უშლიდათ, ხოლო სირბილისას — მასიური იარაღის ბუდე, რომელიც კონდახად უყენდებოდა პისტოლეტს, თეძოზე სცემდათ. ამიტომ „სტეჩკინის“ ავტომატური პისტოლეტი მალე მოიხსნა შეიარაღებიდან და საწყობებს ჩაჰბარდა. АПС-ის მეორედ დაბადება სპეცსამსახურებმა განაპირობეს. სპეცრაზმელების ხელში აღმოჩენილი ავტომატური პისტოლეტები მრისხანე იარაღად იქცა, კერძოდ, АПС-ის საიდუმლო მოდიფიკაცია АПСБ, იგივე АО-44, რომელსაც წაგრძელებულ, ხრახნიან ლულაზე უხმაურო გასროლისთვის მაყუჩი უკეთდებოდა.**

**АПС-ის სავაზნეში 9X18 ПМ კალიბრის („მაკაროვის“) 20 ვაზნა ჩადის. დამიზნებით „მაკაროვზე“ უფრო შორს ისვრის, რადგან მასზე გრძელი ლულა (14 სმ) აქვს. АПС-ის სიგრძე 22 სმ-ია.**



მალაზიაში, 1954 წელს გამოშვებული „სტეჩკინი“, თავისი პლასტიკატისგან დამზადებული ბუდე-კონდახით (თავიდან ის მაღალი ხარისხის ხისგან მზადდებოდა), ცოტა არ იყოს, ძვირი ღირს — 5 ათასი ლარი ან მისი შესაბამისი დოლარი. მაგრამ ჩვენ სულ სხვა რამ გვაწუხებს. — „სტეჩკინის“ სროლის ტემპი ავტომატური ჯერის გაშვებისას წუთში 600 გასროლას აღწევს და ვინმე ფულიანმა დილეტანტმა შინ ამ იარაღით თავის დაცვა რომ მოინდომოს, ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება! ამ სერიოზულ იარაღს ხელში ვერ დაიმაგრებს და თავდამსხმელის ნაცვლად, შეიძლება თვითონვე დააზიანოს ახლობლები ან საკუთარი თავი.

არსებობს ერთი გამოსავალი — „სტეჩკინს“ თავისივე ბუდე კონდახად რამდენიმე წამში უყენდება. მხარზე მიბჯენილი „სტეჩკინით“ ზუსტი სროლა გაცილებით ადვილია, თუმცა მაშინ მსროლელი ავტომატურად უკვე არღვევს საქართველოს კანონს „იარაღის შესახებ“, რომლის თანახმად, შეზღუდულია დასაკეცკონდახიანი და, მით უმეტეს, მოსახსნელკონდახიანი იარაღის გაყიდვა!

ავტომატური იარაღის მასობრივი გაყიდვა, სავარაუდოდ, გაზრდის უბედურ შემთხვევებს მოსახლეობას შორის, რასაც არანაირი გამართლება არ ექნება.


**ასლგადამღები აპარატები**

1. **იჯარა - ლიზინგი**
   უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. **იჯარა გამოსყიდვით**
3. **საერთო ბიზნესი**
   თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. **გაყიდვა გარანტიით**
   ტექნიკური მომსახურება და სერვისი

**ქსეროასლები**

**შავ-თეთრი ნითელი ლურჯი**

**2-**დან **5** თეთრამდე

ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით

**ფერადი ქსეროასლები**

კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით აკინძვა, ლამინირება

პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების

**მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება**

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO Company LTD

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89



**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

**გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?**

**გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?**

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- ✔ მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება.
- ✔ იპოთეკა.
- ✔ მემკვიდრეობა.
- ✔ ყიდვა-გაყიდვა.
- ✔ კერძო არბიტრაჟი.
- ✔ სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია.

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენს სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8, ☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.





# რუსული „დიდი გასეირნება“ ზუგდიდში

## ხელისუფლების შეცდომებს მუდმივად საქართველოს მოსახლეობა იმკის

ზუგდიდში, ერთი რუსი „ცისფერჩაფხუტიანის“ დროებით გაუჩინარებას კინაღამ მთელი დასავლეთ საქართველოს „აფეთქება“ მოჰყვა.

მოხდა ის, რაც უკვე ნავარაუდევი იყო ჯერ კიდევ 1994 წლის 21 ოქტომბერს, დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ ხელმოწერილ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დასამყარებლად განსახორციელებელ მანდატში.

რუსული ჯავშანტრანსპორტიორების გუგუნ-გრიალი სამეგრელოს ისედაც არ აკლდა, მაგრამ სექტემბრის ბოლოს მათ ერთგვარი ალლუმი მოაწყვეს ზუგდიდსა და მის შემოგარენში, თითქოს ის არ კმაროდა, რომ 30 სექტემბერს სოხუმში სეპარატისტებმა ე.წ. საზეიმო მსვლელობით კვლავ შეგვახსენეს ჩვენი მთავარი საწუხარი.

რუსეთის „სამშვიდობო ძალებს“ ენგურის ორსავ მხარეს 98 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი ჰყავთ (ათიოდე БТР-80 ტიპის, დანარჩენი კი მოძველებული, БТР-70-ია), რომლებიც, სხვათა შორის, ბათუმის მე-12 რუსულ სამხედრო ბაზაზე არიან მიწერილნი და კონფლიქტის ზონაში „მივლინებით“ იმყოფებიან.



წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თითოეული რუსი სამხედროს ყაზარმაში დაგვიანების გამო რუსული ჯავშანტრანსპორტიორების „ჯგრომ“ ახალი „გასეირნება“ რომ მოინდომოს.

რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ სარდლობამ მათი ჯარისკაცის უვნებლად დაბრუნების შემდეგ კი მოიხადა ბოდიში, მაგრამ მისი საქციელის გამართლება არ შეიძლება — რუსებმა შელახეს საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟი, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად გზებზე უკანონო ჩხრეკა-შემოწმებები მოაწყვეს, ერთობლივი საგუშაგოებიდან სასწრაფოდ დაითხოვეს ქართველი სამხედრო დამკვირვებლები.

მათი თვითნებობა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს, თუ ვინ არის რეალური წარმმართველი დღეს, კონფლიქტის ზონაში გამეფებული სიტუაციისა.

სხვათა შორის, რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა“ რამდენჯერმე სცადეს, დაეშინებინათ ის აფხაზები, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს სოხუმში დასასვენებლად ჩასულ რუსი ოფიცრების ოჯახებს, მაგრამ პასუხად სეპარატისტებმა მათ საგუშაგოებს ტყვიები დაუშინეს.

ტანკებით გასეირნებას შეიძლება ქართველების პროვოცირებაც ედო საფუძვლად. ხომ შეიძლებოდა, სადმე, ზუგდიდის ახლოს, მათ მიერ შესამოწმებლად გაჩერებულ რომელიმე ადგილობრივ მცხოვრებს ვერ მოეთმინა დამცირება და ცეცხლი გაეხსნა (სამეგრელოს მოსახლეობაში იარაღის ნაკლებობა ნამდვილად არ იგრძნობა) არამკითხე პატრულისთვის, მაშინ რუსი „ცისფერჩაფხუტიანები“ ცეცხლითვე უპასუხებდნენ.

არ არის გამორიცხული, რუსმა სამხედროებმა შემდგომშიც უკანონოდ გადაკეტონ საქართველოს გზები და თვითნებური ჩხრეკა მოაწყონ ბაზების გარეთ; საქართველოს ხელისუფლების უნიათობა მათ ამგვარ ქცევას ხელს ვერ შეუშლის.

# ტიტანის თვითმფრინავიდან — ნაჭრის თვითმფრინავამდე

## რეპორტაჟი ერთ დროს ყველაზე გასაიდუმლოებული საამქროდან



3 ოქტომბერს, როდესაც „თბილავიამშენის“ წინ, ამომრჩევლები დეპუტატობის კანდიდატს, ამ საწარმოს ხელმძღვანელს, ბატონ ვაჟა თორდიას ეცნობოდნენ, „კვირის პალიტრამ“ თავად საწარმოს გაცნობა მოინდომა და მოხვდა კიდეც ერთ დროს ყველაზე გასაიდუმლოებულ, №5 საამქროში, რომელსაც წლების განმავლობაში უთვალთვალებდნენ კოსმოსიდან ამერიკული სადაზვერვო თანამგზავრები.

დღეს ამერიკელებმა შეაღწიეს ამ საამქროში, ოღონდ არა კოსმოსიდან და დაზვერვის საშუალებით, არამედ ცივილიზებული წესით — პროდუქციის სახით.



**დღეს მეხუთე საამქროში ასე გამოიყურება (ზემოთ) ქართულ-ამერიკული „რეაქტიული მოხეტიალე“, ორიოდე კვირის შემდეგ კი Maverick Jet-ი ამ სახით (ქვემოთ) აფრინდება საქართველოს ცაში**

**XXI საუკუნის ტექნოლოგიები პირველად ქართულ ავიამშენებლობაში**

საამქროში წყნარად ფუსფუსებდა რამდენიმე ათეული სპეციალისტი, მათ შორის ერთი ნამდვილად არაქართული წარმოშობისა ჩანდა და ასეც აღმოჩნდა.

**ემილ როელი** ამერიკიდან თბილისში წარმოების მენეჯერად და კომპოზიციური მასალების ტექნოლოგიების მრჩევლად გამოგზავნეს.

ანუ ამერიკელი სპეციალისტების დახმარებით „თბილავიამშენი“ იწყებს XXI საუკუნის ტექნოლოგიების ათვისებას. შეიძლება ეს ზოგს უკან გადადგმულ ნაბიჯად მოეჩვენოს — ოცი წლის წინ თბილისის საავიაციო ქარხანა ტიტანის რთული ტექნოლოგიებით აგებდა მრისხანე საბრძოლო თვითმფრინავებს და დღეს ქსოვილისგან უწევს ამის გაკეთებაო.

რეალურადაც საამქროში მდგარი ამერიკული ბიზნესკლასის თვითმფრინავი Maverick Jet-ი (ჩვენებურად „რეაქტიული მოხეტიალე“), შეიძლება ითქვას, რომ მართლაც ქსოვილისგან მზადდება, მაგრამ საკითხავი ის არის, რა ქსოვილისგან. თვითმფრინავის დეტალები დამზადებულია ნახშირბადოვანი და მინაქსოვილების რამდენიმე ფენის ერთმანეთთან ებოქსიტური ფისით შეწებებისა და ფიჭაშემავსებლების გამოყენებით.

ასეთი ტექნოლოგიით დამზადებული დეტალები გამოიყენება ასევე ამერიკული „უხილავი“ F-117 და B-2 საბრძოლო თვითმფრინავებისთვის, — გვიხსნის ემილ როელი, — Maverick-ში კომპოზიციური მასალები 95%-ზე მეტია, რაც საუკეთესო მაჩვენებელია.

ამერიკული „მოხეტიალის“ თბილისში აწყობის პერსპექტივაზე პირველად ჩვენმა გაზეთმა მკითხველს ზუსტად ერთი წლის წინ აუწყა. ამ ხნის განმავლობაში ამერიკიდან ჩამოტანილი ზემოხსენებული ქსოვილისგან ჩვენთან დამზადდა „მოხეტიალის“ დეტალები.

ჩვენი იქ ყოფნისას „თბილავიამშენის“ მთავარი ინჟინრის მოადგილე **ალბერტ ლოლაშვილი** და მთავარი კონსტრუქტორი **თამაზ ჯორბენაძე** სპეციალისტებთან ერთად „მოხეტიალის“ რეაქტიულ ძრავას ცდიდნენ. „მოხეტიალეს“ ორი ასეთი ძრავა უყენია, რაც საკმარისად ზრდის ფრენის უსაფრთხოებას.

თბილისში უკვე ჩამოვიდნენ დიდი ბრიტანელი ბიზნესმენები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართულ-ამერიკული „მოხეტიალეების“ შესყიდვით; გარდა ამისა, თავად ამერიკაშიც გამოჩნდნენ პოტენციური მყიდველები. თბილისში აწყობილი Maverick-ის საბაზრო ფასი ალბათ მილიონ დოლარზე მეტი იქნება და მას უმთავრესად შეძლებული ხალხი შეიძენს.

**ჩვენი დოსიე: ხუთადგილიანი ბიზნესკლასის თვითმფრინავი** Maverick Jet-ი **სულ 2,2 ტ-ს იწონის და კრეისერული 555 კმ/სთ სიჩქარით, 9 კმ სიმაღლეზე ფრენისას, 1900 კმ მანძილის დაფარვა შეუძლია.**

ამ საჰაერო ლაინერს მყიდველი უთუოდ ჩვენშიც გამოუჩნდება — ადგილობრივი ოლიგარქები, წარმატებული ბიზნესის მქონე მსხვილი ფირმები, საწარმოები თუ ტელეკომპანიები უარს არ იტყვიან მის შეძენაზე.



**მიმდინარეობს რეაქტიული „მოხეტიალეს“ ძრავის გამოცდა**

საამქროში ვნახეთ Ми-8МТ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები, რომელთა კაპიტალური რემონტი თურქმენბაშიმ, Су-25-ებისა არ იყოს, ისევ „თბილავიამშენს“ ანდო (ამის შესახებ გაზეთის წინა ნომერში ვწერდით).

როგორც ირკვევა, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები „ბოინგის“ სათავო ოფისთან, რათა თბილისში გაიხსნას „ბოინგ-737“ ტიპის სამგზავრო ლაინერების მომსახურების რეგიონალური ცენტრი; აქ შესაძლებელი იქნება გარემონტდეს არა მარტო „აირზენას“ კუთვნილი სამი „ბოინგ-737“, არამედ ასეთივე სხვა თვითმფრინავები, რომლებიც შუა აზიის პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში ან ახლო აღმოსავლეთში ჰყავთ.

P.S. ახლა მოგითხრობთ ექსკლუზიურ ამბავს, რომელიც მეხუთე საამქროში შევიტყვეთ. ალბათ გახსოვთ, როგორ მოეწონა ირანს ერაყიდან მასთან გადაფრენილი Су-25 მოიერიშეები და 6-7 წლის წინ როგორ ცდილობდა მათი დიდი პარტიის შეძენას თბილისში. მაშინ ეს გარიგება აშშ-ის ადმინისტრაციის დიდი ზეწოლის შედეგად ჩაიშალა.

ამჯერად შორეული უგანდა დაინტერესდა მის შეიარაღებაში დარჩენილი შვიდი МиГ-21 ტიპის გამანადგურებლების კაპიტალური რემონტით. „თბილავიამშენს“ ამ გამანადგურებლის ორადგილიანი ვარიანტის წარმოების დიდი გამოცდილება აქვს (სხვა თუ არაფერი, თბილისში ორი ათასამდე ასეთი თვითმფრინავი აიწყო).

რუსული საავიაციო ქარხნები დიდი ხანია სულს ღაფავენ და თავს იმტვრევენ იმაზე ფიქრით, როგორ მოახერხონ სახარბიელო კონტრაქტის ხელში ჩაგდება. ამ დროს კი უგანდელებმა თავიანთი МиГ-ების თბილისში გარემონტება მოინდომეს. ყველაფერი უკვე შეთანხმებული იყო, უგანდელებმა თანხის ნაწილი გადმორიცხეს კიდეც თბილისში, მაგრამ უკანასკნელ წუთს საქართველოს საგარეო უწყებამ ფაქტობრივად ჩაშალა ეს გარიგება — ოკეანისგაღმელი მეგობარი გაგვინაწყენდებაო(?!).

სამი კინკილა, თანაც მორალურად მოძველებული თვითმფრინავის გარემონტება-არგარემონტება თეთრი სახლისთვის არაფერს ნიშნავს, სამაგიეროდ, ქართულმა თვითმფრინავთმშენებლობამ ბევრი წააგო, რადგან იმ სამი МиГ-ის გარემონტების შემდეგ უგანდასთან შეიძლებოდა უფრო სერიოზული კონტრაქტის დადებაც, თუნდაც Су-25-ების მიყიდვა, რომლებიც მეხუთე საამქროში ჯერ კიდევ აწყვია, თანაც რამდენიმე ათეული.

ამბობენ, როგორც კი ქართველმა დიპლომატებმა ეს გარიგება ჩაშალეს, უგანდის პრეზიდენტს კარი აუტალახა ამ ქვეყანაში რუსეთის ელჩმა — რად გინდა ამ მატყუარა ქართველებთან საქმის დაჭერა, რუსეთში უკეთესად გაგირემონტებთ თვითმფრინავებსო.

მსოფლიო საავიაციო ბაზარზე სახელი რომ არ გასტეხოდა და თან კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა, „თბილავიამშენი“ იძულებული გახდა, ისრაელში გაეგზავნა თავისი 15 სპეციალისტი, რომლებიც იქ არემონტებენ უგანდის МиГ-ებს. საკვირველია, თუკი უგანდის გამანადგურებლების საქართველოში რემონტს ეწინააღმდეგება თეთრი სახლი, მაშინ რატომ არაფერს ამბობს მათ ისრაელში შეკეთებაზე?!

ჩნდება ეჭვი, რომ ამ გარიგების ჩაშლით აშშ-ზე უფრო რუსეთი იყო დაინტერესებული და ქართველმა დიპლომატებმაც შეიძლება სწორედ მოსკოვს გაუგორეს კოჭი.

# ზემოქედელები ჩივიან, სპეციალისტები — უარყოფენ

3 ოქტომბერს რედაქციაში სოფელ ზემო ქედის აღშფოთებული მოსახლეობის წარმომადგენლებმა დაგვირეკეს — სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, დიდი შირაქის აეროდრომზე მომხდარმა აფეთქებებმა სახლები დაგვიზიანა — ჩაიმსხვრა ფანჯრები, დაიბზარა კედლებიო.

კომენტარისთვის დავუკავშირდით სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის „დელტას“ გენერალური დირექტორის მოადგილეს და ეუთოს მიერ დაფინანსებული „საბრძოლო მასალებისა და ავიაბომბების უტილიზაციის“ პროექტის კოორდინატორს, ბატონ **დავით (დევი) ფირცხალავას**:



— *ჩვენ დიდი შირაქის აეროდრომზე ვანადგურებთ იმ ავიაბომბებს, რომელთა ტრანსპორტირება პოლიგონამდე სახიფათოა, რადგან დაშლილია და გადატანისას შეიძლება აფეთქდნენ. აფეთქების ადგილიდან მოსახლეობამდე 4 კმ-ია, ხოლო სახიფათო ზონის მაქსიმალური რადიუსი — 3 კმ. ჩვენ გულთან მივიტანეთ აფეთქებებით შეწუხებული მოსახლეობის საჩივარი, ამიტომ შევხვდით მათ და საქმის არსი ავუხსენით. ბევრმა გაგვიგო, ზოგი კი სახლის კედლებში გაჩენილ ბზარებს მაინც ჯიუტად აბრალებს აფეთქებებს. ეს ბზარები ვიდეოაპარატურით დეტალურად გადავიღეთ. მათ შევისწავლით, თუმცა მგონი, ზოგიერთს ძველი ბზარების შემოჩეჩება სურს ჩვენთვის.*

საშიში საავიაციო ბომბების გაუვნებელყოფა საშური საქმეა და ამიტომაც გამოყო ეუთომ საკმაოდ სოლიდური თანხები, მაგრამ ისიც არ ვარგა, ერთი საქმე გაკეთდეს და მეორე გაფუჭდეს — მოსახლეობის ინტერესები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

„კვირის პალიტრა“ ეცდება, ადგილზე გაეცნოს ვითარებას და უახლოეს ნომრებში მკითხველს ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს.

# რუსეთი მეზობლების ანექსიის უფლებას იტოვებს

გასულ კვირას რუსეთმა გამოაქვეყნა საკუთარი შეიარაღებული ძალების ახალი დოქტრინა, რომელიც სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა არა მარტო ამერიკისთვის, არამედ საქართველოსთვისაც. ახალი დოქტრინის თანახმად, რუსეთი იტოვებს უფლებას, პრევენციული დარტყმები მიაყენოს, მათ შორის ბირთვული იარაღითაც კი, იმ სახელმწიფოებს, რომელთაგანაც რუსეთის ფედერაციას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

ეს, პირველ რიგში, აშშ-ისთვისაა დამაფიქრებელი, რადგან მოსკოვის განკარგულებაში ჯერ კიდევ არის 6 ათასამდე ბირთვული ქობინი, რომელთა მცირე ნაწილმაც კი შეიძლება ჩრდილო ამერიკის კონტინენტი ნაცარტუტად აქციოს.

ჩვენთვის კი ის არის შემაშფოთებელი, რომ მოსკოვი იტოვებს უფლებას, აქტიურად იმოქმედოს მეზობელ ქვეყნებში, თუკი იქ მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენები დაემუქრება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ამ რეგიონში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კრემლი თავის თავს აშკარა აგრესიისა და ანექსიის უფლებას აძლევს მეზობელი ანუ პოსტსაბჭოური სახელმწიფოების მიმართ(?!)

***რუბრიკა მომზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# დანაშაული, რომელიც ცხენმა გახსნა...



*ღმერთო დიდებულო! რას აღარ შეესწრება კაცი, მიხავ! ყური დამიგდე. ამ დილით ბალღის პასპორტისთვინა უკვე მეხუთედ რო მივაკითხე ჩვენ პოლიციაი, სამი საათი კაკლი ჩეროში რო სუ ტყუილა ვიყურყუტეთ მე და ჩემნაირებმა, მერე გამოგვიცხადეი, დღესა ნუღარ მოიცდით, მძიმე შემთხვევა გვაქ და ხვალზეით გამოიარეთო. ის იყო, წამოსვლაი ვაპირებდით, ცხენი მოიყვანეს დაპატიმრებული. ღმერთი, რჯული, არა ვცრუობ. მუტრუკაანთ ოთარამ იხუმრა, ესენი პოლიციელები კი არა, მეველეები არიან. მხედარს რო ვერაფერს აკლებენ, მერე პირუტყვებზე იყრიან ჯავრსაო, მაგრამა იმ ცხენმა იქ ამბავი დააწია, მამის სულსა ვფიცავ, ეგეთი რამ სიზმარშიაც არ მინახამს. ვიდრე პოლიციის ეზოდან გამოვიდოდით, ტყვიებით დაცხრილული „ჟიგულიც" შემოაგორეს და ე მაშინ გადაირია ცხენი. კი აღარ ჭიხვინებდა, თითქო კიოდა, კაცო! ტორებით სუ გადათხარა ის ადგილი, ყალყზე დგებოდა და ღობეზე გადახტომას ლამობდა. აბანოებთან რო ჩამოვედით, იქაც კი გვესმოდა მისი ბრდღვინვის ხმაი. რა მოხდა? რამ დააფეთა? განა ეგენი რამეი გეტყვიან... მძიმე შემთხვევააო...*

## ყაჩაღი ბომბორას მთაზე

1992 წლის ზაფხული. ნაშუაღამევი იყო, მანქანა რომ გაჩერდა გაბო დიდებაშვილის ჭიშკართან. გაბოს არ ეძინა. მელანოს, მის ცოლს იმ საღამოს კვლავ გაახსენა თავი ცოტა ხნის წინ მიყუჩებულმა თავის ტკივილმა და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. თავი ვის არ სტკენია, მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო. დილამდე გმინავდა ქალი. ის-ის იყო, ჩაეძინა და ახლა ეს მანქანა გამოტყვრა. არ დაასიგნალონ მაინც. ეგრევე, ტრუსების ამარა გავარდა გაბო გარეთ. კარი გაიხურა და მოგუდული ხმით შეეხმიანა მოსულს.

— რომელი ხარ?

— ვანო ვარ, გაბო, შენი ნათლულის ძმა. ჩემი ცხენი მჭირდება, უნდა შემიკაზმო.

დალახვროს ეშმაკმა. ის ბავშვი სამი თვის იყო, რომ მონათლა და მას შემდეგ აღარ უნახავს. ეს კი, ან ციხეშია, ან გაბოსთან. ახლაც სამი თვის წინ გამოვიდა ციხიდან და მეორე დღესვე დარახტული ულაყი გაბოს დაუტოვა, — ჯერ არ მჭირდება, შენთან იყოს, რამეში გამოიყენებო, დაუბარა და მას შემდეგ პირუტყვი აღარც გახსენებია. ისე კი, ბარე სამჯერ ესტუმრა ამ სამ თვეში, ხან ვინ ახლდა და ხან — ვინ. დილამდე ქეიფობდა ავადმყოფი ქალის ხელით გაშლილ პურმარილზე. მერე ძილად მიეგდებოდა და დაღამებამდე ეძინა. ადრე საქონლის ქურდობისათვის ორი წელი მიუსაჯეს. მერე გამოირკვა, რომ მანამდე ყაჩაღობაც ჰქონია ჩადენილი და იქვე, ციხეში დაუმატეს რვა წელი, მაგრამ რად გინდა, სამი წლის შემდეგ ხელისუფლებამ ამნისტია გამოსცა და გაბო რომ დარწმუნებული იყო, ამ თავზეხელაღებულ ბიჭს კარგა ხანს ველარ ვნახავო, სწორედ მაშინ მიადგა გამთენიისას კარზე.

— კი, შვილო, კი! ცხენს ახლავე შეგიკაზმავ, მაგრამ შინ ვერ შეგიძღვები და ბოდიში უნდა მომხადო მაგ შენს მეგობრებთან. — გაბო ანთებული სიგარეტების შუქზე ხედავდა, რომ მანქანაში კიდევ სამნი ისხდნენ.

— არა, მაინც ვერ შემოვალთ, მეც მეჩქარება და ამათაც. ცოტაოდენი საგზალი ჩამილაგე, გზაში წავიხემსებ.

ვიდრე გაბო საგზალს ჩაალაგებდა და ცხენს შეკაზმავდა, ვანო მანქანიდან არ გადმოსულა. მერე კი ერთბაშად მოახტა ცხენს და ორღობეში გააქროლა. მანქანაც უკან მიჰყვა.

ცხენი ერთხანს იბრის ჭალების გასწვრივ მიჰყავდა. მერე განზე გაუხვია და ბომბორის აღმართს შეუყვა. ახლაღა გაახსენდა, რომ წუხელ მეგობრის ეზოდან მოპარული „ჟიგული" დაბლა, ჭალაში დატოვა და თავის სიცოცხლეში პირველად აუჩვილდა გული — ნეტავ როგორც დავტოვე, ხელუხლებლად იპოვის მისი პატრონი თუ მწყემსები გაძარცვავენო, მაგრამ იმავე წამს ბრაზი მოერია:

ბენზინის ჩასხმა რომ არ ეზარებოდეთ, მანქანა ახლა ჭალაში კი არ ეგდებოდა, არამედ სადმე — დასახლებულ პუნქტთან. სულაც გაბოს სახლთან დავტოვებდი „ჟიგულს", ფიქრობდა გაგულისებული.

— ბარდანის ველი მზეს ოქროსფრად გაეჩირაღდნებინა, მაგრამ ვანო ის კაცი იყო, ვინც ოქროშიც ნახშირს ხედავს და მისი გულისყური მხოლოდ ქურდბაცაცებს, ნარკობარიგებსა და ადამიანის გამტაცებლებს დასტრიალებდა. უცებ ის გუშინწინდელი ამბავი გაახსენდა. როგორი იმედი ჰქონდა, რომ იქ, ხიხაბეთში (გვარ-სახელები და ტოპონიმები აქაც და ყველგან შეცვლილია), მისი კარგი ნაცნობის, სანდრუაანთ ხოხობას სახლში ბლომად ფულს და ოქროს მოიხელთებდა. იმან კი, ხოხობამ მის ძმაკაცებს პატიება სთხოვა — ფული არა გვაქვს და თუ გინდათ, ყველი წაიღეთ თავის გუდებიანადო. მაშინ იყო, რომ კინაღამ იღრიალა: შენი დედა, მამაშენმა გუშინწინ არ გაყიდა ოთხმოცი სული ცხვარიო, მაგრამ თავი შეიკავა, თორემ ხოხობა ნილბიანს ხმით იცნობდა და მაშინ მოსაკლავი გაუხდებოდა ის უბედური. მართალია, დედაბერმა კი მოაგროვა რაღაც ფული, მაგრამ ეს მას შემდეგ, როცა ავტომატის კონდახი ჩასცხო კედელთან აკრულ ხოხობას თავში და სისხლით შეუღება სახე. მერე მთელი სახლი გადააქოთეს და ორი ცალი ბეჭდის მეტი ვერა იპოვეს რა.

— ეტყობა, ხოხობას მამას აქვს გადამალული სიმდიდრე და ცოლსა და შვილს არ უმხელს. ამიტომ როცა ის ბებერი შინ იქნება, მაშინ უნდა დავეცე, მაგრამ როდის — დღედაღამ ცხვარშია. მაინც უნდა ვცადო. ისევ ხოხობას დავაფქვევინებ ყველაფერს, — დაასკვნა და ცხენს ქუსლი ჰკრა.

გზისპირა წყაროზე ხელ-პირი დაიბანა, მერე ცხენი გზიდან ბუჩქებში გადაიყვანა და გაბოს გამოტანებული საგზალი ამოალაგა. ხარბად ილუკმებოდა დედასპურსა და მოხარშულ კვერცხებს. მერე ხურჯინში ჩამალულ ავტომატს შეავლო ხელი. გული დაიმშვიდა, — სათადარიგო მჭიდი ხომ არ დამკარგვიაო და ისევ ცხენს მოახტა. საცაა ქალაქიც გამოჩნდებოდა, მაგრამ იქ გავლას არ აპირებდა. განზე გაუხვია და ზემოდან, სოფელ-სოფელ გაუყვა.

პირველი ქურდობა გაახსენდა. მაშინ ორ თავისთანა ალოღლეტიასთან ერთად თავისივე უბნის საქონელი მოიპარა და მათივე ოჯახის მარჩენალი ნიკორაც თან გააყოლა. დაიჭირეს... საკუთარი ძროხის ქურდობისათვის. იმ ამბავს გადაჰყვა მამამისი. ამ დღეებში უნდოდა სასაფლაოზე გასვლა, მაგრამ ვერ მოიცალა და სხვა დროისათვის გადადო.

— ძიაკაცო, გარგლისხევზე მალე გავალ? ბაზარზე მინდა ჩავიდე — მოშორებით, ურიკასთან მდგარ მოხუცს გასძახა და პასუხს დაელოდა.

— აგე, ამ ფერმას გასცდები და ხევში დაეშვები. მოსულხარ და ეგაა... — გამოსძახა მოხუცმა და ურიკით ორღობეში წაჩაქჩაქდა.

## ნაძრახი ადგილი

ხევის მარჯვნივ, ბაზრიდან მოშორებით, მხოლოდ კუბოების სახელოსნო იდგა. მისგან ას-ასორმოცდაათ მეტრში თეთრი „ჟიგული" მოჩანდა.

— ახალგაზრდავ, ერთი აქეთ გამოუხვიე და შენი ვინაობა მითხარი. მე ამ უბნის მილიციის ინსპექტორი ამირან ნარიმანიძე ვარ.

მანქანასთან მდგარი თავისთან უხმობდა ცხენოსანს.

— მოგცლია ერთი... — გაიფიქრა ვანომ, თუმცა ცხენი მაინც შეაყენა და ჩამოქვეითდა. ამირანს კი გასძახა — შენ რომ ეძებ, მე ის კაცი არ ვარ, ცხენიც ჩემია. ჩემი გზით მივდივარ და შემეშვი, — ცხენს მოახტა და გზა გააგრძელა.

„სახეზე ეტყობა, წმინდა სულის რომ არ არის. აკი პოლიციის უფროსმა ამ დილით გაგვაფრთხილა, ცხენებია მოპარული და ყურადღებით იყავითო და რას ჰქვია, შევეშვა", — გაიფიქრა ამირანმა, მანქანა დაძრა და ცხენოსანს წინ გადაუდგა.

— ცხენიდან ჩამოდი და რაც გითხარი, ის შეასრულე, თორემ... — და ავტომატი შემართა ნარიმანიძემ.

— არ გინდა-მეთქი...

— მე კი არა, საქმეს უნდა და ამიტომაა, აქ რომ ვარ ახლა, თორემ რატომ სხვა დროს არ გადაგიდექი წინ.

ამირანი ერთი თვე იქნებოდა, რაც პოლიციაში მუშაობდა და იფიქრა, ამ „საიუბილეო" თარიღს ალბათ იმით აღვნიშნავ, რომ ნაპარავ ცხენს პატრონს დავუბრუნებ, ქურდს კი ციხეში ვუკრავ თავსო და ინსტრუქციის შესაბამისად, ჰაერში ისროლა. სხვა გზა არ ჰქონდა, ცხენოსანი ისე ავად უბღვერდა, თანაც ხურჯინში ისე საეჭვოდ აფათურებდა ხელს, იფიქრა, უეჭველად იარაღიც აქვსო.

— თქვე ყაჩაღებო, რაღა ჩემი სახლის წინ ისვრით, სხვა ადგილი ვეღარ მონახეთ? — მიტუაანთ ქვრივი მოპირდაპირე მხარეს, თავის სახლის აივანზე გადმომდგარიყო და ქოქოლას აყრიდა ორივეს. მერე დაინახა, როგორ მიაბა ცხენოსანმა მისი ეზოს მავთულბადეს ცხენი და უნაგირზე გადაკიდებულ ხურჯინს დაუწყო ქექვა.

მაგარი ქალი იყო მიტუაანთ ქვრივი, აი, ისეთი, მამალ ქალს რომ ეძახიან კახელები, მაგრამ ისიც კი შეცბა, როცა ცხენოსანმა ავტომატი მოიმარჯვა და სეტყვასავით დააყარა ტყვია „ჟიგულში" მჯდარ მამაკაცს. მერე მკვლელი მანქანასთან მივიდა, მძღოლი ძირს გადმოაგდო, პისტოლეტი ამოაცალა, საჭეს მიუჯდა და მანქანა ადგილს მოსწყდა.

## განგაში

ის იყო, მესამე გაკვეთილის დამთავრების ზარი დაირეკა და მეხუთეკლასელებმა გიომ და ნოდარმა ლიმონათის ქარხნისაკენ გაქუსლეს. შესვენებაზე ასწრებდნენ ხოლმე ბიჭები ლიმონათის დალევას. იქითობას, სროლის ხმა გაიგეს, მაგრამ არ გაჰკვირვებიათ. იმ ხანებში დიდი და პატარა ისროდა და მიჩვეულები იყვნენ. აი, უკან დაბრუნებისას კი ღობეზე მიბმული შეკაზმული ცხენი ეუცხოვათ. მერე სისხლის გუბესაც მოჰკრეს თვალი.

— შეხედე, გიო. ვიღაც კაცია დაჭრილი! — დაჭრილისათვის ტყვიას ფეხიც გადაემტვრია და ხელის მტევანიც. პერანგის ქვეშ, მარჯვენა ფერდქვეშ ღია ჭრილობა მოუჩანდა, ბიჭების დანახვაზე წამოწევა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო.

— ბიჭებო, მიშველეთ, ვკვდები! — ამოიგმინა და ისევ გულაღმა გადავარდა.

— ნუ გეშინია, ძიავ, ახლავე ხალხს მოვიყვანთ, — ჩასძახა ნოდარმა და ბიჭები კუბოების სახელოსნოსკენ გაქანდნენ, მაგრამ იღბლად სოფლის ყოფილი აგრონომი და მისი ძმა შემოხვდათ „ვილისით".

— ძია შიო! აგერა, რიყეზე, დაჭრილი კაცი გდია, შველას ითხოვს... — მიაყარა გიომ.

მანქანა თვალის დახამხამებაში დაჭრილთან გაჩნდა.

— კაცო, ჩვენი უბნის ახალი ინსპექტორი არაა, ამირანი! აბა, ვალო, — ძმას მიუბრუნდა შიო — შენ ფეხებში წაავლე ხელი, ე ბალღებიც მოგვეხმარებიან, როგორმე მანქანაში უნდა ჩავაწვინოთ.

ორი დღე იცოცხლა ამირანმა. ფეხზე დადგა ადგილობრივი პოლიცია და პროკურატურა. ცხენოსნის მნახველებიც მოიძიეს, მაგრამ ყველა მათგანი ერთსა და იმავეს იმეორებდა — პირველად ვნახეთ, აქაური არ უნდა იყოსო. გამოძიებას მარტო შეკაზმული ცხენი და შემთხვევის ადგილზე ნანახი ავტომატის რამდენიმე მასრა ჰქონდა ხელთ. მეორე დღეს ამირანის მანქანაც იპოვეს. გაჰფუჭებოდა და სადღაც ქვემოთ, ვენახების ბოლოში მიეტოვებინა მკვლელს. ჩანდა, ამირანის ავტომატიც მანვე გააყოლა ხელს. სწორედ მაშინ იყო, „ჟიგული" რომ პოლიციის ეზოში შეაგორეს. ცხენი ისე გადაირია, კინაღამ აიწყვიტა, თორემ ვინ იცის, გაიხსნებოდა კი ოდესმე ეს დანაშაული?..

მაშინ, როცა გამომძიებლები დამნაშავეს ეძებდნენ, გელაანთ ჩურჩუტა მიტუამ, ხუთი წელია პოლიციის ქვემორიგეობას რომ ვერ გასცდა, სხვების გასაგონად ჩაიქირქილა — რად უნდა ამაი დიდი ალიაბალია, ცხენი გაუშვით და უკან მიჰყევით. მარჯვენა მამჭერით, თუ მკვლელის სახლს არ მიგაყენოთო... ასეც მოიქცნენ. ცხენი რამდენიმე საათის შემდეგ გაბო დიდებაშვილის ჭიშკარს მიადგა. გაბომ ეზოში კი გამოიხედა, მაგრამ ტყვიანაკრავივით შებრუნდა შინ, თუმცა მალევე მოეგო გონს და პოლიციელებს სიტყვასიტყვით ჩაუკაკლა სიმართლე. არც ის დავიწყნია ეთქვა — გუშინღამაც მომაკითხა და გამაფრთხილა, ცხენზე თუ რამე გკითხონ, უთხარი, უცნობს მივყიდე-თქო.



— მაშასადამე, ვანო სიყმაშვილი, — ჩაილაპარაკა რაიონის პროკურორმა, — ეგ ის არ არი, საქონლის ქურდობაზე რომ გავასამართლეთ ამ ხუთი წლის წინ?

— სწორედ ეგაა, უფროსო და როგორც შევიტყვეთ, დღეს სიმამრის ოჯახში უნდა იყოს. ეტყობა, ჰგონია, რომ წაშალა ნაკვალევი — შეაგება პოლიციის ოპერრწმუნებულმა და წასასვლელად მოემზადა.

— მეც გამოგყვებით ოპერაციაზე... — მიმავალს სიტყვა დააწია პროკურორმა.

ვანოს სიმამრი, გელა ყაჭიაური ერთი მშრომელი გლეხი იყო. არ უნდოდა ორჯერ ნასამართლევი კაცისთვის მიეთხოვებინა ერთადერთი ქალიშვილი, მაგრამ ვინ დაიჯერა. ციხიდან სამი დღის გამოსულ კაცთან ერთად გაიპარა ნუნუ და გელაც ბედს შეურიგდა. იძულებული გახდა, სიძისთვის სახლის კარი გაეღო. თუმცა ვანო ისე დაეხეტებოდა აღმადაღმა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს პოლიცია დაადგებოდა თავს. დაადგნენ კიდეც. ერთ ღამეს, ერთსა და იმავე დროს ჩატარდა ჩხრეკა ვანოსა და მისი სიმამრის სახლებში. ვანოს ძმამ, გიამ ორი დასაკეცი ავტომატი და ორი ათასამდე საბრძოლო ვაზნა ჩააბარა პოლიციელებს. სანდროაანთ ხოხობასაგან ნაყაჩაღარი გუდის ყველიც არ დავიწყებია.

სიმამრის სახლში კი მოვლენები ასე განვითარდა: ვანომ ჯერ მეორე სართულის ფანჯრიდან დააპირა გადახტომა, მაგრამ როცა დარწმუნდა, სახლი პოლიციელების ალყაში იყო მოქცეული, სასწრაფოდ გახია ბალიშის პირი და ამირანისეული „მაკაროვი" ბუმბულში ჩაფლა, მერე კი უცოდველი კრავივით გამოვიდა აივანზე — რა მოგივიდათ, ხალხო, დამაძინეთ. გნებავთ, გამჩხრიკეთ და თუ რამეს მიპოვით, მზადა ვარ, წამოგყვეთო.

— უკვე გიპოვეთ. ავტომატები და ვაზნები შენი სახლიდან ამოვიღეთ. ერთი გუდა ყველიც აქა გვაქვს და აწი რამეს ვიპოვით თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს. შენს დასაჭერად ეგეც კმარაო, მიუგეს.

ყველაფერი აღიარა. მით უმეტეს მას შემდეგ, როცა მისმა სიმამრმა მოკლულის ტაბელური იარაღი წარუდგინა პოლიციას — ამ გარეწარს ბალიშში დაუმალავსო. აღარაფერს უარყოფდა, თუმცა ჯიუტად ამტკიცებდა, რომ არ მომეკლა, თვითონ მომკლავდა. ცხენხურჯინის წართმევას მიპირებდა. ფორმა არ ეცვა და ყაჩაღი მეგონაო. ადვოკატის მეშვეობით რამდენჯერმე ითხოვა, ციხეში გამასამართლეთ, რაიონში არ წამიყვანოთ, ჩამქოლავენო და მართალიც იყო. მოკლულის ოჯახი და ახლობლები იმ ცხელ გულზე ამისათვის მზად იყვნენ.

ვანო სიყმაშვილი უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა და ოცწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. მაგრამ ამირანის მამა არ ისვენებდა — მე თქვენი კანონისა არაფერი ვიცი, მკვლელი უნდა მოკვდესო და არაფერს იშურებდა მუქარის ასასრულებლად.

— ძია მიტო, გახსოვს ზურაბაანთ ლევანა რო დაიჭირეს ამ შვიდი თუ რვა წლის წინა. სამი კაცი ჰყავს მოკლული და ახლა იმ ციხეში ზის, სადაც შენი ამირანის მკვლელი. ვიცი, რაც დაიქადნე და თუ ეგრე აპირებ, უნდა ჩააკითხო. იმითვინა სულერთია, გინდა სამი მოუკლავს და გინდაც — ოცდასამი. სასჯელს ველარ მოუმატებენ, ფულს თუ მისცემ, არ დაგზარდება და აქ შენ დაისვენებ და იქ კიდევა ამირანი. ხო იცი, მე ამისთანა საქმეებისა რაღაც-რაღაცები გამეგება.

კი გაეგებოდა, როგორ არა. რაც ფეხი აიდგა, სულ ციხეში იყო ეს ბიჭი. ბოლოს ესეც ამნისტიით გამოეშვათ, მაგრამ სოფელს ერთი სული ჰქონდა, როდის შებრუნდებოდა უკანვე. არადა, ბერიკაცი კი იქადნებოდა, მაგრამ ერთხანს იჩალიჩებდა და გზას რომ ვერ გამონახავდა, ხელს აიღებდა ვერაგ განზრახვაზე. ახლა კი ისეთი მოკლე და პირდაპირი გზა უჩვენა მეზობლის ბიჭმა, უკან აღარ დაიხია და ციხეს მიადგა. სულ არ გასჭირვებია ზურაბაანთ ბიჭის ნახვა. ფული გადაიხადა და შეახვედრეს. იმანაც დახმარება აღუთქვა, ოღონდ იმ პირობით, რომ არ დააჩქარებდა და დროდადრო ხან ფულით, ხან პურმარილით მოქრთამავდა ციხის ადმინისტრაციას, სიყმაშვილამდე რომ მიეშვათ.

ციხეში კი...

— ვანო, გავიგე, ყველა შენი პადელნიკი ჩაგიშვია... ყაჩაღობების საქმიდანა. ახლა ჩემზეც რომ რამე წამოგცდეს, იცოდე, იმ დღესვე ყელს გამოგჭრი. მით უმეტეს, რომ შენს მოკვლაშიც ფულს მაძლევენ და მაინც მოგებული დავრჩები.

— როგორ თუ ფულს გაძლევენ. ვინ გაძლევს, რათა?

— იმათა, რო ი უბნის ინსპექტორი რო მოკალ, იმისი მამა იყო ჩემთანა და მითხრა, ოღონდ ეგ ბიჭი გააგორე და რამდენიც გინდა, მომცემი ვარო.

ვანო მიხვდა, რომ ლევანა არ ტყუოდა. აკი ყველა აფრთხილებდა, ბერიკაცი მოსაკლავად დაგდევსო. ჰოდა, ამ საქმისათვის ლევანზე უკეთესს ვის გამონახავდა.

— ჰოდა, თუ საიქიოში არ მიგეჩქარება, ენას კბილი დააჭირე და ჩემი სახელი არსად წამოგცდეს, თორემ... — მუქარა დაასრულა ლევანმა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: — სამაგიეროდ, დროდადრო შენც გაგიყვან წილში. გერგება, შენი გულითვინ ვიღებ ძღვენსა.

იმ დღიდან დაიწყო და აღარ გათავდა: — ძია მიტო, ეგებ ორი ათასი მანეთი შემომიგზავნო. ძია მიტო, ერთი ხუთი ცალი მოხარშული დედალი და ერთი გოჭი თავისი ღვინით, ზედაც ხუთასი მანეთი მოაყოლე... ხო იცი, აქაურების მოსაქრთამავად მჭირდება...

ციხეში ზედახორა იყო შვილმოკლული მამის ძღვენზე. ნახევარმა საპყრობილემ იცოდა, რომ ეს ნობათი ვანოს მოკვლის საფასურად მოდიოდა და იყო ერთი სიცილ-ხარხარი.

## ბოლოთქმა

როგორც ამბობენ, ძია მიტოს, ბოლოს და ბოლოს, შეუტყვია, რომ ამასხარავებდნენ და ტაქტიკა შეუცვლია. თავისას მაინც მიაღწია ბერიკაცმა, — ერთ საღამოს ვენებგადაჭრილი და სისხლისგან დაცლილი ვანო მკვდარი იპოვეს. ციხის უფროსის მოადგილე იფიცებოდა: სულ რამდენიმე წუთით დავტოვე ჩემს სამუშაო ოთახში და იქ უჯრაში, ფანჯრის წასათლელი სამართებელი უპოვიაო.

მაშინ ისიც თქვეს, მოკლული პოლიციელის მამა არაფერ შუაშია, მაგან იმდენი ხალხი ჩაუშვა, შესაძლოა ასე იძიეს შურიო.

ასე იყო თუ ისე, კვლავაც გამოცანად დარჩა, მოკლეს თუ თავი მოიკლა ვანო სიყმაშვილმა.

ციხისას რას გაიგებ!

**ვაჟა გავაშელი**

# ასე არ იქცევიან ნორმალურ ქვეყანაში!

## პანიკის დათესვა გრანტის მისაღებად?!



ერთ-ერთი ქართული ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ლისის ტბაში ქოლერის ვიბრიონი აღმოჩნდა, როგორც ჩანს, სერიოზული პანიკა გამოიწვია თბილისელთა შორის. შეშფოთებული მოქალაქეები რეკავდნენ ჩვენს რედაქციაში და გვთხოვდნენ ინფორმაციას ქოლერის მოსალოდნელი ეპიდემიის შესახებ. „კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსს **ჯულული ახვლედიანს**.

— **ბატონო ჯულული, აქვს თუ არა საფუძველი ლისის ტბასთან დაკავშირებულ პანიკას?**

— პანიკის საფუძველი არ არსებობს. ქალაქში გავრცელებული ხმები უსაფუძვლოა.

— **აბა რა ხდება, ტბის დაბინძურების შესახებ რატომ ალაპარაკდნენ?**

— საერთოდ კვირაში ერთხელ ვატარებთ თბილისში არსებული სარეკრეაციო (გამაჯანსაღებელი) წყალსაცავების — თბილისის ზღვის, კუს და ლისის ტბების გამოკვლევას. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მთლიანად აღდგა ლისის ტბის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მდგომარეობა ნორმალურია, მაგრამ სიფრთხილისათვის მაინც ვიკვლევთ პათოგენურ მიკრობებს. 2001, 2002 წლებში და წელსაც გამოკვლევამ დაადასტურა სინჯში ვიბრიონის არსებობა, მაგრამ ეს არ გახლავთ ქოლერის ვიბრიონი. ეს არის ქოლერის ჩხირის მსგავსი ბენგალის ჩხირი, რომელიც 5-6 ადამიანის (მათ არ ავნებს) ორგანიზმში „მოგზაურობის“ შემდეგ სხვა მსხვერპლში იწვევს ქოლერის მსგავს დაავადებას. წელს რამდენჯერმე ჩავატარეთ გამოკვლევა და ორჯერ აღმოჩნდა სინჯში ბენგალის ჩხირი. ბოლოს, ორი კვირის წინ აღებულ სინჯში ჩხირები აღარ აღმოჩნდა, თუმცა ეს არ გამორიცხავს ტბაში მის არსებობას.

— **რატომ ჩნდება ტბაში ეს ჩხირი?**

— ბენგალის ჩხირი ლოკალური დაბინძურების შედეგად ჩნდება, როცა ხდება ტბაში ფეკალური წყლების ჩადინება. ამის საშიშროება კი ლისის ტბის ირგვლივ აკვატორიაში არ არსებობს. ამასაც მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ. დაბინძურების ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს ატმოსფერულ წყლებთან ერთად ტბაში ჩადენილი სიბინძურე; შესაძლოა ამის მიზეზი იყოს ტბის ახლოს მდებარე სოფელი ლისი და სხვა დასახლებაც, რომლებშიც არ არის კანალიზაცია და შესაძლოა, დაბინძურება მოხდა ოდესღაც, მაგრამ როგორც კი ტბა შეივსება ნორმით გათვალისწინებულ ნიშნულამდე, დარწმუნებული ვარ, რომ იმუშავებს წყლის თვითგაწმენდის პროცესი და ეს პრობლემა საერთოდ აღარ იარსებებს. პროცესი უკვე დაწყებულია ტბაში გაშვებული „სანიტარი“ თევზების საშუალებით.

— **თუ პრობლემა აღარ არსებობს, რატომ აკრძალეთ ამ ზაფხულს ტბაში ბანაობა?**

— იმიტომ, რომ წყლის სიღრმე არ არის სათანადო იმისათვის, რომ თამამად შეძლოთ ცურვა. ტბა შუაგულისკენ ღრმავდება და ნაპირზე ხალხის ჩასვლა ამღვრევს წყალს, რაც ტბის ეკოლოგიურად აღდგენის პროცესს აფერხებს. თუმცა, არავითარი აკრძალვა არ მოქმედებს ხალხზე. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ადიოდა ერთი ცნობილი თბილისელი ლისის ტბაზე დილის 7 საათზე და ცურავდა. იქ რომ რაიმე უბედურება ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, ეს კაცი იქ გამოჩნდებოდა?

— **თუ პრობლემა არ არსებობს, ვის აძლევს ხელს დეზინფორმაციის გავრცელება?**

— რა გითხრათ. საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ როცა ლისის ტბა ისე დაშრა, რომ გუბურას დაემსგავსა, გამოჩნდნენ მსურველები, საბოლოოდ გამქრალიყო იგი და მის ადგილას სასაფლაო გაეკეთებინათ, რასაც შეეწინააღმდეგა ქალაქის ხელისუფლება და გარემოს დაცვის სამინისტრო. ამის შემდეგ ქალაქის მერია ჩაერია საქმეში და ტბის აღდგენა დაიწყო. გაკეთდა წყლით მკვებავი ხელოვნური ტუმბო. ლისის ტბის გაქრობა უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა საბურთალოს რაიონის კლიმატზე. ამას ადასტურებს მაგალითად ლისის ზემოთ ორი მშრალი ტბის შემოგარენიც, სადაც მთლიანად შეიცვალა გარემოც და კლიმატიც. მოგეხსენებათ, თბილისის ზღვა ხელოვნურად შექმნილი წყალსაცავია, მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მისმა შექმნამ სერიოზულად შეცვალა დედაქალაქის ეკოსისტემა, მიკროკლიმატი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისისთვის ამ წყალსაცავებიდან ზაფხულში წყლის აორთქლების პროცესს. თანაც თბილისის ზღვის ძირითადი დანიშნულება ქალაქის სასმელი წყლით მომარაგებაა, რეკრეაციისთვის კი ლისის და კუს ტბა უნდა იქნეს გამოყენებული და ამ ტბებს მოვლა სჭირდება. იმედი მაქვს, მომავალი ზაფხულისთვის ლისის ტბაზე წყლის ნიშნული ნორმას მიუახლოვდება და სეზონზე ბანაობის ნებართვას გავცემთ. არ ვიცი, რატომ გავრცელდა ამ დღეებში ლისის ტბის შესახებ დეზინფორმაცია. ერთ-ერთი ტელეკომპანიის ჟურნალისტს ინტერვიუ მივეცი და რატომღაც არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთეს, რატომ? მართლა ვერ ვხვდები.

ბატონი ჯულულის მსგავსად, ვერც სხვა კომპეტენტური პირები ხვდებიან ყალბი პანიკის მიზეზს. ისე, სხვათა შორის, ერთმა ჩინოსანმა სრულიად საიდუმლოდ გაგვიმხილა, რომ რიგი ე.წ „გრანტიჭამია“ ორგანიზაციების მიზანი სწორედ პანიკის ატეხაა. ისინი გრანტების მიღებაზე „ჩალიჩობენ“, ამიტომ ხელს აძლევთ საზოგადოებაში პანიკის დათესვა, რასაც მოჰყვება თანხების გამოყოფა, ფულს კი ვილაცები ჯიბეში ჩაიდებენ და პანიკა და ეპიდემიაც „ჩაცხრება“. გარდა ამისა, ლისის ტბას ბევრი უყურებს მუშტრის თვალით და სულაც არ სიამოვნებთ, რომ ტბა თანდათან ნორმალურ სახეს იბრუნებს. არც ისინი ჩამცხრალან, ვისაც ამ რამდენიმე წლის წინ ტბის ადგილას სასაფლაოს გაკეთება უნდოდა. საერთოდ ტბის მიდამოებში, რამდენიმე ასეული მეტრის რადიუსში, მსგავსი ობიექტების და სხვა შენობა-ნაგებობათა მშენებლობა იკრძალება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ამიტომაც არ გასცემს ნებართვას ლისის მიდამოებში აკრძალული ობიექტების ასაშენებლად. ამიტომ ლისის ტბის შემოგარენის ხელში ჩაგდების მსურველთა მხრიდან არანაირი პროვოკაცია და დეზინფორმაცია არ არის გამორიცხული. ამ ხალხის საყურადღებოდ გვინდა ვთქვათ, არ შეიძლება ყველაფრის გაყიდვა-გაჩანაგებაზე იფიქრო, არ შეიძლება ის ტოტი მოჭრა, რომელზეც, შენი თავი ჯანდაბას, მაგრამ შენს შვილსაც მოუწევს ჯდომა. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, ვინც იღვწის თბილისში არსებული წყალსაცავების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და ნუ შევუშლით მათ ხელს. სხვათა შორის, ეს ეხება ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც, რომლებიც ლისის ტბაში ყრიან სახლიდან მოტანილ ნაგავს, ან იჭერენ ტბის გასაწმენდად გაზაფხულზე წყალში ჩაშვებულ თევზს. ასე არ იქცევიან ნორმალურ ქვეყანაში!

**ეკა ლომიძე**






## „კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის პროექტი

# გრძელდება

ჩვენო ერთგულო მკითხველო, ალბათ გახსოვთ, ჩვენი საერთო პროექტი. მარტყოფის ბავშვთა სახლში ის ნამდვილად არ დავიწყებიათ და რამდენიმე დღის წინ, იქ ჩვენი სტუმრობისას, კიდევ მრავალი მადლობა მოგიძღვნეს.

ვისაც „კვირის პალიტრისა“ და მისი მკითხველების მიერ, ივნისის ბოლოს ჩატარებული აქცია მხედველობიდან გამორჩა, შეგახსენებთ: ა.წ. ივნისში ამუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა სახლებისათვის ტანისამოსის, წიგნებისა და სათამაშოების შეგროვე-



ბას. ვინაიდან „კვირის პალიტრა“ ჯერჯერობით დამოუკიდებლად ატარებს ამ აქციას, შეუძლებელია, ყველას ერთდროულად დახმარება. ამიტომ თბილისის შემოგარენში ავირჩიეთ, ჩვენი აზრით, ყველაზე გაჭირვებული დაწესებულება — მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი. შეიძლება ითქვას, რომ პირველმა აქციამ მოლოდინს გადააჭარბა. მაშინ ჩვენ მოწოდებას ასობით ადამიანი გამოეხმაურა. ჩვენი თხოვნის თანახმად, უმეტესობას მხოლოდ საზაფხულო სამოსი მოჰქონდა და საშემოდგომოდ თბილი ტანსაცმლის მოგროვებასაც გვპირდებოდა. შედეგად, ბოლომდე დატვირთული სატვირთო „გაზელი“ მარტყოფისკენ გაემგზავრა და იქაურ აღსაზრდელებს გული გაუხარა. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ აქციის დასრულების შემდეგ რედაქციაში არ შემწყდარა ზარები და ვიზიტები. მკითხველი აქციის გამეორებას გვთხოვდა. რიგითი მოქალაქეები ჩვენი შერჩეული სახლის კოორდინატებს ითხოვდნენ. როგორც გაირკვა, ამ სამი თვის განმავლობაში არაერთი ჩასულა პირადად მარტყოფში და საკუთარი ძღვენი თვითონ გადაუცია იქაურებისთვის. ასე მაგალითად, მარიამობაზე ბავშვებს ორი ცხვარი აჩუქეს. იყო წიგნების, ტანისამოსისა და საკვები პროდუქტების ჩუქების ფაქტებიც. ვერ დავიჩემებთ, რომ ყველა ჩვენი პროექტის გულშემატკივარი იქნებოდა, რა თქმა უნდა, არსებობენ ადამიანებიც, ვინც „პალიტრას“ არ კითხულობს, თუმცა მათაც კეთილი გული აქვთ და დამოუკიდებლად აკეთებენ კეთილ საქმეებს.

წინა პუბლიკაციებში ვწერდით, რომ სახლში არ არსებობდა ნორმალური წყალმომარაგება. სამწუხაროდ, დღესაც იგივე მდგომარეობა დაგვხვდა. მართალია, გაყვანილობა უკვე გაკეთებულია და ტერიტორიაზე მილიც შეყვანილია, მაგრამ მისი საერთო სისტემასთან მიერთება ჯერ ვერ მოხერხდა. სახლის დირექტორი, ნანა შინჯიკაშვილი იმედოვნებს რომ სამუშაოები მაქსიმუმ, 10-15 დღის განმავლობაში დასრულდება. ჯერჯერობით მოუგვარებელია გათბობის პრობლემაც, წარმოიდგინეთ, რამდენი შეშა დასჭირდება ორმოცდაათზე მეტი აღსაზრდელის გამოზამთრებას.

ვწერდით იმასაც, რომ ერთერთი ორგანიზაცია აქაურთა საწოლებითა და თეთრეულით მომარაგებას აპირებდა. დაპირება პირნათლად შეუსრულებიათ და ახლა ბავშვებს ნორმალურ ლოგინებზე, ახალთახალ თეთრეულზე სძინავთ. ფანჯრები თითქმის მთლიანად შემინულია და სუფთა ფარდებიც ჰკიდია, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ბავშვისთვის სუფთა ფარდა ბევრი ვერაფერი ნუგეშია. შენობის სახურავი გამოსაცვლელია, ბავშვები რამდენიმე საძილე ოთახში არიან შეყუჟულები, იმიტომ, რომ დანარჩენებში „წვიმს“. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა უნდოდათ ყველაზე მეტად, 12-16 წლის გოგო-ბიჭებმა სევდიანად



ჯერჯერობით მოუგვარებელია გათბობის პრობლემა. შენობის ფანჯრები თითქმის მთლიანად შემინულია და სუფთა ფარდებიც ჰკიდია, მაგრამ სახურავი შესაცვლელია, ბავშვები რამდენიმე საძილე ოთახში არიან შეყუჟულები, იმიტომ, რომ დანარჩენებში „წვიმს“.

ამოიოხრეს და თვალი აგვარიდეს. აშკარად ეტყობოდათ, უამრავი საჭირო ნივთიდან არჩევანი ვერ გააკეთეს.

მკითხველს დავპირდით, რომ აუცილებლად გადავამოწმებდით, თუ რა ბედი ეწია მათ საჩუქრებს. ამ ბოლო სტუმრობისას ბავშვების ნაწილს სწორედ ჩვენი ჩატანილი სამოსი ეცვათ. დირექტორმა საწყობიც დაგვათვალიერებინა, სადაც ზაფხულში ჩვენი ხელით შევზიდეთ ფუთები. ტანისამოსი გადახარისხებული დაგვხვდა. თურმე ამ პროცედურას ბავშვებიც ესწრებოდნენ, რითაც ძალიან გაკვირვებულები იყვნენ. საზაფხულო ნივთების ნაწილი ჯერჯერობით გამოუყენებელია (ზაფხული მომავალ წელსაც იქნება...), სამწუხაროდ, სასკოლო ნივთები, ისევე როგორც ჩანთები, ყველას არ ეყო. მართალია, რვეულების პრობლემა ჯერ არ დგას, აი სახელმძღვანელოები კი თითქმის ყველა კლასის მოსწავლეებს აკლიათ. ალბათ გახსოვთ, რომ პატარებს ადგილზევე უტარებენ გაკვეთილებს, ხოლო მე-6 კლასელები და უფროსები სოფლის სკოლაში დადიან.

პატარებს ადგილზევე უტარებენ გაკვეთილებს, ხოლო მე-6 კლასელები და უფროსები სოფლის სკოლაში დადიან.



სახლის ბიბლიოთეკას „კვირის პალიტრის“ მკითხველის გარდა სხვებიც დახმარებიან და ახლა უკვე საკითხავიც აქვთ ბავშვებს. თუმცა არჩევანი მწირია (როდესაც დირექტორი ლოგინებს გვათვალიერებინებდა, ერთ-ერთი ლეიბის ქვემოთ, „კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლის“ წიგნიც აღმოვაჩინეთ).

სახლის სამზარეულოში საქმე ბევრად უფრო კარგად არის, ვიდრე ზაფხულის დასაწყისში იყო. დირექტორის თქმით, ჯამჭურჭელი საკმაოდ მოუგროვდათ და დეფიციტს არ განიცდიან.



როდესაც დირექტორი ლოგინებს გვათვალიერებინებდა, ერთ-ერთი ლეიბის ქვეშ, „ზღაპრების სახლის“ წიგნი აღმოვაჩინეთ...

ერთი სიტყვით, მარტყოფის ბავშვთა სახლში ცვლილებები სახეზეა. და მართალია, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წინ მიდის. კვლავ მოგიწოდებთ — მოდით, მარტყოფელებს გამოზამთრებაშიც დავეხმაროთ.

აი, იმ ნივთების სია, რომელიც მარტყოფელებს ზამთარში გამოადგებათ.

თბილი ტანისამოსი (გამოსასვლელი, საშინაო, საცვლები);

ფეხსაცმელი (საგარეო, საშინაო);

ცხვირსახოცები, პირსახოცები, თბილი წინდები;

ქუდები, ქოლგები, შარფები;

ჰიგიენური საშუალებები (კბილის ჯაგრისი, სავარცხელი, ტანსაცმლის ჯაგრისი, კბილის პასტა, საპონი, შამპუნი);

თბილი საბნები, ბალიშები;

სასკოლო ნივთები (-X კლასების სახელმძღვანელოები, ფანქრები, კალმები, სახაზავები და რვეულები);

ნებისმიერი საბავშვო და მხატვრული ლიტერატურა;

სპორტული ინვენტარი (ბურთები, სახტუნელები, ჰულა-ჰუპი, ჭადრაკი და შაში);

მცირე ზომის მუსიკალური ინსტრუმენტები (გიტარა);

სათამაშოები.

თუ ჩვენი მკითხველი ამ საგნებიდან ბავშვებისთვის რაიმეს შეარჩევს , ზომების ორიენტირს ქვემოთ მოცემული ასაკობრივი სია მოგაწვდით.

სახლში 44 ბიჭი და 14 გოგონა ირიცხება.

ბიჭების ასაკი: 4; 5; 7; 8; 9; 11; 12; 13; 14; 15; 16; 18; 19; 20; 22; 24(!); 25(!); 31(!) წელი.

გოგონების ასაკი: 4; 8; 10; 12; 13; 15; 16; 18; 25(!) წელი.

პატივცემულო მკითხველო, გთხოვთ გადახედოთ თქვენი შვილების გარდეროპს, ბიბლიოთეკასა და სათამაშოების ყუთს. თუ მიგაჩნიათ, რომ პატარას ტანსაცმელი დაუპატარავდა, ან აღარ დასჭირდება რაიმე სათამაშო, ნუ შეინახავთ სადმე ბნელ კუთხეში, გაითვალისწინეთ, რომ ათასობით ბავშვს მსგავსი ნივთები შეიძლება ესიზმრება კიდეც. იცოდეთ, რომ ამ ნივთით შეგიძლიათ რომელიმე მათგანს ბედნიერი დღე აჩუქოთ.

„კვირის პალიტრა“ კვლავაც საკუთარ თავზე იღებს თქვენ მიერ გამეტებული საჩუქრების შეგროვებასა და ადრესატამდე მიტანას. იმედი გვაქვს, რომ თქვენი ნდობა დავიმსახურეთ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენ მიერ მოტანილი პატარა ცხვირსახოციც კი არ დაიკარგება და აუცილებლად მოძებნის ახალ პატრონს.

უმორჩილესად გთხოვთ, მოერიდოთ ჩასაცმელად გამოუსადეგარი და გაურეცხავი ტანსაცმლის ან დახეული წიგნებისა თუ უვარგისი სათამაშოების მოტანას. ასევე არ არის საჭირო ზაფხულის ტანისამოსის მოგროვება (ეს ნივთები გაზაფხულისთვის შეინახეთ და მორიგი აქციის დროს მოგვიტანეთ). ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს მაგიერ სხვა გააკეთებს თქვენს გასაკეთებელს. გულს არ გიჩვილებთ, მაგრამ ადრე უკვე ნათქვამს კვლავ გავიმეორებთ: ის ბავშვები ჩვენი, ჩვენი საქართველოს შვილები არიან. გვერწმუნეთ, თქვენი ხელის სითბო იპოვის მათი გულებისკენ გზას...

საჩუქრების მოტანა შეგიძლიათ კვირას, 12 ოქტომბერს, 11-დან 17 სთ-მდე, „კვირის პალიტრის“ რედაქციასთან მდებარე „სიტყვა და საქმის“ განცხადებების მიმღებ პუნქტში. მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).

*ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს!*



მარტყოფელები ისევ დახმარების მოლოდინში არიან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მათ გარდა საქართველოში ოფიციალურად მშობლის მზრუნველობას მოკლებული 5000-მდე ბავშვია რეგისტრირებული...



## რას გვეტყვი, მამაო?

**— სასულიერო პირებმა მდინარეში უჩემოდ მონათლეს ბავშვი, რომლის ნათლიაც მე უნდა ვყოფილიყავი. ბუნებრივია, ბავშვისათვის ჯვარი არ მიჩუქებია. ვითვლები თუ არა ნათლიად?**

— თუ მდინარეში ნათლობისას, მღვდელმა ბავშვის მშობლების სურვილით კვერექსის წარმოთქმისას (ლოცვა ნათლობისას) მოგიხსენიათ, ნათლიად ითვლებით. თუ თქვენი სახელი ნათლობისას არ მოიხსენიეს, ბავშვის ნათლია მხოლოდ მღვდელია, მაგრამ ეს ხელს არ გიშლით, გიყვარდეთ პატარა და მისთვის გააკეთოთ ის, რაც მაშინ უნდა გაგეკეთებინათ, როცა ნათლია ხდებოდით. თუ ასე მოიქცევით, თავისთავად შეასრულებთ იმ ფუნქციებს, რაც ნათლიას აკისრია. უფალი თქვენს სურვილსაც შეიწირავს და იმ ღვაწლსაც, რასაც თქვენ ბავშვის ქრისტიანულ აღზრდაში ჩადებთ. ჯვარი კი ყოველგვარი საბაბის გარეშეც შეგიძლიათ აჩუქოთ პატარას და ილოცოთ, რომ მას ღვთის მფარველობა ჰქონდეს.

**— ამბობენ, რომ მეორედ მოსვლის დროს მკვდრები აღდგებიან... როგორ, სად დაეტევა ამდენი ადამიანი?**

— თუ თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით და გწამთ, რომ მკვდარნი აღდგებიან, მაშინ ისიც უნდა ირწმუნოთ, რომ მათი ადგილი გამოინახება. ეს ღვთის მორიგი სასწაული იქნება და როგორ მოხდება ეს, ამის განსჯა ჩვენს გონებას არ შეუძლია. მაგრამ ჩვენს გონებას შეუძლია ირწმუნოს, რომ ეს ნება ღვთისა ნამდვილად აღსრულდება — ღვთის ნების სასწაულებს ჩვენ ყოველ წუთს ვხვდებით, მაგრამ მივეჩვიეთ და მათ აღსრულებას განსაკუთრებულ მოვლენად აღარ აღვიქვამთ. როგორ ფიქრობთ, ადამიანის ჩასახვა და ხორცის შესხმა ნაკლები სასწაულია, ვიდრე მკვდართა აღდგომა და მათი დასახლება? ასე რომ, ის, ვის ხელშიცაა ყოველივე, ყოველივეს აღასრულებს, რაც მოციქულთა ნაწინასწარმეტყველებია.

**— საქართველოს სოფლებში ასეთი აზრია გავრცელებული — თუ მშობლებს შვილი არ შერჩებათ, ურჯულოს უნდა მოანათვლინონ და იცოცხლებსო. რამდენად მართებულია ეს აზრი?**

— ამ აზრს ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს. არც ერთი მართლმადიდებელი მღვდელი მოუნათლავ ადამიანს არ დართავს ნებას ნათლობის საიდუმლოში მიიღოს მონაწილეობა და ნათლია გახდეს. შესაძლოა ზემოთ ნახსენები მოსაზრება დაკავშირებულია თვით არაქრისტიანის ქრისტიანად მოქცევასთან, რაც ბავშვის მშობლების გავლენით ხდება და რაც თავისთავად, დიდი მადლია. თუმც როგორც არ უნდა ვიფიქროთ, თავისთავად „ნათლობის“ ზემოთ ხსენებული წესი ჩვენამდე არასწორად არის მოტანილი. უმჯობესია ნათლობის საიდუმლოს ყველა საკითხთან დაკავშირებით მოძღვარს მივმართოთ.

**— ვარ მართლმადიდებელი. ეკლესიაში დავდივარ და ხშირად წირვასაც ვესწრები. აღდგომისა და მარიამობის მარხვასაც ვინახავ, მაგრამ მოძღვარი არ მაძლევს ზიარების ნებას, — წირვაზე ხშირად იარეო... რამდენად მართალია მოძღვრის ეს მოსაზრება?**

— ჩვენ ვერ განვსჯით თქვენი მოძღვრის გადაწყვეტილებას, მაგრამ შეგვიძლია გითხრათ, რომ იმ პერიოდმა, როდესაც ჩვენი ხალხი ჩამოშორებული იყო ეკლესიას, ეკლესიური ცხოვრების წესები დაგვავიწყა. ამიტომაც ზოგი რამ მართლმადიდებლის ცხოვრების შესახებ ზერელედ და დამახინჯებულად ვიცით, არ ვემორჩილებით საეკლესიო კანონიკას. ასე რომ არ იყოს, თქვენც გეცოდინებოდათ, რომ წმინდა ზიარების მისაღებად მომზადებაა საჭირო და ამისთვის შესაძლოა დიდი დრო დაგჭირდეთ... ამ დროში წირვა-ლოცვაზეც უნდა იაროთ და მოძღვრის ბევრი რჩევაც შეასრულოთ. წირვა-ლოცვაზე სიარულის გარეშე ზიარება ამაოა... ზიარებას სული და სხეული ლოცვა-ვედრებით განწმენდილი და მონანიებული უნდა შეხვდეს. ამას ტაძარში ხშირი ყოფნის გარეშე ვერ მიაღწევთ. გვერწმუნეთ, ეკლესიური წესით ცხოვრება აუცილებელია, რომ წმინდა ზიარება ნამდვილად საკურნებელი იყოს თქვენი ხორცისა და სულისათვის.

**— აქვს თუ არა მნიშვნელობა, რა მასალისაგან მზადდება ჯვარი?**

— როცა ჯვარი იკურთხება, მას ენიჭება მადლი და მფარველობის ძალა, ამიტომაც მასალას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. რასაკვირველია, სასურველია ასეთი სიწმინდე ისეთი მასალისაგან დამზადდეს, რომელიც მანამდე სხვა საქმისათვის არ იყო გამოყენებული და ადვილად არ ტყდებოდეს. ამიტომ უმჯობესია ჯვარი ხის ან ლითონისაგან გაკეთდეს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# სახელმწიფო უწყებები ბრაკონიერებისგან წაღლეტილი ფულისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

მე ლუკმაპურის საშოვნელად ვიჭერ თევზს, ეგენი კი გასამდიდრებლად"...

ზღვის ყურესთან, იქ, სადაც ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს, გადმოვედით ნაპირზე. იქ თევზის გადამყიდველები გვიცდიდნენ. რამდენიმე წუთში ნაპირს კატარღა მოადგა, რომელშიც ბრაკონიერთა ბრიგადა იჯდა. ჩვენი ნადავლი მათთან შედარებით სასაცილოდ გამოიყურებოდა. თითქმის ყველა ყუთი კეფალით იყო სავსე.

**„60 ათასი ლიტრი საწვავი რომ მომცა, საერთოდ ჩავკეტავდი აფხაზეთს"**





**ჩვენმა ნადავლმა ერთი ყუთიც ვერ გაავსო (მარცხნივ), ბრიგადის ნადავლი კი 10 ყუთშიც ვერ ჩაეტია (ზემოთ)...**

ჩემს ბრაკონიერებს გამოვემშვიდობე და ზღვისკენ გავემართე, სადაც ერთ-ერთი თევზსაჭერი სეინერის კაპიტანი მელოდა. მასთან დიდი ხნის ნაცნობობით ვისარგებლე და მალე ჩვენ შორის გულახდილი საუბარი გაიბა. **სეინერის კაპიტანი:** — ფოთში სულ 26 თევზსაჭერი სეინერია. ყველა ვარღვევთ თევზჭერის წესებს და კანონებს... მაისიდან სექტემბრამდე თევზი ქვირითს ყრის. წესით ამ პერიოდში თევზჭერაზე ლიცენზია არ უნდა გაიცეს. ჩვენთან კი ტოფობის დროს გაქანებული რეწვაა. ესეც ბრაკონიერობაა, მაგრამ ხელისუფლებისგან ნებადართული.

— **როგორც შევიტყვეთ, თქვენ ზღვის იმ მონაკვეთებშიც ბრაკონიერობთ, რომლებიც კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებშია მოქცეული, იქ კი წლის ნებისმიერ დროს თევზჭერა აკრძალულია.**

— მართალია. ფოთის ჩრდილოეთით, ანაკლიისკენ არის ხუთმილიანი ზონა, სადაც თევზს ვიჭერთ. სწორედ იქ ბუდობენ მსხვილი „კასიაკები" („კასიაკი" — რომელიმე თევზის სახეობის მრავალრიცხოვანი გუნდი. — ზ. ჩ.). გარკვეულ დროს თევზის გუნდი მდინარის შესართავისკენ მიდის საკვებისთვის. იმ ადგილებში გვაქვს ჩაშვებული სიღრმული ბადეები და ასე ვიჭერთ თევზს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. „კასიაკის" დევნას ბევრი დრო და საწვავი უნდა, ამიტომ ყველას აკრძალულ ზონაში გვირჩევნია თევზაობა. რა თქმა უნდა, კანონს ვარღვევთ, მაგრამ რასაც თურქული სეინერები აკეთებენ ჩინოვნიკთა ხელშეწყობით, მართლაც დანაშაულია. ყველა თურქულ სეინერს აქვს ე. წ. სონერის აპარატი. მას ზღვის სიღრმეში, რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე შეუძლია თევზის დიდი ქარავნის აღმოჩენა, შემდეგ იმავე აპარატით ქარავნის მიმართულებით ულტრაბგერას უშვებენ და თევზს ხოცავენ. ერთი თევზიც კი არ გადარჩება. იმ ადგილზე რამდენიმე წელიწადი თევზი აღარ მოშენდება.

— **თურმე ჩვენი ხელისუფლების არაკონტროლირებად, კერძოდ, აფხაზეთის წყლებშიც ბრაკონიერობთ.**

— უფრო თურქეთის სეინერები შედიან იქ, თუმცა არც ჩვენ ვამბობთ უარს. როდესაც ეკოპოლიციას ზღვაში მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა, კბილებამდე შეიარაღებული ეკოპოლიციელები სეინერებზე გვახლდნენ და ასე თუ ისე გვიცავდნენ აფხაზი სეპარატისტებისაგან. ახლა კი მხოლოდ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის იმედზე ვართ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ფოთის საზღვაო-სანაოსნო სამსახურს სწრაფმავალი კატერებისთვის ხშირად საწვავი არა აქვს და ჩვენც საკუთარი თავის იმედად ვრჩებით...

ჩვენ დავუკავშირდით ეკოპოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს **ნუგზარ ბოჭორიძეს** და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. მისი განცხადებით: — ის, რაც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და მისმა ხელმძღვანელმა ნინო ჩხობაძემ გაგვიკეთეს, ღალატის გარდა, სხვა არაფერია. საქართველოს პარლამენტს სისხლის სამართლის კოდექსის მე-300 მუხლში, რომელიც „თევზის ან წყლის სხვა ცოცხალი ორგანიზმის უკანონოდ მოპოვებას" შეეხება, შეატანინეს დამატება, რის საფუძველზეც ამ მუხლის მოქმედება თითქმის გაუქმდა. ბრაკონიერს მხოლოდ ადმინისტრაციული სახდელი ეკისრება, იგი დაისჯება სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლით. თევზჭერის წესების დარღვევა ითვალისწინებს 100 ლარამდე ჯარიმას, განმეორებით შემთხვევაში კი 300 ლარამდე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასამართლო ბრაკონიერს დიდი-დიდი 20 ლარით აჯარიმებს, იგი მოგებულიც კი რჩება. დაიჭერს ერთ ოცოცდაათკილოგრამიან ზუთხს, რომლის საბაზრო ფასი 200 ლარს აჭარბებს, სასამართლოში გადაიხდის მაქსიმუმ 20 ლარ ჯარიმას და მეორე დღეს იმავეს გაიმეორებს. მეტიც, სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შემდეგ ბრაკონიერობის ფაქტზე ოქმის დაწერის უფლება ევალება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურასა და, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებს და არამც და არამც ეკოპოლიციას.

— **ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ საქმიანობისგან თქვენი სამსახურის ჩამოშორება მხოლოდ ნინო ჩხობაძის დამსახურებაა.**

— რა თქმა უნდა, არა. მას პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. მათ ყველაფერი გააკეთეს კანონში აბსურდული ცვლილებების შესატანად — არ მოერიდნენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ერთმანეთში აღრევას.

— **იქნებ ის უფრო გაღელვებთ, რომ თქვენი სამსახურის ინსპექტორები სამინისტრომ თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა...**

— არ ვამტკიცებ, რომ ჩვენს სისტემაში ყველა თანამშრომელი უნაკლო იყოს, მაგრამ თუ აქამდე რაღაც მაინც შემორჩა საქართველოს ფლორასა და ფაუნას, ეკოპოლიციის დამსახურებაა. მიმდინარე წლის ოთხ თვეში, მაისიდან აგვისტოს ჩათვლით, ანუ თევზის ტოფობის დროს, 2.700-ზე მეტი(?!) ბრაკონიერობის შემთხვევა გამოვავლინეთ რესპუბლიკის შიდაწყლებში. იკითხეთ, რამდენი ბრაკონიერობის შემთხვევა გამოავლინეს თუნდაც მთელი წლის განმავლობაში გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სტრუქტურების თანამშრომლებმა და დასკვნები თვითონ გააკეთეთ. წელს ბრაკონიერებმა კოლხური და ატლანტიკური ზუთხის სახსენებელი გაწყვიტეს. დღისით-მზისით რიონის შესართავთან ყოველ ნაბიჯზე ხაფანგები ჰქონდათ ქვირითით გატენილი ზუთხებისთვის დაგებული. თუ ასე გაგრძელდა, მალე საქართველოს სანაპირო წყლებში აღარც კეფალი შემოვა. საქართველოს ინტერესების ღალატია ასეთი საქციელი. როდესაც კანონში ცვლილებები მზადდებოდა, პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ როზა ლორთქიფანიძემ სხდომა ისე დაამთავრა, სიტყვის თქმის უფლებაც არ მომცა...

სანამ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და როზა ლორთქიფანიძის ამ განცხადებაზე კომენტარს გაგაცნობდეთ, მოვუსმინოთ კოლხეთის ეროვნული პარკის დირექტორს, **მარლენ ფაცაციას:**

— გეთანხმებით, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის დირექცია ბრაკონიერებს ცუდად ებრძვის. თევზის ბევრი სახეობაც რომ გადაშენდა, ესეც სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თევზის ზოგიერთი სახეობის გადაშენება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, სანამ კოლხეთის ეროვნული პარკი შეიქმნებოდა. იგი მხოლოდ 1999 წელს შეიქმნა. მსოფლიო ბანკმა ამისთვის 3,3 მილიონი აშშ დოლარი გამოყო, მაგრამ ჯერჯერობით თანხა სრულად არ არის ათვისებული. მეტსაც გეტყვით, თუ დამიჯერებთ, პირადად მეც არ ვიცი პარკის საზღვრები, არ არის დამთავრებული ტერიტორიების გადმოცემა და მათი შემოფარგვლა. შეიძლება ითქვას, რომ პარკი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს.

— **მაგრამ ის ხომ იცით, რომ პალიასტომის ტბა კოლხეთის ეროვნულ პარკს ეკუთვნის და თუ იცით, მაშინ რატომ დათარეშობენ დაუსჯელად ბრაკონიერები?**

— ბრაკონიერებთან უიარაღოდ მისვლა ძალზე საშიშია. ისინი არაფერს მოერიდებიან. იყო მაგალითები, რომ ეკოპოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს და ორი თანამშრომელი დაჭრეს კიდევაც. პარკის დირექციას არ ჰყავს სწრაფმავალი კატერი, რაც გვაქვს. ისიც გასარემონტებელია.

— **კი, მაგრამ მსოფლიო ბანკმა ამხელა თანხა გამოყო და ახალი კატერი მაინც ვერ შეიძინეთ? თქვენ ხომ უცხოური მარკის ძვირად ღირებული ჯიპი გემსახურებათ.**

— ფულთან მე არაფერი მესაქმება. ყველაფერი, რაც იყიდეს, პროგრამის მიხედვით განხორციელდა, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ არის მოწონებული... ჩვენ არც თანამშრომლები გვყოფნის ბრაკონიერებთან საბრძოლველად. თუმცა ყველა ბრაკონიერი ვიცი, მათი სიაც მაქვს და თუ გნებავთ, გაჩვენებთ (მაგიდის უჯრიდან მარლენ ფაცაცია ბრაკონიერთა სიას იღებს და მაწვდის, სადაც 50 ბრაკონიერია აღრიცხული. სიაში კატარღებიანი ექვსი ბრიგადაც ფიგურირებს. თითოეული ბრიგადის შემადგენლობა 12-14 კაცით განისაზღვრება. — ზ. ჩ.). ამ თოთხმეტკაციან ბრიგადას მე რას მოვერევი, ბრაკონიერებისაგან ტბის დაცვის მექანიზმია შესაქმნელი.

— **ადგილობრივი ხელისუფლების ერთი წარმომადგენელი აცხადებს, რომ სწორედ თქვენ, კოლხეთის ეროვნული პარკის ხელმძღვანელი უწყობთ ხელს ბრაკონიერებს.**

— ვიცი ამას ვინც გეტყოდათ — ფოთის მერის მრჩეველი ეკოლოგიის საკითხებში ანზორ ტყებუჩავა იქნება. მას სურდა ეროვნული პარკის დირექტორობა, მაგრამ ჩემი კანდიდატურა დამტკიცდა ამ თანამდებობაზე. სჯობს ყველამ ენას კბილი დააჭიროს, თორემ მეც ვიტყვი, ვინ უწყობს ხელს ბრაკონიერობას ზღვაზე და ტბაზეც. მე მაქვს ვიდეოკასეტა, რომლითაც ბევრი რამის დამტკიცება შემიძლია. პარკის დირექტორად ჩემი დანიშვნა ზემოთ გადაწყდა და ყველამ ჩაიჩოჩოს. ახლა ჩემი ჯერია(?!).

— **ერთი ორგანიზაცია მაინც დამისახელეთ, რომელიც ბრაკონიერებს უწყობს ხელს და მათ ფულს სძალავს** (ფაცაციას მანამდე არ შევეშვი, სანამ ეს ინფორმაცია არ დავტყუე. — ზ. ჩ.)...

— დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს ინსპექციას ოფისი ქუთაისში აქვს, მაგრამ მისი წარმომადგენლები პალიასტომის ტბაზეც მორიგეობენ(!)...

**ყველა თურქულ სეინერს აქვს ე. წ. სონერის აპარატი. მას ზღვის სიღრმეში, რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე შეუძლია თევზის დიდი ქარავნის აღმოჩენა, შემდეგ იმავე აპარატით ქარავნის მიმართულებით ულტრაბგერას უშვებენ და თევზს ხოცავენ. ერთი თევზიც კი არ გადარჩება. იმ ადგილზე რამდენიმე წელიწადი თევზი აღარ მოშენდება.**

ფოთის მერის მრჩეველმა ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხებში **ანზორ ტყებუჩავამ** შემდეგი განაცხადა: — სამწუხაროდ ბოლო წლებში დაუნდობლად ნადგურდება ფოთის ზღვის ნაკრძალსა და ასევე პალიასტომის ტბაში ძვირფასი თევზის სახეობები. ბევრი მათგანი წითელ წიგნშია შეტანილი. ყველაფერი ხელიდან გვეცლება. საქმეს არც კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნამ და ამ ტერიტორიების ნაკრძალად გამოცხადებამ უშველა. ეროვნული პარკი რეალურად არ ფუნქციონირებს. 38 სახეობის წყლის ფაუნის წარმომადგენლიდან დღეს მხოლოდ სამი-ოთხი სახეობის თევზი თუ არის დარჩენილი ფოთის ტერიტორიულ წყლებში. წელს საგანგაშოდ შემცირდა კეფალის რაოდენობაც. კარგა ხანია გადაშენდა ზუთხისებრი ჯიშის თევზები. საოცარი ფაქტია, მაგრამ, მაკონტროლებელთა ზრდამ პირდაპირპროპორციულად შეამცირა თევზის რაოდენობა. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა მაკონტროლებელი ბრაკონიერს თავის წილს სთხოვს — თუ მანამდე სამი-ოთხი კილოგრამი თევზის დაჭერით კმაყოფილდებოდა, ახლა ბრაკონიერი იძულებულია, ოთხჯერ ან ხუთჯერ მეტი თევზი დაიჭიროს. პალიასტომის ტბას დღეს ხუთი მაკონტროლებელი ჰყავს, მაგრამ მდგომარეობა უფრო გაუარესდა. გაცილებით სჯობდა, როცა ეკოპოლიცია ებრძოდა ბრაკონიერებს. ისინიც აკეთებდნენ ფულს, მაგრამ საქმეც არ რჩებოდათ გაუკეთებელი. ახლა კი ყველა თავის გამორჩენაზე ფიქრობს.

— **ვის გულისხმობთ?**

— კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას და მის დირექტორს, მარლენ ფაცაციას. გაარკვიეთ, ოთხი წლის განმავლობაში სად წავიდა მსოფლიო ბანკიდან მიღებული სოლიდური თანხები, რამდენი მილიონი შეჭამა ფაცაციამ? ფოთის ხელმძღვანელობა პარკის ადმინისტრაციის წინააღმდეგ უძლურია, რადგან ეროვნული პარკი დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს ექვემდებარება. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია თვითონ არის უპირველესი ბრაკონიერი და ხელს უწყობს სხვა ბრაკონიერებსაც...

დასასრულ, ფოთში დავუკავშირდით საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის ოპერაციების უფროსს, მესამე რანგის კაპიტანს, **კობა ბოჭორიშვილს**. მისი განცხადებით: „შარშან, კანონით, ჩვენ დაგვევალა ზღვაზე ბრაკონიერებთან ბრძოლა. წლის დასაწყისში დავაკავეთ თურქეთის გემი „სელიმ-1", რომელმაც საქართველოს საზღვარი უკანონოდ დაარღვია და ჩვენს ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერას ახორციელებდა. გემის მეპატრონე 275 ათასი ლარით დავაჯარიმეთ. მეპატრონემ ფული არ გადაიხადა და გემი აუქციონზე გავუყიდეთ. რამდენჯერაც გავედით ზღვაში, იმდენჯერ დავაკავეთ ის სეინერები, რომლებიც კანონს არღვევდნენ, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ რამდენჯერაც დავაკავეთ საზღვრის დამრღვევები და ბრაკონიერები, იმდენჯერვე შეგვიწყვიტეს საწვავის მოწოდება. ვიღაცას ხელისუფლებაში ხელს არ აძლევს ჩვენი მუშაობა. თვეში 60 ათასი ლიტრი საწვავი რომ მომცა, საერთოდ ჩავკეტავდი აფხაზეთს"(!).

თბილისში ჩამოსულებმა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მივაკითხეთ. მინისტრი საზღვარგარეთ დაგვხვდა წასული და სამინისტროსთან არსებული ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, **მარინა ხავთასის** კომენტარით დავკმაყოფილდით: — პოლიციის შესახებ კანონის თანახმად შეუთავსებელია ეკოპოლიციის არსებობა. მე რომ მკითხოთ, ეს რგოლი საჭიროც არ არის. თავის დროზე ჩვენი სამინისტრო მისი შექმნის წინააღმდეგი იყო. ჩვენ ახლაც იმ აზრის ვართ, რომ პოლიციური მეთოდებით თევზს ვერ დავიცავთ. ხდებოდა გარიგებები ეკოპოლიციელებსა და ბრაკონიერებს შორის. ამიტომაც შეზღუდეს მათი უფლებები. შესაძლებელია, ჩვენი ხალხიც სცოდავდეს, მაგრამ ფაქტია — რამდენიმე წლის განმავლობაში ეკოპოლიციამ ვერ შეძლო ბრაკონიერების თარეშის აღკვეთა შავ ზღვაზე. ვფიქრობ, საჭიროა ინსპექციის ჩამოყალიბება და ეკოპოლიცია თავისი სტრუქტურებიანად მას უნდა გადაეცეს. ახლა ვამზადებთ კანონს ამის შესახებ.

— **რა კომენტარს გაუკეთებთ ეკოპოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის განცხადებას, რომ თქვენი მინისტრის მოქმედება ღალატის ტოლფასია?**

— თავის დროზე ეკოპოლიციის უკანონო ქმედებების შესახებ სამინისტროს ხელმძღვანელობამ სასამართლოს არ მიმართა და მკაცრად არ დავსვით საკითხი ეკოპოლიციის გაუქმების შესახებ. ეკოპოლიციამ ნინო ჩხობაძის ყველა ფუნქცია მიიითვისა, რათა ფული გაეკეთებინა. მოღალატე სწორედ ის არის, ვინც თევზის დაცვისა და მოშენების საქმე გაანადგურა.

— **რატომ ვერ შეიძინა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ სწრაფმავალი თანამედროვე კატერი?**

— საკვირველია პარკის დირექტორისგან ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება. მსოფლიო ბანკმა მას ახალი კატერი უყიდა. რა აქვს სარემონტო?! ზაფხულში თვითონ გახლდით ტბაზე და ჩემი თვალით ვნახე სრულიად ახალი, ჯერ კიდევ ცელოფანგადაკრული კატერი. თანამშრომლებიც საკმარისად ჰყავს ეროვნული პარკის ადმინისტრაციას. პირადად მე, ასეთი განცხადებების გამო ფაცაციას თანამდებობიდან გავათავისუფლებდი...

ჩვენ ასევე კომენტარი ვთხოვეთ პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, **როზა ლორთქიფანიძეს:** — ეკოპოლიციას ბრაკონიერებისთვის ოქმის შედგენა თუ უნდა, შეუდგინოს, ვინ უშლის ხელს(?!). ახლა რომ ალაპარაკდნენ, აქამდე სად იყვნენ? პარლამენტში საკითხი აქამდე რატომ არ შემოიტანეს?

— **ნუგზარ ბოჭორიძის თქმით, როცა კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა მიმდინარეობდა, სხდომაზე მისთვის სიტყვა არ მიგიციათ.**

— ასეთი რამ არ ყოფილა. სხდომის თავმჯდომარე მე არ ვყოფილვარ. ერთი სიტყვით, თუ რამე უნდა ეკოპოლიციას, მოვიდნენ და დამელაპარაკონ, მე მხარს დავუჭერ. ისე კი, ცვლილებების შეტანა კანონში მსოფლიო ბანკის მოთხოვნა იყო. ამასთან, ცვლილებები კანონში შევიდა მთავრობისა და არა კომიტეტის ან სამინისტროს ინიციატივით. მთავრობის წევრი კი ნუგზარ ბოჭორიძის შვილია. იგი რეგიონალური სამსახურის უფროსია. გაესაუბროს ნუგზარი ჯერ თავის შვილს და მერე მე. საერთოდ არ მაინტერესებს, ეკოპოლიცია ფულს რომელ ჯიბეში ჩაიდებს. ჩემი ინტერესის სფერო სახელმწიფოს ინტერესების დაცვაა...

P. S. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ სტატიის „გმირებიდან" ვინმეს აინტერესებდეს საქართველოს ფაუნისა და ფლორის დაცვა. საქმე ორი უწყების დაპირისპირებასთან გვაქვს. დაპირისპირება რომ საქმიანი იყოს, კიდევ გასაგებია, მაგრამ სამწუხაროდ, დაპირისპირების მთავარი მიზეზი ბრაკონიერებისგან წაღლეტილი ფულია, რომელიც ვერ გაიყვეს.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „თბილისში რუსულად მოლაპარაკეს იშვიათად წააწყდები...“

**მოსკოვში შედგა „კავკასიური ოთხეულის“ — რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარლამენტების მეთაურთა მორიგი შეხვედრა. რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ და მომავალ ურთიერთობებზე ლაპარაკობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე:**



— შეხვედრა საქმიანი და, რაც მთავარია, სასარგებლო გამოდგა. შესაძლებლობა მომეცა, გულახდილად მესაუბრა ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარესთან სერგეი მირონოვთან, რომელიც ცდილობს რუსულ-ქართული ურთიერთობის პრობლემების შერბილებას. წლევანდელ შეხვედრაში პირველად მიიღო მონაწილეობა სომხეთის ეროვნული კრების ახალმა სპიკერმა არტურ ბაღდასარიანმა და რამდენიმე პერსპექტიული აზრიც გამოთქვა. ვფიქრობ, ეს შეხვედრა სასიკეთო ნაყოფს მალე გამოიღებს.

**— რა უშლის ხელს რუსეთ-საქართველოს დაახლოებას, იქნებ საქართველოს აშკარა ორიენტაცია დასავლეთისაკენ, აშშ-ისკენ?**

— მომკალით და, ვერ გამიგია, რა აღელვებს რუსეთს. ის სხვა ორიენტაციისაა? ნაკლები აქტიურობით ილტვის ნატოსკენ? აშშ-ისკენ? რუსებმა ამ ურთიერთობებში გაგვისწრეს კიდეც, რასაც თბილისი მიესალმება. ის, რაც მოსკოვისთვის შეიძლება, თბილისისთვის რატომ არის აკრძალული? თუ რუსეთი საქართველოს ისე მოეპყრობა, როგორც თავისი საგარეო პოლიტიკის დანამატს, მაშინ ჩვენი ურთიერთობა არასოდეს გამოსწორდება. ჯერჯერობით კი, მოსკოვი გვექცევა არა როგორც პარტნიორი, მეგობარი, არამედ როგორც „უფროსი ძმა“!.. როდის დაძლევს რუსეთი ამ „იმპერიულ სინდრომს?“ 90-იან წლებში, როცა საქართველო შიმშილობის პირზე იდგა, რუსეთმა ყურიც არ შეიბერტყა, ევროპამ და ამერიკამ კი დახმარების ხელი გამოგვიწოდეს... ახლა მოსკოვს უკვირს, ჩვენ რომ ამერიკელების, თურქების, ბერძნების, გერმანელების მადლიერნი ვართ...

**— იქნებ ეს შევარდნაძის გამო ხდება? სსრკ-ის დაშლისთვის, ავღანეთიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის გამო... ის ხომ რუსეთში არ უყვართ?**

— მიუხედავად იმისა, რომ მე ახლა შევარდნაძის ოპოზიციაში ვარ, მაინც ობიექტური ვიქნები. ჯერ ერთი, არ შეიძლება მთელი ხალხის დასჯა იმის გამო, რომ მისი პრეზიდენტი არ მოგწონს, ანუ „შევარდნაძის სინდრომი“ აშკარად მოქმედებს. მეორე — ვფიქრობ, შევარდნაძის მიმართ ასეთი მიდგომა უსამართლობაა. რატომ ავიწყდებათ, როგორ და ვინ იღებდა მაშინ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს? შევარდნაძემ იმ წლებში რეალურად და დამოუკიდებლად ერთადერთი გადაწყვეტილება მიიღო — საჯაროდ განაცხადა სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან თავისი გადადგომის შესახებ და დაასაბუთა კიდეც — რატომ.

რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის მხოლოდ დეკლარირება არ კმარა. ეს საქმით უნდა დამტკიცდეს. რას ნიშნავს ის, რომ უშვებენ მატარებელს სოჭსა და სოხუმს შორის, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აქეთ-იქით არიგებენ რუსულ პასპორტებს, მონაწილეობენ ამ ქართული ავტონომიების დამოუკიდებლობის ზეიმში? ესენი ხომ საქართველოს ტერიტორიებია! როგორი რეაგირება უნდა გვქონდეს?.. ურთიერთქიშპით ორივე ქვეყანამ ბევრი დავკარგეთ. ტრადიციულად რუსულენოვან ქალაქ თბილისში რუსულ ენაზე თითქმის აღარავინ ლაპარაკობს, საქართველო-რუსეთის ფეხბურთის მატჩზე გულშემატკივრებმა რუსეთის სახელმწიფო ჰიმნს სტვენა აუტეხეს — ამ თაობისათვის რუსეთი ის ქვეყანაა, ვინც ჯერ სამხრეთ ოსეთი დაგვაკარგვინა, მერე კი აფხაზეთი. რომელმაც საქართველო დაბომბა და მუდმივად სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის. განა ეს დასაფიქრებელი არ არის? საით მივდივართ, ბატონებო, ან იქნებ უკვე მივედით?!

**— თქვენც აკრიტიკებდით შევარდნაძეს რუსეთის ენერგოკონცერნებთან ხელშეკრულების დადების გამო. რატომ იყავით წინააღმდეგი, იმიტომ, რომ კომპანიები რუსეთისა იყო?**

— „გაზპრომთან“ და მერე „რაო ეეს როსიასთან“ ხელშეკრულების დადებას ერთადერთი მიზეზის გამო ვეწინააღმდეგებოდი — ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის კურთხევით, პრაქტიკულად, საქართველოს მთელი ენერგეტიკა რუსეთის კონტროლს დაექვემდებარა. თანაც ყველაფერი საიდუმლოდ მზადდებოდა. მე კი ამგვარი გარიგებების გამჭვირვალობის მომხრე ვარ. მე არ ვარ საქართველოში რუსული კომპანიების მუშაობის წინააღმდეგი, მაგრამ კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ჩვენი ეკონომიკის რომელიმე სტრატეგიული დარგის ფაქტობრივად სხვა ქვეყნის მიერ მონოპოლიზებას. სულერთია, რომელი ქვეყანა იქნება ეს, მით უმეტეს — რუსეთი.

***ნეზავისიმაია გაზეტა №211***

# ჩახოხბილი ამერიკულად

საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რა არის კრწანისი — ეს არის ადგილი თბილისის გარეუბანში, სადაც შევარდნაძის რეზიდენცია მდებარეობს. 15-20 წუთის სავალზე კი სოფელი კრწანისი და კრწანისის ველია გადაშლილი. დიდი ხნის მანძილზე კრწანისის ველი საბჭოთა ჯარების სამხედრო სასწავლო პოლიგონად იყო გამოყენებული. ახლა აქ სამხედრო ბანაკია, რომელიც პატარა ამერიკულ დასახლებას წააგავს: იდეალური სისუფთავე, ერთსართულიან ხის ბარაკებში განლაგებული ყაზარმები, სასწავლო კლასები, მედნაწილი, სასადილო... ამერიკელი მაიორი ჩაკ ვესტერნი მეგზურობას გვიწევს — რაც გინდათ მკითხეთ და რაც გინდა ის გადაიღეთო — გვეუბნება.



38 წლის ჩაკ ვესტერნი ერაყის პირველ ომში („უდაბნოს ქარიშხალი“) მონაწილეობდა — „ჩვენი მიზანია ჯარისკაცს კარგი სროლა, სირბილი, ფიზიკური დატვირთვის ატანა ვასწავლოთ და, რაც მთავარია, დისციპლინას მივაჩვიოთ“, — ამბობს მაიორი.

უფროსი სერჟანტი ჯინ ლი კმაყოფილია მოწაფეებით — მათ თავისუფლად შეუძლიათ აშშ-ის ჯარში იმსახურონ, ხოლო მეცადინეობის შემდეგ ისეთ კითხვებს იძლევიან, რაც მათ მაღალ ინტელექტზე მეტყველებს. თავად სერჟანტი 20 წელია აშშ-ის ჯარში მსახურობს. ამერიკელი ინსტრუქტორები ნახევარ წელიწადში ერთხელ იცვლებიან. უკვე ქართველი ინსტრუქტორებიც გამოჩნდნენ. საქართველოს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულმა ლეიტენანტმა ლევან ტყემალაძემ სწავლების კურსი უკვე გაიარა და კრწანისში კარგი მაჩვენებლების გამო დატოვეს. „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამისათვის ამერიკის მთავრობამ 64 მლნ დოლარი გამოყო და ეს მხოლოდ ხუთი ბატალიონისთვის! აქ ჯარისკაცები კონტრაქტით მოდიან, მათი შერჩევაც განსაკუთრებული სიმკაცრით ხდება — უნდა იყვნენ მხოლოდ ქართული არმიიდან და მხოლოდ საუკეთესონი. პირობებიც განსაკუთრებული აქვთ. აქ ჩვეულებრივი ჯარისკაცი 380 ლარს იღებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკის ხელფასი კი 100 ლარია.

მარტო ერთი ადამიანის სამხედრო ეკიპირება 200 ლარი ჯდება, ამერიკელთა ხარჯზეა იარაღისა და ავტოტრანსპორტის შესყიდვაც.

ჩაკმა შეასრულა პირობა და ლეიტენანტ ჯასტინ კოლვინთან და თარჯიმან პოლინა ვაჩეიშვილთან ერთად მთელი ბაზა შემოვიარეთ.

სასადილოც მოვინახულეთ. მოკლე ლოცვის შემდეგ ყოველი შენაერთი სასადილოში შედის. თითოეული ჯარისკაცი ლანგარს იღებს. ლანგარზე დაწყობილია 100 გ არაყანი, ერთი ჯამი წვნიანით, ქათმის ჩახოხბილი, რომელშიც სამი მოზრდილი ნაჭერი დევს, წიწიბურის ფაფა, 1 ჭიქა კისელი და კიდევ ერთხელ ქათმის ხორცი, ოღონდ ახლა — ბარკალი.

— „ბუშის ბარკალია?“ — ვიხუმრე. ჯასტინი ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი. პოლინამ აუხსნა, ამერიკული ქათმის ბარკლებს რუსეთში ასე ეძახიანო.

— არა, ეს „შევარდნაძის ბარკლებია“, — გაიცინა ლეიტენანტმა.

თურმე პროდუქტებს ადგილობრივი გლეხებისგან იძენენ, მშრალი ულუფა კი — ამერიკულია. ისიც კარგა ბარაქიანია. გაძლიერებული კვება — ესეც ამერიკელების მიერ ქართული მხარისადმი წაყენებული ერთ-ერთი პირობაა, რადგან ჯარისკაცის გულისკენ სავალი გზა კუჭზე გადის...

***ვალერი ქაჯაია***
***„როსიისკაია გაზეტა“***

# ამბები აფხაზეთიდან

*** სოხუმში მუშაობა დაამთავრა აფხაზურ-აბაზგური ხალხების საერთაშორისო ასოციაციის IV მსოფლიო კონგრესმა. კონგრესზე ჩამოსული 200 დელეგატის და სტუმრების (რუსეთიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ჰოლანდიიდან და სირიიდან) წინაშე მოხსენებით — „ჩვენი მიზანია სუვერენული დემოკრატიული აფხაზეთი“ — წარდგა ასოციაციის პრეზიდენტი ტარას შამბა. კონგრესმა რეზოლუცია და მიმართვა მიიღო „აფხაზებისა და მთელი მსოფლიოს აბაზგებისადმი“, „დსთ-ის ქვეყნების ხალხებისა და მათი ხელმძღვანელებისადმი“.

*** ვლადისლავ არძინბას ბრძანებით, დამოუკიდებლობის 10 წლისთავისა და 1992-93 წლების სამამულო ომში აფხაზი ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად, აფხაზეთის მხარდაჭერისა და კავკასიაში მშვიდობის განმტკიცებაში წვლილის შეტანისათვის „ახდზ-აფშას“ (დიდება და პატიოსნება) II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ: თათრეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ბაშკირეთის პრეზიდენტები და როსტოვის ოლქის გუბერნატორი.

*„აფხაზეთისთვის გაწეული აქტიური დახმარებისა და აფხაზი ხალხის უფლებების დაცვაში შეტანილი პირადი წვლილისათვის ახდზ-აფშას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ ცნობილი რუსი პოლიტიკოსები: სერგეი ბაბურინი, გიორგი ტიხონოვი და კონსტანტინ ზატულინი.*

***აპსნიპრესი***

*გვერდი მოამზადა*
*თინათინ მარგველაშვილმა*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პაწაწები ჭკვიანობენ

**პატარა დათა დათუმაძის** ბებიას ეკითხება მეგობარი, — მანქანას რატომ არ ყიდულობო. ბებია პასუხობს: — მანქანის სახსრები არ გვაქვსო.

იქვე მდგომმა დათამ ბებიას უსაყვედურა:

— სახსრები როგორ არა გვაქვს. აბა, რომ ამბობ ხოლმე, სახსრები მტკივაო?!

***

ტელევიზიამ გადმოსცა ცნობა მიწისძვრის შესახებ. **5 წლის ანანო მუკბანიანმა** გაკვირვებულმა იკითხა:

— მიწისძვრა ბალს როგორ ისხამს?

***

**პატარა ნათია** საჭმელს პირს არ აკარებდა. ამ დროს თვითმფრინავმა გადაიფრინა. დედამ უთხრა: — აი, ბუა. თუ არ შეჭამ, წაგიყვანს. პატარამ ირონიულად ახედა თვითმფრინავს და მყისვე მიუგო:

— ეგ ბუა კი არა, ჩიტი-პიპიაა.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „არის ხისგან ნაკეთები, ხარატული ერთი რამე, მას დედიკო მზრუნველობით თავს ევლება დღე და ღამე. შიგნით უწევს გულის ვარდი, სიხარული და სიამე.“

IV



## I აბა, გამოიცანი

**1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის ბავშვთა მკურნალი?**

ა) ოკულისტი; ბ) ტრავმატოლოგი; გ) პედიატრი; დ) ჰემატოლოგი;

**2) რომელ წელს გაიმართა კრწანისის ბრძოლა?**

ა) 1625; ბ) 1670; გ) 1765; დ) 1795.

**3) ვის ეკუთვნის „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“?**

ა) დავით გურამიშვილს; ბ) გრიგოლ ორბელიანს; გ) აკაკი წერეთელს; დ) ხალხურია.

**4) რა აქვთ ერთნაირი რუსეთს, ჩეხეთს, ჰოლანდიას და საფრანგეთს?**

ა) ფულის ნიშანი; ბ) ჰიმნი; გ) დროშის ფერები; დ) ენა.

**5) ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ხმალი იმოდენს ვერას იქმს მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო“?**

ა) ილია ჭავჭავაძეს; ბ) აკაკი წერეთელს; გ) დავით გურამიშვილს; დ) ნიკოლოზ ბარათაშვილს.

**6) რა ერქვა ძველად ივლისის თვეს?**

ა) იგრიკა; ბ) მკათათვე; გ) ტირსიკონი; დ) მირკანი.

**7) რომელია მერვე მცნება?**

ა) არა იმრუშო; ბ) არა კაცჰკლა; გ) არა იპარო; დ) არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

**8) ანდაზის მიხედვით, რას ეჭიდებოდა წყალწაღებული?**

ა) კლდეს; ბ) მორს; გ) ხავსს; დ) ხიდს.

## II

ქვემოთ მოცემული 6 ფრაგმენტიდან რომელი შეესაბამება მთავარ ფრაგმენტს




## III

რამდენი ფანქარია ნახატზე



## თავგატეხილი კაცი

თქმულება

ერთი მოხუცებული კაცი ვენახს რწყავდა, თან ღვინოს შეექცეოდა. აიღო სავსე ჩარექა, ცერი ყურში გაუყარა და თავისი თავი ასე დალოცა: ღმერთო, დამასწარ მრავალ ამ დროს. ამ ხნის კაცი ვარ, ჯერ თავი ჩემთვის არავის გაუტეხია და ნურც მივალ იმ ზომამდის, რომ ვინმემ გამიტეხოსო.

ერთი ჯეელი ბიჭი ყურს უგდებდა მოხუცის ლოცვას. აიღო თოხი და წყალი თავის ვენახს მიუგდო. როცა წყალი შეუწყდა მოხუცს, გაჯავრებული წყლის სათავისკენ გაეშურა. სათავეში თოხით ხელში ვიღაც ყმაწვილი დაინახა, რომელსაც წყალი თავის ვენახში გადაეგდო. მოხუცი შეეკითხა:

— რატომ გადამიგდე წყალიო?

ახალგაზრდამ უთხრა:

— ჩემი ჯერიაო.

— რათა კაცო, ჯერ ჩემი ჯერი არ იყო?

— შენი ჯერი იყო, მაგრამ მე უნდა მოვრწყა ახლა.

მოხუცმა რა შეატყო ახალგაზრდას — შარზეაო, უთხრა:

— კარგი, დღეს შენ მორწყე, შვილო, ხვალ კი მე მოვრწყავო!

ახალგაზრდამ უთხრა:

— ხვალაც მე მინდაო.

— კარგი და რაკი ხვალაც შენ გინდა, მე კიდევ ზეგ მოვრწყავ.

— არა, ზეგაც მე მინდა.

— კარგი და რაკი ზეგაც შენ გინდა, მაზეგ მე მოვრწყავ.

ახალგაზრდამ ვერ იპოვა ჩხუბის მიზეზი, შერცხვა და უთხრა:

— ასეთი კაცი რომ ყოფილხარ, იმიტომ არ გაგტეხია თავიო, — და წყალი ისევ მოხუცის ვენახს მიუგდო.

## ვინ იცვლება, ვინ არა

ემატება წუთებს წუთი,
დღეებს — დღე და კვირას — კვირა,
გადაიქცა გოჭი ღორად,
კნუტი — კატად,
ლერწი სტვირად,
ხბო — ხარად და
ბარდი ბუჩქად,
გზა — შარად და
შარა — ქუჩად,
ბარტყი — ჩიტად,
კიჭი — კბილად,
მელაკუდა ნამდვილ მელად,
მარტო რწყილი დარჩა რწყილად,
ჭიანჭველა — ჭიანჭველად!

***მორის ფოცხიშვილი***

## ენის გასატეხები

- ტყუპი ტყლაპი ტყავზედ დავდე.
- ფეფე ტაფაზედ ფეტვს ფშრუკავს.

## მატი

ზღაპარი

ბატი წყალში დაცურავდა და თავის თავს ელაპარაკებოდა: მე, სწორედ საკვირველი ფრინველი ვარო, — მიწაზედაც დავდივარ, ჰაერშიც ვფრენ და წყალშიაც დავცურავო. გაიგონა წერომ და უთხრა: შე საწყალო, არც სიარული გივარგა, არც ფრენა იცი ხეირიანი და არც ცურვაო. ისევ ისა სჯობდა, ერთი რამე გცოდნოდა კარგად, ვიდრე ბევრი რამე ცუდადო.

**ანდაზა:** *უჭკუო ადამიანსა ცოტა გაუკვირდებაო.*

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***




ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

CMYK

# მამულ-დედული



## კამეჩი

კამეჩი ძალზე თვინიერი ცხოველია. განსაკუთრებით ბავშვებს უყვართ მასთან მეგობრობა. ვინც ალაზანზე ზაფხულში ერთხელ მაინც ყოფილა, უთუოდ შეამჩნევდა პატარებით გარშემორტყმულ დინჯ კამეჩებს. ზურგზე ასხდებიან გოგო-ბიჭები, რქებზე ეკიდებიან და ერთმანეთს ეჯიბრებიან მდინარის გადაცურვაში.

...გიგანტი კამეჩები ძროხისებრთა ოჯახის წარმომადგენლები არიან. მათი სამშობლო ინდოეთია. როგორც ირკვევა, კამეჩი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ათასწლეულში მოუშინაურებია ადამიანს.

გარდა იმისა, რომ ღონიერი გამწევი ძალაა, ფურკამეჩი წელიწადში 1400-1600ლ საკმაოდ ცხიმიან რძეს იძლევა, რომლისაგანაც უმაღლესი ხარისხის სულგუნსა და მაწონს ამზადებენ. სხვათა შორის, კამეჩის რეკორდული წლიური „შემოსავალი“ 3500 ლ-მდეც აღწევს.

კამეჩის ხორცი ჭარბი ფოსფორიტის შემცველობის გამო წითელი ფერისაა, მაგრამ გემრიელიც არის და სასარგებლოც. რაც შეეხება ზაქის ხორცს, რომლის გემოც და ფასიც ყველაზე უკეთ ერეკლე -ის ძემ, იულონ ბატონიშვილმა (რომელსაც მეტსახელად ზაქიჭამიას ეძახდნენ) იცოდა, იგი გარდა იმისა, რომ გემრიელია, სამკურნალო პროდუქტადაც ითვლება. ასე რომ, კამეჩის ხორცი არაფრით ჩამოუვარდება ძროხისას.

...ინდოეთში, სადაც ძროხა წმინდა ცხოველად ითვლება და დაკვლას ვერავინ შეჰკადრებს (ქუჩაც რომ გადაკეტოს, უბატონოდ ხმას არავინ გასცემს) ძირითადად კამეჩის ხორცით იკვებებიან. უფრო მეტიც, მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ამარაგებენ კამეჩის ხორცით. ტყავს რაც შეეხება, ფეხსაცმლის ლანჩებად იყენებენ, ხოლო რქებისა და ჩლიქებისაგან საუკეთესო ხის წებო მზადდება.

კამეჩის წონა 450-იდან 700 კგ-მდე აღწევს.

სულ ოთხი სახეობის კამეჩია ცნობილი: ინდური, ფილიპინური, აფრიკული და ანოა, რომელიც ყველაზე პატარა ზომისაა (ბინადრობს ინდონეზიის კუნძულების ვაკის და მთის ტყეებში და სპეციალური ჯგუფები მიდიან თურმე ამ ძნელად სანახავ ცხოველზე სანადიროდ).

კამეჩები კარგად ეგუებიან ცხელ კლიმატურ პირობებს, მდინარეების, არხებისა და წყალსაცავების სანაპიროებს. იკვებებიან უხეში მცენარეულობით — ისლით, ლელქაშით, ლერწმით და რაღა თქმა უნდა, ჩალითა და თივით.

### მოზაიკა

* * *

ველური ინდური კამეჩის წონა 1000 კგ-მდე აღწევს, რქების სიგრძე კი — 192 სმ-ია;

* * *

მსოფლიოში დაახლოებით 75 მლნ კამეჩია, აქედან ინდოეთსა და პაკისტანში 50 მლნ, სამხრეთ აზიის სხვა ქვეყნებში — 20 მილიონი;

* * *

იტალიაში, ბაგურ კვებაზე, ერთი ფურკამეჩი წელიწადში 1.970 ლ რძეს იწველის;

* * *

კამეჩის მაკეობა 300-340 დღე გრძელდება, იგებს ერთ ზაქს;

* * *

ინდური გარეული კამეჩის უმთავრესი მტერი ვეფხვია, თუმცა მასთან ჭიდილში, მტაცებელიც ხშირად იღუპება.

* * *

აფრიკული კამეჩი ცხოვრობს ბარშიც და 5.300 მ-ის სიმაღლეზეც ზღვის დონიდან.

* * *

კავკასიური კამეჩი იმით გამოირჩევა, რომ კარგად უძლებს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ჯილეხი, ბრუცელოზი და თურქული.

## ყველაზე „პოპულარული“ სანადირო ფრინველი

ქათმისნაირ ფრინველთა შორის ყველაზე პატარა მწყერია, რომლის წონაც 90-120 გ-ს შორის მერყეობს. მწყერი არა მარტო ლამაზი, არამედ საკმაოდ გემრიელიცაა, რის გამოც, ნადირობის სეზონის დადგომას მოუთმენლად ელიან ხოლმე მონადირეები. თანაც მწყერი ყველაზე პოპულარული სანადირო ფრინველია. როგორც წესი, მოყვარული მონადირეები სწორედ მასზე ნადირობით იძენენ „პროფესიულ“ ჩვევებს. ვისაც თავად არ განუცდია, რას ნიშნავს ნაბულზე გაჩერებული ულამაზესი პოინტერის მიერ მონადირის ბრძანებით აფრენილი მწყრის ერთი გასროლით ჩამოგდება, მით უმეტეს, პირველი ნანადირევის სიხარული, ის ვერ მიხვდება, რას „დაწანწალებენ“ მინდორ-მინდორ, ყანა-ყანა, ჭაბუკები თუ ასაკოვნები. იმასაც გეტყვით, რომ ნადირობა სრულებითაც არ ნიშნავს „ბარბაროსობას“. ეს გახლავთ ნამდვილი სპორტული აზარტი. ნადირობისას ხომ არა მარტო ახლოს ეცნობი შენი ქვეყნის სანახებს, არამედ შენ გვერდით მყოფი ადამიანების ნებისყოფასა და ხასიათს სწავლობ. ნადირობისას დამეგობრებულნი მთელი ცხოვრება ერთად არიან. ნადირობა ხომ ძალისა და ნებისყოფის გამოცდის საუკეთესო საშუალებაა. აბა ის არის საქმე, კაცი საქართველოში დაიბადოს, გაიზარდოს და არ იცოდეს, თბილისს იქით რა ხდება? — სად არის შირაქი, ვაშლოვანი, მუხრანის ველი, წალკა, ნინოწმინდა...



თუმცა ბრაკონიერებიც არცთუ ისე ცოტანი არიან, იმის „უნარი“ რომ შესწევთ, შველი გამოასალმონ სიცოცხლეს მაშინ, როცა პატარა ნუკრს ძუძუს აწოვებს!..

ახლა ისევ მწყერს მივუბრუნდეთ: მწყერი იზამთრებს აფრიკის ეკვატორულ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე და მთელ კონტინენტურ სამხრეთ აზიაში. საქართველოში ბუდობს აღმოსავლეთ რაიონებში, ხოლო დასავლეთ საქართველოში მრავლად გვხდება მიმოფრენის დროს, განსაკუთრებით შემოდგომით.

გადაფრენის ზოლი, როგორც ჩანს, არცთუ ისე შორეულ წარსულში თბილისზეც „გადიოდა“, ვინაიდან სექტემბრის შუა რიცხვებში და ოქტომბრის თვის დასაწყისში კუს, ლისის ტბების, თბილისის ზღვის, დელისის, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიდამოებში (სადაც ომის შემდგომ პერიოდში ხორბალი ითესებოდა) იმდენი მწყერი იყრიდა თავს, რომ კარგი მონადირე სეზონზე მთელი წლის სარჩოს შოულობდა, მით უმეტეს, თუ კარგი ძაღლიც ჰყავდა.

ალბათ, უფროსი თაობის ადამიანებს ეხსომებათ, თბილისის მაღაზიების თაროებზე მწყრის კვერცხი რომ გამოჩნდა ერთი პერიოდი. ეს, რა თქმა უნდა, მოშინაურებული მწყრისა გახლდათ.

...მწყერი პირველად იაპონელებმა, ასწლეულების წინ მოიშინაურეს, საიდანაც სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. არადა, რომ დაფიქრდეს კაცი, ღირს მწყრების მოშინაურება. ისინი ხომ წელიწადში 260-300 კვერცხს დებენ, რომელიც თუ სამედიცინო ლიტერატურას დავუჯერებთ, საუკეთესო საშუალებაა ქოლეცისტიტისა და კუჭის წყლულის სამკურნალოდ.

## შრომის ყადრი

(ხალხური)

ერთ კარგ მეურნე გლეხთან ორი გლეხი მივიდა.

— რა გნებავთ, რისთვის მოსულხართ? — ჰკითხა მასპინძელმა.

პირველმა გლეხმა უთხრა:

— ერთი დოქი ღვინო უნდა მასესხო!..

— ვენახი გაქვს? — შეეკითხა მასპინძელი.

— დიახ, მაქვს, ოღონდ შემოუღობავი.

— წადი, შემოღობე და მერე გასესხებ!

შემდეგ მეორე გლეხს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ რაღა გინდა?

— მეც ერთ დოქ ღვინოზე ვარ მოსული, მაგრამ უკან რომ მივდიოდე, ის დროა: იმ გლეხს ვენახი ჰქონდა და არ ასესხე, მე როგორღა მასესხებ, როცა სავენახე მხოლოდ ახლა შემოვღობე და ვაზი კიდევ ჯერ არ ჩამიყრია, ნერგს ვამზადებ...



— შენ გასესხებ, რადგან შრომის ყადრი გცოდნია, — უპასუხა მასპინძელმა, — ჯერ უნდა შემოღობო და ვაზი შემდეგ უნდა ჩაყარო. შენი ვენახი უფრო მალე გამოიღებს ნაყოფს, ვიდრე იმისიო!..



„ბაჭიები“...

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

### რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისათვის

## კრაზანებს ხის სახლები უყვართ...



**— სოფელში, ხის სახლში დაბუდებულან ჩვეულებრივზე დიდი ზომის კრაზანები. მეზობლებს ეშინიათ, ასეთი კრაზანების ნაკბენი საშიშიაო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.**

***ნანა მესხი***

**— რამდენიმე წელია თბილისში, ჩემი ხის სახლის აივანზე იბუდებენ კრაზანები. ყოველ წელს ვიღებ ბუდეს, მაგრამ ისევ აკეთებენ... გთხოვთ მირჩიოთ, როგორ ვებრძოლო მათ.**

***თქვენი ერთგული მკითხველი***

— ბავშვობაში შემთხვევით კრაზანების ბუდე ჩამოვშალე ჩემი ხის სახლის აივნიდან და... მთელი გუნდი დამესხა თავს. ისე დამკბინეს და დამასიეს, რომ ძლივს გადავრჩი. რამდენიმე დღე მაღალი სიცხე მქონდა, ექიმთა მთელი ბრიგადა იბრძოდა ჩემს გადასარჩენად.

გახსოვდეთ! — წვიმიან ამინდში კრაზანები პასიურები არიან. ყოველი შემთხვევისათვის, სქელი ხელთათმანები გაიკეთეთ, სახეც მეფუტკრის ნიღბით დაიფარეთ. ჩვარდახვეული ჯოხი ჩაყავით ნავთში, მოუკიდეთ და ბუდეები დაწვით. მაგრამ თუ სახლი ხისაა, მაშინ მოგიწევთ სხვა მეთოდის გამოყენება: ვიწროყელიან მოზრდილ ქილაში მეოთხედამდე ჩაასხით ფერადსიროფიანი წყალი, ქილაზე გარედანაც მოუსვით სიროფი და დადგით კრაზანების ბუდესთან ახლოს. კრაზანები ქილაში სულ ფრენა-ფრენით ეშვებიან და იქვე რჩებიან...

## „რკინის მკვნეტელი“ ძროხები

**— ამ ზაფხულს ჩემი პირუტყვი მინდორში უცნაურად იქცეოდა. ყველაფერს საჭმელად ეტანებოდა — რეზინს, ძველ ფეხსაცმელს, რკინასაც კი. ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ, რა შეიძლება სჭირდეს მათ (სამი სული უკვე დამეხოცა)... სხვათა შორის, საქონლისთვის არც ქვამარილი დამიკლია.**

***გიორგი სახვაძე***

— მართლაც საოცარია, ძროხა „კატანკის“ მავთულებს სპაგეტივით მიირთმევდეს, ზედ ძველ ფეხსაცმელს აყოლებდეს, ხოლო „კევად“ რეზინს ღეჭავდეს. ჩემი აზრით, თქვენს საქონელს არც მარილი აკლია და არც... რკინა! უბრალოდ, როგორც ჩანს, მინდორში კი არა, ნაგავსაყრელზე აძოვებთ, სადაც ბუნებრივია, საქონელი ყველაფერს „გაჰკრავს“ ხოლმე კბილს. თანაც, გამორიცხული არ არის, ნაგავსაყრელზე ისეთი ნივთიერებებიც უხვად იყოს, რომელიც მათ მოწამლავს. ამიტომ გირჩევთ, იგი ნამდვილ საძოვარზე გაუშვათ და ასევე ეცადოთ, ეკოლოგიურად სუფთა ბალახით კვებოთ...

## რატომ ჩხუბობენ ქათმები?



**— თბილისში მყავს ქათმები (8-9 თვის ასაკის), რომელთაც ერთი „უზნეობა“ სჭირთ — ერთმანეთს თავში უნისკარტებენ, ბუმბულს აცლიან და კენკავენ კიდეც. იქნებ მირჩიოთ რამე, რით ვუშველო?**

***პატივისცემით, შოთა ცოტაძე***

— ის, რომ თქვენი ქათმები ერთმანეთს უნისკარტებენ და წიწკნიან, მაინცდამაინც არ მიკვირს, ჩვენი პარლამენტის შემყურეს. კიდევ კარგი, გინებაც არ ისწავლეს, თორემ თავი მოგეჭრებოდათ მეზობლებში. ეს ხუმრობით!

სერიოზულად კი ქათმების ამ დაავადებას „ფრინველის ცუდი ზნე“ ჰქვია. არასწორი ან არასრულფასოვანი კვების შედეგად ფრინველი ჭამს კვერცხს, ერთმანეთს ჯერ ბუმბულს აწიწკნიან, შემდეგ კი ხორცსაც. მერე ეს ჩვევა მთელ გუნდზე გადადის. ასეთი ფრინველები შემჩნევისთანავე უნდა განაცალკევოთ და უნდა დაუმატოთ მინერალური და ცხოველური საკვები (ცარცის, ნიჟარების, მარილის, ძვალ-ხორცის ფქვილის სახით).

# საქართველო — „ოქსების“ ალბუმის ქვეყანა



თემურ ჭკუასელი

**წესით და კანონით თავიდანვე ამ გაუგებარი სათაურის ახსნას უნდა ვიწყებდე, მაგრამ მოდით ბოლომდე შევინარჩუნოთ ინტრიგა, ჯერ მთავარი სათქმელი მოვილიოთ, სათაურის ახსნა კი, ბოლოსთვის შემოვინახოთ. თუმცა, ვისაც მოუთმენლობა სჭირს, შეუძლია ბოლოდან დაიწყოს კითხვა, ბოლოდან ამოჰყვეს აბზაცებს, ამით ისევე არ შეიცვლება ეს სტატია, როგორც ჩვენს სათაყვანებელ ქვეყანაში არა და არ იცვლება არაფერი.**

**ყველაფერი არამდგრადია ირგვლივ და იმდენად მდგრადია ეს არამდგრადობა, რომ ძალაუნებურად, გალაკტიონის ერთი ადვილად დასამახსოვრებელი სტროფი მახსენდება, სულ ოდნავი გადაკეთება რომ უნდა და მაშინვე ჩვენი დღევანდელი ყოფა რომ დაგიდგება თვალწინ.**

*მთები აჭრელდა, როგორც ჟირაფი,*
*მატარებელი მიჰქრის ბინდებად,*
*ახლა იწყება წიფის გვირაბი,*
*თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?*

კარგი ფანტაზიის მქონე კაცი ამ ლექსს გადაუკეთებლადაც მოარგებდა ჩვენს დღევანდელობას, მაგრამ ფანტაზიის უნარიც წაართვეს ხალხს, თვითონ კი, იცოცხლე, თავაღებული გვეფანტაზიორებიან, ხან რას გვპირდებიან და ხან რას. თქვენ ოღონდ ხმა მიეცით და... მაშინ ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ ის, ოღონდაც ის ერთადერთი და განუმეორებელი აირჩიეთ და... ყველაფერი კარგად იქნება. უნდა დაუჯეროთ, უნდა ერწმუნოთ, ხომ გაგიგონიათ, ნეტარ არიანო...

ასეთი ფანტაზიორები, თანაც „ერთადერთები“ და „განუმეორებლები“ კი, კარგად მოგეხსენებათ, რამდენნი არიან.

გვაპატიოს გალაკტიონის ნათელმა ხსოვნამ, მაგრამ დღევანდელობას რომ მოსწრებოდა, ეგებ თავადვე დაეწერა ასე:

*სიტყვა აჭრელდა, როგორც ჟირაფი,*
*მატარებელი ჩაქრა ბინდებად,*
*აღარ თავდება წიფის გვირაბი,*
*შეგვეშინდება! შეგვეშინდება!*

სიტყვა მართლაც ისე აჭრელდა, რომ აღარავის დაჯერება აღარ შეიძლება. ტოტალურმა ტყუილმა და ღიმილით შეზავებულმა სიცრუემ გამდნარ ლავასავით გადაუარა ქვეყანას. საკენკად გადმოყრილი მუდმივი დაპირებები — ასფალტივით უშნოდ გადაკერებული ნახევარ-სიმართლეები, გაუთავებელი „მალე ყველაფერს ვიტყვით“, ცოტაც და ყველას „დავასახელებთ“, ათ დღეში ფარდას „ავხდით“... მერე დამრგვალებული დღეებით ვაჭრობა — მოგვეცით 100 დღე და ჩვენ... მოგვეცით 900 დღე და ჩვენ... მოკლედ, ზუსტად ისე, როგორც ერთ ფილმშია, მე ამ ქვისგან გავაკეთებ...

მატარებელი კი დიდი ხანია ჩამქრალა და დგას. ადგილიდან არ იძვრის, ჯერ ვითომ გრილდებოდა, ახლა ჟანგვა დაიწყო. „წიფის“ გვირაბშიც ბინდი კი არა, უკუნი სიბნელეა.

არც თავში ჩანს სინათლე, არც ბოლოში და ჩვენი უთავბოლოები მგონი იმასაც ვეღარ არჩევენ, საითაა ეს თავი და ბოლო. ჰოდა, შეგვეშინდება, აბა, რა იქნება, მაგრამ ღმერთი არ გასწირავსო... ხომ გსმენიათ?!

კიდევ კარგი, ორი ნოემბერიც მოადგა გვირაბს და უიმედობის სადგურში უიმედოდ მიტოვებულ ქვეყანასაც ერთბაშად და ტრადიციულად უამრავი მესია, ანუ „მხსნელი“ მოევლინა, საკუთარი თავი რომ ლიდერებად მონათლეს.

ქუჩაც აჭრელდა როგორც ჟირაფი. ირგვლივ ყველგან სააგიტაციო პლაკატია, მისაყუდებელ ადგილსაც აღარ ტოვებენ. ყველა ხე, ყოველი ბოძი, ყველა ჯიხური და კედელი „დედისერთა ღიმილით“ დაგვცქერის. ნაჩვევი სახეები ნაცნობი დაპირებებით. ეს ღიმილიც ხომ სტანდარტულია!!! ფიქრობენ ალბათ, ასე უფრო მომგებიანიაო, თორემ, წესით და კანონით, ღვთისმშობლის ხატივით, ცრემლები უნდა სდიოდეთ დროდადრო ღიმილდაკარგული სამშობლოს მაცქერალთ.

> **ქუჩაც აჭრელდა როგორც ჟირაფი. ირგვლივ ყველგან სააგიტაციო პლაკატია, მისაყუდებელ ადგილსაც აღარ ტოვებენ. ყველა ხე, ყოველი ბოძი, ყველა ჯიხური და კედელი „დედისერთა ღიმილით“ დაგვცქერის. ნაჩვევი სახეები ნაცნობი დაპირებებით. ეს ღიმილიც ხომ სტანდარტულია!!! ფიქრობენ ალბათ, ასე უფრო მომგებიანიაო, თორემ, წესით და კანონით, ღვთისმშობლის ხატივით, ცრემლები უნდა სდიოდეთ დროდადრო ღიმილდაკარგული სამშობლოს მაცქერალთ.**

ისე, ბედი გვაქვსო, ჩვენ უნდა ვთქვათ. ამ დანგრეულ ქვეყანას რომ მოულოდნელად ამდენი „აღმშენებელი“ გამოუჩნდება, ამდენი „მხსნელი“, ამდენი „თავდადებული“ თუ „თავგანწირული“, ამდენი ტანჯვა-წამებისთვის „გამზადებული“, საქვეყნო საქმისთვის პირადულის ამდენი „დამვიწყებელი“... გეკითხებით, ამ ქვეყანას მომავალი არა აქვსო, ვინმემ უნდა გაბედოს ამის თქმა?! მომავალი კი არა, საზეიმოდ და საალლუმოდ უნდა ვემზადებოდეთ.

ახლა, ერთი რამ მაეჭვებს და ვერ გადამიწყვეტია, თქვენც გაგიზიაროთ თუ არა. მართალია, იმ პლაკატებიდან მარტოდმარტო დაგვყურებენ ღიმილით, მაგრამ თუ წარწერებს დავუჯერებთ, დიდი საქმეების კეთებას ჩვენთან ერთად, ანუ ხალხთან ერთად აპირებენ, მგონი. ყველგან ასე არ წერია?! ერთადო... თქვენთან ერთადო... აბა, ერთად ყოფნაში თავისთავად ცუდი რა უნდა იყოს, პირიქით, სულ მაგის ნატვრაში არ ვართ ამ ჩაბნელებულ ვაგონებში გამოკეტილები?! მაგრამ... ისევ ეს „მაგრამ“, რომელსაც ვერა და ვერ ვიცილებ დღეს. მაგრამ, რა ვქნა?! ადრეც ხომ უთქვამთ „ერთადო?!“ თანაც ზუსტად იმ სახეებს უთქვამთ, დღესაც რომ პლაკატური ღიმილით ცდილობენ გაყინული კედლების გათბობას. რა გამოდის ხოლმე მერე ამ ერთად ყოფნიდან, ვინ მოგვიყვება?!

ან იმას ვინ მოგვიყვება, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება იმ პარლამენტში ისეთი, რომ ლამის სალანძღავ სიტყვად იქცა და მაინც ყველა იქით რომ გარბის კისრისტეხით?! გარბიან კი არადა, ასიათასობით დოლარს იხდიან, შენ ოღონდ გარანტია მიეცი, რომ იქ „შეძვრება“.

ადამიანი რომ მზადაა, ასი ათასი გადაიხადოს, ოღონდ პარლამენტში მოხვდეს და ხალხის სამსახურის უფლება მოიპოვოს, გეკითხებით, ასეთ ადამიანს სიცოცხლეშივე ძეგლი არ ეკუთვნის?! მოკლედ, ვწერ ყველაფერ ამას, საჯაროდ ვფიქრობ და თქვენ წარმოიდგინეთ, თანდათან ვმშვიდდები, არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, თურმე რა ხალხი გვყოლია, „რა მხნე, რა მდიდარი“.

მოდით, ახლა ერთი ღრმად ამოვისუნთქოთ და ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ ირონია. წარმოვიდგინოთ, რომ ესენი, ჩვენებურად „მხსნელები“ და მათებურად „ლიდერები“, მართლა არ არიან „აცრილები“ და მართლა უყვართ მშობელი ხალხი და მშობელი ქვეყანა. მესმის, რომ ძნელია, მაგრამ ვცადოთ მაინც, ჯერ წარმოვიდგინოთ და მერე დავიჯეროთ. დავიჯეროთ, რომ გულწრფელები არიან და მართლაც ხალხზე და ქვეყანაზე ამოსდით მზე და მთვარე. ისიც დავიჯეროთ, რომ ვითომ მართლა ჩვენი გადასაწყვეტია, რომელ მათგანს ამოვირჩევთ და ვაჩუქებთ ქვეყანას.

აი, სწორედ ამგვარი გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის მაქვს ერთი უბრალო შეკითხვა გადანახული, — ვიცით კი ჩვენ და იციან კი მათ როგორი უნდა იყოს ქვეყნის ლიდერი?! თანაც დალაგებულ-დავარცხნილი ქვეყნის კი არა, იმ ქვეყნის, საქართველო რომ ჰქვია ჯერჯერობით და იმ ქვეყნის, შუაგულ გვირაბში რომაა უპატრონოდ „გარჩენილი“?!

დიდ პოლიტიკოსობას არც კედელ-კედელ თუ ეკრან-ეკრან ღიმილით ხეტიალი შველის, ძმებო და მით უმეტეს, უსაფუძვლო ამბიციები და პრეტენზიები. დიდი პოლიტიკოსობა, ისევე როგორც მაღალი ხელოვნება, თანდაყოლილ ნიჭს მოითხოვს. კი, ბევრი იმ აუცილებელი თვისების, რომელიც პოლიტიკოსს გაწონასწორებულად წარმოაჩენს, შესწავლა, ათვისება, თანდათანობით შეძენა და დახვეწა შესაძლებელია, მაგრამ ბევრი ისეთიც რჩება, ბუნებამ თუ თავიდანვე არ დაგამადლა და გამოიმეტა, ყოველდღიური გარჯით ვეღარაფერს უშველი.

ჩამოვწეროთ ახლა ეს აუცილებელი თვისებები თუ მოთხოვნები, ჩამოვწეროთ და მერე ერთად დავფიქრდეთ, რომელიმე ასე გულუხვად შემოთავაზებულთაგან თუ აკმაყოფილებს ჩამოთვლილ-ჩამოწერილ თვისებებიდან ნახევარს მაინც. ის კი არადა, იქნებ თავადაც დაფიქრდნენ მერე, ეს რა შარში ვყოფთ თავსო, თუკი საერთოდ მოიცალეს ამის წასაკითხად. რატომ გეცინებათ?! იქნებ მართლა დაფიქრდნენ, სურვილების და შესაძლებლობების შეუთავსებლობამ ხანდახან ხომ უნდა დააფიქროს კაცი?!

**ასაკი** — ქვეყნის ლიდერი იმ ასაკის უნდა იყოს, როცა მოაზროვნე ადამიანს არაერთხელ აქვს გადასინჯული და აწონ-დაწონილი განვლილი ცხოვრება. ბევრი რამისთვის ახლებურად შეუხედავს, ბევრი რამ ეგებ აღარც მოსწონებია საკუთარი წარსულიდან, მაგრამ სამაგიეროდ უამრავი ცხოვრებისეული გამოცდილება დავანებულა მის აზროვნებაში, — უამრავი უკვე გადახარშული და უამრავი მარად დაუვიწყარი განცდა. თანდათან ჩამოსცილებია ცხოვრებისეული თუ ადამიანური სურვილების უმეტესი ნაწილი და მისი ადგილი მკვეთრად გამოხატული ამქვეყნად ყოფნის ერთადერთ საზრისს დაუკავებია — უანგაროდ ემსახუროს თავის ქვეყანას. აი, ეს გამხდარა მისი უმთავრესი მიზანი და თუ გნებავთ, დანიშნულებაც.

**გამოცდილება** — ესაა უზარმაზარი განძი, რომლის დამარხვა ან თუნდაც მუზეუმში გამოფენა არ შეიძლება. იგი ქვეყნის სამსახურში უნდა დაიხარჯოს, ქვეყნის სასიკეთოდ უნდა იფრქვეოდეს. რა მნიშვნელობა აქვს იმას, ეს გამოცდილება როგორ და სად შეიძინე, მთავარი ისაა, რომ გაქვს უკვე და გულწრფელად გსურს შენს ქვეყანას მოახმარო.

**აზარტი** — ესაა პოლიტიკური აზარტი, რომელიც აუცილებლად თან უნდა ახლდეს ლიდერს. გამუდმებული მოქმედებისა და ბრძოლის დაუოკებელი ჟინი, მუდმივი ქმედების წყურვილი, გააზრებული მოუსვენრობა. ხელები არასოდეს უნდა ჩამოყაროთ, თუნდაც ისინი საერთოდ მოგკვეთონ... ამ თვისებების გარეშე, მერწმუნეთ, ყოველი სასიკეთოდ გააზრებული საქმე წინასწარ განწირული იქნებოდა.

**ენერგია** — ლიდერს უნდა ჰქონდეს ამოუწურავი მარაგი ენერგიისა. მისტიკამდე უნდა მიდიოდეს მისი ენერგიის დაუშრეტელი წყარო. სამუდამოდ უნდა დაივიწყოს სიტყვა — „დავიღალე“. დაღლილი ლიდერი ქვეყნისთვის გარდაცვლილია, რადგან მისი ენერგიის მუდმივი მასაზრდოებელი სწორედ სამშობლო უნდა იყოს.

**შიშის ძლევის უნარი** — მკვეთრად განვასხვავოთ არა უშიშრობა, არამედ შიშის ძლევის განსაკუთრებული უნარი. საცოდავი შესახედავია შიშისგან გაფითრებული ლიდერი, ხოლო, ლიდერი რომ შეეცოდებათ, მან ქუდი უნდა დაიხუროს. ხალხმა უნდა ირწმუნოს, რომ შიში მუდამ გვერდს უვლის მის რჩეულს. ეს რწმენას ამტკიცებს, ვაჟკაცობა ხომ მუდამ ფასობდა საქართველოში.

**სიდინჯე და აუჩქარებლობა** — ლიდერი ლოდინის შემზარავ უნარს უნდა ფლობდეს, ლოდინის ხელოვნებას. არ შეიძლება ხალხის სურვილების ნაადრევად აყოლა. ყველასთვის შემაწუხებელ პრობლემაზე მაშინ უნდა მიიტანო იერიში, როცა გამარჯვების უეჭველ გარანტიას მოიხელთებ. აზარტი ამ გარანტიის მოპოვებისთვის გჭირდება და არა საქმის ნაადრევად და მოუმზადებლად წამოწყებაში. აი, ამისთვის არის საჭირო შემზარავი ლოდინის ხელოვნება, ლოდინის უნარი.

**თავმდაბლობა** — ლიდერი საქმეებით უნდა იყოს ლიდერი და არა ამბიციურობით. მუდამ გვერდს უნდა უვლიდეს საკუთარი ღირსებების წარმოჩენას, მაგრამ არასოდეს არ უნდა უვლიდეს გვერდს თავის ხალხს, მზად უნდა იყოს მუდმივი თანაგრძნობისათვის, ტკივილის გაზიარებისთვის და დახმარების შეუძლებლობის ჟამს დახმარების სურვილის გამჟღავნებისთვის მაინც. თავმდაბლობა ლიდერის ღირსება უნდა იყოს და არა პოზა.

**ოპონენტების პატივისცემა** — ლიდერს უნდა შეეძლოს სხვისი აზრის, თუნდაც აბსოლუტურად მიუღებლის, ბოლომდე და აუღელვებლად მოსმენა. მერე კი მშვიდად ახსნა, თუ რატომ ვერ იზიარებს ამ აზრს. ეს ახსნა კი არასოდეს არ უნდა გადაიზარდოს ოპონენტის განქიქებასა ან დაცინვაში. ერთადერთი, რაც ამ დროს დასაშვებია, ესაა უწყინარი იუმორი, რომელიც მის ღირსებას და ღირსეულობას აძლიერებს მხოლოდ.

**გაწონასწორებული ოპტიმიზმი** — ლიდერმა არ შეიძლება ხალხს იმედი წაართვას. ურთულეს, უმტკივნეულეს პრობლემაზეც კი მომავალი საქმისთვის არასაზიანო გულახდილობით უნდა ისაუბროს, ან უაღრესად დიპლომატიური საუბრით შექმნას გულახდილობის ატმოსფერო. ეს ძნელია, ძალიან ძნელი, — ალესილი დანის პირზე სიარულია, მაგრამ ლიდერი უნდა ახერხებდეს ამას, მისი საუბარი არ შეიძლება იყოს უიმედო.

**სიმართლე** — ლიდერი არასოდეს გაურბის მწარე სინამდვილეს. მართალი უნდა იყო და ყველაფერს თამამად უსწორებდე თვალს. არასოდეს უნდა ერიდებოდე უსიამოვნო და არამომგებიან სიტუაციებთან შეყრას. ხალხთან მისვლის არ უნდა გეშინოდეს და როცა მიდიხარ, სიმართლე უნდა მიგიძღოდეს წინ.

**სამართლიანობა** — ლიდერისთვის კანონის წინაშე არ არსებობს ახლობელი, ნათესავი თუ მეგობარი. ამ დროს მას ერთადერთი „მეგობარი“ ჰყავს — სამართლიანობა. თუ გსურს, რომ ხალხმა შენი ირწმუნოს, კანონის უზენაესობამ უნდა დაისადგუროს ქვეყანაში. კანონი უნდა აღსრულდეს. ამით უნდა იწყებოდეს ქვეყნის მართვა.

**გლობალური აზროვნება** — ლიდერს უნდა ჰქონდეს გლობალური აზროვნების უნარი, ტაქტიკა და სტრატეგია. ესაა ერთი შეხედვით უტოპიური იდეების ამოუწურავი მარაგი და დროდადრო მისი საჯაროდ გაცხადება, მაშინ, როცა ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებულია. მერე უნდა იწყებოდეს თანამოაზრეების მოძებნა და ამ უკვე გამჟღავნებული იდეის განსახორციელებლად ტოტალური იერიშის დაწყება, თუკი, დარწმუნებული ხარ, რომ მისი დროული განხორციელება შენს ქვეყანას ბევრ სიკეთეს მოუტანს.

**ანალიზის უნარი** — ლიდერს უნდა შეეძლოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ანალიზის საშუალებით ერთგვარი წინასწარმეტყველება. ვიცი, რომ ამისთვის მთელი სამსახური უნდა მუშაობდეს ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ მაინც, ლიდერი იმ სამსახურის მომზადებული ანალიზის განჭვრეტას უნდა ახერხებდეს და არა მხოლოდ ბრმად მინდობას. სხვა ქვეყნის ლიდერებთან პირადი საუბრების დროს მისი ეს თვისება განსაკუთრებით საჭიროა და, როგორც წესი, ბრწყინვალედ მოქმედებს ხოლმე პარტნიორებზე. ზოგად იმიჯს კი თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**დუმილის ხელოვნება** — ეს თვისება ლოდინის ხელოვნებაზე არანაკლებ საჭიროა. ლიდერს უნდა შეეძლოს დრომდე საიდუმლოს გაუცხადებლობა. თუნდაც იცოდეს, რომ ამ საიდუმლოს გამხელა მის შერყეულ პოპულარობას უზომოდ წაადგებოდა, მაგრამ მის დრომდე ადრე გაცხადებას შესაძლოა ქვეყნისთვის მოეტანა ზიანი. ლიდერი არასოდეს უნდა დებდეს სასწორის პინაზე ქვეყნის ბედს. ყველაფერს უნდა უძლებდე შენი ქვეყნისთვის. დაუმსახურებელ საყვედურსაც და ოპონენტების შემოტევასაც.

**ადამიანთა შერჩევის უნარი** — ლიდერს უნდა შეეძლოს ქვეყნის ერთგული, საქმიანი, უანგარო, ნიჭიერი და ენერგიული თანამოაზრეების მოძებნა. პრინციპი, მთავარია მე ვბრწყინავდე, სამუდამოდ უნდა იყოს დავიწყებული. ნიჭიერი და ერთგული, საქმის მცოდნე და ქვეყანაზე მოფიქრალი ხალხის მოძებნა ლიდერისთვის აუცილებელი მოთხოვნაა. აშკარად ზიანის მომტანი ხალხის დაწინაურება ძველი ნაცნობობისა და პირადი ერთგულების გამო, გაუგებარი რეკომენდაციების გაუაზრებელი ნდობა, ვიღაცვიღაცების ამბიციურობის დაკმაყოფილება, დამნაშავეთა დანდობა და თავზე ხელის გადასმის პოლიტიკა ქვეყნის ღალატის ტოლფასია. პასუხიმგებლობას არასოდეს უნდა გაურბოდეს ლიდერი, მერე უფლება გაქვს სხვებსაც მოსთხოვო.

**დიპლომატიის თანდაყოლილი ნიჭი** — უპირველესად ესაა დიპლომატიური ენა. შეიძლება ათასმა უნიჭიერესმა კაცმა მოგიმზადოს უბრწყინვალესი სიტყვა, მაგრამ როცა ცბიერ ჟურნალისტებთან რჩები პირისპირ, ვერავითარი წინასწარ მომზადებული სიტყვები ვეღარ გიშველის. ყველაფერი შენს ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული და თუ ამას თავს კარგად გაართმევ, იცოდე, ამას აფასებენ და მსოფლიოს განწყობაც მუდამ შენკენაა.

**შესახედაობა** — პოლიტიკაში ფიქრიან სახეს, დაფიქრებულ საუბარს, სანდომიან ღიმილს, მსუბუქ იუმორს, ენერგიის მარაგს და კეთილმოსაუბრეს აფასებენ. აპრეხილი ულვაშებივით ზეაწეული ტუჩები, მუდმივად სულელური გამომეტყველებისთვის რომ ჰყავს პატრონი გამეტებული, გასაბერ ბუშტზე დასახატად ალბათ მისწრებაა, მაგრამ მსოფლიო პოლიტიკისთვის ნაღდად არ ვარგა. ასეთ სახეს სერიოზულად არ აღიქვამენ. იგი წინასწარაა განწირული.

**ღირსება** — ეს თვისებაც აუცილებელია ლიდერისთვის. პოლიტიკა ათასგვარი მოულოდნელობითაა სავსე. ათასნაირ უხერხულ და ზოგჯერ შეურაცხმყოფელ სიტუაციაშიც კი შეიძლება აღმოჩნდე, მაგრამ შენმა ხალხმა არ უნდა შეგამჩნიოს, რომ ღირსება დაკარგე. შეურაცხყოფა ერთია, ღირსების დაკარგვა — მეორე. ეს მეორე კი არასოდეს უნდა მოხდეს, რადგან ღირსებადაკარგულმა კაცმა ძნელია ლიდერობა იტვირთოს.

**თავგანწირვა** — შუა საუკუნეების სისასტიკეს თითქოს დიდი ხანია გამოვექეცით, მაგრამ თურმე ამ ქვეყანაზე მოულოდნელი მაინც არაფერია. ლიდერი მუდამ მზად უნდა იყოს ამგვარი მოულოდნელობისთვის. და, თუკი დადგება მომენტი — ან მე, ან სამშობლო, მან უყოყმანოდ სამშობლო უნდა ირჩიოს, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

მთავარი ის კი არ არის, რომ ცხოვრებამ მართლა მოგიწყოს მსგავსი გამოცდა, მთავარი ისაა, რომ თუკი ლიდერი ხარ, ამაზე ნაფიქრიც უნდა გქონდეს და არჩევანიც უნდა გქონდეს გაკეთებული. თავგანწირვისთვის მზადყოფნაა მთავარი.

**ღირსეულისთვის გზის დროულად დათმობა** — ამას ახსნა-განმარტებაც არ სჭირდება, ისედაც ნათელია, მაგრამ ძნელი — დავსვათ წერტილი, ანუ დავამთავროთ.

და ვთქვათ, არის კი ვინმე ჩვენთვის ნაცნობ ლიდერებში ისეთი, ზემოჩამონათვალს რომ ცოტათი მაინც ერგებოდეს?!

ოღონდ ნურც იმას გაიფიქრებთ, სადღა არის ასეთი ხალხიო. არიან, ძმებო, არიან! ერთი-ორს მეც ვიცნობ პირადად, მაგრამ ვერ ვამბობ ჯერ, ვერ ვიმეტებ და იმიტომ. ასეთი ხალხი თუ გამოგველია, მაშინ მართლა დამთავრებულა საქართველო. მაგრამ არ შეშინდეთ, ხომ გაგიგონიათ, წყალნი წავლენ და წამოვლენ...

იცით, ისეთი ტონი შემომეპარა, კალმის დაგდებაა საჭირო, მაგრამ ის ოხერი სათაური რომ დამრჩა ასახსნელი?! იქნებ ხუმრობის დრო არცაა, მაგრამ მაგ სათაურით ვითომ ხუმრობას ვაპირებდი. „იქსი“ ხომ გაგიგონიათ, უცნობ სიდიდეს რომ აღვნიშნავთ ხოლმე. გადატანით — ადამიანებზეც ვამბობთ, თუ ვინმეს არსებობა კი ვიცით, მაგრამ ვინაობა უცნობია, იქს-პიროვნებააო. აი, ამ „იქსის“ საპირისპიროდ მე „ოქსის“ შემოტანას ვაპირებ, თუკი თქვენც ამიბამთ მხარს.

იქსი — საერთოდ უცნობია, ოქსი — ნაცნობი უცნობი, ანუ ადამიანი, რომელსაც ვიცნობთ, ისიც კარგად გვესმის, რასაც ხმამაღლა ამბობს, მაგრამ სინამდვილეში რას ფიქრობს, იმას მამაზეციერსაც არ უმხელს და აბა, ჩვენ როგორღა გავიგებთ?

ჰოდა, მოდით ასეთ ხალხს, — ნაცნობ უცნობებს დავარქვათ „ოქსი“. სათაურშიც ესაა. უფრო ზუსტად, „პარად-ოქსების ქვეყანა“ უნდა ეწეროს. სხვათა შორის, თავიდან ასეც ეწერა, მაგრამ მერე ეს „ოქსები“ წინ გადმოვიტანე, „პარადი“ ქართულად, ანუ ალლუმად ვთარგმნე და ასე მივიღეთ „ოქსების“ ალლუმის ქვეყანა. ისევ „პარადია“ ქვეყანაში, ძმებო! „ოქსების“ საარჩევნო „პარადი“, ანუ ნაცნობი-უცნობების ალლუმი.

აღარც თავად ბეზრდებათ ეს და ჩვენ მოგვბეზრდა თუ არა, ეს ხომ საერთოდ აღარ აღელვებთ.

# ახალგაცნობილებს არ სჯერათ, რომ „რონდოს“ წევრი ვარ და მკიცხავენ...

## „რონდოს“ „ბოლეროს“ პრემიერა ჩიკაგოში შედგება



ელენე და ლელა ოთარაშვილები

„რონდო“ ნამდვილად არ ხუმრობს, მას უკვე არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მაყურებლისა და მსმენელის დაპყრობაც გადაუწყვეტია. „რონდოს“ გოგონები აქტიურად ეუფლებიან სწავლა-განათლებას და უკვე მესამე თუ მეოთხე ფაკულტეტის დიპლომის მიღებაზეც „ჩალიჩობენ“. „რონდო“ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახე ხდება. ამიერიდან ანსამბლი უნივერსიტეტის სახელით გამოვა კონცერტებზე. რამდენიმე თვის წინ „რონდოს“ ერთ-ერთი წევრი — ელენე ოთარაშვილი ინტერნეტის „ჩატში“ გაცნობილ მშვენიერ ყმაწვილზე დაქორწინდა. ანსამბლის დანარჩენი სამი გასათხოვარი ლამაზმანი კი ჯერჯერობით ოჯახის უღელის დადგმას არ ფიქრობს. ჩვენი სტუმარია ელენეს და — **ლელა ოთარაშვილი**.

**— ლელა, ამ ზაფხულს დედათქვენი და ანსამბლის პროდიუსერი ლიზი ოთარაშვილი ამერიკაში იყვნენ მიწვეულნი, საიდანაც საინტერესო წინადადებებით დაბრუნებულან.**

— ლიზი მსოფლიო პროდიუსერთა საბჭოს წევრია. აგვისტოში მიწვეული იყო აშშ-ში გამართული გრანდიოზული მუსიკალური კონკურსის „ოქროს მაგნოლიას“ ჟიურის წევრად. თარჯიმნის ამპლუაში თან ახლდა ელენე. ამერიკელები ელენეს უაქცენტო ინგლისურით მოხიბლულან და გაოცებული ეკითხებოდნენ თურმე — ასე კარგად უცხო ენა სად ისწავლეო. ელენე კი არხეინად პასუხობდა — ჩვენს ქვეყანაში უცხო ენას ან უაქცენტოდ ფლობენ, ან საერთოდ არ სწავლობენო და საქართველოს ისტორიის შესახებ თითქმის ყოველდღე უყვებოდა ჩვენი ქვეყნით დაინტერესებულ პირებს. ამის გამო ბევრს გამოუთქვამს ჩვენთან სტუმრობის სურვილი. ლიზის ამერიკაში წაღებული ჰქონდა ანსამბლის მიერ ახლახან ჩაწერილი „ბოლერო“. ეს არის მორის რაველის საყოველთაოდ ცნობილი მუსიკალური კომპოზიციის ვოკალური ვერსია, რაც დღემდე არ გაუკეთებია არავის. უზარმაზარი კომპოზიცია ოთხ წუთამდეა დაყვანილი. მერე დაიწერა ტექსტი ინგლისურ ენაზე, სიმღერის შინაარსი ზოგადსაკაცობრიო თემებით არის გაჯერებული. ვინც მოისმინა, ყველა აღფრთოვანებულია. ამერიკელები ძალიან მოხიბლულან ამით და ლიზისთვის უთხოვიათ სიმღერის პრემიერა ნოემბერში ჩიკაგოს ორკესტრთან ერთად მოეწყოთ. ასე რომ, „რონდო“ აშშ-შია მიპატიჟებული. ეს ძალიან გვიხარია და ძალიანაც განვიცდით. პრემიერა ჩიკაგოში მგონი ხუმრობა არ არის. გარდა ამისა, ჩავწერეთ გია ყანჩელის ინსტრუმენტული კომპოზიციის ვოკალური ინტერპრეტაციაც.

**— ვიცი, რომ უცხოურ მუსიკალურ ფესტივალებზე წარსადგენად კლიპები უნდა გადაგეღოთ, რატომ შეყოვნდით?**

— ელენეს ქორწინების „ბრალია“. შეყვარებულებმა ისეთ დროს გადაწყვიტეს დაქორწინება, როცა გადაღებები უნდა დაგვეწყო. ამას საქორწინო მოგზაურობა და გასტროლებიც მოჰყვა და კლიპების გადაღებაც გადავადდა.

**— როგორც გავიგე, პირველი სექტემბრიდან კვლავ უმაღლესი სასწავლებლის მერხს მიუსხედით. რა ხდება, „მარადმწვანე“ სტუდენტობას აპირებთ?**

— ბატონ როინ მეტრეველის თხოვნით მე და ელენემ უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გავაგრძელეთ სწავლა. რექტორს სურს „რონდო“ უნივერსიტეტის სახე გახდეს და უკვე ასეც არის. ნათია და მაიკო ისედაც უნივერსიტეტში სწავლობდნენ, ახლა ჩვენც მივემატეთ. შარშან დავამთავრე უცხო ენების ინსტიტუტი. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას ვაპირებდი და იურიდიულ ფაკულტეტზე კი აღმოვჩნდი. ვატყობ, ჩვენი ბედისწერა სწავლა და სიმღერაა.

**— „ჩატში“ როგორ მიდის საქმე?**

— კარგად. ინტერნეტი და საერთოდ „ჩატი“, ჩემი აზრით, ძალიან მაგარი რამეა. ელენე რომ გათხოვდა, გამიჭირდა უიმისოდ გაძლება. რომ არა „ჩატელი“ მეგობრები, ჭკუაზე გადავიდოდი. ინტერნეტში ხშირად ვერთობოდი, ვჭორაობდით. ახალგაცნობილებს თითქმის არ სჯერათ, რომ მე „რონდოს“ წევრი ვარ და მკიცხავენ ხოლმე — არა გრცხვენია თვითმარქვიობის გამოო?

**— მარტო ინტერნეტით ერთობი?**

— არა. ძალიან მიყვარს ცეკვა და დისკოთეკებზე სიარული. მეგობრებთან ერთად ინტერნეტის გარეშე გართობაც მხიბლავს. საერთოდ მათ გვერდით ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. ხალხთან ურთიერთობაც დიდი ფუფუნებაა ჩემთვის, ოღონდ სულ ვცდილობ, რომ ვერავინ მიცნოს. ხშირად ეს არ გამომდის. ასე ვარ პლაჟზეც. მაგრამ თაყვანისმცემლები მაინც მცნობენ და იმდენ სითბოს მაგრძნობინებენ, მერე მრცხვენია კიდეც, ნეტავ რას ვიმალები-მეთქი.

**— აბა, ქუჩაში ფეხით ვერ გაგივლია და ეგ არის... წარმომიდგენია რამდენი დაგქსევა მოსაფერებლად.**

— ქუჩაში ფეხით აღარ დავდივარ. მეგობრებს დავყავარ მანქანით. სულ მალე საკუთარი „მერსედესი“ მეყოლება. მამამ დამასაჩუქრა. ავტოსკოლის დამთავრების შემდეგ ცალკე მომიწყო გამოცდა. სანამ ყველაფერი ხუთიანზე არ ჩავაბარე, მართვის მოწმობის აღების ნება არ მომცა. ძალიან მიყვარს მანქანის სიგნალი და როცა მეგობრების მანქანებზე ვზივარ, სულ სიგნალზე მიდევს ხელი. ასე რომ, სიგნალით მომავალი „მერსედესი“ თუ დაინახეთ ქუჩაში, იცოდეთ, რომ მისი მძღოლი ნამდვილად მე ვიქნები.

*ეკა ლომიძე*






## ტელეპროგრამა

ორშაბათი 6 ოქტომბერი

სამშაბათი 7 ოქტომბერი

ოთხშაბათი 8 ოქტომბერი

ხუთშაბათი 9 ოქტომბერი

პარასკევი 10 ოქტომბერი

შაბათი 11 ოქტომბერი

კვირა 12 ოქტომბერი

# ძველი ქაბულის ბაზარში შევხვდი სიკვდილს პირისპირ



მარჯვნივ მიშა ჯორბენაძე

*ყველაზე „მაგარი“ ქართველი „ბოევიკი“ ჟურნალისტი და ტელეწამყვანი, — ასე მოიხსენიებენ მეცხრე არხის სპორტული გადაცემების წამყვანს* **მიშა ჯორბენაძეს** *მისი კოლეგები. მაყურებელმა კი ალბათ არ იცის, რომ მიშა ავღანეთში იბრძოდა, იგი პროფესიონალი მზვერავი გახლავთ. ამის შესახებ თავად გვიამბობს...*

— 16 წლისას გამიჩნდა სურვილი, ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ სრულიად დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. სკოლაში წარჩინებით ვსწავლობდი და ახლობლებს იმედი ჰქონდათ, რომ არ ვუღალატებდი ოჯახურ ტრადიციას და ექიმი გავხდებოდი, მაგრამ... რიაზანში გავიპარე. მანამდე თბილისის კომისარიატში მივედი და კომისარს ვუთხარი, რომ „დესანტნიკობა“ მინდოდა. გაგიჟდა კაცი, ქართველ ბიჭს ჯარში წასვლა ასე ძალიან უნდოდეს, ჯერ არ მსმენიაო. გავიარე გასაუბრება, ფიზმომზადებაში ნორმატივები ჩავაბარე და როგორც საკუთარი სურვილით მისული, შეღავათებით მიმიღეს სამხედრო საჰაერო-სადესანტო სასწავლებელში. ოჯახში ეს ამბავი გვიან გაიგეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ ჩემთან დავას აზრი არ ჰქონდა. სამი წელი ვსწავლობდი რიაზანში და ეს იყო ჩემთვის ცხოვრების დიდი სკოლა. ოფიცრის წოდება მივიღე და ოთხის ნაცვლად სამ წელიწადში დავამთავრე სასწავლებელი.

**— ვიცი, რომ ბავშვობიდანვე გიჟდებოდი ფეხბურთზე, ჯარში როგორ ძლებდი მის გარეშე?**

— ვინ თქვა, რომ ვძლებდი? სამხედრო გუნდ ЦКА-ში ვიყავი. ფეხბურთი მიადვილებდა ჯარისკაცურ ცხოვრებას. თუმცა, შეუგუებლობას არც არასდროს შევუწუხებივარ.

**— სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ავღანეთში წახვედი?**

— არა. კიშინიოვში გამიშვეს. 20 წლისას ოცეული ჩამაბარეს. იქიდან გადამიყვანეს ტალინში, სადესანტო ასეულში. ეს ასეული საგანგებო დავალებებისთვის იყო განკუთვნილი. მერე გაირკვა, რომ ავღანეთისთვის გვამზადებდნენ. ერთ საღამოს სამხედრო სასტუმროში ვწევარ და ისმის განგაშის ხმა. კოდური სახელის მიხედვით განგაში ომის დაწყების ტოლფასი იყო. ავისხით აღჭურვილობა და აეროდრომზე ჩავდექით მწყობრში. 8 თვითმფრინავში გაგვანაწილეს, აფრინდით და გვგონია, რომ უნდა გადმოვხტეთ პარაშუტით. ჰაერში 6-საათიანი ფრენის შემდეგ კი გამოგვიცხადეს, რომ ჩვენ ავღანეთის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით.

**— რა მოხდა ამ დროს ჯარისკაცებში?**

— უნდა გენახა, რაც იქ დატრიალდა. „დესანტნიკები“ მთასავით წარმოსადეგი ხალხია. ტიროდნენ. ზოგს სამი-ოთხი თვე ჰქონდა დარჩენილი სახლში წასვლამდე და მოულოდნელად ავღანეთში ამოყვეს თავი. ოფიცრები მოთქვამდნენ, ოჯახებს არ დავემშვიდობებივართ, ეს როგორ გაგვიკეთესო. ოფიცრებს კონტრაქტს ავღანეთში წასვლის წინ უფორმებდნენ. ჩვენ კი იქ მოგვაწერინეს ხელი. 8 თვე ვიყავით ავღანეთში. უამრავი დავალება შევასრულეთ. რუსლან აუშევის მიერ ჩატარებულ მნიშვნელოვან ოპერაციებში ვმონაწილეობდით.

**— რომელიმე ოპერაციას ხომ არ გაიხსენებ?**

— პუშტუნთა ტომების ალყაში მოსაქცევად 3000-მდე დესანტი გადაგვსხეს. არასწორად წარმოებულ სამხედრო ოპერაციას 1000-ზე მეტი დესანტი შეეწირა. პუშტუნები ნამდვილი კაციჭამიები არიან. იმ ჯოჯოხეთს მაინც გადავურჩი.

**— ეი, ძალიან ძნელია მედესანტეობა?**

— რუსები ამბობენ: „დესანტნიკ ტოლკო დვე მინუტი არიოლ, ასტალნოე ასიოლ“. თუ სულით არა ხარ „დესანტნიკი“, ისე „ვირულ“ შრომას ვერ გაუძლებ. მთელი წლის ვარჯიშისა და მზადების შემდეგ, შეიძლება მხოლოდ ორი წუთით იყო გმირი და ამით დამთავრდეს კიდეც შენი ცხოვრება. დესანტი ვერ იქნები, თუ სიკვდილის არ გეშინია, შენი ბრმა გმირობა არავის სჭირდება. თუ გეშინია სიკვდილის, დავალებასაც შეასრულებ და გადარჩენის მეტი შანსიც გექნება.

**— ისეთი მომენტი თუ გქონია, რომ უცებ მთელმა ცხოვრებამ თვალწინ ჩაგირბინა, რადგან სიკვდილს უყურებდი თვალებში...**

— ერთხელ დავალებიდან ვბრუნდებოდით, ოცნი ვიყავით. ალყაში მოვექეცით. წესი ასეთია: არასოდეს არ უნდა დაბრუნდე იმ გზით, რომლითაც დავალებაზე წახვედი. ურთულეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით: გვქონდა მძიმე ბარგი, გვყავდა დაჭრილებიც, ბრძოლით გადაღლილებმა ისევ მოკლე, ძველი გზით დავაპირეთ უკან დაბრუნება და კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. საკმაოდ მრავალრიცხოვან და კარგად შეიარაღებულ ნაწილს შევეჩეხეთ და სამსაათიან უთანასწორო ბრძოლაში სასწაულებრივად გადავრჩით ექვსი კაცი. მაშველის მოფრენამდე ძლივს გავიტანეთ თავი. თორემ, რეალური შანსი თითქმის არ მქონდა. ერთხელ ძველი ქაბულის ბაზარში შევეჩეხე პირისპირ სიკვდილს. ჯარისკაცები ნაღმს ამონტაჟებდნენ პატარა საათის მექანიზმში და ბაზარში პურზე და სხვა პროდუქტებზე უცვლიდნენ ისევ მოწინააღმდეგეს. კანონით ეს აკრძალულია, მაგრამ ავღანეთში კანონი არ მოქმედებდა. ერთ დღესაც ბაზარში ერთი ჯარისკაცი მეუბნება, „ლავუშკა“ გავცვალეო, ამის თქმა იყო და დავინახეთ ის ტიპი, ვისაც „ლავუშკა“ ჰქონდა, ჩვენკენ მოდის და კივის, კალცო მოხსნილი აქვსო. საათი რომ აფეთქებული ყო, გადარჩენის შანსი არ იყო. აი, მაშინ კი მართლა წამში გაირბინა თვალწინ მთელმა ცხოვრებამ.

**— ავღანური სინდრომით არ დაავადდი?**

— არა, ოსური სინდრომით უფრო დავიტანჯე. სამაჩაბლოში რომ აირია სიტუაცია, რა თქმა უნდა, მეც ჩავები ბრძოლაში. სამხედრო სასწავლებელში ოსის, ცხინვალელის გვერდით ვიყავი, ის ჩემთვის ქართველი იყო, ჩემიანი. ამიტომ სამაჩაბლოში მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი განვიცადე... ვიყავი ყარაბაღშიც, როგორც სამშვიდობო ჯარის წარმომადგენელი, მერე სომხეთის მინისძვრების „ზაჩისტკაზე“ გადაგვისროლეს. „ავღანელები“ საგანგებოდ შეგვარჩიეს ამ საქმისთვის, რადგან იქ ისეთი საშინელება ტრიალებდა, რომ ექიმებსაც კი უჭირდათ დანახვა. იქ შემემთხვა ლამის სასიკვდილო უბედურება. ხელი მქონდა გაჭრილი, გვამის ვირუსი შემეჭრა ჭრილობაში და პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდა... კინაღამ ხელი გამიხდა მოსაჭრელი. მომჭრიდნენ კიდეც, მაგრამ გამიმართლა. ერევანში ჩამოსულები იყვნენ ლენინგრადელი ექიმები, რათა სამხედრო ექიმებს პრაქტიკულ მუშაობაში დახმარებოდნენ. მათ გამიკეთეს ნარკოზის გარეშე ოპერაცია და გადავრჩი. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის ჯარებს დავემშვიდობე და თბილისის უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიისა და ჟურნალისტიკის სპეციალობას დავეუფლე. ამის მერე საქართველოში განვითარებული ყველა საომარი მოვლენის მონაწილე გახლდით. ახლა იმ ამბების გახსენება შორს წაგვიყვანს.

**— და მაინც იქნებ აფხაზეთთან დაკავშირებითაც გაიხსენო რამე. მას შემდეგ 10 წელი გავიდა, როგორ ფიქრობ, შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო?**

— იცით, რას ვიხსენებ გულისტკივილით? ამ საშინელ ომში იბრძოდნენ ისინი, რომელთაც ნამდვილი ომები მხოლოდ ეკრანზე ჰქონდათ ნანახი და ეგონათ რემბოსავით ბენდენით და „რეიბანებით“ შემკული, „ჟუჟაჩკის“ ლექვით, ავტომატმომარჯვებული დააფრთხობდნენ მტერს, თითქოს მხოლოდ ესენი ესროდნენ და მოწინააღმდეგე გულზე ხელდაკრეფილი იქნებოდა. წელან გითხარით, მედესანტეს და საერთოდ ჯარისკაცს სიკვდილის შიში უნდა ჰქონდეს, ეს მათი მოვალეობაა. უნდა გაურბოდე სიკვდილს და მაშინ ყველაფერს შეძლებ-მეთქი. ქართველი ბიჭები კი აფხაზეთში სიკვდილს ეძებდნენ, თითქოს იხვეწებოდნენ, მომკალითო. აიღეთ ნიჩაბი, სანგარი გათხარეთ-მეთქი — ვეუბნებოდი ბიჭებს, რად მინდაო — გაკვირვებით მეკითხებოდნენ. თავდაცვა თუ არ იცი, ომში იერიშზეც ვერ გადახვალ. ამიტომაც ვაგლახად იხოცებოდნენ ჩვენი მართლაც ვაჟკაცი ბიჭები. მე ვარ პასუხისმგებელი, ძმაო, მე ყველაფერი ვიცი. შენ კი არაფერი — აი, ასეთი ამპარტავანი, უაზრო პოზიცია ჰქონდათ იქ, აფხაზეთში. ჯერ ისედაც სპეციალისტების ნაკლებობა იყო და ვინც რამე იცოდა, იმასაც არავინ უჯერებდა. გენერალი კამკამიძე სწორედ ამპარტავანმა უვიცებმა გააქციეს აფხაზეთიდან.

*ეკა ლომიძე*

# ალპინისტთა ლეგენდარულმა თაობამ კიდევ ერთხელ გადმოხედა საქართველოს...



ხევის პატარძალი მშვიდია და თითქმის შეუვალი

რ ოგორ ამბობს ილია? — გამოვედი თუ არა ვლადიკავკაზიდამ, შევხედე ჩემ წინ აყუდებულ მყინვარსო? მეც თავი გამოვყავი თუ არა კარვიდან, მაშინვე მყინვარწვერისკენ გამექცა თვალი — მთელი ხეობა ჯერ კიდევ გამთენიის იისფერ ნისლში იყო ჩაძირული, მხოლოდ მყინვარს ეხურა მოწითალო მზის სხივები. კარგა ხანს ვფიქრობდი, მზეც რომ ამოსვლისთანავე მწვერვალებს მისჩერებია, ადამიანი რაღას იზამს-მეთქი...

ჩემს სამეზობლოში — კარვებში ეძინათ მწვერვალებისგან მონუსხულ ადამიანებს. გათენებას უდარაჯებდნენ, რომ ჩვენს თავთან გადმოკიდული მთიდან მყინვარწვერის გზას დასდგომოდნენ...

დაღამებისას ხანდაზმულებიც და ახალგაზრებიც ისე შეჰყურებდნენ მყინვარს, თითქოს თავიანთი ცხოვრება, აგერ 10-15 მეტრში, ჩათასა და დევდორაკის ხევში ჩაფერთხეს და მთების გარდა, სხვა აღარაფერი გააჩნდათ — იყო და არა იყო რა...

ალპინისტთა ლეგენდარული თაობა თავს იმძინარებდა, ძალიან კარგად ვიცოდი, 70 წელს მიღწეულ ხალხს გული გამალებით უცემდა — ღელავდნენ ისინიც, ვინც ცხოვრებამ კარგა ხნით მთას დააშორა და ისინიც, ვისაც მთები დღემდე არ მიუტოვებია (ასეთებიც არიან).

ძალიანაც რომ შევხვეწნოდი, ვერც ბერი და ვერც ახალგაზრდა ვერ ამიხსნიდა, რა უნდოდა, რას დაეძებდა მთებში — ამ სიყვარულს ვერავინ არქმევს სახელს, უფრო მეტია, ვიდრე სიტყვები. სიტყვებით მხოლოდ იმას მეტყოდნენ, რომ პირველი ქართველი მთამსვლელის, გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციის 80 წლის აღსანიშნავად აიკრეს გუდა-ნაბადი და მისივე გზით აპირებდნენ მწვერვალზე ასვლას. ეს მეც ვიცოდი, გარდა ამისა, იმასაც ვხვდებოდი, რომ თითოეულს ფიცი ჰქონდა დადებული, რაც არ უნდა მომხდარიყო, მწვერვალზე ასულიყო. დარწმუნებულიც ვიყავი, ამას გააკეთებდნენ. იმასაც ვგრძნობდი, განსაკუთრებულ ადამიანებთან რომ მომიწევდა რამდენიმე დღის გატარება. სხვა თუ არაფერი, ილია გაბლიანის, მიხეილ ხერგიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილის, ზურაბ კუხიანიძის მეგობრებთან ვიყავი და ესენი იმათგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ ბედნიერი შემთხვევის წყალობით კლდიდან არ მოწყვეტილან... მათ სახელებს დიდი სიამოვნებით გავუმხელ „კვირის პალიტრის“ მკითხველს და დავძენ, რომ ქართველები — ძალიან მაგრები ვართ — თუ მოვინდომებთ, „ბებრებსაც“ (ასე სიამაყით ამბობენ) შეგვიძლია მწვერვალების დაპყრობა. მაშ ასე, 2003 წლის 21 სექტემბერს დევდორაკის მხრიდან მყინვარისკენ დაიძრნენ: შოთა მირიანაშვილი (ხელმძღვანელი), ოთარ ხაზარაძე, ომარ ბერაძე, ვასო თევდორაშვილი, ნოდარ ნადირაშვილი, რუსლან ახალაძე, მიტო დანგაძე, რეზო ხაზარაძე; გერგეთის მხრიდან — გივი ქართველიშვილი (ხელმძღვანელი), გიორგი როსტომაშვილი, გურამ კალანდაძე, ბესიკ ბაქრაძე, საშა სტარჩიკი. შედარებით ახალგაზრდებზე და უნივერსიტეტის სტუდენტებზე აღარაფერს ვიტყვი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწვერვალებზე არაერთხელ მოუწევთ ასვლა, მეორეც იმიტომ, რომ 50 წლის შემდეგ მათ გვერდით ჩემზე უკეთესი ჟურნალისტი იქნება... რაღა თქმა უნდა, მხოლოდ სტატისტიკას ავერიდები, თორემ რანაირად შემიძლია არ ვთქვა, რომ იმ დროს, როცა დაღლილი ქართველები ერის დაბერებასა და გარდაცვალებაზე ვლაპარაკობთ, მშვენიერი თაობა მოდის...



მყინვარწვერზე ფეხი შევდგით, „დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“...

## ერი დვრიტას არ კარგავს

...ახლაც მესმის, გუშინ, ცეცხლისპირას დაწყებული სიმღერა. იგი მაშინ დამეწია უკან, როცა ნისლით სველი ღვია გაბრაზებულმა მივატოვე — ამას ცეცხლი არ მოეკიდება-მეთქი... ხეობა ისე გუგუნებდა, 10 მეტრის მანძილზე ერთმანეთისა აღარ გვესმოდა, მაგრამ ვიღაცის დაწმენდილი ხმა დამეწია, მოვბრუნდი. იმ ერთს — სამი სხვადასხვა ხმა აჰყვა... არ ვიცი, მომეჩვენა თუ მართლა ასე იყო — ქართული ხმები ძალიან შორი წარსულიდან ისმოდა. კარგა ხანია ასეთი არაფერი მომისმენია — გოგონები მღეროდნენ. ატკაცუნებულ ღვიას სველი ტანსაცმელი მიაშრეს და ისე ჩვეულებრივად თქვეს, ამ სიმღერებს სოფლებში ვაგროვებთ, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად გვასწავლიანო, თითქოსდა უბრალო საქმეს აკეთებდნენ, თითქოს ადვილი იყოს სოფელ-სოფელ თითოთითო ბგერის მოძიება... ვერ დავინახე, რომელმა, მაგრამ ჩემ უკან ნამდვილად ჩაილაპარაკა ვიღაცამ — ჩანს, ჩვენი საქმე არც ისე ცუდად არისო...

დილით ამ ოთხ მომღერალს კიდევ ოთხი დაემატა და რვავე ავიდა მწვერვალზე (ბიჭებისა არავის უკვირს)...

ბატონ შოთა მირიანაშვილისთვის რომ გეკითხა, 5047 მეტრზე ყველა ქალი ვერ ააღწევდა. სამი მაინც უნდა მობრუნდესო — თვით მასაც კი, ვისაც ამდენი ხანია უნივერსიტეტის სტუდენტები მთებში დაჰყავს, ვერ წარმოედგინა, რომ ქალები ასეთ დატვირთვას გაუძლებდნენ — მყინვარზე ასვლა არც ისე ადვილია, მით უმეტეს, დევდორაკის მხრიდან, სადაც უამრავი ფლატე და ნაშალია, სადაც, ბოლოს და ბოლოს, ის ხალხიც მოგვყვება, რომლებსაც დიდი ხანია მთის ბილიკები აღარ მოუსინჯავთ...

## გზაში

გზა ციცაბო და ვიწროა, ნაშალზე რომ დადიხარ, ეს არაფერი, კლდეზეც უნდა იცოცო,.. თანაც წყალიც თავდება... თუ ახალგაზრდებს მუხლი უჭრით, ხანდაზმულებს სულიერი სიმტკიცე მოსდევთ, — სიკვდილის ფასად რომ დამიჯდეს, მწვერვალზე მაინც ავალო, — ომარ ბერაძემ (დანარჩენები არ ლაპარაკობენ, მაგრამ ასე ფიქრობენ...). „მაილის პლატოზე“, სადაც უზარმაზარი თოვლის მოედანია, მაინცდამაინც ვეტერანების „პრიმუსი“ ფუჭდება, ძნელია ამდენი კაცისთვის ორი „პრიმუსით“ თოვლის ჩაიც აადუღო და წვნიანიც მოხარშო. — თოვლი მართალია წყურვილს ვერ კლავს, მაგრამ ტუჩებს მაინც ასველებს... ღამით, 10-15 გრადუს ყინვაში, კარავში, სულ მცირე, 4 კაცს სძინავს. ზედ ორთქლად ქცეული ჰაერი აწვიმთ (მაშინ ამბობს ვასო თევდორაშვილი: ხვალ თუ ვინმე იტყვის, დღეს მწვერვალზე ასვლას ვერ შევძლებ, ავდგები და მარტო წავალო!)...

მწვერვალზე ასვლის დილას მშვენიერი ამინდია, თუმცა მთაში ამინდს ვერ ენდობი, თუ გაწვიმდა, შესაძლოა, მწვერვალზე ვერც ახვიდე... მაგრამ როცა რაღაც ძალიან გინდა, განგება გეხმარება, მეორე დღეს, 25 სექტემბერს მწვერვალამდე ყველა აღწევს...

## მწვერვალზე

**შოთა მირიანაშვილი:** — ბოლო წუთებში ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ მწვერვალზე რომ გადმოდგა, ყველას დაავიწყდა, რა ტანჯვაწამებით იარა. მწვერვალი ასეა — თუ ასვლამდე 5 მეტრით ადრე ამბობ, ოღონდ ახლა ავაღწიო, მერე ჩემი ფეხი აქ აღარ იქნებაო, როცა ზედ შედგები, ისეთ შვებას გრძნობ, რომ გითხრან, ახლავე ევერესტზე წამოდიო, შეიძლება უკანმოუხედავად გაეკიდო.

მწვერვალზე ასვლისას ზღაპრული ამინდი იყო. 3000 მეტრის სიმაღლემდე ნისლი იწვა. შიგ კავკასიონის მწვერვალები ამოჩრილიყო. ღირდა ნახვად. ზოგი ჩვენგანისთვის ეს პირადი საიუბილეო მარშრუტიც იყო — 50 წლიწადი შესრულდა, რაც 1953 წელს მყინვარწვერზე ავედით. მაშინ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ნიკო კეცხოველი იყო რექტორი.

**— მაშინაც ასეთ გუნებაზე იყავით?**

— უგუნებოდ რატომ უნდა ვყოფილიყავი? ახლაც ძალიან კარგად ვარ — ძველ მეგობრებთან ერთად ავედი ამხელა სიმაღლეზე. თანაც როდის? — როცა ზოგიერთი მთაში 25-30 წელია აღარ ყოფილა. ამას ისიც დაამატე, რომ 70-72 წლისანი ვართ. მსოფლიოში არ ყოფილა შემთხვევა ამ ხნის ხალხი ასეთ სიმაღლეზე ასულიყო... ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო. უნიკალური მოვლენაა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ექსპედიციისთვის თავი არავის შეუწუხებია. ახალგაზრდები ძველებურად უნივერსიტეტმა დააფინანსა. ვეტერანებზე ნოდარ ნადირაშვილის მეგობარმა გერმანელებმა იზრუნეს (არის ასეთი „ინტერნეიშნელ ჰილსფონდი“. ამ ფონდმა ექსპედიციისთვის ერთი წლით ადრე დაიწყო მზადება, მან ტანსაცმელი და სურსათი აჭარის კულტურის ფონდს გადასცა, რომელსაც მაშინ აწ განსვენებული მაგული გოგიტიძეაბაშიძე ხელმძღვანელობდა, მან ვეტერანი მთასვლელები დაასაჩუქრა, ამიტომაც ამ ხალხმა ეს ასვლა მის ხსოვნასაც მიუძღვნა).

## სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ასვლა...

**ნოდარ ნადირაშვილი:** — 2 წლის წინ ციურიხიდან თბილისში მოვფრინავდი. თვითმფრინავში „ჰერმეტიზაციის გარღვევა“ მოხდა. ამ დროს 100 მგზავრიდან 98 იღუპება. თუკი მფრინავი შეძლებს და თვითმფრინავს „ჩამოაგდებს“, ხალხი გადარჩება. ჩვენმა მფრინავმა ეს გააკეთა — 7000 მეტრიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე „ჩამოვვარდით“. გადავრჩით, მაგრამ მთელი სალონი დაავადდა. მე მოციმციმე არითმია დამემართა და 2 წელიწადია დილა-საღამოს წამალს ვსვამ. მწვერვალზე ასვლით კიდევ ერთხელ დავუმტკიცე ჩემს თავს, რომ ბებრის გაახალგაზრდავებაც შეიძლება. ავედი! თანაც მაშინ, როცა 25 წელია ამხელა სიმაღლეზე აღარ ავსულვარ... წესით, უნდა გამჭირვებოდა. მე მქონდა საჭოჭმანოდ საქმე, თორემ შოთა მირიანაშვილს რა უჭირს, ამდენი წელიწადია მაგას და დიტო დანგაძეს სტუდენტები დაჰყავთ ალპინიადებზე.

**ომარ ბერაძე:** — მემკვიდრეობით დიაბეტი მაქვს, დედაჩემსაც ჰქონდა და ბებიაჩემსაც. ექიმმა მითხრა, კარგად რომ იყო, დღეში 5 კილომეტრი მაინც უნდა იაროო. 10 კილომეტრს დავდივარ, მწვერვალზეც ავედი — ვაჯობე ავადმყოფობას... უნდა მოვრეოდი — სხვანაირად არ შემეძლო.

**ელგუჯა ბერიშვილი** (ჟურნალისტი): — პირველად ავედი მწვერვალზე, ისე გამიჭირდა, კინაღამ უკან დავბრუნდი, მაგრამ შემრცხვა. შოთა მირიანაშვილისა და ვასო თევდორაშვილის შემხედვარე ვფიქრობდი, ამ ხნის ხალხი ახალგაზრდებს ეხმარება, მე მარტო ჩემს თავს როგორ ვერ უნდა ვუპატრონო-მეთქი... ძალიან საინტერესო ხალხია, ღირდა მათთან ყოფნა...

## შტრიხები წარსულიდან

## პარაშუტის ყელსახვევი

**ნოდარ ნადირაშვილის** ნაამბობი: — 1960 წელია. „პობედაზე“ ვართ. რუსების სიგნალი მივიღეთ მწვერვალიდან — თუ გვიშველით, გადავრჩებით. ყველაფერი მიატოვეთ... ამა და ამ სიმაღლეზე, ჩვენს ბანაკში, სურსათი დაგხვდებათო. წავედით. არც სურსათი დაგვხვდა და არც არაფერი — თვითონვე გავხდით დასახმარებლები. რამდენიმე ხნის შემდეგ თვითმფრინავებიდან პარაშუტებით ჩამოგვიყარეს საჭმელი. ჩინეთის საზღვარზე ვიყავით, პარაშუტები ჩინეთში ცვიოდა. როგორც იქნა, ერთი ჩვენთანაც ჩამოვარდა... მივრბივარ და მომდევს სოლიკო ხაბეიშვილი — მინდა გავასწრო, საჭმელი კი არ მაინტერესებს, პარაშუტი მჭირდება — კარგი ქსოვილია, წყალს არ ატარებს და კარგ კომბინეზონს გამოვკრავ ხელს... უეცრად სოლიკომ დამიძახა, — მიშველეო. ვხედავ, ნაპრალშია. მოკლედ, აქეთ ძმაკაცია და იქით პარაშუტი! მოვბრუნდი, დავასვე პალო, დავრწმუნდი, სოლიკოს არაფერი მოუვა-მეთქი და ისევ პარაშუტისკენ გავვარდი და... გავინაღდე! სოლიკოც ამოვიყვანეთ, მაგრამ გული ასჩუყებია და ბიჭებთან „ჩამიშვა“ — ნოდარმა პარაშუტში გამცვალაო. მასე არ უნდაო, ჩემი პარაშუტი გაუფენიათ და 14 ნაწილად დაუჭრიათ (რამდენიც ვიყავით!), ერთი ნაწილი მე შემხვდა და როგორც ხედავთ, დღემდე შემომრჩა (და ბატონი ნოდარი სიყვარულით ისწორებს მჭახე ნარინჯისფერ ყელსახვევს, — ე.ე.).

## მერე კი ავედი, მაგრამ გული მაინც მტკიოდა...

**ვასო თევდორაშვილის** ნაამბობი: — როცა გადაწყვეტით იტყვის ადამიანი, ამასა და ამას გავაკეთებო, გააკეთებს კიდეც... მაგრამ რასაც აკეთებ, იმ საქმისა ყველაფერი უნდა გესმოდეს... მთაზე ასვლა მარტო ის არ არის, პალო დაასო და... აცოცდე. არა, ბატონო! იმ კლდისა ყველაფერი უნდა გესმოდეს. საბჭოთა კავშირის გუნდი შვეიცარიაში წასასვლელად ვემზადებოდით. ექვსი თვე ვსწავლობდით ყველა სახის კლდეზე ცოცვას. ჩამოვედი თუ არა, წავედი ექსპედიციაში და — უშბაზე ავალ-მეთქი, გამოვაცხადე. მარტო ვერ წახვალ, ვინმე წაიყვანეო. კარგი-მეთქი და... წავიყვანე. მე წინ მივცოცავ, ის უკან — გამოუცდელია. ვწვალობთ. დავასვე პალო და ყველაზე ძნელ ადგილზე გადავედი... ვაი, ამ გადასვლას — მივიხედე და ჩემი თანამგზავრი არ მომდევს — ქვემოთ დარჩენილა, თანაც ველარ ვხედავ, კლდე ეფარება. ვეძახი — ესა და ეს გააკეთე-მეთქი, უკუღმა აკეთებს... რა გინდა, რომ ქნა?! — არადა სულ ცოტა, 300 მეტრი თუ მექნება მწვერვალამდე დარჩენილი. ვდგავარ, გული ზემოთ მეწევა, გონება — ქვემოთ. მაინც უკან დავბრუნდი... სხვა დროს უშბაზე მაინც ავედი, მაგრამ ის გულისწყვეტა არ დამვიწყებია...

## აღარ გყავს ბებია

**რეზო ხაზარაძის** ნაამბობი: — ბებიამ გამზარდა. ჩემზე ამოსდიოდა მზე. მეც ძალიან მიყვარდა. მაღლაკში ცხოვრობდა. თბილისიდან რომ ჩავიდოდი, ღობეზე გადავხტებოდი და ლოგინში შევუწვებოდი. ყველაფერს გამომკითხავდა ხოლმე. ჰოდა, ვართ ერთხელ ბაკურიანში ვარჯიშზე... ბებია გარდაცვლილა და დეპეშა გამოუგზავნიათ. ვერ მეუბნებიან ბიჭები. დავსხედით სუფრასთან. მაშინ ერთი სიმღერა იყო მოდაში: „ბებია მყავდა, მიყვარდა...“ ილიკო გაბლიანმა მითხრა: იმღერეო... ავმღერდი, ეზხში რომ შევედი, ბიჭებმა რომ იციან, ისეთი უხიაგი ჟესტი მაჩვენა ილიკომ: აი, შენი ბებია!.. აღარ გყავსო... თან დეპეშა დამიდო წინ. წამოვვარდი, დავავლე დანას ხელი და გავეკიდე. მირბის ილიკო და მივდევ... მოგკლავ-მეთქი. გამასწრო, ვერ დავეწიე — სიკვდილშიც გამასწრო... 7000 მეტრის სიმაღლეზე, ყინულშია შეხვეული. ყველა წავალთ და ის დარჩება...

კუხო და ჯუმბერი როგორ იღუპებოდნენ, ქვემოდან ვუყურებდით, — 40 მეტრის სიმაღლიდან უფსკრულში გადაფრინდნენ... ჩვენ გამოვიარეთ ის გზა, იმათმა ვერა...

## რატომ მიდიან მთებში?

ნუთუ იქ ყველაზე დიდი ჯილდო უფსკრულებში სიკვდილია, რათა მერე ლეგენდად დარჩე?... ვითომ სხვა რა ჯილდო აქვთ მთამსვლელებს? მწვერვალებზე ტონიანი ზურგჩანთები ააქვთ და ჩამოაქვთ. ამ საქმისთვის ტაშსაც არავინ უკრავთ... მაინც რა არის მთაში იმისთანა, რომ გამოყინულ კარვებში (ან უარესი — კლდეზე თოკით გადმოკიდებულებს) ძილი ურჩევნიათ საბან-ბუმბულში წოლას... მაინც რა — სიმაღლეზე დგომის უპირატესობა თუ მიწაზე ძილისას მიწის მომნუსხველი სილბოს შეგრძნება?..

აქ, მთებში, ვინმეს ამ კითხვაზე პასუხი რომ მოსთხოვო, სიცილად არ ეყოფა... არც ღირს. ისიც საკმარისია, რომ აქ, მთაში სახეები უბედნიერდებათ და წარმოუდგენელი რამ შეუძლიათ აკეთონ — მაგალითად, ჩემ თვალწინ ნუნუ ლაცაბიძე ერთი სოკოსთვის 5-მეტრიან ლოდზე მიცოცავს. მერე რა, რომ სოკო ბებერია, სამაგიეროდ, ქალბატონი ნუნუა ბედნიერი, არადა რამდენიმე დღის წინ მეზობელს შესჩიოდა თურმე, კიბეზე ველარ ავდივარო. აი, ეს შეუძლია მთას.. მთაში შეგიძლია წვიმის ტბორშიც მშვიდად გამოიძინო და სამშობლოს მიწაზე ტკბილად დადო თავი. რა ქართველი ხარ, მიწა თუ არ იგრძენიო, — ამბობენ ალპინისტები... მე რა ისეთი სანიმუშო ქართველი ვარ, მაგრამ აქ, მთაში, მშვენივრად ვხვდები, რომ ვისაც მწვერვალიდან საქართველოსთვის გადმოუხედავს, მას უფრო მეტად უჭირს იმის შეგუება, რომ ამ მიწებს და მთებს ვკარგავთ...

და კიდევ ერთი:

## მთაში ერთიანდებიან

...ნამდვილად არ ჩავეძიები, რა მიზეზით, მაგრამ 2001 წელს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის ალპინისტების ერთმა ნაწილმა ახალი — მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია შექმნა. ორივე ფედერაცია ცალ-ცალკე, სხვადასხვა მხრიდან, ერთი და იმავე მიზნით ავიდა მწვერვალზე. ერთმანეთთან შეხვედრა არც უფიქრიათ (იქნებ არ უნდოდათ), მაგრამ განგებამ მათი სავალი გზის სიძნელე მოაწყო, ისე მაინც შეხვდნენ... იქ, ერთმანეთს გზა დაუთმეს და გამარჯვებაც უსურვეს... უფრო მეტიც — ერთმა ექსპედიციამ (გივი ქართველიშვილისამ) — მყინვარწვერზე, 3000 მეტრის სიმაღლეზე სუფრა გაშალა და მოგვიანებით მძიმე ასვლიდან დაბრუნებულ მთამსვლელებს ცხელი წვნიანი და ჩაიც მიართვა (ხუთი დღით თოვლ-ყინულის სამფლობელოში გამოკეტილებისთვის „ცხელი“ იყო მთავარი, თორემ იმ სუფრაზე ქალაქში რომ გაჰკვირვებიათ, ისეთი დელიკატესებიც იყო)...

...როგორც ჩანს, ყველანაირ სიმაღლეზე ერთად უნდა ადიოდნენ ქართველები — განგება დათითოკაცებულებს ვერ გვიტანს, მით უფრო მაშინ, როცა მიზანია მისაღწევი...

*ეთერ ერაძე*

ახალგაზრდების ხმები მოედო ფერდობებს



# პატარ-პატარა ამბები, ანუ როცა ჩვენთან მეგობრობა სურთ...



**ჩვენს ფოსტაში უამრავი წერილი დაგროვდა. არ გვინდა ერთგულ მკითხველს გული დავწყვიტოთ და ამიტომ მცირე შემოკლებით გთავაზობთ პატარ-პატარა ამბებს — გვწერენ თავიანთ ცხოვრებაზე, გვიზიარებენ შეხედულებებს და ჩვენგანაც ელიან რჩევას.**

## სიყვარულს ნუ დათმობთ

„ძვირფასო „კვირის პალიტრავ“, მოგესალმებით დიდი სიყვარულით. მამაკაცი გახლავართ, მაგრამ უპირველესად ქალთა გვერდს ვკითხულობ. არცაა გასაკვირი, აქ ხომ ადამიანის სიხარულსა და დარდზეა საუბარი... უკვე იმ ასაკში ვარ, როცა წარსულის გაანალიზების დრო დგება. ძალიან ამაფორიაქა ლევანის („უსიყვარულოდ“...) წერილმა. ოჯახის პატრონი — ძველ სიყვარულს მისტირის... მისმა ამბავმა ჩემი გამახსენა და გული დამიმძიმა.

მე და ჩემი შეყვარებული თანასოფლელები ვიყავით. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. სწავლა ორივემ დედაქალაქში განვაგრძეთ. მერე უფროსები ჩაერივნენ ჩვენს ურთიერთობაში და დიდი ხნის ჩიჩინის შემდეგ ცოლი „შემრთეს“. ახლა ვბრაზდები საკუთარ თავზე, მაგრამ რაღა დროს? ეტყობა, ძალიან მერყევი და სუსტი ვიყავი...

ის აღარ გათხოვდა. საფუძვლიანად დაეუფლა თავის სპეციალობას და დღეს ქალაქში ცნობილი პედაგოგია...

დიდი ხნის მერე ვიპოვე გზა — მასთან მისასვლელი. წელს ჩემი ვაჟი სკოლას ამთავრებს და მოსამზადებლად მასთან მივიყვანე. ალბათ სისულელეა იმაზე ფიქრიც კი, რომ ჩემი და მისი ურთიერთობა შეიძლება სხვაგვარად წარიმართოს, მაგრამ მერწმუნეთ, მე იმითაც ბედნიერი ვარ, მას რომ ვუყურებ, მისი ხმა რომ მესმის. ვატყობ, ისიც განიცდის ჩემთან შეხვედრას. ჩემს ვაჟს ხანდახან ჩემი სახელით მიმართავს... ეს ქალი ჩემი პირველი და ბოლო სიყვარული აღმოჩნდა.

ახალგაზრდებს ვურჩევდი: როცა ეს გრძნობა გეწვევათ, არ აჰყვეთ სხვათა ენას, უსმინეთ მხოლოდ საკუთარი გულის ხმას და მერწმუნეთ, საყვარელი ადამიანის გვერდით ყველა გაჭირვებას იოლად გადაიტანთ.

***გიორგი“***

## ცხოვრება ულიმღამოდ მიდის

„ახლა მწარედ მეღიმება ჩემს გულუბრყვილო ნათქვამზე, როცა ახლობლებს ვარწმუნებდი, — ქმარი არასოდეს მიღალატებს, იმიტომ რომ ვუყვარვარ-მეთქი. თურმე, ჭურში მეძინა. მე ბავშვების მოვლა-პატრონობით ვიყავი გართული, ის კი — საყვარლის ფერებით. ახლაც მიკვირს, რატომ არ ვეჭვიანობდი. ქმრის მანქანაში არაერთხელ მინახავს ის, მისი თანამშრომელი, რომელიც ვითომ „საქმის“ გამო დაჰყვებოდა ჩემს ქმარს. დღემდე ვერ ვპატიობ საკუთარ თავს: რატომ ვენდობოდი ქმარს, ან როცა გავიგე, მღალატობდა, რატომ არ გავცილდი? ხშირად მამცირებდა — „შენ რა გესმის,“ „რას ბჟუტურობო“... და ამ შეურაცხყოფას ოჯახის შენარჩუნებისა და შვილების მშვიდი ცხოვრების გამო ვითმენდი. რა გამოვიდა? ქმარმა მაინც დატოვა ოჯახი. ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობს იმ ქალთან ერთად. შვილებს ხანდახან უგზავნის ფულს.

ზოგჯერ ისეთ დეპრესიაში ვვარდები, რომ სიკვდილი მინდა, მაგრამ ვიცი, ეს დიდი ცოდვაა, თანაც შვილები ჯერ არ დამიყენებია ფეხზე. როცა ისინიც ოჯახს შექმნიან, მე სულ მარტო დავრჩები... ვერაფრით ვივიწყებ წარსულს, რომელმაც სულში დიდი იარა დამიტოვა.

ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოვიყურები. ვცდილობ, სხვების დასანახად თავაწეულმა, ამაყად ვიარო, მაგრამ მარტო დარჩენილს საშინელი დეპრესია მიპყრობს. ცხოვრება კი ულიმღამოდ მიდის...

***რუსთავი, თქვენი ერთგული მკითხველი“***

## რას მირჩევთ?

„იცით, რამდენი ხანია ვწვალობ და ვერ გადამიწყვეტია, რა გზას დავადგე? თქვენი რუბრიკით ბევრი პუბლიკაცია დაბეჭდილა, სადაც ადამიანის ნებისმიერი პრობლემა და სატკივარი გაშუქებულა. გულის კუნჭულში ყოველთვის მიხაროდა, როცა მამაკაციც გეხმიანებოდათ... ბოლოს ვიფიქრე: რა მოხდება, მეც რომ გავუზიარო ჩემი დარდი, იქნებ გამოსავალი გამოიძებნოს-მეთქი. იმედია, არ დამცინებთ და თუკი რჩევას ვერ შემომთავაზებთ, უბრალოდ, თანამიგრძნობთ მაინც.

ცოლი სიყვარულით მოვიყვანე. მართლაც, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ლამაზი რომანი გვქონდა. გოგონა შეგვეძინა. ცოტა ხანში ისეთი რამ მოხდა, ერთად ცხოვრება ვერ შევძელით. მართალია დავშორდით, მაგრამ იმედი მქონდა, რომ კვლავ შევრიგდებოდით (მაპატიეთ, რომ უთანხმოების მიზეზს ვერ ვასახელებ). იშვიათად ვხვდებოდით, მაშინ, როცა ბავშვის გასასეირნებლად მივიდოდი. ვგრძნობდი, რომ ისევ ძალიან მიყვარდა, უფრო მეტადაც, ვიდრე ადრე, მაგრამ მინდოდა მას გადაედგა შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი. გამოხდა ხანი. ორი წლის მერე იგი გათხოვდა. ვერ აგიწერთ, ეს რამხელა ელდა იყო ჩემთვის, მაგრამ სხვების დასანახად „კაცურად“ გადავიტანე. რახან მარტო დავრჩი, ახლობლები შემიჩნდნენ და ერთი სანდომიანი ქალი გამირიგეს. ჩემი მეორე ცოლი კარგი დიასახლისი, სასიამოვნო მოსაუბრე და სანათესავოს პატივისმცემელი გამოდგა. არ შეიძლებოდა ასეთი ქალის მიმართ გულგრილი დავრჩენილიყავი. ბოლოს და ბოლოს, იგი ჩემი მეორე შვილის (ვაჟიშვილი შეგვეძინა) დედა იყო. სამდურავი ნამდვილად არაფერი მქონდა მის მიმართ. თავისებურად მიყვარდა კიდეც, მაგრამ საკმარისი იყო იმ პირველს შევხვედროდი, რომ ყველაფერი თავდაყირა დგებოდა. გაღიზიანებული დავდიოდი, ყველაფერზე ნერვები მეშლებოდა. თავიდან მიკვირდა, რატომ მემართებოდა ეს, მერე კი მივხვდი, ჩემი „უგუნებობის“ მიზეზს — ისევ ის მიყვარდა იმ გამოუცნობი გრძნობით, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ვერც ახსნი: რატომ და რისთვის გიყვარს ერთი ქალი, თითქოსდა არაფრით გამორჩეული, მაგრამ მაინც სხვისგან განსხვავებული და შეუდარებელი. ზოგჯერ, ისეთ რამეს მეტყოდა (გაშორების მერეც კი), რომ ბოლომისგან ლამის გული გამხეთქოდა, მაშინ, როცა მეორისგან ხმამაღალი ან სასაყვედურო სიტყვაც კი არ გამიგია. გავიდოდა რამდენიმე ხანი და კვლავ მასთან ყოფნა მინდოდა, მისი ხმის გაგონება მსურდა... ასე გაგრძელდა შვიდი წელი. ახლა ვიცი, რომ მეორე ოჯახიც დანგრევის პირასაა (მას მეორე ქმრისგანაც გოგო ჰყავს, მე კი — ვაჟიშვილი). ჩვენ უკვე მოვილაპარაკეთ და მომავალიც დავგეგმეთ — გვინდა, რომ კვლავ ერთად ვიყოთ, რადგან მანაც აღიარა, ისევ მიყვარხარო, ვიცი, იგი მალე „მოაწესრიგებს“ თავის ოჯახურ საქმეს, განქორწინებასაც იოლად მოახერხებს, მაგრამ მე ორ ცეცხლშუა ვარ. რაც დრო გადის და გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება, მით უფრო შავ დღეში ვარ. მებრალება ჩემი მეორე მეუღლე, როგორ ვუთხრა სათქმელი, არც კი ვიცი. არადა, მან რა დააშავა, თუკი მე ჩემს გრძნობაში დროულად ვერ გავერკვიე, თავს ძალა აღარ დავატანე და ოჯახის შესაქმნელად სასწრაფოდ შევირთე იგი ცოლად?! ვიცი, რომ მას ვუყვარვარ. ისიც ვიცი, რომ არანაირ წინააღმდეგობას არ გამიწევს, მაგრამ გული მეკუმშება, როცა წარმოვიდგენ მის ნაღვლიან სახეს... მირჩიეთ რამე, როგორ მოვიქცე? იქნებ ეს კითხვაც სრულიად ზედმეტი და უადგილოა, რადგან იმ პირველის გარეშე ჩემთვის ყველაფერი სულერთია...

***უცნობი“.***

## ნუ დამივიწყებთ

„თებერვალში გავიკეთე მძიმე ოპერაცია. წინასწარ საკუთარი თავი გამოვიტირე, მაგრამ ჯერჯერობით ცოცხალი ვარ.

მახსენდება ჩემი სამსახური. ერთ დროს ძლიერი ორგანიზაცია. შემცირება რომ დაიწყო, მეც, სხვებთან ერთად, გარეთ აღმოვჩნდი. რაიონიდან გახლდით. დაუმთავრებელ სახლში ასევე დაუმთავრებელი ერთოთახიანი ბინა მომცეს. მარტოდმარტოს, უფულოს — რა უნდა გამეკეთებინა? როცა ჩვენს ორგანიზაციაში ახალი დირექტორი მოვიდა, ასე განაცხადა: ეს სავარძელი სულაც არ მინდოდა, მაგრამ იმ პირობით წამოვედი, რომ ვინც მე მინდა, ის ვიყოლიო ჩემ გვერდითო. იქაური თანამშრომლები ყველა ერთად გამოგვრეკა. ახლა სოფელში ვარ, მძიმედ ავადმყოფი — დედას ვუვლი, ისიც ცუდად არის და ასე უსახსროდ და უიმედოდ გადის დრო. არავისგან არაფერს ვითხოვ. მინდა მხოლოდ ის ადამიანური სითბო და თანაგრძნობა, რომელიც დღეს ასე სჭირდება უსასოდ დარჩენილს. მინდა თქვენი გაზეთით (იმედია, არ მკრავთ ხელს და წერილს დამიბეჭდავთ) შევეხმიანო ჩემთვის ძვირფას ადამიანებს: გივი ოდიშარიას, თემურ შენგელიას, ნათელა თოიძეს. ძალიან მენატრებით. იქნებ გაგახსენდეთ თქვენი ლაურიკა, რომელსაც ხან „დილის ღიმილს“ ეძახდით, ხან „სიცოცხლის ელექსირს“. ხომ გახსოვთ ჩემი სოფელი და ის სახლი, სადაც არაერთხელ ყოფილხართ სტუმრად. ჰოდა, კიდევ ერთხელ მესტუმრეთ, გავიხსენოთ ძველი, ტკბილი დრო.

***ლაურა ფალაშვილი“***

## მიყვარხარ და მეყვარები...

„გთხოვთ ეს წერილი გამომიქვეყნოთ. „ის“ უსათუოდ წაიკითხავს და გული მოულბება. ვგრძნობ, უაზროა უმისოდ ჩემი ცხოვრება. სანამ ძალიან გვიან არ არის, მინდა გამოვასწორო შეცდომა, რითაც უსაყვარლეს ადამიანს გული ვატკინე...

მე და სალომეს ერთმანეთი სტუდენტობისას შეგვიყვარდა. ყველამ იცოდა, რომ ის ჩემი საცოლე იყო. ბოლო ხანს ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. ერთხელ მითხრა, — ბავშვს ველოდებიო. დავიბენი, მერე კი ვურჩიე: ჯერ ნუ გააჩენ, რა გვეჩქარება, ერთი წელი კიდევ წინ გვაქვს, დავამთავროთ ინსტიტუტი და მერე შევუღლდეთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ეწყინა. იმ დღის მერე გამირბოდა. რას ჰქვია, საცოლე გამებუტა-მეთქი და მის გასაბრაზებლად სხვა გოგოებთან დავიწყე სიარული. მეგონა, სხვასთან რომ დამინახავდა, დააფრთხობდა ჩემი დაკარგვა და თავად შემირიგდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. იმ პერიოდში მამაჩემის მეგობრის შვილთან ვსეირნობდი. მისიანებმა ეს რომ გაიგეს, ჩვენი დაოჯახება მოინდომეს. მამაჩემმაც იგივე მომთხოვა: შეირთე, თორემ შენს მამობაზე უარს ვიტყვიო. მივხვდი, ხუმრობა ტრაგედიაში იზრდებოდა, მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და დავყევი უფროსების ნებას.

სალომე იმ დღიდან გაქრა. როგორც მაშინ მითხრეს, იმ ქალაქში დაბრუნდა, საიდანაც წარმოშობით იყო. ბოდიშს აზრი აღარ ჰქონდა, ვიცოდი, მაინც არ მაპატიებდა. ხელი ჩავიქნიე არა მარტო სალომესთან შერიგებაზე, არამედ მთელ ცხოვრებაზე. შემეძინა ვაჟი, მერე ქალიშვილი. შვილებთან ურთიერთობა მახარებდა, მიიოლებდა „რაღაც-რაღაცებს“, მაგრამ ის სიყვარული, რომელიც სალომეს მიმართ მქონდა, აღარ მოვიდა. ცოლს რთული, ჩემთვის მიუღებელი ხასიათი აღმოაჩნდა (ან იქნებ მე მქონდა მისთვის მიუღებელი ხასიათი!), მივხვდი, რომ აღარ შემეძლო მასთან ცხოვრება და გავცილდი. ამ რამდენიმე თვის წინ სრულიად შემთხვევით (ან იქნებ არც იყო შემთხვევით?!) გავიგე, რომ სალომე და მისი 15 წლის გოგონა ცხოვრობენ თავიანთ ქალაქში. ალბათ მაშინ არ მისულა ექიმთან, ის გოგონა უთუოდ ჩემი შვილია-მეთქი, — ამოვიჩემე. რა მომასვენებდა, ჩავედი კიდეც, შორიდან ვუთვალთვალე დედასაც და შვილსაც და დავრწმუნდი, თათია ნამდვილად ჩემი ღვიძლია. მგონი, სალომემ შემამჩნია, მიცნო, მაგრამ ცივად მაქცია ზურგი...

დავბრუნდი თბილისში ისე, რომ ვერ გავბედე მათთან მიახლოება. დარდსა და წვალებაში გავატარე ეს ერთი კვირა, მერე კი გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა წერილი. მხოლოდ მისი გამომზეურების მერე თუ შევძლებ სალომესთან მისვლას და პატიების თხოვნას.

ჩემო სალომე! ვიცი, დღემდე დარდით სავსე გულით დადიხარ, ვიცი, ცუდად მოვიქეცი. შენ არ იმსახურებდი ამას, უფრო სწორად, ჩვენი სიყვარული არ იმსახურებდა ჩვენს ცალ-ცალკე ყოფნას... დავაშავე, მაგრამ გეფიცები, მაშინაც ძალიან მიყვარდი, როცა გეუბნებოდი, ექიმთან მიდი-მეთქი. უბრალოდ, ვერ ვაცნობიერებდი იმას, რომ გულს გტკენდი და... ჩემი როყიო ნათქვამით დაგკარგე...

შენ ჩემზე ძლიერი აღმოჩნდი. არავისი აღარ გამხდარხარ, შვილს შეალიე ყმაწვილქალობა. დამერწმუნე, შენზე მეტად მე ვიტანჯებოდი. უსიყვარულოდ, მხოლოდ მოვალეობით (ოჯახისა და ახლობლების მიმართ) ვცხოვრობდი. ჩემი ბუნების კაცისთვის ეს დიდი სასჯელია.

მაპატიე, ყოველთვის მიყვარდი და მეყვარები.

ახლა მარტო ვცხოვრობ. შვილების სიყვარული რასაც მავალებს, იმას ყოველთვის გავაკეთებ და ვიცი, ამაში შენც არ შემიშლი ხელს. მოდი, შევრიგდეთ. თითქმის 16 წელი გავიდა. ახლა, როცა გნახე, როცა გავიგე, რომ მარტო ხარ, რა გამაძლებინებს უშენოდ?

სადაცაა, 40-ს მივუკაკუნებ და კვლავ ჭაბუკივით აღტაცებული გწერ წერილს. სიტყვებსაც ვეღარ ვპოულობ იმისთვის, რომ აგიხსნა, როგორი ძვირფასი ხარ ჩემთვის. შენ და ჩვენი თათია — ორივე უსაშველოდ მიყვარხართ.

ამ წერილს რომ წაიკითხავ, ნუ გამკიცხავ... თუ გინდა, გამკიცხე, ოღონდ დამირეკე. მე ისევ ჩემი მშობლების ბინაში ვცხოვრობ...

***გურამი“.***

**ძვირფასო მკითხველო! კვლავაც ველით თქვენს წერილებს, ჩვენ კი დავამატებთ, ვეცდებით, იმედები არ გაგიცრუოთ, მუდამ თქვენს გულში მატკივრად გვიგულეთ. ჩვენი გაზეთი ხომ თქვენია, ეს რუბრიკა კი თქვენი ცხოვრების ასავალ-დასავლის ამსახველი.**

***მარინა ბაბუნაშვილი***

# პარლამენტში კაი კაცები უნდა იყვნენ

***ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ მორიგ „ფიქრთ გასართველად“ საარჩევნო თემას შემოგთავაზებთ და თქვენთან ერთად ვეცდები, გავარკვიო, რა მოხდება 2 ნოემბერს. უფრო სწორად კი, როგორ შეიძლება მიიღონ ხმები დეპუტატობის მოსურნეებმა სუსტი სქესის ელექტორატისგან და საერთოდ, რა გავლენას ახდენს საზოგადოებაზე საარჩევნო-სარეკლამო კამპანია, იქნებ ზოგს სულაც ლამაზი თვალებისთვის მისცენ ხმები?! ქალბატონების აზრი ჩვენი დედაქალაქის ქუჩებში ჩავიწერეთ.***



**ნათელა (56 წლის):** — აქვს თუ არა მნიშვნელობა დეპუტატობის კანდიდატის გარეგნობას? უიმე, ნეტავი მახინჯები იყვნენ და ტვინი ჰქონდეთ, მაგრამ ვაი, რომ არა აქვთ! ამიტომ აქვს მნიშვნელობა გარეგნობას. ეგენი რომ პარლამენტში სხდომებს გამართავენ, სიტყვა თუ ვერ თქვეს ლამაზი, საქმე თუ არ გააკეთეს ლამაზად, მაგათი მახინჯი სიფათების ყურებას გაძლება არ უნდა? კანდიდატებში მზეს და მთვარეს ვერავინ შეეჯიბრება გარეგნობით, მაგრამ ურიგო შესახედავი თითქმის არავინაა. ნეტავ ჭკუაც დაეტანებინა მაგათთვის იმ დალოცვილ ღმერთსა. ისე, წინასაარჩევნო კამპანიას რომ ვაკვირდები, ერთი ანდაზა მახსენდება — კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო.

**ნანა (39 წლის):** — წინასაარჩევნო კამპანიის შემხედვარეს ლამის კაცის სახსენებელი შემძულდეს. პარლამენტში მოხვედრამდე რას შვრებიან, ხედავთ? თავისი თუ გაინაღდეს, მერე ნახეთ, როგორ „გაბლატავდებიან“. როგორ უნდა ავიტანოთ ეს ხალხი კიდევ ოთხი წელი და მერე ისევ დაიწყებენ მათხოვრობას, ხმა მომეცითო, მაგრამ მაშინ ალბათ იმ ჭკუაზე ვიქნებით უკვე, რომ ხმას სულ ჩავუწყვეტთ. არ მიხსენოთ არჩევნები, რამე ადამიანური მკითხეთ.

**ინა (42 წლის):** — ძალიან მომწონს გია ბარამიძე, ლევან გაჩეჩილაძე და ირაკლი გოგავა. ლამაზი ბიჭები არიან, მაგრამ ყველა სხვადასხვა გუნდშია თურმე და აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, რომელი ვარჩიო. ამას წინათ გია ბარამიძე ცოლთან ერთად მოვიდა რესტორანში. დედა, რა კაცია, ცოლს ისე ექცეოდა, როგორც შეყვარებულს. გავგიჟდი, მაგათი შემხედვარე. ლევან გაჩეჩილაძე ძაან მამაკაცურია. მაგას რომ ეკრანზე დავინახავ, ჭკუა მეკეტება. ნეტავ, გიორგი თარგამაძესავით მაგანაც იფიქროს ტელევიზიაში მუშაობა. ირაკლი გოგავას სიამოვნებით გავატანდი ჩემს გოგოს ცოლად. პარლამენტში კაი კაცები უნდა იყვნენ, რომ შეხედავ, პირველად თვალს უნდა უხაროდეს.

**მანანა (51 წლის):** — საერთოდ, არჩევნებს ცივად ვუყურებ, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, მივიღო მონაწილეობა და ხმაც იმას მივცე, ვისაც ყველაზე მეტად უშლიან ხელს არჩევნებში მონაწილეობაზე. მაგალითად, იგორ გიორგაძეს. ერთი სული მაქვს, ეგ კაცი პარლამენტში ვნახო და მოვუსმინო რა ხდება მის თავს. ისე კენჭს რომ იყრიდეს, ხმას აუცილებლად მივცემდი გიორგი გოგიჩაიშვილს. ძალიან მომწონს ეგ ბიჭი და ვფიქრობ, ჭკვიანიცაა. ხომ იცით, რომელზეც ვამბობ? „მხიარული კარუსელი“ რომ მიჰყავს. წარმოიდგინეთ, გიორგი სპიკერად — ყველაზე დამაშვრალ დეპუტატს სხვადასხვა გამაგრილებელი ან ალკოჰოლური სასმლით როგორ დააჯილდოებდა. მე შენ გეტყვი, არა აქვთ. ალბათ ქართული პარლამენტი ერთადერთია, საკუთარი ლუდი, ღვინო და ცივი ჩაი რომ აქვს. მეტის კეთება მგონი, არც იციან. ახლა ბესო ჯუღელიც თუ ვიხილეთ პარლამენტში, მაშინ მთელ მაგ ავლადიდებას ჰიგიენური საფენებიც მიემატება და უკეთესად დაატრიალებენ ბიზნესს, ჩვენ კი...

**ხათუნა (29 წლის):** — არჩევნებში ხმას ქალებს ვაძლევ. კაცები ძალიან უჭკუოდ იქცევიან. მამალაძის და სააკაშვილის „ომის“ შემდეგ სულ წამიხდა მაგათზე წარმოდგენა. ეგენი ვერ იტანენ ერთმანეთს, გასაგებია. მაგრამ მაგათ მომხრეებად რომ დაყოფილან ეს ულაყივით ბიჭები და ერთმანეთს მამალაძის და სააკაშვილის გულისთვის რომ თავ-პირს ულეწენ, ნეტავ ჭკუა სულ არა აქვთ? ან ამ დათო ხუჯაძეს რა ჯანდაბა უნდა ნეტავ პარლამენტში, სადაც იყო, იქ მორჩა საქმეს? სულ გაგიჟდა ეს ხალხი. ნახეთ რა ყუნცულ-ყუნცულითა და ტაშის კვრით ლაპარაკობდა პრესკონფერენციაზე ხუჯაძე თავის „პოლიტიკურ პროგრამაზე“? წინათ უმცროსს რომ ჭკუა არ ჰყოფნიდა, უფროსები მის გადარჩენას ლამობდნენ. ახლა კი პირიქით ხდება.

***ეკა ლომიძე***

# სკანვორდი ფრაგმენტებით





- მერიმესა და ბიზეს აერთიანებს
- რთული ორგანული ნივთიერება
- შემწვარი ხორცი | ... ბოვარი
- ... ანჯაფარიძე
- ბუნებრივად უწვერულვაშო მამაკაცი
- ხამი ტყავის შინნაკეთი ფეხსაცმელი
- ჰერმან ჰესე, „...ს მგელი“
- იტალიელი მწვრთნელი ... სკალა
- ბრიტანელი მსახიობი ... ჰოპკინსი
- ვულკანური გავარვარებული მასა
- კურორტი საფრანგ-ში „ლიმონების დედაქალაქ.“
- ... ფარულავა
- იაპონური თეატრი
- 3.14
- 1000 კილოგრამი
- დროის მონაკვეთი
- თევზის კვერცხების ერთობლიობა
- არიადნეს მამა | შუშაკი
- „ყველაზე მწარე და ყველაზე ტკბილი“
- იუპიტერის თანამგზავრი
- მდინარე პარიზში
- „ისინი ჯარისკაცებს მიჰყვებოდნენ“ (... მასარი)
- ადამიანის პარაზიტი
- ჩამონათვალი საკლასო ჟურნალში
- პარკოსანი მცენარე
- იგივეა, რაც ტროა | ქალაქი იტალიაში
- „გედების ტბა,“ „ჟიზელი“
- წესრიგის დამცველი ორგანო რუსეთში
- სამხედრო სავარჯიშო და საალლუმო მოედ.
- დიდი ფილმის ნაწილი
- კათოლიკური ღვთისმსახურება
- გერმანული ავტომობილი
- ისტორიული მხარე იმერეთში
- მოჭრით მოცულობ. შემცირება | ამერ. სიგარ.
- მაგარმერქნიანი ხე
- არაფრანგული კონიაკი
- ძველებური ფრანგული ხურდა ფული
- გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი



- შინამოსამსახურე ქალი | ვერდის მეგობარი
- იგივეა, რაც ძირა
- ქართული ანბანის ასო
- იაპონური ფირმა | სუსტი ქარი
- ხან-მარინოს „ფორმულა 1“-ის ტრასა
- ამერიკელების ნაჩუქარი ვერტმფრენი
- ესტონელი მომღერალი
- ხეხილი
- ... დე მოპასანი
- ბატი, ქართული მულტფილმის გმირი
- „ღვინის ქურდები“ (პერსონაჟი)
- „ყველას მძლეველი“ (საბა)
- თურქი ფეხბურთელი იტალიაში
- დაკოდილი ცხენი
- „სად არის ჭეშმარიტება?“ (მხატვარი)
- აზოტმჟავას მარილი



- მწერის განვითარების ბოლო სტადია
- ნაპოლეონის პირადი მხატვარი
- ტიბეტური ხარი
- „ოლიმპიაში“ მოთამაშე ქართველი კალათბურთ.
- ფეხბურთელის აქსესუარი
- ბერძნული ანბანის ასო



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. რევოლუცია; 2. სერველატი; 3. „ვისრამიანი“; 4. ჰოკეი; 5. ლანგედოკი; 6. ცურტაველი; 7. კაასი; 8. კარიკატურა; 9. ნესვი; 10. ირემი; 11. გეტრი; 12. რური; 13. დევდარიანი; 14. ზოლა; 15. დავიდსი; 16. გი; 17. იენა; 18. პულსი; 19. პო; 20. პლაუენი; 21. დოკი; 22. ვინმე; 23. ლოლა; 24. იანი; 25. ლელო; 26. ისლანდია; 27. „ნაიკი“; 28. „არიანი“; 29. კუ; 30. სკალა; 31. ბაკარა; 32. პინოქიო; 33. ლი; 34. ვიტამინი; 35. „მუმია“; 36. მწნილი; 37. რუბი; 38. „ბაუნტი“; 39. ოშა; 40. ადამი; 41. აბაზი; 42. შიიტი; 43. ჭია; 44. მჭიდი; 45. ჭერამი; 46. „დინამო“; 47. დიდება; 48. ღომი; 49. კამა; 50. ლიბანი; 51. სეტერი; 52. დიღომი; 53. კაისა; 54. ლალი; 55. ბანი; 56. ხაო; 57. ჭიპი; 58. ომობანა; 59. ანა; 60. ლი; 61. ინა; 62. ეზო; 63. ცენტი; 64. „ავერსი“; 65. ვო; 66. არსი; 67. ვიკონტი; 68. ისრაელი.

1. რაიმონდ პაულსი; 2. გმირი მამა; 3. მიწის მჭამელი; 4. ტრავერსი; 5. კოჭებამდე ხიზილალაში.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

CMYK

## ტალეირანი «ძლიერი» პოლიტიკოსი იყო!

**— ბოლო დროს ხშირად ხმარობენ ტალეირანის აფორიზმებს, პროზაშიც შევხვედრივარ მის სახელს. იქნებ ამომწურავად მოგვითხროთ ამ პიროვნების შესახებ?**

***გიორგი გოგოხია***



შარლ მორის ტალეირანი

— შარლ მორის ტალეირან-პერიგორი (1754-1838) გახლდათ ბენევენტოს თავადი, დინოს ჰერცოგი, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, 1788-1791 წლებში ოტენის ეპისკოპოსი. მას აურაცხელი თანამდებობა და ტიტული ჰქონდა.

ტალეირანი გახლდათ პიროვნება, რომელმაც საფრანგეთის 18 მმართველს დაუდო ერთგულების ფიცი (1790-1834 წლებში), ალბათ მსგავსი პიროვნული ანალოგი ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება. ტალეირანი ცბიერი, ბრძენი, შორსმჭვრეტელი და მახვილგონიერი ადამიანი ყოფილა.

ზემოთ ნახსენები 18 მმართველიდან ერთ-ერთში ნაპოლეონიც მოიაზრება, რადგანაც ტალეირანი საფრანგეთში მისი ეპოქის მთავარი პერსონაჟთაგანი გახლდათ. კერძოდ კი, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ფარული შეთანხმებები ეწარმოებინა რუსეთის მეფესთან, ალექსანდრე -თან. ტალეირანის მიერ მოწყობილი შეთქმულების შედეგად, ნაპოლეონი ჯერ საფრანგეთის იმპერატორი გახდა. მოგვიანებით კი, მისივე წყალობით კუნძულ ელბაზე, ტყვეობაში აღმოჩნდა. ტალეირანის წყალობით შეიტყო რუსეთის მეფემ თავის დროზე ნაპოლეონის ყველა მნიშვნელოვანი გეგმა თუ ნაბიჯი. რუსეთის არმიის მიერ საფრანგეთის აღებისას ალექსანდრე სწორედ ტალეირანის სასახლეში ცხოვრობდა. როცა ბელგია-ჰოლანდია გაიყო და სახელმწიფო საზღვრებს ადგენდნენ, მან დიდი ქრთამის საფასურად ანტვერპენის პორტი ბელგიის სახელმწიფოს მიაკუთვნა. მართალია, ეს ამბავი „სავარძლის" ფასად დაუჯდა, მაგრამ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ცხოვრება ფუფუნებაში დაესრულებინა. ტალეირანი იყო ე.წ. კლასიკური დიპლომატიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, „ყველა ბატონის მსახური" და ინტრიგების უბადლო ოსტატი.



ნაპოლეონ ბონაპარტი

## სიტყვათა კონა

**დაბაღი** (არაბ.) (ძვ.) — ტყავის გამომყვანი მუშა.

**დაბახანა** (არაბ. სპ.) (ძვ.) — ტყავის დასამუშავებელი ქარხანა.

**დაბებკილი** — დაკონკებული, დაკერებული (ძველი რამ).

**დავითნი** — საეკლესიო საგალობელთა წიგნი.

**დავლა** — იგივეა, რაც ნადავლი.

**დავლათი** (კუთხ.) — 1. ქონება, შეძლება, დოვლათი. 2. ბედი, იღბალი. 3. იგივეა, რაც მადლი.

**დავლური** — 1. ქართული ცეკვა ქალ-ვაჟისა ერთგვარი; შესავალი ნაწილია ქართულისა (ლეკურისა). 2. (ძვ.) ხმალში გაწვევა, ორთაბრძოლა.

**დავრიში** (სპ.) — აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.

**დაკაბადონება** — გვერდებად შეკვრა (ანაწყობისა). წიგნის, გაზეთის დაკაბადონება.

**დაკა-დაკა** (საუბ.) — ჩხუბი, ცემა-ტყეპა.

**დალალი** (ძვ.) — შუამავალი, შუაკაცი ვაჭრობაში. 2. იგივეა, რაც მაჭანკალი. 3. ფეხზე მოვაჭრე.

**დამასხი** — ქლიავის ჯიში; ისხამს პატარა მუქ ლურჯ ნაყოფს. 2. ამ მცენარის ნაყოფი.

**დამპატიჟე** (საუბ.) — იტყვიან ისეთ კაცზე, რომელსაც ჩვეულებად აქვს დაუპატიჟებლად მისვლა და დროს ტარება სხვის სუფრაზე.

**დარაია** (ძვ.) — აბრეშუმის ქსოვილი.

**დარანი** — 1. გამოქვაბული კლდეში ან მიწაში. 2. თევზის სამალავი, — ბოლათი, ჯილე.

**დარჯაკი** — ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბი.

**დასტა** (სპ.) — 1. კონა, შეკვრა. 2. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე დასი, ანსამბლი. 3. დასი, ჯგუფი, გუნდი, რაზმი.

## არჩევნებში მონაწილე მოხალისეებმა ერთი დღე ქვეყანას უნდა «დაუთმონ»...

**— ამ ბოლო დროს ტელეეკრანებზე ხშირად გადის არასამთავრობო ორგანიზაციის, „სამართლიანი არჩევნების" რეკლამა, რომელიც იწვევს მოქალაქეებს არჩევნებზე დამკვირვებლებად. რას გულისხმობს ეს პროგრამა და აუნაზღაურებენ თუ არა მოხალისეებს არჩევნების დღეს შესრულებულ სამუშაოს?**

***ალეკო ოსეფაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **თამუნა ჟვანია,** — არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

— თავდაპირველად მოგახსენებთ, რომ მასმედიით გავრცელებულ ინფორმციაში მოხსენიებული 3.000 ადამიანი გვჭირდება იმისათვის, რომ საქართველოში დაახლოებით 3.000 საარჩევნო უბანია. ამიტომ გვსურს თითო საარჩევნო უბანზე ერთი დამკვირვებელი მაინც გვყავდეს. თუმცა მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს ამ კამპანიისადმი და შესაძლოა 3.000 მოხალისეზე მეტიც ავიყვანოთ. თუნდაც იმიტომ, რომ თუ რომელიმე დამკვირვებელს რაიმე პირადი ან სხვა სახის პრობლემა შეექმნა, დროულად მოხდეს მათი სხვა პირით ჩანაცვლება. გახსნილია 62 რაიონული ოფისი. გვყავს კოორდინატორები, რომლებიც ადრეც მონაწილეობდნენ სხვადასხვა არჩევნებში. უკვე ვახორციელებთ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით: თუ როგორ საქმიანობენ საარჩევნო ადმინისტრაციები, რამდენად სრულდება წინასაარჩევნო ღონისძიებები, მაგალითად, გამოაკრეს თუ არა სიები და ა.შ.

რაც შეეხება მოხალისეებს, რომლებიც არჩევნების დღეს განაწილდებიან საარჩევნო უბნებზე (როგორც არჩევნების დღის დამკვირვებლები), დილიდან (კენჭისყრის პროცედურიდან მოყოლებული) საღამომდე (ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების ჩათვლით) დააკვირდებიან ყველა პროცედურას.

ამჟამად მიმდინარეობს მოხალისეთა ახალი ნაკადისთვის ინტენსიური ტრეინინგების კურსი „სამართლიანი არჩევნების" ოფისში კვირის ყოველ სამშაბათსა და შაბათს. დაგეგმილია ერთი დღის დამატებაც.

რაც შეეხება არჩევნების დღეს მოხალისე დამკვირვებლების მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას, გიპასუხებთ, რომ ეს იქნება ერთი დღე, რომელიც საქართველოს მოქალაქეებმა უნდა დაუთმონ თავიანთ ქვეყანას და არჩევნების სამართლიანად წარმართვის უზრუნველყოფას. არავითარი მატერიალური დაინტერესება მოხალისეებს არ ექნებათ. „სამართლიანი არჩევნები" უზრუნველყოფს მათ მხოლოდ და მხოლოდ ტრანსპორტისა და კვების ხარჯებით.

## რას ნიშნავს ინტიფადა

**— რას ნიშნავს სიტყვა ინტიფადა. საინფორმაციო გადაცემებში ხშირად ახსენებენ ამ ტერმინს. უცხო სიტყვათა ლექსიკონში ამ სიტყვის მნიშვნელობას ვერ მივაგენი. იქნებ თქვენ მაინც გვიპასუხოთ.**

***მამუკა ხუციანიძე***

— ინტიფადა არაბთა აჯანყებას ეწოდა, რომელიც 1980 წლის დასასრულს დაიწყო, როგორც არასამხედრო „ქვათა ომი". ეს იყო მასობრივი გაფიცვები და ქუჩის ბრძოლები, დემონსტრაციები... თუმცა შემდგომში მან პოლიტიკური ძალადობის ფორმა მიიღო. მერე და მერე კი — ინდივიდუალური და მიზანმიმართული ტერორისა. მოგვიანებით ამ ფორმას დაემატა ტერორისტ-თვითმკვლელთა მოქმედებანი. ტერორის ეს ფორმა მიზნად ისახავდა გამყიდველების, დამსმენების დასჯას, თუმცა დასასჯელთა სიაში ის პალესტინელი პოლიტიკოსებიც შედიოდნენ, რომლებსაც სურდათ მოლაპარაკებაზე წასვლა. ინტიფადა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ძალისმიერი აქციაა. თვით სიტყვა არაბული „აჯანყებიდან" მოდის, ხოლო მისი პირდაპირი თარგმანია „უღლისგან გათავისუფლება".

## ეპარქიის შენობაში საცირკო სანახაობა არ გაიმართება...

**— ამ ზაფხულს ხაშურის რაიონის სოფელ ტაბაწყურში ქუთაისის საბავშვო ცირკი ჩამოვიდა. თუმცა სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა წინააღმდეგობა გაგვიწია და არ შეგვიშვა ადგილობრივ კლუბში, — ჩემი საკუთრებაა და არ გავაღებო (აქვე აღვნიშნავთ, რომ ამავე შენობაშია განთავსებული სოფლის ბიბლიოთეკა და დაწყებითი სკოლაც). იქნებ გაგვარკვიოთ, ვის აქვს სოფლის კლუბის გაყიდვის უფლება და რის საფუძველზე?**

***მ. კაპანაძე, ლ. ხაჩიძე, მ. დიდებულიძე***

კითხვაზე უპასუხებს ხაშურის რაიონის გამგებელი, ბატონი **ვლადიმერ ჯოზაძე**.

— ამ შეკითხვის ავტორები თავადაც იყვნენ გამგეობაში. ამიტომაც მიკვირს, რატომ დაავიწყდათ ისიც მოეწერათ, რომ შენობაში უკვე დიდი ხანია აღარ არის სკოლა. უფრო მეტიც, ნგრევის პირას იყო მისული... შენობის ამჟამინდელი მეპატრონე რაიონის ეპარქია გახლავთ. სოფლის მოსახლეობა თავად იყო მოწადინებული, რომ იგი ეპარქიის მფლობელობაში გადასულიყო, რაზედაც კოლექტიური განცხადებით მოგვმართეს. როგორც ჩანს, შენობით ამჟამად შეკითხვის ერთ-ერთი ავტორია დაინტერესებული და ხალხს ეპარქიის წინააღმდეგ შეგნებულად ამხედრებს. რაც შეეხება „რიტორიკულ" ფრაზას, ვის აქვს სოფლის კლუბის გაყიდვის და გასხვისების უფლებაო, განგიმარტავთ, რომ როცა შენობის გაყიდვა დავაპირეთ, გამოვაცხადეთ ტენდერი და მოსახლეობასაც დავეკითხეთ. ადგილობრივ ეპარქიას, კერძოდ კი მამა იობს დიდი გეგმები აქვს — აქ აპირებენ სასულიერო სასწავლებლის გახსნას, თუმცა უსახსრობის გამო რემონტი გაჭიანურებულია.

## სად ვითევზაოთ?..

**— გთხოვთ განგვიმარტოთ მოყვარულ მეთევზეებს მდინარე მტკვრის რომელ მონაკვეთზე შეგვიძლია ანკესით თევზაობა?**

***რუსთაველ მოყვარულ მეთევზეთა ჯგუფი***

კითხვაზე უპასუხებს **ანზორ კალანდაძე,** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის თევზის მარაგის რეგულირების განყოფილების უფროსი.

— ადრე სამოყვარულო თევზჭერა დასაშვები იყო ერთი ჯოხითა და ერთი ნემსკავით, ხოლო 2002 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ „ცხოველთა სამყაროს შესახებ" კანონში შეიტანა ცვლილება და ამჟამად ნებადართულია სამოყვარულო თევზჭერა წელიწადის ნებისმიერ დროს ერთი ჯოხითა და ორი ანკესით (ნემსკავით), მდინარე მტკვარში თურქეთის საზღვრიდან ზაჰესის კაშხლამდე, თბილისში ზაჰესის კაშხლიდან — ორთაჭალამდე, ორთაჭალჰესიდან მოყოლებული, აზერბაიჯანის საზღვრამდე. სამოყვარულო თევზჭერას არ ესაჭიროება სპეციალური ნებართვა ან ლიცენზია. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ითევზაოს მტკვარზე ორანკესიანი ჯოხით. კანონით დაშვებული ანკესებისა და ჯოხის ოდენობის გადამეტება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლით რეგულირდება და ითვალისწინებს ჯარიმას 50 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორებით კანონდარღვევასთან ერთად იზრდება ჯარიმის ოდენობაც.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**









CMYK

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ეჭვი მაქვს, რომ ჩემს შვილს ჰყავს ჭიები. განავალში არ აღმოაჩნდა, მაგრამ პედიატრმა მაინც დაუნიშნა ჭიების საწინააღმდეგო წამალი.**
**მაინტერესებს, რამდენად ზუსტია განავლის ანალიზი ჭიებზე და მართებულად მოიქცა თუ არა პედიატრი ამ შემთხვევაში?**

**ანი ლ.**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჭიებზე განავლის ანალიზის სიზუსტე 20%-ს არ აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ადამიანი ინვაზირებული იყოს ჭიებით, მაგრამ განავალში მისი კვერცხები კონკრეტულ შემთხვევაში არ აღმოჩნდეს. ამიტომ, როდესაც ბავშვს აქვს ჭიებით ინვაზიის სიმპტომები, ზოგჯერ ექიმი იღებს გადაწყვეტილებას, ჩაუტაროს მას ანტიჰელმინთური მკურნალობა და ეს გადაწყვეტილება სავსებით მართებულია. მით უმეტეს, რომ უკან დარჩა ზაფხულის პერიოდი, როდესაც ბავშვების ინვაზირების ალბათობა ბუნებასთან აქტიური კონტაქტის გამო მატულობს. ინვაზირებულ და არანამკურნალებ ბავშვებს კი აქვთ სიმპტომები, რომლებსაც მშობლები იშვიათად თუ უკავშირებენ ჭიებს. კერძოდ, მათ დაქვეითებული აქვთ იმუნიტეტი, აღენიშნებათ ალერგიული რეაქციები, ზოგჯერ ასთმური შეტევები, ადვილად ცივდებიან, ხშირად ავადმყოფობენ, აქვთ უძილობა, ანემია (სისხლნაკლებობა), მუდმივად გაღიზიანებულები არიან. ასეთ დროს ექიმი მკურნალობის კურსში ჩართავს ხოლმე ჭიის საწინააღმდეგო პრეპარატს და ბავშვის მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება.

განავლის ანალიზის გარდა, ჰელმინთოზის დიაგნოსტირებისათვის არსებობს სხვა მეთოდებიც: სეროლოგიური დიაგნოსტიკა, რომლის დროსაც სისხლს ვენიდან იღებენ და განსაზღვრავენ ანტისხეულებს გამომწვევთა მიმართ. მისი სიზუსტე გაცილებით მაღალია (60-95%), თუმცა კვლევის ეს მეთოდი ძვირად ღირებულიცაა და მას ყველგან არ აკეთებენ. უახლესი ინფორმაციული მეთოდია ვეგეტაციურ-რეზონანსული ტესტირება. მისი პრინციპი მარტივია — თითოეული პარაზიტი ასხივებს განსაზღვრული სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღებს, რომლებსაც სპეციალური მიმღები აფიქსირებს. დიაგნოსტიკის ამ მეთოდმა პარაზიტულ ინფექციებთან ბრძოლის ახალი ეპოქა დაიწყო.

**მაქვს ჩიყვი. ექოსკოპიაზე გამოჩნდა პატარა კვანძები. ექიმმა დამინიშნა თიროქსინი — 100, მაგრამ მისი მიღების შემდეგ გამიძლიერდა გულისცემა, დამეწყო გულის ფრიალი და სხვა უსიამოვნო შეგრძნებები. ექიმმა მომიხსნა ეს წამალი და დამინიშნა ვიტამინები. სწორია თუ არა ეს გადაწყვეტილება? იქნებ სჯობს ოპერაცია გავიკეთო.**

***დ. თბილისი***

თქვენ მიერ აღნიშნულ პრეპარატს ენდოკრინოლოგები ხშირად იყენებენ ჩიყვის სამკურნალოდ. თუმცა პრეპარატის დოზის გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს გულის ფრიალი, ოფლიანობა, მოუსვენრობა და სხვა უსიამოვნებანი. ასეთ დროს საკმარისი ხდება ხოლმე დოზის შემცირება. რაც შეეხება ქირურგიულ მკურნალობას, ექიმები ოპერაციული ჩარევის შესახებ გადაწყვეტილებას მაშინ ღებულობენ, როდესაც კვანძები სწრაფად იზრდება ან არსებობს მათი ავთვისებიანად გადაგვარების საშიშროება.

**ისეთი სამუშაო მაქვს, რომ დღე-ღამეში 15 საათი მიწევს ფეხზე დგომა. ამის გამო დამეწყო ტერფების შესივება (განსაკუთრებით კოჭის არეში). ძალიან ვნერვიულობ. რას მირჩევთ?**

***მკითხველი***

გირჩევთ, თუ ამის შესაძლებლობა გაქვთ, გამოიცვალოთ სამსახური, რადგან თქვენი მონათხრობიდან ჩანს, რომ დაწყებული გაქვთ ქვედა კიდურების ვენური სისხლის მიმოქცევის დარღვევა. ამის გამო გესაჭიროებათ დამზოგავი რეჟიმი, რაც გულისხმობს ხანგრძლივი დგომისა და ჯდომის შემდეგ, ყოველ 1 საათში მაინც, ფეხების შემოწყობას შემაღლებულ ადგილას, დაუშვებელია დიდი ხნის სტატიკურ მდგომარეობაში (ვერტიკალურად) ფეხების მოთავსება, რადგან დაქვეითებული გაქვთ ვენური სისხლის გულისაკენ გადინების პროცესი, ქვედა კიდურებში სისხლის მიმოქცევა ფერხდება და შეშუპება ვითარდება. რეჟიმის დაცვასთან ერთად ასეთ დროს გამოიყენება მედიკამენტური თერაპიაც, მაგალითად, ცხენის წაბლის ექსტრაქტზე დამზადებული — ესკუზანი.

თუ სამუშაოს გამოცვლას ვერ შეძლებთ, გირჩევთ, ფეხზე დგომისას იმოძრაოთ, გადადგათ რამდენიმე ნაბიჯი, პერიოდულად ჩამოჯდეთ და ფეხები ჰორიზონტალურად დაალაგოთ, გაიკეთოთ მსუბუქი მასაჟი წვივის არეში, ქვევიდან ზევით.

## კარაბადინი

წლების განმავლობაში მაწუხებდა წნევა და ამავე დროს მქონდა კუჭის წყლული. მაღალი მჟავიანობა ყოველდღიურად მიმწარებდა სიცოცხლეს — მქონდა საშინელი გულძმარვა, ბოყინი, კუჭის წვა. ჩემმა ნათესავმა, რომელიც ხალხური მედიცინით ძალიან დაინტერესებულია და უამრავი რეცეპტი იცის, მომიმზადა რაღაც ნაყენი და მითხრა: ეს წამალი სვი ნახევარი ჭიქა 3-ჯერ დღეში და აღარაფერი შეგაწუხებსო. ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ და ჩემდა გასაოცრად აღარც კუჭს შევუწუხებივარ და არც წნევას. რა თქმა უნდა, დავინტერესდი წამლის შემადგენლობით და ახლა ეს რეცეპტი თქვენც უნდა გასწავლოთ:

აიღეთ 15-15 გრამი შავბალახა, კოთხოჯის ფესვები, ჭაობის ბერულა, კრაზანა, პიტნა. დაასხით 1,5 ლიტრი წყალი, ადუღეთ 5 წუთი, დატოვეთ 2 საათით, გაწურეთ, დაუმატეთ ვაჟინი გემოვნებით. მიიღეთ 1/2 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში მაღალი წნევისა და კუჭის წყლულის ან მაღალი მჟავიანობის დროს.

რეცეპტში შემავალ თითქმის ყველა მცენარეზე გვესაუბრეთ „კარაბადინში", მაგრამ ჭაობის ბერულაზე ვერსად ვნახე ცნობები. გთხოვთ მოგვცეთ ინფორმაცია ამ მცენარის სამედიცინო მოქმედების შესახებ.

**ექიმის კომენტარი:** უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მკითხველის მიერ მოწოდებული რეცეპტი შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით და რომელთა მოქმედების მექანიზმი დადებით შედეგს მოგვცემს აღნიშნული დაავადებების დროს. რეცეპტის სხვადასხვა კომპონენტზე ჩვენი გაზეთის სხვადასხვა ნომერში უკვე ვისაუბრეთ. ახლა კი, მკითხველის თხოვნის გათვალისწინებით, ჭაობის ბერულაზე მოგითხრობთ.

ბერულა 10-25 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო მიწის ზედაპირიდანვე დატოტვილია და მთლიანად დაფარულია მოთეთრო-მატყლოვანი ბუსუსებით. ფოთლები წვრილი, მოგრძო, ყვავილი პატარა, ღია ყვითელი ფერისა აქვს. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი. შეიცავს ბიოაქტიურ ნივთიერებებს, B და C ვიტამინებს. დადგენილია, რომ ჭაობის ბერულას მიღებისას ხდება პერიფერიული სისხლძარღვების გაფართოება, არტერიული წნევის დაწევა. კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკის გაძლიერება. კლინიკური დაკვირვებების მიხედვით დადებითი შედეგებია მიღებული კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების მკურნალობისას. ბალახიდან მიღებული ზეთოვანი გამონაწვლილი აჩქარებს ეპითელიზაციას და გრანულაციას დამწვრობისა და წყლულების დროს. ამიტომ იგი გამოიყენება, როგორც გარეგანი საშუალება ჩირქოვანი იარების, ძნელად შეხორცებადი ჭრილობების, დამწვრობის, საშვილოსნოს ეროზიის სამკურნალოდ.

ბერულას ნაყენი მზადდება ასეთი თანაფარდობით: 2 ს/კX2 ჩ/ჭ ცხელ წყალზე.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## წყლული — საშიში დაავადებაა

განსაკუთრებით საშიშია წყლულით ბავშვის დაავადება. ყველაფერი იწყება მუცლის ტკივილით, განსაკუთრებით უზმოზე, რაც ვლინდება გულძმარვით, გულის რევითა და ბოყინით. ეს სიმპტომები მშობლებს არ უნდა გამოეპაროთ, რადგან შესაძლებელია ბავშვს აწუხებდეს გასტრიტი, ნაღველსადინარები, კუჭის ან ნაწლავების წყლული.

**გასტრიტი** — კუჭ-ნაწლავის დაავადებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია, რომელსაც ორი ძირითადი ფორმა ახასიათებს — მწვავე და ქრონიკული. გამომწვევი მიზეზი ერთია — კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება, რასაც იწვევს უხარისხო საკვები, კვების რეჟიმის დარღვევა, საჭმლის ცუდად ღეჭვა, სწრაფი ჭამა და სხვადასხვა გამაღიზიანებელი წამლის ხშირად მიღება. დაავადება შეიძლება გამოიწვიოს ალერგიამ ან ინფექციებმაც.

პირში უსიამოვნო გემოს შეგრძნებასთან ერთად, ბავშვს ეწყება მუცლის ტკივილი. დაავადების პროფილაქტიკისათვის აუცილებელია, ბავშვებმა და მოზარდებმა დაიცვან კვების ელემენტარული რეჟიმი — მიიღონ თბილი კერძები, უმეტეს შემთხვევაში, წვნიანი. ცილებით მდიდარი საკვების მიღება სასურველია დღის პირველ ნახევარში — საუზმესა და სადილზე. რეკომენდებული არ არის ხორციანი კერძების ვახშმად მიღება. სჯობს კარტოფილის, ბურღულეულის, ხაჭოსა და კვერცხისა.

გასტრიტის ფონზე შეიძლება განვითარდეს უფრო სერიოზული დაავადება — წყლული.

ბოლო ხანებში გაირკვა, რომ წყლულისა და გასტრიტის მიზეზია ჰელიკობაქტერია, რომელიც აღმოაჩინეს ავსტრიელმა სწავლულებმა. ეს ინფექცია გადაიცემა კონტაქტით, ის შეიძლება მშობლებისგანაც გადაედოთ. ბაქტერია უნივერსალური თვისებებით ხასიათდება. ცხოვრობს კუჭის ქვედა ნაწილში, ეხვევა თუთქისებრ გარსში, რომელიც იცავს მას მარილიანი მჟავებისგან. ბაქტერია ზეგავლენას ახდენს კუჭის ლორწოვან გარსზე, რომელიც იცავს კუჭს მჟავე გარემოსგან. ბავშვის იმუნური სისტემა ვერ უმკლავდება ამ მავნე ბაქტერიებს, რასაც შედეგად წყლული მოჰყვება.



„ბაქტერიული" წყლულის პროფილაქტიკის საშუალებები მეტად მარტივია. ეს არის პირადი ჰიგიენის დაცვა — ოჯახში ყველას თავისი ინდივიდუალური ჭურჭელი და ტუალეტის საგნები უნდა ჰქონდეს. აუცილებელია მიიღონ C ვიტამინით მდიდარი პროდუქტები. მწვანე ხახვი მომაკვდინებელ დარტყმას აყენებს ამ ბაქტერიებს, კამა და ოხრახუში რეკომენდებულია ავადმყოფობის დროსაც კი.

აუცილებელია მოწესრიგდეს ბავშვის ჰიგიენა. არ ჭამოს მწარე, შემწვარი და ცხიმიანი საკვები. უმჯობესია, მოხარშული და მოშუშული კერძები მიირთვას. გამორიცხეთ გაზიანი სასმელები. სასარგებლოა: კისელი, დღეში 2-3-ჯერ 1/2 ჩ/ჭ მინერალური უგაზო წყალი, კუჭ-ნაწლავის და ნაღველმდენი სამკურნალო ბალახების ნაყენებისა და ნახარშის მიღება.

***ტრუდ-7 №178***

## კამერა შიგნიდან ათვალიერებს პაციენტს

ინგლისელმა მეცნიერებმა შექმნეს 11X26მმ-იანი დიაგნოსტიკური კაფსულა. მასში მოთავსებულია მინიატურული კამერა, რომელსაც გადაყლაპავს ავადმყოფი. იგი 6-8 საათის განმავლობაში „მოგზაურობს" საჭმლის მომნელებელ ტრაქტში და (ამ დროს პაციენტი ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე ჩვეულებრივ საქმიანობს) რადიოტალღების გამოყენებით გადასცემს სიგნალებს — წამში 2-ჯერ, პატარა მოწყობილობას. დაახლოებით მიიღება 40000-მდე გამოსახულება, რასაც შემდეგ კომპიუტერი აანალიზებს.

***ლიზა №35***

## ყურძენი — ჯანმრთელობის საწინდარი



ყურძენი ძალიან ძვირფასი პროდუქტია, მისგან ამზადებენ არა მარტო ქიშმიშს, ტკბილ და გემრიელ წვენებს, ღვინოებსა და კონიაკს, არამედ გამოიყენებენ, როგორც წამალს. ყურძნით მკურნალობას ამპელოთერაპია ეწოდება. ყურძნის სამკურნალო ეფექტი განპირობებულია იმით, რომ იგი უხვად შეიცავს გლუკოზასა და კალიუმის მარილს. ყურძენი და მისი წვენი გამოდევნის ორგანიზმიდან წყალ-მარილს და არა მარტო შლის ქვებსა და სილას, ხელსაც უშლის მათ წარმოქმნას. არის ბრწყინვალე შარდმდენი, ოფლმდენი, მსუბუქი ბაქტერიოციდული და გამხსნელი. ამიტომაც იყენებენ მას ხალხურ და ოფიციალურ მედიცინაში თირკმლების და საერთოდ კენჭოვანი დაავადებების, ნიკრისის ქარის, ქრონიკული გასტრიტისა და ყაბზობის დროს. ყურძნის ან მისი წვენის ხანგრძლივად მიღება აწესრიგებს არტერიულ წნევას, სისხლის მიმოქცევას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს, ამაღლებს გულის კუნთების ტონუსს, ხელს უწყობს სასუნთქი გზებიდან ლორწოს გამოყოფას, ამსუბუქებს ხველას, განსაკუთრებით ასთმის დროს. ყურძენი რეკომენდებულია როგორც ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალება, ტუბერკულოზის, ანემიის, ფიზიკური დაღლილობის, ნევროზისა და სტრესული მდგომარეობის დროს.

სამკურნალოდ სჯობს თხელკანიანი ყურძენი (მუსკატი, რისლინგი და სხვ.) რეკომენდებულია მხოლოდ მწიფე ყურძნის ახალგამოწურული წვენი. ყურძნის დღეღამური ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 1 კგ-ს ან 0,15ლ წვენს. ამპელოთერაპიის დროს არასასურველია რაციონში ცხიმიანი საკვების ჩართვა.

გახსოვდეთ: ამპელოთერაპია ეკრძალებათ დიაბეტითა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ზოგიერთი ქრონიკული დაავადებების დროს. ამიტომაც, მკურნალობის დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ ექიმს.

***კომსომოლსკაია პრავდა №134***

## რატომ არის ამდენი მსუქანი ადამიანი?

ჩვენი მოსახლეობის 90% იძულებულია აკეთოს ის საქმე, რომელიც არ მოსწონს. უფულობის გამო ვერ ხერხდება გართობა, მეგობრებთან ყოფნა. ამას მოსდევს დეპრესია. ამ დროს კი, ადამიანი ეტანება ტკბილეულს. დამტკიცებულია, რომ ტკბილეული ტვინის რეცეპტორებზე ნარკოტიკივით მოქმედებს. შედეგად ჩვენ „მივირთმევთ" ჩვენსავე დეპრესიას და ვსუქდებით.

რა ვიღონოთ?

საჭიროა მოიძებნოს სიამოვნების ახალი წყარო, რომელიც საკვებს მეორე პლანზე გადაიტანს და ხელს შეუწყობს წონის დაკლებას. მაგალითად, სიყვარული, რაიმე ჰობი, სპორტი. მიირთვით ძველებურად, მაგრამ ივარჯიშეთ.

ძალიან კარგია ძილის წინ მოძრაობა. კუნთები გამოიმუშავებენ ნივთიერებას, რომელიც აღაგზნებს ტვინის რეცეპტორებს და ადამიანს უჩნდება სიამოვნების შეგრძნება. ოღონდ არ მიატოვოთ ვარჯიში, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო გასუქდებით.

ჩატარდა გამოკითხვა იმის გასაგებად, თუ რა მიანიჭებს ადამიანს გემრიელად ჭამაზე მეტ სიამოვნებას.

პასუხები დაგვეხმარა შეგვედგინა რეიტინგი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება ზედმეტ წონასთან შებრძოლება.

პირველ ადგილზე, აღმოჩნდა სექსი, ხოლო სპორტი — მხოლოდ მეორე ადგილზეა...

1. სექსი (552 ხმა);
2. სპორტი (500 ხმა);
3. ბევრი ცეკვა (488 ხმა);
4. მეტი ძილი (387 ხმა);
5. კარგი წიგნების კითხვა (369 ხმა);
6. მოგზაურობა (356 ხმა);
7. მალაზიებში სიარული (293 ხმა);
8. მეგობრებთან ურთიერთობა (252 ხმა);
9. ბუნებაში ხშირი დასვენება (217 ხმა);
10. არც ერთი წამი უსიყვარულოდ (187 ხმა).

***ოჩდოხნი! №36***

# სიცხეში სექსი საშიშია



ამ ზაფხულს ევროპაში ძალზე გახშირდა სიკვდილიანობა. ექიმები შეაშფოთა ამ ამბავმა, დაიწყეს მიზეზის ძიება და... დაადგინეს, რომ პაპანაქებაში სექსი მეტად საშიში ყოფილა ჯანმრთელობისათვის. სიცხით შეწუხებული ხალხი ღამით ვერ იძინებდა და სიყვარულობანათი ერთობოდა, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო. გერმანელი პროფესორის ნორბერტ ბაჰლის დაკვირვებით, განსაკუთრებით სარისკოა სექსი სიცხეში გულ-სისხლძარღვებით დაავადებულთათვის. ინფარქტის რისკ-ფაქტორი ამ შემთხვევაში 4-ჯერ იზრდება. მშვიდ მდგომარეობაშიც კი პულსის სიხშირე წუთში 60-დან 90-მდე მატულობს. ხოლო სისხლის წნევა დაბლა იწევს. ასეთ დროს კოლაფსი არის მოსალოდნელი. არ არის რეკომენდებული საწოლიდან უეცრად წამოდგომაც, — გვირჩევს პროფესორი.

*ოჯი*


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

შეიძინეთ!!!



• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი

შპს „კონტრასტი“



ბორჯომის ქ. 4

☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55



ლაზერული მედიცინის კათედრა
სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“

პოტენციის აღდგენა წლოვანების მიუხედავად
– ერექციის სისუსტე, ნაადრევი ეაკულაცია და სხვა;
უროლოგიური დარღვევები
– ხშირი შარდვა, შარდის შეუკავლობა, გამონადენი, ტკივილები და სხვა.

ჩვენი რეკლამა — ჩვენი შედეგებია!

*სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“*
მის: ბახტრიონის 18, ☎ 91-18-33 E-mail: medlaz@gol.ge



პირველად საქართველოში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!





თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის


**გთხოვთ მოგვაწოდოთ დასაბუთებული სამედიცინო ინფორმაცია, რით არის უპირატესი ძუძუთი კვება.**

***ლ. კუჭუხიძე, თბილისი***

# პატარა და ძუძუთი კვება



ხელოვნური კვებით გაზრდილებში მეტია ათეროსკლეროზის, შაქრიანი დიაბეტის, ლიმფოზების, კუჭ-ნაწლავის ქრონიკული პათოლოგიების განვითარების ალბათობა. უფრო მეტიც, ინტელექტი ბუნებრივი კვებით გაზრდილ ადამიანებში ბევრად მაღალია. დადგენილია სხვა ფაქტორებიც — დედის რძით გაზრდილი ბავშვები უფრო კომუნიკაბელურნი, ლმობიერნი არიან, უფრო უყვართ მშობლები, ეხერხებათ საპირისპირო სქესთან კონტაქტი, კეთილები და სულით ძლიერნი არიან. დედის რძე სასარგებლოა მხოლოდ შვილისთვის — ამ თვისებას ბიოლოგიური სპეციფიკურობა ეწოდება. დედის რძის შემადგენლობა ძალზე წააგავს ბავშვის ქსოვილების სპეციფიკურობას. დედის რძეში შემავალი ზრდის ფაქტორები, სპეციალური ჰორმონები უზრუნველყოფს საკუთარი პირმშოს ოპტიმალურ ზრდას და განვითარებას.

რძეში შედის ცხიმები, რომელთა შემადგენლობა მუდმივად იზრდება ბავშვის ორგანიზმის მოთხოვნილების შესაბამისად: ცილა — ორგანიზმის ზრდის საფუძველია. დედის რძის კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ ის იცვლება ბავშვის ზრდასთან ერთად, შედეგად ბავშვი იღებს სწორედ იმ ნივთიერებებს, რომელიც მას განვითარების შესაბამის ეტაპზე ესაჭიროება. დედის რძით კვების დროს ხდება ბავშვის იმუნიზაცია, რომლის საფუძველზე ბავშვი დაცულია მრავალი პრობლემისაგან, დედის რძე შეიცავს ლიმფოციტებს — მაკროფაგებს, რომლებიც სპობენ დაავადების გამომწვევ მიკროორგანიზმებს. ბუნებრივი კვებით გაზრდილ ბავშვებში ნაკლებად ვითარდება რაქიტი, ანემია, ფილტვების ანთება, ინფექციური დაავადებები, ალერგია.

დედის რძის „წყალობით“ ბავშვის კუჭ-ნაწლავის ტრაქტი საჭირო მიკროორგანიზმებით „მარაგდება“, რაც ხელს უშლის დაავადების გამომწვევი ბაქტერიების გამრავლებას. დედის რძე ძალიან კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა სიმსუქნისა და დიაბეტის წინააღმდეგ. ბუნებრივი კვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოგონებისთვის. მომავალი დედა ჩვილობისას იმყოფებოდა ბუნებრივ თუ ხელოვნურ კვებაზე — განსაზღვრავს შემდგომი ლაქტაციის (რძის გამომუშავება) ხანგრძლივობასა და რძის შემადგენლობას. რეპროდუქციული ფუნქციაც მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ბუნებრივ კვებასთან.

*ბუნებრივი კვების უპირატესობანი:*

— ინტელექტუალური შესაძლებლობის მაღალი მაჩვენებლები.

— უეცარი სიკვდილის განვითარების ნაკლები რისკი.

— ბუნებრივი კვებით გაზრდილებში ნაკლებად ვითარდება ბრონქიალური ასთმა, სეფსისი, ატოპიური დერმატიტი, დიარეა, ოტიტი, ენტეროკოლიტი.

— ვაქცინაციის დროს ნაკლებია გართულების შემთხვევები.

— ბავშვი უფრო გახსნილი და გაწონასწორებულია.

ბავშვის ძუძუთი კვება დედაზეც ახდენს დადებით ზეგავლენას, კერძოდ:

— კვების დროს სტიმულირდება ძუძუს ნერვული დაბოლოებები, რომლებიც გზავნიან იმპულსებს ტვინში — ჰიპოფიზში, ეს კი საპასუხოდ გამოიმუშავებს „დედობის“ ჰორმონს — პროლაქტინს, რაც ბავშვის მიმართ დედობრივი გრძნობის განვითარებას აძლიერებს.

— წოვის პროცესი ასტიმულირებს ჰორმონ-ოქსიოცინის გამოყოფასაც, რომელიც იწვევს საშვილოსნოს შეკუმშვას.

— ქალებს, ვისაც შვილები ბუნებრივი კვებით ჰყავთ გაზრდილი, ნაკლებად უვითარდებათ ძუძუს ავთვისებიანი პათოლოგიები.

— დედის რძე ყველაზე „იაფი“ საკვები საშუალებაა.

— ორსულობის დროს განვითარებული ცხიმოვანი ნაკეცები — წელის, ზურგისა და ბარძაყების არეში, ძუძუთი ხანგრძლივი კვების დროს სწორდება.

რაც შეეხება რძის წარმოქმნას და გამოყოფას, გაითვალისწინეთ:

— მკერდის ზომა და ფორმა არ განსაზღვრავს გამოყოფილი რძის რაოდენობას.

— დედის წონა არ ახდენს ზეგავლენას ლაქტაციაზე.

— რძის გამოყოფას აძლიერებს: ჰიპოფიზის მიერ გამომუშავებული პროლაქტინი, რომლის რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება ორსულობის ბოლოს, ხოლო ყოველი კვების შემდეგ იზრდება კიდევ 20-30-ჯერ. ასევე აძლიერებს ოქსიტოცინი, რომლის გამოყოფა წოვის დროს მატულობს. რა აფერხებს რძის გამოყოფას:

— ორსულობის გვიანი ტოქსიკოზი.

— საკეისრო კვეთა.

— ქრონიკული ტონზილიტი.

— ენდოკრინული დაავადებები.

თუკი რძე არ არის საკმარისი:

— კარგად გამოიძინეთ;

— გაზარდეთ საკვების მიცემის რიცხვი — 10-ჯერ დღე-ღამეში.

— ძუძუს მიცემამდე 30 წუთით ადრე დალიეთ რძის გამომყოფი ნაყენები.

— მიიღეთ ვიტამინები.

— გაიკეთეთ მსუბუქი მასაჟი ძუძუთი კვების წინ და შემდეგ.

— ისეირნეთ სუფთა ჰაერზე არანაკლებ 2 საათისა.

— კარგია თბილი კომპრესები.

***მაია მუხიგული***

# ქარვა — ჯადოსნური ქვა



ბალტიის ზღვის კუნძულზე, დღეს რომ რიუგენი ჰქვია, უძველესი დროიდან მოიპოვებოდა ქარვა. მას ქურუმები ოქროზე ძვირფასად მიიჩნევდნენ და ჩვ.წ.აღ-მდე იცოდნენ მისი სამკურნალო თვისებების შესახებ. ჰიპოკრატე ქარვას უნიშნავდა თირკმლების, მუცლის, თავის ტკივილის, მოწამვლის დროს, აგრეთვე ჭლექით დაავადებისას. ქარვა კურნავს ქალურ დაავადებებს, უნაყოფობას, ბავშვებს კი იფარავს „ავი თვალისაგან“. გამათერაპევტები (მინერალური ქვების მეცნიერება) ამტკიცებენ, რომ ქარვა ანეიტრალებს მფლობელზე უარყოფითი ბიოველების გავლენას. რეკომენდებულია მისი ტარება ყელზე — გულის, ხოლო ქამარზე ან წელზე — ხერხემლისა და მუცლის დასაცავად. ეს ასე აიხსნება: ქარვა ქვა კი არ არის, არამედ მილიონი წლების მანძილზე გაქვავებული წიწვოვანი ხეების ფისოვანი ნივთიერებანი. ცნობილია ქარვის ზემოქმედება ჩიყვზე. ქარვისაგან იღებენ აგრეთვე D ვიტამინს, მას ამატებენ საპონს, კბილის პასტას, რევმატიზმის სამკურნალო საგანგებო დანიშნულების კრემებს, სპეციალურად ამზადებენ მუნდშტუკებს მწეველთათვის, რომელიც ფილტვზე უარყოფით ზეგავლენის ხარისხს ამცირებს.

***მირ ნოვოსტეი №34***

# სიჩლუნგის საწინააღმდეგო საშუალება

გერმანელი ფსიქოლოგი ზიგფრიდ ლერლი ირწმუნება, რომ საუნის ხშირი მონახულება იწვევს... გონებაჩლუნგობას.

ჩატარებული კვლევის მსვლელობისას მეცნიერი მივიდა დასკვნამდე, რომ საუნაში ყოფნის შემდეგ ადამიანის ტვინს ნორმალური ფუნქციონირების აღსადგენად მინიმუმ 24 საათი ესაჭიროება. გარდა ამისა, — ამბობს ლერლი, — სიჩლუნგეს იწვევს ორგანიზმის გაუწყლოება, ყელში წაჭერილი საყელოიანი პერანგების ტარება, ნახშირწყლების უკმარისობა, სიბნელე და ჰიპოდინამია.

ვისაც უნდა, რომ ტვინის აქტივობის მაღალი დონე შეინარჩუნოს, ლერლი ურჩევს, მუდმივად სვან დიდი რაოდენობით წყალი და აუცილებლად იშრომონ ან გონება ავარჯიშონ: ინტელექტუალური თამაშები, კროსვორდების ამოხსნა.

***XXL №24***


ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.



კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:

• დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
• ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
• სამეანო განყოფილებას;
• ახალშობილთა განყოფილებას;
• გინეკოლოგიურ განყოფილებას;
• თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
• ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
• სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
• რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.
მადლობას გიხდით ნდობისთვის.

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ 66-73-70 71 72 73 74



## ახლო აღმოსავლეთი

# ინტიფადას სამწუხარო შედეგი

სამი წლის წინ, ისრაელის მაშინდელი ოპოზიციის ლიდერის, არიელ შარონის მიერ იერუსალიმში მეჩეთების მონახულებას პალესტინელთა დიდი მღელვარება მოჰყვა, რაც ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ ამბოხში — ინტიფადაში გადაიზარდა.

იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ამ თარიღთან დაკავშირებით მიტინგები გაიმართა. რადიკალური ორგანიზაცია „ჰამასისა“ და „ისლამური ჯიჰადის“ წარმომადგენლებმა დაიფიცეს, რომ შეიარაღებულ ბრძოლას გააგრძელებენ მანამ, სანამ არ შეიქმნება პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი აღმო-



სავლეთ იერუსალიმი იქნება.

როგორია სამწლიანი დაპირისპირების შედეგი? დაღუპულია 860 ისრაელელი და 2500 პალესტინელი. დაჭრილია 9 ათასი ისრაელელი მოქალაქე და ავტონომიის 20 ათასი მცხოვრები. მოკლულია სხვა სახელმწიფოს 50 მოქალაქე.

ისრაელში ეკონომიკური კრიზისი მწვავდება, პალესტინაში კი მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია — საოკუპაციო რეჟიმი, უმუშევრობა, სიღარიბე...

ეტაპობრივი მოწესრიგების გეგმა — „საგზაო რუკა“, რომელიც აშშ-მა, რუსეთმა, ევროკავშირმა და გაერომ შეიმუშავეს, არ მუშაობს. შარონის მთავრობა ირწმუნებოდა, რომ სწრაფად მოუღებდა ბოლოს პალესტინის ტერორიზმს, მაგრამ ის ჩიხში აღმოჩნდა. მან ვერც ისრაელის უსაფრთხოების საკითხი გადაწყვიტა და ვერც ეკონომიკას უშველა. ახლა ერთადერთ გამოსავალს იასირ არაფატის საწინააღმდეგო კამპანიაში ხედავს. პალესტინაში სახელისუფლებო კრიზისი გრძელდება. ზომიერი პრემიერი მაჰმუდ აბასი გადადგა, მისი შემცვლელი აჰმედ კურეიც იმავე პრობლემებს შეეჯახება. მსოფლიო საზოგადოებრიობა ფიქრობს, სასწრაფოდ მოიწვიოს კონფერენცია და რეგიონში სამშვიდობო ჯარი გაგზავნოს. ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ ჩანს.

***ნიუ ზუიქი***

# პოსტსაბჭოთა პრეზიდენტების ღვთივკურთხეული კავშირი

*ჰეიდარ ალიევის ვაჟი პუტინმა იალტის სამიტზე ძალიან გულთბილად მიიღო, მოსკოვშიც დაპატიჟა, მეგობრობის გასამტკიცებლად — ბაქოში თავისი ცოლიც გაგზავნა. რუსეთმა ყველას დაანახვა, რომ იწონებს მამიდან შვილზე ხელისუფლების გადაცემას.*

რატომ?

მოხუცმა ალიევმა თავის ვაჟს გადასცა ხელისუფლება. ელცინიც ალბათ იმავეს გააკეთებდა, ვაჟი რომ ჰყოლოდა, ამიტომ დარჩა „ტახტი და გვირგვინი“ სხვას — პუტინს. დსთ-ის ქვეყნებს უმთავრესად ერთი ტიპის სახელისუფლებო რეჟიმი აქვთ: ყოველ პრეზიდენტს ოჯახი ჰყავს და ყოველმა მათგანმა იცის, რომ თუ ხელისუფლება მისი ახლობლის ხელში არ მოხვდა ან სულაც ოპოზიციამ გაიმარჯვა, შესაძლოა თავად განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს და ოჯახიც გაუღარიბდეს. ამიტომაც ცდილობს, გაიხანგრძლივოს მმართველობა.

გულდასმით აკვირდებიან, რა ხდება მეზობელი ქვეყნების თავკაცების ოჯახებში. თუ ალიევებთან ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, მაშინ ცხადია, ნაზარბაევიც სერიოზულად დაფიქრდება — მართალია, ვაჟი არა ჰყავს, მაინცდამაინც არც სიძეების კმაყოფილია, მაგრამ ქალიშვილები ხომ ჰყავს!

დსთ შეიძლება შევადაროთ ევროპელი მონარქების ღვთივკურთხეულ კავშირს, რომლებმაც ამბოხის შიშით ერთმანეთის ხელისუფლების განმტკიცება ივალდებულეს. პუტინი შესაძლოა თანაუგრძნობდეს თურქმენეთში მცხოვრებ რუსებს, მაგრამ იქ დესტაბილიზაციას არ მოინდომებს. არც შევარდნაძის ქვეყანაში მოინდომებს დესტაბილიზაციას, დსთ-ის სივრცეში ყველაფერი მშვიდად უნდა იყოს.

დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურები გაჭირვების ჟამს ერთმანეთს უთუოდ ამოუდგებიან მხარში. აშშ-მა და ევროპამ შეიძლება გიმფარველონ, მაგრამ არჩევნები დაგიწუნონ ან რამე სხვა დანაშაული გამოგიჩხრიკონ.

ადრე თუ გვიან, დსთ-ის რომელიმე ქვეყანაში დინასტია გაწყდება და ოპოზიცია გაიმარჯვებს. მაშინ კავშირი, რომელიც ახლა სტაბილურობის წყაროა, შეიძლება არეულობის სათავედ იქცეს, დამხობილმა რეჟიმმა კი სხვაც გაიყოლოს.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №39***

# კმარა — 22 წელია, პრემიერი ვარ!

სტუდენტების წინაშე გამოსულმა 77 წლის მაჰატჰირ მოჰამედმა, რომელიც 22 წელია მალაიზიის პრემიერია, განაცხადა, — ჯანმრთელობას არ ვუჩივი, მაგრამ როდემდე შეიძლება ქვეყანას ვმართავდე! დროა, გადავდგე და მალაიზია ღირსეულ მემკვიდრეს გადავაბაროო. მაჰატჰირ მოჰამედი შარშან პირველად ალაპარაკდა გადადგომაზე, მაგრამ მაშინ თქვა, — ჩემი მოადგილე აბდულა აჰმად ბადავისთვის უფლებამოსილების გადასაცემად გარკვეული დრო დამჭირდებაო. ჩანს, ეს დრო გავიდა. მალაიზიის პრემიერი აცხადებს, — სიტყვას არ გავტეხ, ხალხის ნდობას თვალისჩინივით ვუფრთხილდებიო.

1981 წელს, როცა იგი ქვეყნის მთავრობას ჩაუდგა სათავეში, მალაიზიის ეკონომიკა ინტენსიურად ვითარდებოდა. 1997 წლის აზიის ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, სასტაბილიზაციო პრობლემების გადაჭრის წყალობით, რაც პრემიერის დიდი დამსახურებაა, ქვეყანამ მალე აღადგინა წარმოების კრიზისისწინა დონე...

***კომერსანტი №177***

# ტონი ბლერი მოზოდიშებაზე უარს ამბობს



დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტთა პარტიის ყრილობა გაიმართა. პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის გამოსვლამდე ყრილობის მონაწილეებს ფინანსთა მინისტრმა გორდონ ბრაუნმა მიმართა. იგი, ბლერის გადადგომის შემთხვევაში, პრემიერობის კანდიდატად ითვლება. დამკვირვებლები ამბობენ, — ფინანსთა მინისტრი მეტისმეტად გაბედულად ლაპარაკობდა მთავრობის მომავალ პოლიტიკაზე, ამით მან დაადასტურა, რომ პარტიაში ლიდერობის პრეტენზია აქვს. მისმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეკრებილებზე — მას ტაშით შეხვდნენ.

მეტოქის ასეთი წარმატების შემდეგ ტონი ბლერის ამოცანა კიდევ უფრო გართულდა — მას უნდა ეპასუხა ლეიბორისტთა საკმაოდ მწვავე შეკითხვებზე. ბრიტანეთის საინფორმაციო საშუალებებმა პრემიერის ამ გამოსვლას მისი კარიერის მანძილზე ყველაზე მნიშვნელოვანი უწოდეს. ბლერმა შეაჯამა განვლილი პოლიტიკური წლის შედეგები. პარტიაში ერაყის ომთან დაკავშირებით შექმნილი სერიოზული უთანხმოების მიუხედავად, ბოდიში არ მოუხდია. მას მიაჩნია, რომ სწორად მოიქცა, როცა მხარი დაუჭირა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას.

***იზვესტია №176***

## გვერდის ფოტო



ერაყი, შიში

## მოკლედ

**კოსოვო** სერბეთისა და ჩერნოგორიის განუყოფელი ნაწილია, — განაცხადა სტრასბურგში, საპარლამენტო ასამბლეაზე, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა, — ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ კოსოვოს პრობლემა დამოუკიდებლობის მიცემით გადაიჭრება. უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული კოსოვოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენელთა უფლებები.

**ინდონეზიის** სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა შარშან, კუნძულ ბალიზე ტერაქტების ერთ-ერთ ორგანიზატორს. ტერაქტებს 200-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. განაჩენის წაკითხვის დროს ტერორისტმა ბუჰლასმა, რომელიც ალი გუფრონის სახელითაა ცნობილი, დაიყვირა: „ალაჰ აქბარ!“ ადრე ინდონეზიის სასამართლომ ამავე დანაშაულისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მის უმცროს ძმას — ამბროზის, ხოლო მესამე ძმას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

**აშშ**-მა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს — რუსეთს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთს ერაყთან დაკავშირებით ახალი რეზოლუციის პროექტი წარუდგინა. დოკუმენტი ითვალისწინებს გაეროს როლის გაძლიერებას აშშ-ისთვის წამყვანი პოზიციის შენარჩუნებით. პროექტში ნათქვამია, რომ უცხოელების მიერ ერაყის ოკუპაცია დროებითია, თუმცა მითითებული არ არის, როდის გადაეცემა ძალაუფლება ქვეყნის ახალ ხელმძღვანელობას.

**ვენესუელის** პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ამერიკის პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით განაცხადა, — სიმართლეს არ შეესაბამება ბრალდება, თითქოს კოლუმბიელ ამბოხებულებსა და ისლამისტ რადიკალებს ვეხმარებოდეთ. ჩავესმა დასძინა — აშშ ჩემს მტრებს დამატებით საბაბს აძლევს სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად ან ჩემს მოსაკლავადო.

**ჩეხეთის** ყოფილ პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს ინდოეთმა უმაღლესი ჯილდო — განდის მშვიდობის პრემია მიანიჭა.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***



# სხეულის ფორმის კორექცია – რა გზა ავირჩიოთ?

ალბათ ყველა ადამიანი ოცნებობს უნაკლო და პროპორციულ სხეულზე, მაგრამ ხშირად იძულებული ხდება შეეგუოს



არასასურველ ფორმებს.

ის, ვისაც საკუთარ თავზე გამოუცდია, დაგვეთანხმება, რომ სხეულის მოვლის ტრადიციული მეთოდები – მასაჟები, მექანიკური თუ ელექტროტრენაჟორები, სხეულის თერაპიული თუ აპარატული დამუშავება, – ხანმოკლე ეფექტს იძლევა. ამასთან, ეს მეთოდები ძირითადად მიმართულია ცელულიტის დაშლისაკენ. მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად აუცილებელია პროცედურების ხშირი გამეორება, რომელთა დაუმთავრებელ სერიას ადამიანი ხშირად ნევროზამდე და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.





არასასურველ ადგილებზე მდებარე ცხიმოვანი ფენა, გამოკვეთილი ,,გალიფე'', ნაკეცები და ცხიმგროვები მუცელზე, ბარძაყებზე, – მნიშვნელოვანი ნაკლია, რომლის გამოსწორება დიეტით, ვარჯიშით და კრემებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

მთელ მსოფლიოში, უკვე ყველამ აღიარა, რომ სხეულის ფორმის კორექციის გარანტირებული და სტაბილური კორექცია შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევით, რომლის ეფექტურობაც დამოკიდებულია არჩეულ ქირურგიულ მეთოდზე.

კორექციის ქირურგიული მეთოდებისთვის უპირველესი მოთხოვნებია უსაფრთხოება, სწრაფი რეაბილიტაცია და მინ-





იმალური კვალი სხეულზე ოპერაციული ჩარევის შემდეგ. სადღეისოდ ყველა ამ პირობას მხოლოდ ლიპოსაქცია აკმაყოფილებს, რაც ნიშნავს ზედმეტი ცხიმის მოშორებას სპეციალური ტექნიკით, კანის გაჩხვლეტით განაკვეთების გარეშე.

მას შემდეგ, რაც ლიპოსაქციისთვის გამოიყენეს უახლესი ულტრაბგერითი აპარატურა, ეს ოპერაცია პრაქტიკულად უსაფრთხო გახდა. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ოპერაცია ჩატარდეს ამბულატორიულად, რამდენიმე საათის განმავლობაში, ისე, რომ ადამიანი არ გამოეთიშოს ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დროს, ცხიმოვანი ქსოვილი, ულტრაბგერის ზემოქმედებით იშლება, გადადის ემულგირებულ მდგომარეობაში და იმავდროულად ხდება მისი ამოტუმბვა. ამ დროს, ჩვეულებრივი ლიპოსაქციისგან განსხვავებით, არ ზიანდება სისხლძარღვები, ლიმფური სადინრები და ნერვული ბოჭკოები, რის გამოც მას





გართულებები პრაქტიკულად არ ახლავს. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი გაუტკივარებით, ნარკოზის გარეშე, არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას და ადამიანი არ ეთიშება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ერთადერთი, რამაც მას შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას, კომპრესიული თეთრეულის (ბანდაჟის) ტარებაა, რაც აუცილებელია ოპერაციის შემდეგ ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დახმარებით, ერთხელ მოშორებული ცხიმოვანი უჯრედები, მომავალში აღარ ვითარდება და სხეულის სასურველი ფორმა უცვლელი რჩება წლების მანძილზე. ამასთან ერთად, ოპერაციის დროს, ცხიმების დაშლის გარდა, თავს იჩენს ულტრაბგერის კიდევ ერთი თვისება – კანის ელასტიკურობის აღდგენა. რის შედეგად კანი თვითონვე იბრუნებს პირვანდელ სახეს, იჭიმება და არ ვითარდება ნაკეცები, რომელთაც მოშორება ან მოკვეთა არ სჭირდება.

როდესაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს თავისი გარეგნობა ქირურგიის საშუალებით, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მაქსიმალური შედეგის გარანტი მხოლოდ სპეციალისტის მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილებაა.

ამასთან ერთად სამედიცინო ცენტრი აღჭურვილია 2003 წლის უახლესი აპარატურით, რაც დამატებითი პირობაა ოპერაციის საუკეთესო შედეგების უზრუნველსაყოფად.

**სამედიცინო ცენტრი „ექიმი ბილი”**
**ტელ: 212-312 364-464**
**კოსტავას ქ.№63**
*ექიმი ქირურგი: გია გვარამია*

# ბიზნესჯგუფების მტაცებლური ინსტინქტები უნდა აილაგმოს

საქართველოსთვის დახმარების შემცირების თაობაზე — ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, თომას ადამსის განცხადება კიდევ ერთი სიმპტომია, რომელიც სახელისუფლებო ელიტის მოსალოდნელ აღსასრულზე მეტყველებს.

გასულ კვირას, თბილისში სტუმრად მყოფმა ადამსმა განაცხადა, რომ თეთრი სახლი აღარ გამოუყოფს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორს და ფინანსთა სამინისტროს რეაბილიტაციისა და რეფორმებისთვის საჭირო 34 მლნ დოლარს. მანამდე სავალუტო ფონდმა შეაჩერა ჩვენი სახელმწიფოსთვის დახმარების პროგრამები, რასაც, თითქმის ავტომატურად მოჰყვა მსოფლიო ბანკის მხრიდან პროექტების დაფინანსების შეწყვეტა. ეს ყველაფერი კი ხდება იმ ფონზე, როცა საქართველოს მომავალი წლიდან დიდი ოდენობით საგარეო ვალის გადახდა უწევს. საქართველოს მთავრობას რომ მოეხერხებინა შეთანხმების მიღწევა სავალუტო ფონდთან, ეს ორგანიზაცია პარიზის კლუბის წევრ ქვეყნებთან ვალების გადავადების თაობაზე მოლაპარაკებებში დაგვეხმარებოდა.

გადავადების (რესტრუქტურიზების) გარეშე კი ჩვენი ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება — საქართველოს ბიუჯეტს არ შეუძლია იმ თანხების გადახდა, რომელიც მომდევნო რამდენიმე წელიწადში უწევს. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, 2004 წელს, საქართველომ სხვადასხვა დავალიანების დასაფარად, 135,5 მლნ დოლარი უნდა გადაიხადოს. ეროვნულ ვალუტაში მიმდინარე კურსით გადაყვანილი ეს თანხა დაახლოებით 288 მლნ ლარს შეადგენს. ამას დაემატება 2003 წელს გასასტუმრებელი 50 მლნ დოლარი (100-მილიონიანი გარღვევის პირობებში ამ თანხის გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტი წელს ნამდვილად ველარ შეძლებს). მთლიანად, 2004 წელს საგარეო ვალების მომსახურებისთვის საჭირო იქნება დაახლოებით 395 მლნ ლარი — ეს კი, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების მესამედზე მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თანხაში არ შედის თურქმენეთის ვალი, რომელიც 360 მლნ დოლარია და რომლის არც ძირითადი თანხის, არც პროცენტების გადახდას მთავრობა უახლოეს წლებში არ აპირებს.

საერთაშორისო ექსპერტთა გაანგარიშებით, ქვეყანა გადახდისუნარიანია იმ შემთხვევაში, თუკი საგარეო ვალების მომსახურებაზე ცენტრალური ბიუჯეტის რეალური შემოსავლების 20%-ზე ნაკლები მოდის.

ჩვენს შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 30%-ზე მეტია (წლევანდელი საბიუჯეტო შემოსავლების გათვალისწინებით ძნელი წარმოსადგენია, 2004 წლის ბიუჯეტში 1 მილიარდ 200 მლნ ლარზე მეტი შევიდეს). აქედან გამომდინარე, სახეზეა დეფოლტის რეალური საფრთხე. რა შედეგებს მოუტანს ქვეყანას დეფოლტი? სახელმწიფოს, რომელიც უარს იტყვის ვალების გადახდაზე და გამოაცხადებს დეფოლტს, ანუ თავს გაკოტრებულად ცნობს, უარს ეუბნებიან გრანტების გამოყოფაზე, ასეთ ქვეყანასთან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები წყვეტენ ურთიერთობებს და აღარ აფინანსებენ პროექტებს, გადახდისუუნარო ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებას გაურბის ყველა სერიოზული კომპანია და ბიზნესმენი, სახელმწიფოს აღარ აძლევენ კრედიტებს და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკამ მრავალი წელი დაკარგა იმის გამო, რომ ქვეყანაში არ შეიქმნა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, რათა უცხოური კაპიტალი შემოსულიყო და ადგილობრივი წარმოება გამოეცოცხლებინა. დეფოლტის შემთხვევაში, ამ წლებს კიდევ რამდენიმე წელი დაემატება — ანუ, სახსრების მუდმივი დეფიციტის პირობებში, ვერ გაიზრდება პენსიები და ხელფასები, არ დაფინანსდება სკოლები, ჯარი, გზების მშენებლობა და ა.შ. და მაშინ, შესაძლოა კარს მოგვადგეს ყველაზე დიდი საშიშროება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას ემუქრება. სოციალური დაძაბულობის ზრდისა და მასობრივი საპროტესტო გამოსვლების თავიდან ასაცილებლად, მთავრობამ, შესაძლოა ვერ გაუძლოს ცდუნებას და განახორციელოს ემისია — ბრუნვაში გაუშვას არაფრით გამყარებული ლარის მასა, რომელიც მყისვე დააწვება სამომხმარებლო ბაზარს. ეს გამოიწვევს ფასების ზრდას, რომლის კომპენსირებასაც ახალი ემისია დასჭირდება და შედეგად მივიღებთ ინფლაციის სპირალს, რომელიც ლარს კუპონად გადააქცევს. თუ რა მოსდევს კუპონიზაციას, ჩვენთვის, სამწუხაროდ, უკვე ცნობილია.

ძნელი წარმოსადგენია, მთავრობას არ ჰყავდეს ერთი-ორი, მცირედი ეკონომიკური ცოდნის მრჩეველი მაინც და მათი დახმარებით, ამ საშიშროებას არ აცნობიერებდეს, თუმცა... თვითგადარჩენის ინსტინქტი, ალბათ, დინოზავრებსაც ჰქონდათ, მაგრამ დიდი კუჭისა და პატარა ტვინის გამო, შეცვლილ გარემოსთან ადაპტირება ვერ მოახერხეს. 21-ე საუკუნის ქართული დინოზავრი — მთავრობა, მასთან შეზრდილი კლანებით, ბიზნესჯგუფები და მათი პოლიტიკური ანტურაჟი სწორედაც რომ გადაშენებისთვის არიან განწირულნი: მთავრობას არა აქვს პოლიტიკური ნება, ეკონომიკაში მიმდინარე სახიფათო პროცესებს შეებრძოლოს და ბიზნესჯგუფების მტაცებლურ ინსტინქტებს ლაგამი ამოსდოს. ბიზნესჯგუფებს და კლანებს კი არა აქვთ საკმარისი გონება, რომ ქვეყნისთვის და მათთვისაც საზიანო შედეგები განჭვრიტონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიხვდებოდნენ, რომ უცხოური დახმარების, კრედიტების შეწყვეტა, დეფოლტი, ინფლაცია მოსახლეობის მსყიდველობით უნარს დააქვეითებს, საიმპორტო პოტენციალს შეამცირებს — ყველაფერი ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება როგორც მეწარმეების, ასევე სიგარეტისა და ბენზინის იმპორტიორების (მ.შ. კონტრაბანდისტების) შემოსავალზეც. თუმცა შემოსავლის, თუნდაც შემცირებულის შენარჩუნება, შესაძლოა სანატრელიც გაუხდეთ. ხალხი ახალ 1992-95 წლებს ველარ გაუძლებს. თუ მოსახლეობას მაშინ რაღაც მაინც ჰქონდა გასაყიდი: მინა, ოქრო, ანტიკვარიატი, ახლა უმეტესობას ასეთი საშუალება აღარ გააჩნია, რადგან, საქართველოში ლარის შემოღების შემდეგ, ისეთი ეკონომიკური აღმავლობა არ ყოფილა, რომ ადამიანებს მატერიალური ფასეულობების დაგროვება მოეხერხებინათ. ამიტომაც მასობრივი შიმშილის საფრთხის წინაშე დამდგარი ხალხის პროტესტი სულ ადვილად გადაიზრდება სამოქალაქო დაუმორჩილებლობასა და ამბოხში.

ამჟამინდელ მთავრობას ახალი პარლამენტი არ დაამტკიცებს, მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის ერთი ნაწილია. არჩევნებში გამარჯვებულ პარტიებს და მათ მიერ მოწონებულ მთავრობას, იმ ბიზნესჯგუფებისა და კლანების სახელისუფლებო ბერკეტებისგან ჩამოშორება მოუწევთ, რომელთა გამოც ქრონიკულად არ ივსება ბიუჯეტი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართულ სახელმწიფოს დინოზავრების ბედი ელის.

***მაია ჩიკვაიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
4 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1130 |
| ევრო | 2,4760 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5363 |
| რუსული რუბლი | 0,0694 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5191 |

„ტოპსერვისის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091






# ცხოვრებისეული კურიოზები

## ბრიყვმა ბრიყვი



წალვერში ცხოვრობს კაი მშენებელი კაცი რეზო დრობიშევი. ერთხელაც ღებავს ფანჯარას მეორე სართულზე, თანაც მაგარ „პახმელიაზეა“, გარედან მაღლა ვერ შესწვდა და ამიტომ დაუძახა თავის მეზობელ ვასიას. დადო ფიცარი რაფაზე, შიგნითა მხარეზე დასვა ვასია (ფიცარი რომ არ აყირავებულიყო), თვითონ დადგა გარეთა მხარეს და ღებავს. თან საუბრობენ, თუ როგორ გამოვიდნენ „პახმელიიდან“. მოულოდნელად რეზოს ფუნჯი ხელიდან გაუვარდა და ძირს ჩავარდა. რეზომ ვასიას უთხრა:

— ჩაირბინე, ფუნჯი ამომიტანეო. ვასიაც დაუფიქრებლად ჩამოხტა და გავარდა გარეთ. რა თქმა უნდა, ამ დროს ფიცარი გადაყირავდა და რეზომ მიწაზე მოადინა ზღართანი (საბედნიეროდ, უვნებლად). წამოდგა, აიღო ფუნჯი, თან ეცინება თავის სიბრიყვეზე. ამ დროს ჩამოაღწია ვასიამაც. უცბად ვერ გაერკვა სიტუაციაში და შეუტია რეზოს, — შე ჩემა, შენ თუ მოდიოდი დაბლა, მე რაღაზე გამომგზავნეო?!

***ჯემალ ინასარიძე, წალვერი***

## ახალი „ტრანსპორტი“



ერთი მეზობელი მყავს, ხუმარა კაცია, კრიტიკულ სიტუაციაში ყოველთვის ახერხებს იუმორის წყალობით იპოვოს „გამოსავალი“. ტაქსის მძღოლი იყო და ცოტ-ცოტა დანაზოგსაც აგროვებდა. მცირეოდენი თანხა შეაკოწიწა და ცოლს უთხრა — მოდი, ამ ფულით ძველი მანქანა მაინც ვიყიდოთო.

ცოლმა კი აიხირა, გინდა თუ არა, პიანინო და სკამები ვიყიდოთო. როგორც ხდება ხოლმე, თავისი გაიტანა: — იყიდეს ახალი პიანინო და 12 სკამი. ერთხელაც ცოლს დედა გაუხდა ავად. სასწრაფოდ უნდა წასულიყო და ქმარს სთხოვა, იქნებ ვინმეს მანქანა სთხოვო და წამიყვანოო...

ქმარი მივიდა პიანინოსთან და ცოლს უთხრა:

— აჰა, მოდი ახლა, შემოახტი ამ შენს პიანინოს და წადი თქვენებთანო.

***შ. გ., თბილისი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**თანამედროვე რაციონალიზატორული წინადადება:**

ჭიჭიკია — ქუთაისში აქლემების მოშენების ბიზნესს უნდა მოვკიდო ხელი. წყალი არ არის და მაგარი აქლემები გამომივა!

***ქუთაისელი***





გურული მზეს ეფიცხება პლაჟზე. მისი მეგრელი სიდედრი კი მახლობლად ბანაობს. უეცრად სიდედრმა ჩაძირვა დაიწყო.

— გაიხედე, მამა, — უთხრა გურულს პატარა ვაჟმა, — ბებია ხელებს იქნევს.

— მერე რას გაჩერებულხარ, შვილო? — არ დაიბნა გურული, — შენც დაუქნიე ხელი.

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, თბილისი***

მიხა და ზაქარა ტაქსიში ჩასხდნენ:

— მიხავ, მაყუთი გაქ?

— არა!

— აბა, დღესაც ვცემოთ, ჯოო, ე შობელძაღლი შოფერი?

***შოთიკო ტყეშელაშვილი, ქუთაისი***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

### ლანჩხუთელები მაინც ხუმრობენ

## გაპარტახებული



სადამ ჰუსეინმა ლანჩხუთელებს შემოუთვალა: რადგან ლანჩხუთი შევარდნაძის სამშობლოა, თუ არ გეწყინებათ, იგი უნდა დავბომბო და მიწასთან გავასწოროო.

ჩვენებურებმა შეუთვალეს: ტყუილა რეიზა წუხდები, ბატონო ჰუსეინ, — ლანჩხუთი, ოზურგეთი და ჩოხატაური ჩვენი მთავრობის წყალობით და ძალისხმევით უშენოდაც დაბომბილი, მიწასთან გასწორებული და გაპარტახებულიაო.

***ნოდარ გალოგრე, ლანჩხუთი***

# გრიშას ანეკდოტები

## ზმნის „კატეგორიები“

სტუდენტობისას ერთი მეგობარი მყავდა. ძალზე კოლორიტული და მხიარული ბიჭი. გრიშა ერქვა და ისეთი კურიოზული ამბების „დიდოსტატი“ იყო, დღესაც ხალისით ვიხსენებთ ახალგაზრდობის დროინდელ მხიარულ თავგადასავლებს, მერე კარგა ხანს ანეკდოტებად რომ დადიოდა მთელ ქალაქში. რამდენიმე მათგანს გიამბობთ:

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე მორფოლოგიის კურსს კოლორიტული პიროვნება, ბატონი კონა გიგინეიშვილი გვიკითხავდა და პრაქტიკულ მეცადინეობასაც გვიტარებდა.

ერთ ასეთ მეცადინეობაზე მან დაფასთან ოზურგეთელი გაგურულებული რუსი გრიშა ც. გამოიძახა და ზმნის გარჩევა დაავალა. გრიშას გაუჭირდა დავალების შესრულება და ლექტორმა დასახმარებლად შეკითხვები მიაშველა:

— ყმაწვილო, ზმნის კატეგორიები ჩამოთვალე!... რა კატეგორიები გააჩნია ზმნას?

ისევ შეფერხდა გრიშა და მუდარით გამოაპარა თვალი აუდიტორიისაკენ. ბრაზმორეული ლექტორი ბოლთას სცემდა.

ჩვენი თანაკურსელი მადონა თალაკვაძე შეეცადა, ჩუმად დახმარებოდა გრიშას და უკარნახა:

— რიცხვი!

— ო... სწორია... კიდევ, კიდევ! — წაახალისა ლექტორმა სტუდენტი.

მადონამ ტუჩებზე თითის მიდებით მიანიშნა და წასჩურჩულა — „პირი“.

გრიშას გაუკვირდა. თვალსა და ყურს ვერ დაუჯერა — როგორ შეიძლება ზმნას პირი ჰქონდესო:

— რაა?

— პირი... პირი... ნუ გეშინია, თქვი!.. — გაამხნევა მადონამ.

გრიშა დაემორჩილა ბედისწერას და



გაუბედავად ამოიკნავლა:

— პირი, პატივცემულო...

— სწორია... კიდევ, კიდევ? — თითქოს მოლბა პედაგოგი.

რაკი ნათქვამი სწორად გამოუვიდა, გრიშა გაიმართა და უფრო გულდაჯერებით მიენდო მოკარნახეს.

— განაგრძეთ! განაგრძეთ! — მოთმინება არ ჰყოფნის ბატონ კონას.

მადონამ ტუჩებთან ორივე ხელის მტევანი მიიტანა და საკარნახოდ მოემზადა, მაგრამ ამ დროს მისკენ შემობრუნდა ბატონი კონა და... მადონამაც ვითომ არაფერიაო, თითები ფაქიზად ჩამოისვა ნესტოებზე.

გრიშამ გაიფიქრა, რაკი პირი აქვს, ცხვირიც ექნება ზმნასო... არც აცია, არც აცხელა და ცხვირიო! — გაბედულად მიახარა პედაგოგს.

თქვენს მტერს, რაც გრიშასა და ჩვენც დაგვმართა გაცეცხლებულმა ლექტორმა...



## ლეონარდო და ვინჩის იუბილე

გასული საუკუნის 60-იან წლებში აღორძინების ხანის იტალიური კულტურის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს — ლეონარდო და ვინჩის დაბადებიდან ხუთასი წლის იუბილეს ზეიმობდა მსოფლიო. ეს დღეები ჩვენშიც ხმაურიანად ჩატარდა.

გრიშამ ერთხანს ითმინა და მერე მეგობრებს განცვიფრებით შეგვეკითხა:

— კი მარა... ასე ერთ დღეს როგორ დაიბადა ორივე, თანაც ხუთასი წლის წინ?

## სიცოცხლის „წყარო“

გრიშას განუყრელი ძმაკაცი ბ. თავდაპირველად ქიმიის ფაკულტეტზე ისმენდა ლექციებს. პირველი სემესტრის გამოცდა პროფესორ ზია ქამხაძესთან უნდა ჩაებარებინა. გამომცდელს გვერდით ასისტენტი ნიკოლოზ ფანცულაია უჯდა.

გამოსაცდელმა დიდი გამჭრიახობა ვერ გამოავლინა და ბატონმა ზიამ (არ უყვარდა სტუდენტების ჩაჭრა) უბრალო შეკითხვები დაუსვა.

მათ შორის ერთი ასეთიც იყო:

— რა არის სიცოცხლის წყარო დედამიწაზე?

— ბ.-მ ამ შეკითხვას ვერაფერი გაუგო. დამხმარე არავინ ეგულებოდა და უნუგეშოდ მიმოიხედა. ბოლოს ასისტენტს მიაპყრო თვალები საცოდავად. მანაც გამომცდელის შეუმჩნევლად თითი მაღლა შემართა და თან ტუჩებით უკარნახა:

— მზე, მზე...

მოპასუხემ სიტყვები ვერ გაიგო,



მზერა კი თითს მიაყოლა და ზემოთ მაინც აიხედა, ნეტავ სიცოცხლის რა წყაროა იქ ისეთიო... და ჰოი საკვირველებავ! — მის თავზე, სამასვატიანი ნათურა ჩახჩახებდა... მანაც სული მოითქვა, — აი, რა ყოფილა სიცოცხლის წყაროო და „ლამპოჩკა“, პატივცემულოო, სიხარულით წამოიძახა.

***ივერი მელაძე, ბათუმი***

C M Y K

## მილოცვა

მშვენიერებთან დიდ ოჯახს, უსაყვარლესე, ლელას და ოთარს ულოცავ პირველ სიხარულს – ლუკას დაბადებას.

ერთად დაგლოცოთ.

*სალომე*

**გოჩა ფიცხელაურს!**

გო – გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე კარგს. შენი დაჩაგრული გული უამრავი სიამის, სიყვარულის და იმედის მომცემი, რომელიც ღრმა სიბერემდე გეყოფა.

*დიდი სიყვარულით შენი შვილები: თამარ და რაფიელ ფიცხელაურები*

**ზურაბ, რუსუდან ფიცხელაურებს!**

ჩვენო საყვარელო მამიდაო, გილოცავთ დაბადების დღეს! უელევ სიხარულს, მხიარულებას, დღეგრძელობას და ბედნიერებას გისურვებთ. ჩვენ კი არ მოგვაკლდეს თქვენი ალერსი, „დედიკო მამიდა".

*დიდი სიყვარულით – ეკენი მპიძები: თამარ და რაფიელ ფიცხელაურები*



**გიორგი გაბუნიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, უელევ სიხარულს და სიყვარულს. სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი, შენით ეამაყოს საქართველოს.

*ნინო, თეონა, თამრიკო, ნიკუშა*

**ნინო და ალექსანდრე ასანიძეებს**, ღვაწლმოსილ პედაგოგებს, კარგ დედასა და მამას, საუკეთესო ბებიას და ბაბუას, მათი შთამომავალნი ვულოცავთ დაბადების მე-80 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს. იხარეთ შთამომავლობის სიმრავლით!

## ბინები

იყიდება „დინამოს" სტადიონთან ახლოს, საკუთარი, 1-სართულიანი სახლი, სფ. – 100 კვმ, ეზო-ბაღით – 210 კვმ, სარდაფით, კაპ. გარაჟით – 32 კვმ, ავტონომიური გათბობით, სხვა დამხმარე სათავსოებით, ტელეფონით. ფასი: $35.000. ტელ: 34-52-33; 38-91-96. ქეთი

იყიდება აგარაკი ჩაქვში, ზღვისპირას, 1000კვმ ეზოთი. ფასი 80.000$. ტელ. 899 53-95-63

სასწრაფოდ! ქირავდება (სასურველია უცხოელებზე) 5-ოთახიანი სტანდარტული, სუფთა, მაღალჭერიანი ბინა მ. „წერეთელთან", III სართ. (ს/ფ 160კვმ, ჭერი 3,2მ), ავეჯით, ტელეფონით, მუდმივი დენით, ბ/აირით, გამაცხელებელი ავზით, სარდაფით, კაპ. ა/ფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მის. წერეთლის გამზ. №77, ბინა №37. ტელ. 34-88-55 (9-11 სთ ან 17 სთ-დან). თემური

## მოთავაზობთ სამუშაოს

ამერიკულ-უნგრული ბიზნესცენტრი, რომელმაც ახლახან დაიწყო საქმიანობა ამიერკავკასიაში, საჭიროებს რამდენიმე პარტნიორს თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან. საქმიანობა პერსპექტიულია და მაღალანაზღაურებადი. ტელ: 877 71-69-35. მერაბი; 37-86-15. ფარვიზი

ვეძებთ გამყიდველს სადღესასწაულო გარე ვაჭრობისათვის. ტელ. 37-28-46. გიორგი (20 სთ-ის შემდეგ)

გთავაზობთ საოფისე სამსახურს მზარდი ანაზღაურებით – თვეში $150-200. საუკეთესო თანამშრომლები სტაჟირებას გაივლიან საზღვარგარეთ. მიმდინარეობს შერჩევა. მის. ბელინსკის ქ. №2. III სართ. ოთახი 407. ტელ. 99-81-71 ირმა

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. ვიმუშავებ პირად მძღოლად ან მიკროავტობუსზე. მაქვს საკმარისი გამოცდილება. ტელ: 70-25-11; 70-49-40. ბესო

გამოცდილი ბუღალტერი, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების (ორის-ბუღალტერია, ინფობუღალტერი) მცოდნე. ვიმუშავებ ბუღალტრად (შეიძლება შეთავსებაც). მაქვს ჩემი კომპიუტერი საბუღალტრო პროგრამით. ტელ: 899 78-24-96

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გალიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

„ფესვები"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 37-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

კაბინეტი პრეტენზიული ქალებისათვის!!! 1. თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის ხელმძღვანელობით; 2. გაიხსნა დამატებითი პროფესიული სწავლების საპარიკმახერო და კოსმეტიკის კურსები. დამთავრების შემდეგ გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი. მის: მ. „მარჯანიშვილი", აღმაშენებლის №113 (შესასვლელი თაღიდან). კაბინეტი №55. ტელ: 95-83-54

გახდომა იაფად. ტელ: 95-33-47

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

„ახალგაზრდა დამცველთა ასოციაცია" გთავაზობთ: 1. უფასო იურიდიულ კონსულტაციებს; 2. ყველა სახის ფირმის რეგისტრაციას; 3. წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო დავის საქმეებზე; თქვენი ინტერესების დაცვას; 4. საადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეებზე. მის: მარჯანიშვილის ქ. №5. მე-2 სართ. ოთახი №11. ტელ: 91-11-94; 899 10-93-97 ; 893 34-31-33; 893 21-42-64

## მკურნალობა

კვალიფიცირებული მასაჟისტი ვაკეთებ სამკურნალო მასაჟს. მივიღებ ნებისმიერი ასაკის პაციენტს. მოგემსახურებით როგორც ადგილზე, ისე ბინაზე მისვლით. ტელ: 98-64-14

სამედიცინო ცენტრი „ლაზერი" მკურნალობს სწრაფად და ეფექტურად თერაპიულ, ნევროლოგიურ, გინეკოლოგიურ ავადმყოფებს. ვმკურნალობთ აპარატურით. მის: ბახტრიონის №18. ტელ. 91-18-33

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. ლევან სეხნიაშვილი. მიღება 9-13 სთ, ყოველდღე. ტელ: 95-83-54; 53-44-39; 899 97-85-46

ექიმი დერმატოლოგი ნანა თურმანიძე თავისი მალამოებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ჭრილობას, დამწვრობას, ნაწიბურს, ბუასილს, კანის დაავადებებს – ეგზემა, დერმატიტი, სოკოვანი დაავადებები, ფურუნკული, კარბუნკული, ფსორიაზი, წითელი ქარი. ტელ: 37-35-65

თურმანიძის მალამოები უებარია ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა დამწვრობა, ჭრილობები, შეუხორცებელი ჭრილობები, ოპერაციის შემდგომი ჭრილობები, დაჩირქებები, ონკოლოგიური ჭრილობა-დაჩირქებები, ნანემსარი, მასტიტი, კერტების დახეთქა, ნაწოლები, ბუასილი, ნაღრძობები, ტროპიკული წყლულები, ეგზემა-ფსორიაზი, სოკო. ტელ: 39-75-39; 899 116-118. რუსუდან თურმანიძე

ჰიპერტონია, ართრიტი, სახსრები, მარილები, ნევროზი, დეპრესია, შიშები, უძილობა, ვარიკოზი, თრომბოზი, სისხლძარღვების შევიწროება, ფსორიაზი, კანის სხვადასხვა დაავადება, პროსტატიტი, ცისტიტი, პრობლემური კლიმაქსი. მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო

მანანა მამნიაშვილის სტომატოლოგიური კაბინეტი! აქ გელით ექიმის მაღალი კვალიფიკაცია, პროფესიონალიზმი და გულისხმიერება. გაგიწევთ თერაპიულ, ქირურგიულ მომსახურებას. საჭიროების შემთხვევაში ჩაგიტარებთ რენტგენოლოგიურ კვლევას. მის: აგლაძის ქ. №26 (ელიავას ბაზრობასთან).

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 91-18-33; 877 41-50-30

ოპერაციის გარეშე ვმკურნალობთ საოპერაციო დისკოზს, სახსრების დაავადებებს, ნერვის ანთებას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, მიოზიტს, პოდაგრას. მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან. კონსულტაცია-გასინჯვა – უფასოა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 15-18 სთ. ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი მ. ალექსიშვილი

## ვასწავლი

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს 2003-2004 წ.წ. მიღებას: 1. ახალგაზრდა თეატრალურ შემოქმედთა ორწლიანი უმაღლესი კურსები. კურსებზე შეიძლება მიღებულ იქნას უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა რეჟისორი, დრამატურგი, თეატრალური მხატვარი. კურსის ხელმძღვანელია – თემურ ჩხეიძე. სწავლების ღირებულება – 150 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში; 2. უმაღლესი კინორეჟისორო კურსები (ციფრული კინოწარმოების ბაზაზე), ჰოლივუდის მოდელის შესაბამისი პროგრამით. სტუდენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან საჭირო ტექნიკით. ხელმძღვანელი – ნ. თავართქილაძე. სწავლების ღირებულება – 250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში; 3. ჟურნალისტიკის უმაღლესი კურსები. ხელმძღვანელი – პროფ. მანანა ბერიკაშვილი. სწავლების ღირებულება – 250 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში. ამასთანავე ინსტიტუტი აგრძელებს მიღებას დრამის რეჟისურის სპეციალობაზე (ხელმძღვანელები გ. ჟორდანია, ქ. დოლიძე და ნ. კასრაძე). სწავლის საფასური – 450 დოლარის შესაბამისი ლარი. ყველა სპეციალობაზე საბუთები მიიღება ა.წ. 15 ოქტომბრამდე. *მიმღები კომისია*

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ვასწავლი ესპანურს. ტელ: 99-96-35

ვასწავლი სასაუბრო რუსულ ენას მოკლე დროში, სტუდენტებს, მოსწავლეებს. შეიძლება ბინაზე მისვლაც. ტელ: 99-96-35

შეგასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია", „ინფო ბუღალტერი", კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარება. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – $250. ტ: 33-30-88; 899 78-24-96

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

## იყიდება

ა/მ „გრანდ ჩეროკი", კარგ მდგომარეობაში, 1993 წლის გამოშვებული, სიმძლავრე 4.0, ბენზინზე. ფასი $6.800. ტელ. 899 50-51-02

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

პოკერის სათამაშო აპარატები. ტელ: 877 72-29-53; 52-35-53. გოჩა (საღამოს)


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე – დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მითუმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:



- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.**

ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.






### „მე ლამაზი მეგობარი მყავდა..."

ჩვენო სახენათელო, იმედიანო, საყვარელო მეგობარო **თამარ!** როგორი ელდა და ტკივილია შენი უეცარი გარდაცვალება.

დაზაფრულნი ვართ ყველანი!

იმედად გვეგულებოდი, ყველას მკურნალო და გულშემატკივარო! ვერ წარმოგვედგინა შენი ავადმყოფობა. უამრავი უპასუხო კითხვა დაგვიტოვე. ვერ გავრკვეულვართ, რა მოხდა... იქნებ შეგვეძლო შველა და ვერ გიშველეთ?! რატომ არ მოგვეცა საშუალება, დაგხმარებოდით, გადაგვერჩინე. იქნებ რაიმე დაგაკელით?

შენი გულისხმიერება და სათნოება დაგვაკლდა, თამარ, შენი ერუდიცია და სითბო. ყველაფერში სამაგალითო იყავი ჩვენთვის.

ამ გაუსაძლის ტკივილს მხოლოდ რწმენა გვიმსუბუქებს, რწმენა იმისა, რომ ახდება შენი ოცნება. შენი საამაყო შვილები დაიზრდებიან დედასავით კეთილშობილნი, განათლებულნი, ღირსეული მოქალაქენი.

ყველა ადამიანში მხოლოდ კარგის დანახვის ნიჭი მოგმადლა ღმერთმა. მადლობელნი ვართ უფლის, შენი მეგობრობის ბედნიერება რომ გვარგუნა.

გვენატრები, გვახსოვხარ, ჩვენო ლამაზო მეგობარო. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. ღმერთმა მიიღოს ზეციურ სასუფეველში შენი ლამაზი სული.

*მეგობრები*

### ანზორ ჩიქობავა — ჩვენგან განუყრელი



შენ მხოლოდ 16 წლისა იყავი. თბილისში დავაჟკაცდი, აქ გაგიჩნდა ტოლ-მეგობრები, აქ შეგიყვარდა მთელი არსებით ცხოვრება. შენი მშობლიური სოხუმი ძლივს გახსოვდა და მით უფრო უსაზღვროდ გიყვარდა იგი. სავსე იყავი სიკეთით, მომავალს იმედით უმზერდი, ოცნების კოშკებს აგებდი. გეჩქარებოდა დავაჟკაცება. საამისოდ ნიჭიც გქონდა, მაგრამ იღბალი არ გქონია. ავად შემოვიდა ჩვენთვის 21-ე საუკუნე. სიკვდილმა იმ ნაპირზე გაგრიყა, ჩვენ კი ამ ნაპირზე დავრჩით, სასოწარკვეთილნი, უნუგეშონი. რატომ იყავი ზედმეტი ამქვეყნად? რატომ ამძიმებდი ამ ქვეყანას?

ჩვენ ის გვანუგეშებს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს, 28 აგვისტოს ავიდა შენი ტანჯული სული ზეციურ სასუფეველში. იძინე მშვიდად, ჩვენო საყვარელო ანზორიკო. ოღონდ ჩვენ რა ვქნათ?! სად არის ნუგეში შენი დედიკოსთვის, შენი ძამიკოსთვის, შენი დაიკოებისთვის?! ჩვენ, დევვნილებს უბედურად მიგვაჩნდა თავი. რა ბედნიერები ვყოფილვართ თურმე შენთან ერთად და რა უბედურები ვართ ახლა.

ძნელია შეეგუო ამ მწარე რეალობას. ცრემლები გვახრჩობს. შენ კი სევდიანი თვალებით გვიყურებ სურათიდან და ჩვენ აქეთ გვანუგეშებ. ნათელი გეფინოს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ და ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში, ჩვენო ანზორიკო.

*შენი დედიკო, მამიკო და დაიკოები*

### ხატია ხაინდრავას ხსოვნას!



*სიკვდილი ყველაფერს აჩერებს ამქვეყნად...*
*დუმილი — მწარე და უთქმელი დარდი*

ხატია! — დედისა და მამის სიხარულო და ტკივილო, დღეს შენი დაბადების დღეა, ნატკენი გულის მონატრებავ! დღეს შენ 20 წლის გახდი. თუმცა წინ სამი გაუსაძლისი მონატრების წელია და მოძალიდან მომზირალი ყინულივით ცივი უშენობა. შენ მერცხალივით მოფრინდი, მოიტანე სითბო, იმედი, სიყვარული. ძალიან ცოტა ხანს იჭიკჭიკე და მოულოდნელად გაუჩინარდი. გვენატრები, ვეფერები შენზე მოგონებებს. ამ გაუსაძლის ტკივილს რწმენა ანელებს მხოლოდ, რწმენა შენი მარადიული სიცოცხლისა ცათა სასუფეველში.

დღეს ჩვენ ისევ მოვალთ შენს საფლავზე, ისევ დაგინთებთ მონატრების სანთლებს, უხმოდ მოგეფერებით, რადგან „ზოგჯერ მიცვალებულთა პატივსაცემად ცოცხლები ტკივილს გულში იკლავენ".

### გივი ბარტყულაშვილის ხსოვნას!



გვიჭირს, სიტყვებით გადმოვცეთ ის მწუხარება, რომელიც შენი მოულოდნელი გარდაცვალებით დაატყდა თავს შენს საყვარელ ცოლ-შვილს, შვილიშვილებს, დას, დისშვილებს, მთელ სანათესაოს. შენმა დამ — ნუნუმ ვეღარ გაუძლო შენზე დარდს და აღდგომას შენკენ გამოეშურა.

გივი, 12 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, 75 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავთ შეუსრულებელ დაბადების დღეს. უშენობა უსაშველო ტკივილია, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. ვნატრობთ იმ ბედნიერ დღეებს, რომელიც შენთან ერთად გაატარა შენმა ოჯახმა. ეს 3 წელი სამ საუკუნედ იქცა შენი ოჯახისათვის, აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა, მხიარული სიცილი. რამდენ სიყვარულსა და სითბოს იტევდა შენი გული. შენი საყვარელი შვილიშვილები — ნათია და გიორგი, შენ გიფიცებენ.

რაც დრო გადის, მით მეტად გვინდა შენზე საუბარი, შენი გახსენება, რათა დავიწყების ჩრდილი არ დაეფაროს იმ ადამიანის ხსოვნას, რომელსაც გივი აბრამის ძე ბარტყულაშვილი ერქვა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის. იძინე ტკბილად, მშვიდად ჩვენო სიცოცხლეზე, ოჯახზე გულდაწყვეტილო გივი! ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული და შენს სახელზე ანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა. სანამ ვიცოცხლებთ, სანთელსაკმეველი არ მოაკლდება შენს ვაჟკაცურ სულს, შენს საფლავს კი — ცრემლი და ყვავილები. მოვალთ საფლავზე და აგინთებთ სანთლებს.

*შენი ოჯახი*

### იმედა ადამაშვილის მონატრება



3 ოქტომბერს 26 წლის გახდებოდი, ჩვენო საყვარელო, სპორტსმენო ვაჟკაცო იმედო! მეორე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს.

როგორი მოულოდნელი, მწარე და შემზარავი იყო შენი სიკვდილი. შენს საფლავთან ამჯერადაც წითელი ვარდებით მოვალთ, ჩვენო ერთადერთო სანთელო. რაც დრო გადის, უფრო ძალიან გვენატრები შენს დამწუხრებულ დედ-მამას, დებს, დისშვილებს, ბიძას.

იმედო, უშენობა ძალიან გვიჭირს, უშენოდ ყველგან სიცარიელეა. სანამ ცოცხლები ვართ, შენს მონატრებასა და ხსენებაში ვიქნებით. ჩვენო საყვარელო, სპორტსმენო ვაჟკაცო, ფაფუკი ყოფილიყოს შენთვის გომარეთის მიწა!

*შენი დედ-მამა*

### გია კახოშვილის მონატრება



4 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, გია, შვილო! 24 წლის ხდები. თვალცრემლიანი გილოცავთ 24 წლის შესრულებას. დიდი ტკივილია ჩვენთვის, როცა სასაფლაოზე უნდა მოგილოცოთ ეს თარიღი. პირველად ვხვდებით უშენოდ ამ დღეს შენი უბედური მშობლები. ყოველი დღის გათენება უშენოდ ახალი სიკვდილია. გვენატრება შენი ხმის გაგონება, შენი ლამაზი, ღიმილიანი სახე. როგორ ვიფიქრებდით, რომ უშენოდ ერთ დღესაც ვიცოცხლებდით. გულს კი იმით ვიიმედებთ, რომ შენ სამოთხეში იქნები. შენი უბედური მშობლებისათვის ყოველთვის ცოცხალი იქნები.

ჩვენო მოურჩენელო დარდო და ტკივილო, დაე ჩვენმა დანთებულმა სანთელმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი გულმკვდარი მშობლები ზეინაბი და გივი კახოშვილები*

### მზია ყურაშვილის მონატრება



შვილო მზია! დაბადების დღეს ლექსითა და სიხარულით გილოცავდით, ახლა კი წუხილით ვხვდებით 10 ოქტომბრის მოსვლას და დიდი გულისტკივილით ვიხსენებთ შენს ხანმოკლე, მაგრამ ხალისით განვლილ ცხოვრებას. ვუყურებთ ფრაგმენტებს შენი ცხოვრებიდან და ყველას ერთი აზრი გვებადება: შენ გრძნობდი შენი ცხოვრების ასეთ სიმოკლეს და ამიტომ ასწრებდი ყველაფერს. თითქოსდა სამხსოვროდ გვიტოვებდი კადრებს შენი ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრებიდან. სიკვდილი ყოველთვის დასასრულს როდი ნიშნავს — შენმა მეუღლემ დიდი სიხარულით გვამცნო, დავითმა პირველი ნაბიჯები გადადგაო. კარგი იყო შენი თვალით გენახა, მაგრამ ასეთი ყოფილა შენი ბედი, შვილო. 10 ოქტომბერს 30 წელი შეგისრულდებოდა, შენ კი რვა თვეა, ჩვენ გვერდით აღარა ხარ. მზია, ძალიან გვწყინს, რომ უშენოდ გრძელდება ცხოვრება, მაგრამ შენი ბოლო სიტყვებია:

*„ქმარ-შვილო, ნათესავებო, ვეღარ მიხილავთ ამქვეყნად;*
*თქვენ, რომ იცხოვროთ, იცოცხლეთ, ზეცად წავედი მე მსხვერპლად!"*

შვილო, იმდენი გყავს გამხსენებელი, რომ მათმა ანთებულმა სანთელმა გაგინათოს სამოთხისაკენ მიმავალი გზა და ღმერთმა აცხონოს შენი სპეტაკი სული.

*გულისტკივილით: მშობლები — რეზო და გულნაზი, და-ძმა — როზა და ნიაზი*

### ვარდო ძაგანია-ბზიავას!



ტკივილი, მწუხარება, ცრემლი, მთელი წლის განმავლობაში... ჩემო ღვთაებრივად ტკბილო დაიკო ვარდო, ყველას ძლიერ გვენატრები! სხვისთვის მუდამ დაუზარელო, სხვისი ჭირის გამზიარებელო, მხოლოდ ღმერთის სასუფევლის ღირსი ხარ. ტკბილ ძილს გისურვებ, უძვირფასესო ადამიანო!

### ზაურ ტალიკაძის გახსენება



სამი წელია, უშენოდ ვხვდებით 3 ოქტომბერს, მამა! 62 წელი ძალიან მცირეა სიცოცხლისათვის. ახლა 65-ის გახდებოდი. ძალიან გვენატრები. დრომ არ უშველა იმ დარდს, რომელიც უშენობამ მოიტანა. ახსოვხარ და ენატრები მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

### გურამ კიზირიას გახსენება



გურამი ბიძია! გილოცავთ 50 წლის იუბილეს, მაგრამ არა ამიერში, არამედ იმიერში. სიცოცხლე გიყვარდა, მაგრამ უბედურმა ავადმყოფობამ ექვს თვეში დაგატოვებინა საყვარელი მეუღლე, შვილები და შვილიშვილი — შენი პატარა ანუკა. გვენატრები ყველას: ოჯახს, მეზობლებს და ახლობლებს. 5 ოქტომბერს ყველა მოვალთ შენს საფლავთან, მოგილოცავთ და სანთელს აგინთებთ, რომ გზა გაგინათოთ სამოთხეში.

*მარიამი და ბადრი თოფურიები*

### ირაკლი (ჰუსნა) ლაცაბიძის მონატრება



წელიწადის ორი ლამაზი პერიოდი — გაზაფხული და შემოდგომა — ორივე ძალიან მძიმეა ჩვენთვის, ჩვენო ღიმილის ბიჭო. იმ საბედისწერო გაზაფხულზე ოცი წლის ვაჟკაცი იყავი, როცა მუხანათურად გაგწირეს ალალ-მართალი. მეთერთმეტე შემოდგომაა, შენს დაბადების დღეს — 5 ოქტომბერს უშენოდ ვხვდებით. 11 მძიმე წელი გავიდა... ჰუსნა, გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები! ძალიან გვტკივა უშენობა. დღე არ გავა, შენი ვაჟკაცობა, შენი ხასიათი, შენი სიტყვები არ გავიხსენოთ. შენ ხომ ყველა გიყვარდა, ყველას ეფერებოდი, უნაწილებდი შენს დიდ სითბოს, ყველას მომკითხავი და ყველას პატრონი იყავი. ყველაფერს ასწრებდი, ჩქარობდი სიკეთის თესვას.

ჰუსნა, ჩვენო საამაყო ბიჭო, ჩვენო საგანძურო, ჩვენო „პატარავ" და ძალიან დიდო ვაჟკაცო! როგორ გვაკლიხარ, სულით ლამაზო და ფიზიკურად მშვენიერო! რამდენი კარგი სიტყვით შეიძლება შენი შემკობა, მაგრამ რიღასთვის, რისთვის...

ჰუსნა, ჩვენო გაუნელებელო დარდო, გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ გვჯერა, შენი სპეტაკი სული სამოთხეშია. ნათელში გამყოფოს ღმერთმა. გვენატრები, გვიყვარხარ!

*სიკვდილამდე შენზე მლოცველი დეიდები*

### სოფიკო სულაქველიძის გახსენება



სოფო, ჩვენო საყვარელო და ჩვენო დიდო ტკივილო! 10 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა. გილოცავთ, შვილო! 20 წელი გისრულდება. ათი წელი გავიდა შენთან განშორებიდან, ათი მძიმე და აუტანელი წელი. რა ბედნიერები ვიყავით... 9 წელი რომ გისრულდებოდა, შენ თვითონ მოიყვანე შენი თანაკლასელები შენს ბოლო დაბადების დღეზე. რა საშინელი ბედისწერა გქონია, შვილო, რომელმაც წაგვართვა შენი სიცოცხლე და ცხოვრება ჯოჯოხეთად გვიქცია. შენთან ერთად წავიდა ჩვენი სახლიდან სიხარული, ხალისი და მხიარულება. დაგვიტოვე სიცარიელე, დამუნჯებული სახლი, შენი ლამაზი სურათები, შენი საფლავი და სიზმრის მოლოდინით სავსე ღამეები. გვენატრები შვილო, ისევ ისე გვიყვარხარ, უცრემლოდ ვერასოდეს გიხსენებთ. დრო ყველაფრის მკურნალი არ ყოფილა, შვილო! ლოცვა-კურთხევას არ მოგაკლებთ, შვილო, სანამ ცოცხლები ვართ.

### გიორგი გელაშვილის მონატრება

12 ოქტომბერს 21 წლის შეგისრულდებოდა, ჩემო ხატად ქცეულო ჯარისკაცო! ახალი წლის ღამეს შეწყდა ჩემი დიდი ბარაქა და სინათლე. დარჩი ლია ჭრილობად, ჩემო მოუშუშებელო ტკივილო! სახლი უშენოდ ცარიელია, უსასრულოდ ველოდები შენს ლანდს. შენს სახელს დავიწყება არ უწერია, კრა გაძლიერდა, მოგვევლინა შენი სანატრელი დისშვილი — გიორგი, ღმერთის ნაჩუქარი, საყვარელი და ძლიერი.

რითი გინუგეშო გულჩათხრობილი მამა? უსაშველოდ გვიჭირს უშენობა, ჩემო ტრაგიკულად დაღუპულო, მუდამ 20 წლის ვაჟკაცო, ალალო, უღალატოვ. რამდენი ტკივილი და აუხდენელი ოცნება გაიყოლე თან. როგორ სძინავს შენი სიცოცხლის ხელმყოფს, დაუსჯელად რომ დადის ამ ცოდვილ დედამიწაზე. რით ვინუგეშო თავი?



ლოცვა-კურთხევას არ მოგაკლებთ გიორგის და კახას თქვენი გულდათუთქული დედა. მიხედეთ ერთმანეთს, ჩემო ვაჟკაცებო! ვევედრები უფალს, ნათელში ამყოფოს თქვენი უბოროტო სული ზეციურ სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

### მერი აბრამიშვილის მონატრება



2 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანნი გილოცავთ. მძიმეა ჩვენთვის უშენოდ ამ დღის შეხვედრა, მაგრამ მაინც მოვალთ შენს საფლავზე ყველანი, ვინც ასე გიყვარდა. მოვალთ, ავანთებთ სანთლებს და ჩვეულებრივად ვიტყვით შენს სადღეგრძელოს, რომელიც შენი სულის შესანდობარი იქნება. დაე, ამ წმინდა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

### ედიშერ მარსაგიშვილის გახსენება



4 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, ედიშერ, 40 წლის გახდებოდი, მაგრამ განგებამ სამარადისო სასუფეველს მიგაბარა. უშენოდ რამდენჯერ მოვიდა შენი დაბადების დღე. ბუნებამ რა ბედი გარგუნა, ასე ტრაგიკულად რომ დაამთავრე სიცოცხლე. 17 მტანჯველი და უბედური წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან. როგორ მოულოდნელად გამოეცალე ხელიდან შენს უბედურ დედას ერთადერთი შვილი. შემზარავი იყო შენი ტრაგიკული სიკვდილი. სიცოცხლის სავსე იყავი, ედო. შენი მოღიმარი და ლამაზი სახე არასოდეს დაგვავიწყდება. მოვდივართ შენს საფლავთან და იქაც შენი ღიმილიანი სურათები გვხვდება.

ედიშერ, გილოცავს დაბადების დღეს შენი მოსახელე ძმისშვილი ედიშერი, რომელსაც არც შენ და არც მამა არ უნახავს, მაგრამ მაინც უყვარხართ და ენატრებით.

ორივე ნათელში გამყოფოთ უფლის ძალამ. სანამ ვიცოცხლებთ, სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება თქვენს ვაჟკაცურ სულებს, თქვენს საფლავებს კი — დედების ცრემლი.

*ლია ავსაჯანიშვილი, ძმისშვილი ედიშერ მარსაგიშვილი*

### ტარიელ ბლიაძის გახსენება



40 დღე გავიდა, რაც შენ აღარ ხარ და რამდენი კიდევ გავა, გვიმძიმს უშენობა შენს დას, ნათესავებს, მეგობრებს, უბანი თითქოს დაცარიელდა, სიცოცხლეში ანთებული სანთელი იყავი, რომელიც ყველასთვის იწვოდა და ალბათ ზეცაშიც რჩეულთა შორის ხარ. გვენატრები, უსაზღვროდ გვენატრები.

თბილისის ყოფილი მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი, მწერალი

**კარლო არსენიშვილი**

*დაკრძალვა:* სამშაბათს, 7 ოქტომბერს, 2 სთ-ზე.
*მისამართი:* თელავი, სოფ. იყალთო.



დედა გიული, შვილი ბაჩა მესხი, ძმა ბექანი, მეუღლე სოფო იმედაშვილი, სიდედრი ლელა ჯანელიძე, სიმამრი თამაზ იმედაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბექა ბაჩანას ძე მესხი**

*პანაშვიდი:* 6, 7, 8 ოქტომბერს.
*მისამართი:* იპოლიტე ხვიჩიას (ყოფილი წითელი პარტიზანების) ქ. №30, IV სადარბაზო.
*გამოსვენება:* 9 ოქტომბერს, 3 საათზე, სიონის საკათედრო ტაძრიდან.

ასოციაცია „კათარზისის" სათნოების სახლის თანამშრომლები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას ორგანიზაციის მთავარი მენეჯერის მარინა გონაშვილის ძმის

**ნოდარ გიორგის ძე გონაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

*ასოციაცია „კათარზისი"*

# ქართული ესტრადის აშუღი

ორმოცი წელი ერთდროულად ვმოღვაწეობდით ქართულ ესტრადაზე.

ორმოცი წელი ვიყავით კოლეგები, სცენის პარტნიორები, მაგრამ ამხანაგები და მით უმეტეს მეგობრები — არასოდეს.

ამაში — ჩვენ-ჩვენი ანსამბლის ინტერესები, სხვადასხვა საგასტროლო გზა და ალბათ, შემოქმედებითი მეტოქეობაც გვიშლიდა ხელს.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ **რობერტ ბარძიმაშვილს** კიდეც ვიცნობდი და არც ვიცნობდი.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ 15 წლის წინათ, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ჯანსუღ კახიძემ თეატრში წამოწყებულ ორგანიზაციულ-შემოქმედებით რეფორმებში დასახმარებლად ერთდროულად მიგვიწვია: მე — დასის ხელმძღვანელად, რობერტ ბარძიმაშვილი -- დირექტორის მოადგილედ ადმინისტრაციულ დარგში. ურთულესი საქმე — რაიონებში სპექტაკლების გამართვა და მაყურებლის მოზიდვა ევალებოდა.

აი, სწორედ მაშინ გავიცანი რობერტი იმ დისტანციიდან, საიდანაც იგრძნობა ადამიანის სულის მოძრაობა და კაცობის ხარისხი.

გავიცანი და დღემდე ვნანობ იმ დაკარგულ წლებს, რომელიც მასთან მეგობრობაში ვერ გავატარე. ეს ბედისწერაა...

„ბედისწერა" იყო ნანი ბრეგვაძის, ბუბა კიკაბიძისა და ზურაბ იაშვილისთვის „ორერა" და თავად ბარძიმაშვილი, რომელმაც სათავე დაუდო ახალ „პროექტს" (როგორც ახლაა მოდაში). პროექტს, რომელმაც ანსამბლის ყოველ წევრსა და მთელ ქართულ ესტრადას შორს გაუთქვა სახელი.

სოსო ტულუშის სტუდენტურმა ორკესტრმა, პევზნერის „რერომ" და ბზვანელის კვარტეტმა უთუოდ შეუმზადა ნიადაგი „ორერას" დაბადებას, მაგრამ ის, რაც ანსამბლმა მალე გამოავლინა და რასაც მიაღწია საბოლოოდ — ვერ აიხსნება მარტო ტრადიციულობითა და თაობათა მუსიკალური ესტაფეტით, ან ქართველ კაცში ჩაბუდებული მრავალხმიანი სიმღერის უნარითა და მუსიკალური კულტურით.

და თუ ახსნას შევეცდებით, პირველ ყოვლისა, მიადგებით ბარძიმაშვილის ფენომენს, როგორც მიზეზთა მიზეზს „ორერას" თვალშეუდგამი წარმატებისა. რობერტ ბარძიმაშვილი ერთდროულად გახლდათ გემოვნებიანი მუსიკოსი, გულანთებული მომღერალი, ფარხმალდაუყრელი შემოქმედი და მუდამ ახლის მაძიებელი ნოვატორი.

დიახ, ნოვატორობის „ნიჭი" იყო ბარძიმაშვილის მთავარი მამოძრავებელი იმპულსი მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისა, ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ნოვატორობის ეს ქვეცნობიერი და დაუოკებელი ჟინი მოითხოვდა მისგან არ ჩატეულიყო მხოლოდ „ორერას" „პარტიტურაში" და ბედი ეცადა ქართული ესტრადისათვის ახალ, არატრადიციულ ჟანრებშიც.

ამ ნოვატორობით აიხსნება თავად „ორერას" პერიოდული გადახალისების სურვილი, რამაც სრულიად ახალი მუსიკალურ-საშემსრულებლო სტილისა და ესთეტიკის „ორერა 75" დაბადა.

ზოგჯერ სიზიფეს შრომას ჰგავდა მისი მოღვაწეობა... ეს გახლდათ მძიმე რუდუნება, ძიებისათვის დამახასიათებელი ჩაღრმავება და განმარტოება, რაც პუბლიკისგან აღიქმებოდა, როგორც შემოქმედებითი კრიზისი და იქნებ დასასრულიც...

„ორერამ" წარმატებით მოიარა მსოფლიოს უამრავი ქვეყანა. იყო თავბრუდამხვევი წარმატებები, იყო ახალი მიწვევები, ახალი პროექტები...

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როცა „ორერაში" ფეხადგმული და მისი ავტორიტეტით გზაგაკვალული კოლეგები დამოუკიდებელ შემოქმედებით გზებზე პოპულარობის ავტოგრაფებს არიგებდნენ, რობერტ ბარძიმაშვილი უხმაუროდ, მისხალ-მისხალ რაღაც ახალს ქმნიდა — ან ახალ კოლექტივს, ან ახალ ჟანრს, ან ახალ „ვარსკვლავს", ან ეძებდა ნორჩ ტალანტებს და ქართული ესტრადის ხვალინდელ დღეს ამზადებდა. ეს გახლდათ მისი მამაშვილური ურთიერთობა ნიჭიერ ახალგაზრდა თაობასთან, მისი უნარი — ახალბედა მომღერალში დაენახა სწორედ ის, რაც მას სხვებისგან გამოარჩევდა... და ყოველივე ეს ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ბარძიმაშვილის ალბომები ყოველთვის გამორჩეულები იყვნენ და გამორჩეული სიტყვას ამბობდნენ კიდევაც ქართულ ესტრადაზე.



რობერტ ბარძიმაშვილი სიმღერებსაც ისევე ირჩევდა, როგორც მომღერლებს... დადიოდა „კარდაკარ" კომპოზიტორებში და აუცილებლად პოულობდა იმ სიმღერას, რომელიც თუნდაც სულ მცირედით მაინც ახალი სიტყვა იქნებოდა ქართულ მუსიკაში. და თუ ასეთი სიმღერის შესაბამის ინტერპრეტატორს ვერ ნახავდა, მომღერლის ფუნქციას თავის თავზე იღებდა... მღეროდა გათავისებულს, თავის სულიერ მირონში ამოვლებულს, მღეროდა ბარდისებური, აშუღისებური უშუალობით, ეშხითა და სიამაყით.

და თუმცა მელოდიასა და ლექსებს თავად არ თხზავდა, სამაგიეროდ, თხზავდა სიმღერის იმ განუმეორებელ კოლორიტს, რითაც იყო კიდეც ქართული ესტრადის გულანთებული, ალალი და სულითხორცამდე თბილისელი აშუღი...

P.S. ჯერ ნახევარი წელიც არ არის გასული რობერტ ბარძიმაშვილის გარდაცვალებიდან.

ჯერ ალბათ ძნელია და ნაადრევიც მისი მთლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობის სრულყოფილი ანალიზი, რაც უთუოდ იმსახურებს პროფესიონალი მუსიკათმცოდნეების საგანგებო ყურადღებას.

ჩვენ კი ვცადეთ შეგვექმნა პიროვნული პორტრეტის ესკიზი იმ ადამიანისა, რომელსაც უსიმღეროდ სიცოცხლე არ შეეძლო...

*ომარ ჩიტაია ჟურნალისტი, კვარტეტ „ფიროსმანის" წევრი*

# ცოცხალთა დარდმა მკვდარიც არ მოასვენა...



— ბევრს არ სჯერა, რომ გარდაცვლილთა სულები ცოცხალთა სამყაროსთან კავშირს ინარჩუნებენ. ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ არასოდეს ვრჩებით მარტონი, თითოეული ჩვენი საქციელის უნებური მოწმენი ხდებიან სულებად ქცეული ადამიანები და ძალიან იტანჯებიან ჩვენ მიერ ჩადენილ ცოდვათა გამო, — დაიწყო ვერიკო ა-ძემ და მეტად საყურადღებო ამბავი მიამბო, — ძალიან კარგი ბებია მყავდა — ჭკვიანი, განათლებული, ღვთისნიერი. 12 წლის ვიყავი, ჩემი უმცროსი დეიდა რომ გათხოვდა. ბებო მარტო რჩებოდა. შემებრალა და მასთან გადავედი საცხოვრებლად.

18 წელი რომ შემისრულდა, თავისი საყვარელი საყურე მაჩუქა, რომელიც შეყვარებულობის პერიოდში ეჩუქებინა ბაბუაჩემს და ძალიან უყვარდა. თან სხვა ოქროს სამკაულებიც მაჩვენა: საათი, სამაჯური, კოლიე, ბეჭედი... ამათ, როცა გათხოვდები, მაშინ გაჩუქებო, — მითხრა. სამკაულები ძველებურ ხის ზარდახშაში ჩააწყო და საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა. გასაღებს კი სულ თან ატარებდა ხოლმე, კისერზე დაკიდებულს...

შარშან, ნოემბერში, ბებია მოულოდნელად ინფარქტით გარდაიცვალა. დაკრძალვის წინ, „ხელის მობრუნება“ რომ იციან, რაღაც ხომ უნდა შემეხსნა მიცვალებულისთვის და სწორედ ის გასაღები დავიბრუნე. არ გამებნეს-მეთქი და ჩემს მამიდაშვილს — მარეხს მოვაბარე. დაკრძალვის შემდეგ იგი ერთი კვირა დარჩა ჩემთან, რის გამოც საოცრად მადლიერი ვიყავი მისი. გასაღები მეორე დღესვე მომცა, მაგრამ უჯრის გაღება არც მიფიქრია. როცა მარტო დავრჩი, ბებიის საწერი მაგიდის უჯრა გავხსენი. ზარდახშა იქვე იდო, მაგრამ ოქროულობა შიგ არ დამხვდა. მაშინვე მარეხზე მივიტანე ეჭვი.

მეორე დღესვე ნათესავებს კარზე მივადექი. მარეხი დავიმარტოხელე და ჯიქურ მივახალე: — ვიცი, ბებიის ოქროულობა შენ მოიპარე და სანამ სოფელ-ქვეყნისთვის არ მომიდვია ეს ამბავი, დამიბრუნე-მეთქი.

ატირდა: — ეგ რამ გაფიქრებინაო და თავად უთხრა ყველაფერი დედ-მამასაც და ძმასაც, — რაღაც გაუგებრობაა და მომეშველეთ, დაარწმუნეთ ვერიკო, რომ მე ამის გამკეთებელი არა ვარ, თორემ თავს მოვიკლავო!..

ძალიან უხერხული სიტუაცია შეიქმნა. მიმტკიცებდნენ, — მარეხი სხვის ნივთს ხელს არას დიდებით არ ახლებდაო, თან გოგონას ეუბნებოდნენ, — ეგებ ეშმაკმა გაცდუნა და არ გახსოვსო. მარეხი ცრემლად იღვრებოდა და იფიცებოდა...

გაცეცხლებულმა გამოვიხურე მამიდის სახლის კარი.

...იმ ღამეს მქონდა სასწაულებრივი ხილვა... ბებიის გადიდებული სურათი უცებ თითქოს შიგნიდან განათდა. მივვარდი სურათს და ცარიელი ჩარჩო შემრჩა ხელთ, ბებიის ხმა გავიგონე: — მე აქა ვარო. მივიხედე. ძველი კარადის წინ იდგა. მივვარდი, მოხვევა დავუპირე. არ მიმიშვა: — სულ ორიოდე წუთი მაქვს დრო, რომ შეცდომა გამოვასწორო და შენც გადაგარჩინო ცოდვას: ოქროულობა მე ამოვიღე და რატომღაც ჩემი ძველი ქურქის სარჩულში ჩავაკერე. შენთვის თქმა კი ვერ მოვასწარი. აი, ამ კარადაშია... წადი, დროზე უთხარი მარეხს სიმართლე, თორემ იმ გოგომ თავს რამე არ აუტეხოს, მეც და შენც უპატიებელი ცოდვა დაგვედებაო, — თქვა და გაქრა...

გაღვიძებისთანავე კარადას მივვარდი, ქურქი გადმოვიღე. ოქროულობა იქ იყო. გულამოსკვნილი ავტირდი, რომ სასწაული მოხდა და გარდაცვლილი ბებია გამომეცხადა, რომელიც საიქიოშიც არ მოასვენა ცოდვის სიმძიმემ, უფრო მეტად კი მარეხის გამო ვწუხდი. ტაქსით გავვარდი მამიდაჩემთან. იქ საშინელი ამბავი დამხვდა: ჩემი წამოსვლის შემდეგ მარეხს თავის მოწამვლა უცდია. ექიმები იბრძოდნენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად...

ვტიროდი, ბიძას და მამიდას პატიებას ვთხოვდი, უგონოდ მყოფ მარეხს ვეფერებოდი და ვეჩურჩულებოდი, — მაპატიე-მეთქი!

...საბედნიეროდ, მარეხი გადარჩა, მაგრამ ამ შემთხვევამ უმძიმესი დაღი დაასვა მის სულს, ფსიქოლოგიურად გატყდა.

...გეხვეწებით, დაბეჭდეთ, რაც გიამბეთ, გაიგოს ყველამ, რომ ძალიან ვნანობ უდანაშაულო მამიდაშვილის შეურაცხყოფას. საჯაროდ ვთხოვ პატიებას, სასწაულის ხათრით მაინც მომიტევოს, რომ ბებიაჩემის სული საიქიოში არ დაიტანჯოს...

**ინგა ჯაყელი**

ჩვენ გვწერენ

# უცნაური მირაჟი მდინარის ხეობაში

— 60-იან წლებში უნივერსიტეტში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საძიებო-გეოლოგიის განყოფილებაზე ვსწავლობდი. ზაფხულობით სასწავლო პრაქტიკას ველზე გავდიოდით. ერთი საზღვარგარეთ განსწავლული ხნიერი პროფესორი გვყავდა. იმას გვასწავლიდა, რაც საბჭოთა სახელმძღვანელოებში არ ეწერა, ანუ გარემოზე დაკვირვების ხალხურ ხერხებს და ლეგენდებში ჩაღრმავებას. საამისოდ, ყოველი სასწავლო ექსპედიციის დროს, სოფლებში, მოხუცებისგან ვიწერდით იმ ადგილებში გავრცელებულ მითებსა და თქმულებებს, სარიტუალო წესებს. ამგვარი არაორდინარული ძიებით შესაძლებელია წინაპართათვის ცნობილი მადნეულის საბადოების მოპოვება, რომელთა ადგილმდებარეობა შეიძლება ლეგენდებში იყოს დაშიფრულიო, — გვიხსნიდა.



ერთ-ერთი ექსპედიციის დროს, მთის ერთ-ერთ სოფელში მოვისმინე უცნაური ლეგენდა ჰაერში გამოკიდებული თეთრი ქალაქის შესახებ.

თურმე შემოდგომის ერთ დილას ორ მწყემს ბიჭუნას საძოვარზე გაურეკავს სოფლის ნახირი. უეცრად, ცა საოცრად, არაამქვეყნიურად გაკაშკაშდა. მდინარის ხეობაში თეთრი, სქელი ნისლი ჩამოწვა. ნისლში ქალაქი გამოჩნდა. ისე ანათებდა, როგორც დედამიწაზე ციდან ჩამოშვებული, ღამის წყვდიადში მოულოდნელად გამოჩენილი ცისარტყელა.

მდინარის ნაპირებზე წამოიმართა კედლები და ფერადოვანი გუმბათები, აქა-იქ ნანგრევებიც მოჩანდა. ქუჩებში დადიოდნენ უცნაური ადამიანები. უნაკვთო სახეები უბრწყინავდათ. ისმოდა უჩვეულო ბგერები, რომლებიც ტალღებს მიჰყვებოდნენ. რბილი და ნაზი მელოდია დროდადრო ძლიერდებოდა და აუტანელ ტკივილს გადმოსცემდა. შემდეგ იკარგებოდა, ყუჩდებოდა.

ჩვენება რამდენიმე წუთს გაგრძელდა — ქალაქი ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გაჩნდა.

გაოგნებული მწყემსები ძაღლების ყეფამ გამოარკვია ბურანიდან. ისინი არც თვალს უჯერებდნენ და არც ყურს. კარგა ხანს ხმაც არ ამოუღიათ. მერე ბევრი ათვალიერეს იქაურობა, მაგრამ იმ ქალაქის ნიშანწყალი არსად ჩანდა.

ეს ამბავი სოფელში ჩაიტანეს. მოხუცებს არ გაჰკვირვებიათ. ამგვარი მოვლენა თურმე 40-50 წლის წინათაც მომხდარა. აღწერილი ქალაქის მსგავსი მათაც უნახავთ...

მას შემდეგ ბიჭები ყოველ სისხამს ამ ხეობაში ხვდებოდნენ. მირაჟი არ განმეორებულა.

იმ პატარა ბიჭებიდან ერთ-ერთი შემდეგ გეოგრაფი გახდა. უნივერსიტეტში ჩემი სტუდენტი იყო. ამ რამდენიმე ხნის წინ დამირეკა. განცვიფრებულმა მითხრა, ჩემი მირაჟის ქალაქი ვიპოვე. სრულიად შემთხვევით ამერიკული ალბომი ჩამივარდა ხელთ, ერთ-ერთი ქალაქის ფოტოებში, ის ქალაქი ამოვიცანი, რომელიც მე და ჩემმა მეგობარმა ბავშვობაში ნისლში ვნახეთო...

**ვ. მ.**
**თბილისი**

## „საზალოო–სალალოო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — დ); 3) — დ); 4) — გ); 5) — ა); 6) — ბ); 7) — გ); 8) — გ).

**II.** მე-3 ფრაგმენტი.

**III.** 36 ფანქარი.

**IV.** აკვანი.



# ყოჩაღი ბებრები

*** 102 წლის იტალიელ სალვატორე ბორდინოს ისე უნდა ცოლის შერთვა, რომ წლის მანძილზე 50 ადგილობრივ გაზეთს მაინც მისცა ამის თაობაზე განცხადება. თავის შესახებ სასიძო წერს, რომ ჯანმრთელია, აქვს სახლი, პენსია, მუშაობს მექანიკოსად ნახევარ განაკვეთზე და, რაც მთავარია, შეუძლია ცოლქმრული მოვალეობის შესრულება. სასურველია, თუ ჩემი მომავალი მეუღლე იქნება მომხიბლავი გარეგნობის, ალერსიანი და კარგი დიასახლისი, ანუ შეეძლება გემრიელი კერძების მომზადებაო, — ამბობს და ფილოსოფიურად ასკვნის, — თუ ქალმა საჭმლის კეთება არ იცის, მისი ქმარი აუცილებლად გაცვედანდება. ენდეთ ჩემს გამოცდილებას. მე მამაკაცური ძლიერება იმის წყალობით შევინარჩუნე, რომ ჩემი ორივე გარდაცვლილი მეუღლე ბრწყინვალე კულინარები იყვნენ. ჩემი რძლების მომზადებულ კერძებს კი პირს ვერ დააკარებო.

*** 100 წლის კალიფორნიელმა მატილდა კარეს სპაკმა გადაწყვიტა, გუბერნატორის სავარძლისთვის იბრძოლოს. თუმცა შვარცენეგერის მეტოქეს გამარჯვების იმედი არა აქვს, მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს მაინც მოახერხებს მიუსაფარი ბავშვების ბედზე ამომრჩევლის დაფიქრებას. საზოგადოებრივ საქმიანობას მატილდა (თვითონ ასე აქვს გადაწყვეტილი) მაშინ ჩამოსცილდება, როცა 105 წლისა გახდება. მხცოვანი კანდიდატის თქმით, მის სასარგებლოდ მეტყველებს დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და „ჯანსაღი გონივრულობა". „მე მდიდარი არ ვარ და რაც არ მაქვს, არც ვხარჯავ", — ამბობს გუბერნატორობის მოსურნე. მართალია, მატილდა მთელი სიცოცხლეა სიგარეტს ეწევა, არც კვების რეჟიმს იცავს, უამრავ ყავას სვამს და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაანება თავი ვისკის ყლურწვას, მაგრამ მაინც შესანიშნავად გამოიყურება — მას თურმე არც არასოდეს უხმარია კოსმეტიკა და არც პლასტიკური ოპერაციები გაუკეთებია.

*** იაპონელ კამატო ჰონგოს 16 სექტემბერს 116 შეუსრულდა. თავისი დღეგრძელობის მიზეზად ცხოვრების უნიკალურ სტილს ასახელებს — სძინავს გადაბმულად 2 დღე და ღამე, ხოლო მომდევნო 2 დღე და ღამე მუხლჩაუხრელად შრომობს. ნათესავების თქმით, კამატო ყოველთვის კარგი მადით გამოირჩეოდა. ამჟამად ის თავის მესამე — 79 წლის ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს.

*** საგულისხმოა, რომ მსოფლიოს უხუცესი მამაკაციც (114 წელი) იაპონიაში ცხოვრობს. და არც შრომას ერიდება — მშვენიერ ჭილოფებს ქსოვს და სხვებსაც ასწავლის.

*ნიუ ზუიქი*

# ცინიკური რეისი



ბრაზილიაში ერთ-ერთი ავიარეისის მგზავრებმა იჩივლეს იმ მიზეზით, რომ პილოტი „განსაკუთრებული ცინიზმით" მართავდა თვითმფრინავს.

თვითმფრინავი რიო-დე-ჟანეიროდან ქალაქ ვიქტორიაში მიფრინავდა. ცუდი ამინდის გამო დაშვების ადგილი შეცვალეს. პილოტმა გამოაცხადა: „თქვენთვის ორი ახალი ამბავი მაქვს: კარგი და ცუდი. კარგი ის არის, რომ აფრენა შევძელით, ცუდი კი ის, რომ ამ მარშრუტზე ჯერ არც ერთი თვითმფრინავი არ დაშვებულა მშვიდობიანად". არ გასულა ხანი, რომ პილოტმა კიდევ „გაახარა" მგზავრები — აფრენა 10 000 მ-ის სიმაღლეზე მიმდინარეობს, ჰაერის ტემპერატურა ბორტს გარეთ მინუს 46 გრადუსია. ამიტომ, ვისაც გასეირნება გსურთ, თბილი ტანსაცმლის წაღება არ დაგავიწყდეთო. შიშისაგან კბილებაკაწკაწებული მგზავრები 5 საათის განმავლობაში ელოდნენ აეროვოიაჟის დასასრულს. როცა ბოლოს და ბოლოს, თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა, ცინიკოსმა პილოტმა მხიარულად იკითხა — გული ხომ არავის გერევათ ვირაჟებისგანო...

*ოკნა №36*

# გაიყიდა ჰარისონის გიტარა




ამ ცოტა ხნის წინ ინტერნეტ-აუქციონზე 434.750 დოლარად გაიყიდა ბითლზების ერთ-ერთი აწ გარდაცვლილი წევრის, ჯორჯ ჰარისონის გიტარა. Fender Rosewood Telecaster-ი, რომელზეც „წყნარი ბითლი" უკრავდა უკანასკნელი გამოსვლის დროს სახელგანთქმულ კვარტეტში, დამზადებულია ცნობილი ამერიკული ფირმის მიერ საგანგებოდ ჯორჯისთვის, შეკვეთით. უკანასკნელად ჰარისონმა ამ გიტარით 1969 წლის 30 იანვარს ისარგებლა, ფილმის Let it Be-ს გადაღებისას ლონდონში, სტუდია Apple-ს სახურავზე. 11 თვის შემდეგ ჰარისონმა გიტარა ნაცნობ მუსიკოსს — დელანი ბრემლეტს აჩუქა და სწორედ ამ უკანასკნელის ნათესავებმა გაყიდეს ძვირფასი რელიკვია. უნიკალური ინსტრუმენტის მყიდველი ანონიმური კოლექციონერი — ბითლომანია აშშ-ის დასავლეთიდან.

*დენგი №37*

# ტვირთი შინ მიტანით



25 წლის ამერიკელმა ჩარლზ მაკქინლიმ ფულის დაზოგვა გადაწყვიტა — ნაცვლად იმისა, სამგზავრო ავიაბილეთი ეყიდა, ტეხასში მამიკოს საკუთარი თავი ხის ყუთით გაუგზავნა. თვითმფრინავი დანიშნულების ადგილამდე რამდენჯერმე დაჯდა სხვადასხვა აეროპორტში, მაგრამ ტვირთმომსახურების თანამშრომლებმა საეჭვო ვერაფერი შენიშნეს. სამაგიეროდ, სატვირთო მანქანის მძღოლი გაოგნდა, როცა ადრესატთან მიტანილი ხის ყუთიდან ახალგაზრდა მამაკაცი ამოძვრა. მამა-შვილის შეხვედრამ გული ვერ აუჩუყა მძღოლს და მან პოლიცია გამოიძახა. ჯერჯერობით, ვერაფრით დაადგინეს, როგორ „ჩაიჭედა" თავი ყუთში „ცოცხალმა ამანათმა" და როგორ გაძლო დახურულ სივრცეში რამდენიმე საათს.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი*

# თუთიყუშების სიყვარულით

ინგლისის ერთ-ერთი ბანკის კლერკმა, ლი გარდინერმა ანაბრებიდან 2 მლნ გირვანქა სტერლინგი მიითვისა. ფულის დიდი ნაწილი თუთიყუშებში დახარჯა — მას 100-ზე მეტი ეგზოტიკური ფრინველი ჰყავს. ეს ევროპაში სიდიდით მეორე ფრინველთა კოლექციაა. თუთიყუშების დასაბინავებლად ლი გარდინერმა სახლთან ახლოს 20 ვოლიერი დადგა გათბობითა და სხვა მოწყობილობით. როგორც სასამართლო პროცესზე თუთიყუშების კოლექციონერმა ბრძანა, ფულს ძირითადად მარტოხელა მოხუცებს ჰპარავდა იმ იმედით, მაინც ვერაფერს მიხვდებიანო.

*ტრუდ-7 №35*

# პიგმალიონის შთამომავალი



ამ „დიდ კაცს" რომ შეხედავ, ძალაუნებურად იფიქრებ, — ახლა ხელს ჩამოიღებს, სახეზე მოისვამს, მერე დაამთქნარებს და ფეხზე წამოდგებაო...

მოქანდაკე რონ მუეკის მიერ შექმნილი ფიგურები იმდენად „ცოცხლები" არიან, რომ მნახველს სურვილი უჩნდება, მათ ხელით შეეხოს, — სხეული რბილია და სითბოს გამოსცემს... ხომ არ სუნთქავს?

რონ მუეკი ავსტრალიელია, ლონდონში ცხოვრობს. უკვე მრავალი წელია კინოს, ტელევიზიისა და რეკლამისთვის თოჯინებს ქმნის. როგორც თავად ამბობს, მოწყენილობისგან სრულიად შემთხვევით ეზიარა პიგმალიონის ვირტუოზულ ხელოვნებას. საოცრად ამაღელვებელ ჰიპერრეალისტურ ფიგურებს სკულპტორი, რაღა თქმა უნდა, გარემომცველი სამყაროდან და ანატომიის წიგნებიდან იღებს და სხვადასხვა მასალისა და სილიკონის ნაზავისგან ძერწავს. მეტ რეალურობას ანიჭებს ფიგურებს კანს ქვემოდან ამობურცული მკრთალი ცისფერი ძარღვები, ხელ-ფეხზე — ბეწვი. ტექნიკურად ეს სკულპტურები ისე უზადოდ არის შესრულებული, რომ აქ ოსტატი ხელოვანს ჩრდილავს...

*შტერნი №38*

# თანამედროვე ჰეროსტრატე



ხორვატმა სვეტან ნ-მა საკუთარი სახლი გადაწვა. როგორც პოლიციაში განაცხადა, ეს იმისთვის ჩაიდინა, რათა ცოლქმრული მოვალეობის შესრულებისგან დაეძვრინა თავი.

შედეგად მან ოჯახს 23. 000 დოლარის ღირებულების ზარალი მიაყენა, თუმცა მიზანს მიაღწია — ცოლის სექსმოთხოვნები აღკვეთა.

ახალგამომცხვარი ჰეროსტრატე დაპატიმრებულია, მას 2-წლიანი ვირის აბანო ელის, მაგრამ თურმე დიდად არ ნაღვლობს. ხუმრობა ხომ არ არის ორწლიანი დასვენება ტემპერამენტიანი მეუღლისაგან.

*სობესედნიკი*

# ალავერდი ფიურერთან



იტალიის ღვინის მწარმოებელმა ერთმა კომპანიამ ღვინოების ახალი სერია გამოუშვა — ბოთლების ეტიკეტებზე ადოლფ ჰიტლერისა და სხვა ნაცისტ ლიდერთა პორტრეტებია აღბეჭდილი.

სერიას „ხელმძღვანელის ღვინო" ჰქვია. მოყვარულებს შეუძლიათ მუსოლინისა და სტალინის პორტრეტებიანი ღვინოც იგემონ.

გერმანიის იუსტიციის მინისტრმა ბრიგიტა ციპრისმა ღვინოების დიზაინს „უგემოვნო" უწოდა და იმედი გამოთქვა, იტალია ნეოფაშიზმსა და რასიზმს მსგავსი პროდუქციით აღარ წააქეზებსო. გერმანიის ხელისუფლებამ სასტიკად აკრძალა იტალიური ღვინის იმპორტი ქვეყანაში.

*ეხო პლანეტი*

# სპილოების პოლო

აზიის ქვეყნებში სპილო წმინდა ცხოველად ითვლება. ამ გოლიათს საგანგებო დღესასწაულიც ეძღვნება — ე.წ. „სპილოობა". ამ დღეს ბუდისტი ბერები ერთი წლის მანძილზე დახოცილ სპილოებს მოიხსენიებენ. 2000 წლიდან ტაილანდელებმა მოიგონეს გართობის ახალი სახეობა — სპილოების პოლო, რომელიც უამრავ შეძლებულ ადამიანს იზიდავს. თამაში იწყება ამ ცხოველთა გამასპინძლების ცერემონიით. ამის შემდეგ ეგზოტიკის მოყვარულებს სპილოს ზურგზე მოთავსებულ მოხერხებულ სავარძელში სვამენ და ისინიც დიდი გატაცებით იწყებენ პოლოს თამაშს.

*იტოგი №38*

# ჩაძირული განძი



ლონდონის ოქროს ბაზრის ოპერატორები დაინტერესდნენ 1694 წელს გიბრალტარის სრუტეში ჩაძირული იალქნიანი გემით. მის ბორტზე მოთავსებული იყო 10 ტონა ოქროს და 100 ტონა ვერცხლის მონეტა. განძის ღირებულება 1 მილიონი პიასტრი გახლდათ, რაც დღევანდელი საზომით 4 მილიარდი დოლარის ეკვივალენტია. თუკი გემის ამოყვანას შეძლებენ, 300 წლის წინ ჩაძირული განძი ლონდონის ამჟამინდელ ოქროს ბაზარს მთლიანად გადაწონის.

*დენგი №37*

# ფეთხუმს შეგიძლიათ გაეყაროთ!

იტალიაში გაურეცხავი ჭურჭელი საკმარისი ყოფილა გაყრისათვის. ამას წინათ, უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ვინმე ვინჩენცოს თხოვნა და იგი ცოლთან გაყარა. ქმარს საკმაო მტკიცებულებები ჰქონდა — სასამართლოს მან საკუთარი ბინის ფოტოები წარუდგინა. მსაჯულებმა შესაბამისი განაჩენიც გამოიტანეს: „ქალთან, რომელიც სახლს არ ალაგებს და ცივილიზებული ცხოვრების ყველა ნორმას უგულებელყოფს, თანაცხოვრება შეუძლებელია".

*ოკნა №35*

# იაპონური პანაცეა

ფენ-შუის — საცხოვრებლის მოწყობის იაპონელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები მათთვის, რომლებსაც თავიანთი ოცნების ქალიშვილის პოვნა სურთ.

ამისათვის, გვიმტკიცებენ სპეციალისტები, მამაკაცებმა თავის ბინაში იაპონიის სახელმწიფო დროშა უნდა დაკიდონ და საუზმედ თევზი მიირთვან. საუკეთესო საშუალებაა ვარდისფერი, ყვავილებით მოჩითული ტრუსებით სიარული. ვარდისფერს წარმატება მოაქვს, ყვავილები კი ქალებს იზიდავს.

*ვოკრუგ სვეტა*

# ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ტურგენევის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**დ.** პორტში მომუშავე მუშა-მტვირთავი; **ა.** იჯარა; **ი.** ვესტერნული ამპლუის მქონე ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; **ს.** პენკროფი, ჰერბერტი, სპილეტი, ნაბი, აირტონი. ვინ აკლია; **ვ.** რა ჰქვია ბადმინტონის ბურთს; **ე.** ჩხირზე წამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **ნ.** ქალაქი იტალიაში; **ე.** რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **თ.** წვრილი ღვედი; **ჩ.** საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ნ.** სუსტი ქარი; **ს.** ტბა სომხეთში; **გ.** ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო, საიდანაც პერიოდულად ამოდის წყლისა და ორთქლის შადრევნები; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **ზ.** ტეხილი ხაზი; **ე.** რაიმე საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **თ.** ქართული სუფრის ხელმძღვანელი; **ა.** თურქეთის დედაქალაქი; **ნ.** მდინარე ეგვიპტეში; **ე.** რა ამოვიდა მურმანის საფლავზე; **რ.** ფრანგი კომპოზიტორი, სახელგანთქმული „ბოლეროს" ავტორი; **თ.** დინების უნარის მქონე; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ.** ზღაპრული ურჩხული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ.** ჩამიჩი; **ვ.** ვრუბელი; **ე.** ექსცესი; **ნ.** ნეილონი; **თ.** თიკუნი; **ა.** არარატი; **ნ.** ნუარე; **ე.** ეუსებიო; **რ.** რვალი; **თ.** თემიდა; **ა.** არმადა; **დ.** დიანა; **ა.** ანგარი; **რ.** რეესტრი; **მ.** მებარჯე; **ო.** ოფსაიდი; **ი.** ილაჯი; **წ.** წერილი; **ყ.** ყამირი; **ე.** ეკიპაჟი; **ნ.** ნიაგარა; **თ.** თასმა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მუსიკა ასამაგებს არმიას.**

CMYK

# მერილ სტრიპი — არატიპური ვარსკვლავი


მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად

**მერილ სტრიპი ყვითელი პრესისთვის ნაკლებსაინტერესო ადამიანია, რადგან მის სახელთან სკანდალები არ არის დაკავშირებული. მას არც ვარსკვლავური ხასიათი აქვს. ახალგაზრდობაში ბევრს კითხულობდა, არც მსახიობობაზე უოცნებია, ყოველთვის მტკიცე ოჯახი და ბევრი შვილი უნდოდა.**



## ჭორი — აღიარების საწინდარი

მერილი არ შეუცვლია ბრწყინვალე კარიერას და დიდებას. ქმართან და ოთხ შვილთან ერთად ყოფნას არაფერი ურჩევნია. დიდებული სახლი აქვს ჰოლივუდიდან შორს, კონექტიკუტში. ოჯახს მარტო ის უძღვება — რეცხავს, ალაგებს, სადილს ამზადებს, ქსოვს, ბავშვები სკოლაში დაჰყავს. მაგრამ ვარსკვლავებს, რაც არ უნდა კარჩაკეტილად ცხოვრობდნენ, მაინც მოუძებნიან გასაჭორს, მაგალითად, ფილმ „ფრანგი ლეიტენანტის ქალის“ გამოსვლის შემდეგ პირზე ეკერათ — ჯერემი აირონსთან ლოგინის სცენას კი არ თამაშობდა, ნაღდ განცდებში იყოო. თურმე ამის შესახებ თავად აირონსს უამბია ჟურნალისტებისთვის და იცით, რატომ? სამაგიერო გადაუხადა მერილს, რომელიც გადაღებებზე სრულ წესრიგს და დისციპლინას ითხოვდა. ფილმ „აურზაურის“ გადაღების პერიოდში მერილი ფეხმძიმედ იყო და დაირხა ჭორები — ჯეკ ნიკოლსონისგან ელის ბავშვსო. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ მსახიობი ისე შედის როლში და გარდასახვის ისეთ მწვერვალს აღწევს, იმდენად ბუნებრივია ყველა სცენა — ხალხს სჯერა, რომ ეს ნამდვილად ხდება. მაგალითად, ამ ფილმის გადაღებისას, სიკვდილის სცენაში იქ მყოფები გაოგნებულნი მისჩერებოდნენ მერილს, ეგონათ, ნამდვილად მოკვდაო.

## მე თვითონ!

მერილი თვლის, რომ მისი აქტიორული ნიჭის ხიბლის სათავე მორცხვობაა. რასაც ცხოვრებაში ვერ ვახერხებდი, მთელი შეგრძნებით სცენაზე ვასხამდი ფრთებსო, — ამბობს და მართალიცაა. მსახიობობის 27 წლის სტაჟის მქონე ქალი, გადაღების წინ ახალბედასავით ღელავს და ყოველ ახალ როლს დიდ ძალას ანდომებს.

როცა რეჟისორმა კრეივენმა ფილმ „გულის მუსიკაში“ როლი შესთავაზა, მერილმა ცივი უარი სტკიცა, — მის გმირს ვიოლინოზე უნდა დაეკრა, ეს კი ნამდვილად არ იცოდა, არადა დუბლიორის წინააღმდეგი იყო, თვითონ უნდოდა ყველაფრის კეთება. მაგრამ როცა დაინახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო რეჟისორისთვის მისი მონაწილეობა — დასთანხმდა და და... დაიწყო მეცადინეობა ვიოლინოს პედაგოგთან. ფილმი უკვე მზად იყო და მერილს კიდევ სტკიოდა კისერი...

55 წლის მერილს, სანიმუშო დედასა და მეუღლეს, რეჟისორმა სპაიკ ჯონსმა ფილმ „ადაპტაციაში“, აღვირახსნილი და ნარკომანი ქალის როლი შესთავაზა... ამ უნიჭიერესმა მსახიობმა ორიოდე ზუსტი შტრიხით მოახერხა ეჩვენებინა, თუ როგორ კარგავს საკუთარ „მეს“ ადამიანი. „ადაპტაციისთვის“ მერილ სტრიპი „ოსკარის“ ნომინაციაში მოხვდა, მაგრამ არ მიიღო, თუმცა დიდად არ შეუწუხებია ამას. პრიზისა და ჯილდოებისადმი მას ფილოსოფიური დამოკიდებულება აქვს.

მინისერიალ „პოლოკოსტში“ თამაშისთვის მერილმა „ემი“ მიიღო, მაგრამ დაჯილდოების ცერემონიალზე არ მისულა და განაცხადა, — აღშფოთებული ვარ, რომ არაფრისმთქმელმა უნიჭო ფილმმა მსახიობს შეიძლება მეტი დიდება მოუტანოს, ვიდრე თეატრში წლობით მუშაობამო.

მსოფლიოში ცნობილ ადამიანს ჰქონდა ამის თქმის უფლება.

## ხანმოკლე ბედნიერება

მერილმა ჯონ კაზალე 1975 წელს გაიცნო „ფენიქს თეატრში“, სადაც იელის უნივერსიტეტის სამსახიობო განყოფილების დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა. ჯონი და მისი მეგობარი, მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად პოპულარული მსახიობი რობერტ დე ნირო მეტად მხიარულად ცხოვრობდნენ. არ აკლდათ ქეიფი, დროსტარება, გოგონები. რთულია იმის თქმა, რით მოხიბლა ამ ჩუმმა, მარტოობის მოყვარულმა ცამეტი წლით უმცროსმა გოგონამ კაზალე, მაგრამ ფაქტია, რომ მალე დე ნიროს გამოუტყდა — მერილი ვახშმად მელოდებაო...

შეყვარებულებმა ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს, მაგრამ ოფიციალურად ვერ გააფორმებდნენ ურთიერთობას — კაზალე ცოლიანი იყო. ჯონი ძალიან შეიცვალა, მისი ქარაფშუტობისგან აღარაფერი დარჩა, მერილს გვერდიდან არ სცილდებოდა. მალე ჯონი გარდაიცვალა. მერილმა ძალიან განიცადა საყვარელი ადამიანის დაკარგვა და ისეთი დეპრესია დაემართა, რომ მეგობრები შიშობდნენ, არ გაგიჟდესო. თანაც საცხოვრებელიც აღარ ჰქონდა — კაზალეს კანონიერმა ცოლმა ბინიდან გამოაგდო. მაშინ მერილის ძმამ მეგობარ მოქანდაკეს, დონალდ კამერს სთხოვა, მისი დისთვის თავისი სახელოსნო დაეთმო — სახლის პატრონი მაინც ევროპაში მიემგზავრებოდა. დონალდი ევროპიდან ადრე დაბრუნდა და როცა მერილმა სხვა ბინის ძებნა გადაწყვიტა, სთხოვა, სამუდამოდ ჩემთან დარჩიო.

## ხანგრძლივი ბედნიერება

რამდენიმე თვეში მერილი და დონალდი დაქორწინდნენ. მას შემდეგ 25 წელი გავიდა და მათი ოჯახი, ჰოლივუდური ოჯახებისაგან განსხვავებით, ძალიან მტკიცეა.

მერილ სტრიპი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობია, რომელსაც ხშირად იღებენ. მისი ყოველი მომდევნო როლი „ოსკარის“ ახალი პრეტენდენტია.

***ტვ პარკი №35***

# ალ პაჩინო: „ბუნებით დეპრესიული ოპტიმისტი ვარ...“


„ნათლია“

დიდ მსახიობს, ალ პაჩინოს, ჰოლივუდში „მისტერ პრობლემა“ შეარქვეს. საამისო მიზეზიც გააჩნდათ: კინოვარსკვლავი წლების მანძილზე ნარკოლოგიური კლინიკის პაციენტი იყო. ვერ ეგუება ქალებს, თითქმის არ ჰყავს მეგობრები, მასთან ურთიერთობა რთულია, ხშირად ნერვიულობს და შეუძლია თანამოსაუბრე უმიზეზოდ შეურაცხყოს.

ალი ორი წლის იყო, როცა მამამ ოჯახი მიატოვა. დედა გამუდმებით დეპრესიაში იყო, ამიტომ ბავშვს წარმოშობით სიცილიელი ბებია ზრდიდა. ბიჭი უამრავი იტალიელი ნათესავის გარემოცვაში აღმოჩნდა, რომელთა უმეტესობა ნარკომანი და ქურდი იყო. ორი წლის შემდეგ დედამ მამასთან ურთიერთობის ნება დართო. უჭირდათ, მაგრამ დედა მაინც ახერხებდა, რომ შვილი მარლონ ბრანდოს და ჯეიმს დინის ახალი ფილმების სანახავად წაეყვანა. 14 წლის ალი პირველად მოხვდა თეატრში. აღფრთოვანებულმა იმ დღესვე გადაწყვიტა მსახიობობა, მაგრამ საამისო ცოდნა არ ჰქონდა და სწავლის ფულის თავმოსაყრელად ათას რამეს მოჰკიდა ხელი. ჩია, უშნო ბიჭი ცდილობდა „ვაჟკაცური“ იერის მიღებას — ცხრა წლისამ სიგარეტის მოწევა დაიწყო, ცამეტისამ ღვინოს გაუგო გემო, ოცდაერთი წლისა პოლიციაში მოხვდა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების გამო, მაგრამ არაფერმა უშველა. ერთი გზაღა დარჩენოდა — სცენა.

ჯერ ჰერბერტ ბერგოფის სტუდიაში შევიდა. იქაურმა პედაგოგებმა ნიჭიერ ბიჭს ლი სტრასბერგთან გაუწიეს რეკომენდაცია. ამას პატარ-პატარა როლები მოჰყვა სხვადასხვა თეატრში. მისი ამპლუა იყო საშიში ყმაწვილი. დამაჯერებლად ასახიერებდა ფსიქოპატების, ნარკომანების, ტერორისტების, განგსტერების როლებს. 27 წლისამ პირველი ჯილდო მიიღო თავისი მანიაკებისათვის — ჯერ პრემია „ობი“, მერე კი „ტონი“.

მისი პირველი მხატვრული ფილმი იყო „პანიკა ნიდ-პარკში“, სადაც, რასაკვირველია, ნარკომანს თამაშობდა. როლში რომ კარგად შესულიყო, ნარკომანთა სარეაბილიტაციო კლინიკაში დადიოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მისი პაციენტი გახდებოდა. ასე თუ ისე, მისი როლი, ფილმ „პანფოში“, ფრენსის ფორდ კოპოლამ ნახა. 12 წუთი უყურა დიდმა რეჟისორმა კასეტას და ეს საკმარისი აღმოჩნდა, ალისთვის მთავარი როლი რომ მიეცა „ნათლიაში“.

მაიკლ კორლეონეს როლი ჯეკ ნიკოლსონისათვის იყო გამიზნული, მისი უარის შემთხვევაში უორენ ბიტი უნდა მოეწვიათ. ამიტომ კოპოლამ პროდიუსერს ულტიმატუმი წაუყენა: ან ამ უცნობ მსახიობს აიყვან, ან უარს ვიტყვი ფილმის გადაღებაზეო.

„ნათლიამ“ გზა გაუკაფა ალ პაჩინოს. ის ცნობილი გახდა. ყველა მასთან დაახლოებას ცდილობდა. ვინ არ გაბმულა მის მახეში: დებორა უინჯერი, ჯეინ ფონდა, პენელოპა ენ მილერი, მიშელ პფაიფერი... ქალებს შორის განსაკუთრებული ადგილი ინტელექტუალურ მსახიობს, დაიან კიტონს ეჭირა, რომელმაც ალ პაჩინოს ცოლი ითამაშა „ნათლიას“ სამ სერიაში და რომელიც კინაღამ ცხოვრებაშიც მისი მეუღლე გახდა. მაგრამ პაჩინომ დაიანი აიძულა, აბორტი გაეკეთებინა. ქალი ასეც მოიქცა და ალიც მიატოვა.

ის, რაც დაიანმა ვერ მოახერხა, 15 წლის შემდეგ შეძლო სამსახიობო ხელოვნების პედაგოგმა ჯინ ტერენტმა. მან 1991 წელს ალს შვილი გაუჩინა — ჯული მარი. პაჩინო დიდხანს უარს ამბობდა მამობაზე, ახლა კი წესიერად იხდის ალიმენტს და გოგონას გვერდიდან არ იცილებს.

70-იან წლებში პაჩინომ არაფერი დაიკლო — ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ქალები, როლები, ჯილდოები. მას უკვე შეუძლია უარი თქვას ჰამლეტის როლზეც, სამაგიეროდ, ითამაშა ახლა უკვე მსოფლიო კინოს კლასიკად ქცეულ ფილმებში: „სერფიკა“, „ცხელი შუალედები“, რომ არაფერი ვთქვათ ტარანტინოს ფილმებზე. 1985 წელს ფილმ „რევოლუციაში“ გადაიღეს. ალი დიდ იმედს ამყარებდა ამ ფილმზე, მაგრამ სურათი ჩავარდა. კრიტიკოსებმა ალი ლაფში ამოსვარეს.

პაჩინო ბედის ასეთ თამაშს ჩვეული არ იყო. დეპრესიამ დარია ხელი, ამას ისიც დაემატა, რომ „ნათლიას“ სამივე სერიას დიდი წარმატება ხვდა წილად, ოსკარებიც უხვად მოიპოვა და ერთადერთი მსახიობი, რომელსაც არ ერგო „ოსკარი“, ალ პაჩინო იყო, თანაც მაშინ, როცა ხალხი ქუჩაშიც კი მაიკლს ეძახდა...

დრო ლოთობაში გაილია. ოთხი წელი კინოში არ უთამაშია. იჯდა შინ, ბოთლებსა და წიგნებში ჩაფლული. „ბუნებით დეპრესიული ოპტიმისტი ვარ. დღეს რომ ჩემი თავისა მჯერა, ხვალ მძულს ის, რასაც ვაკეთებ“, — ამბობს ის.

გადასაღებ მოედანზე რეჟისორმა სიდნი პოლაკმა ძალით გაათრია.

თანამედროვეობის უდიდესი მსახიობის კინოში ტრიუმფალური დაბრუნება ადვილი არ იყო. ალკოჰოლისგან თავის დასაღწევად ფსიქოანალიტიკოსთან დაიწყო სიარული. გაიკეთა რამდენიმე პლასტიკური ოპერაცია, თავი დაანება მოწევას...

ალ პაჩინოს პირველი როლი, „გამოჯანმრთელების“ შემდეგ იყო... გალოთებული კოპი, რომანტიკულ კომედიაში „ფრენკი და ჯონი“.

90-იან წლებში მსახიობს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა. კვლავ „გაბრწყინდნენ“ ეკრანზე მისეული განგსტერები, პოლიციელები და ბოსები. ახალგაზრდული კატეგორიულობა და ბოლმა დაღლილობამ და სიბრძნემ შეცვალა: „კარლიტის გზა“, „დონ ბრასკო“, „ეშმაკის ადვოკატი“, „უძილობა“...

ბოლოს და ბოლოს, „ქალის სურნელისათვის“ „ოსკარიც“ ეღირსა...

ამის შემდეგ, როგორც იქნა, გადაიღო ნაოცნებარი „რიჩარდის ძიებაში“ — დოკუმენტური არაკომერციული ფილმი.

ჰოლივუდი — დაუნდობელი ადგილია. აქ სიბერეს პატივს არ სცემენ. მეგობრები ხუმრობენ, — თუ ალ პაჩინოს ახალი ჯინსი აცვია, ესე იგი, მილიონობით ჰონორარი აიღოო. არა, ალფრედო ფულს არაფრად აგდებსო, ვერავინ იტყვის, მაგრამ ის 125 დოლარი, რომელსაც 20 წლისა თეატრში ერთი კვირის გასამრჯელოდ იღებდა, უფრო ეძვირფასება, ვიდრე დღევანდელი ათი მილიონი...

***პარი მატჩი***

შემოდგომა დადგა...



# ვინ ჩაიბარებს საქართველოს ნაკრებს — საკი, ტრუსიე, დელ ბოსკე თუ...

11 ოქტომბერს, თბილისის დროით 20.30 საათზე, მოსკოვში „ჩერკიზოვოზე" მდებარე „ლოკომოტივის" სპორტულ არენაზე გაიმართება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩი, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან რუსეთისა და საქართველოს ნაკრებები.


ფილიპ ტრუსიე

სამწუხაროდ, ამ მატჩის შედეგს ჩვენი ეროვნული გუნდისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. რუსებისთვის კი ის ერთ-ერთი გადამწყვეტი თამაშია. რა თქმა უნდა, რუსთა ნუგეშად იქნება ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრების ღირსებას ტრავმის გამო ვერ დაიცავს „მილანის" ფეხბურთელი კახი კალაძე.


არიგო საკი

მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, მერაბ ჟორდანია და მისი ამალა საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ამ მატჩის შემდეგ, როგორც ქართული ფეხბურთის მამები აცხადებენ, წარსულს ჩაჰბარდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებული ქაოსი და გაურკვევლობა. დეკემბრის ბოლოს ცნობილი გახდება იმ სპეციალისტის ვინაობა, რომელიც საქართველოს ეროვნულ გუნდს ჩაიბარებს.

კულუარებში სახელდება რამდენიმე აღიარებული სპეციალისტი. მათ შორის უპირველეს ყურადღებას იქცევს იტალიური ფეხბურთის რეფორმატორი არიგო საკი. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ არიგო საკი ჯანმრთელობის გამო ჩამოშორდა აქტიურ სამწვრთნელო კარიერას. რამდენად იქნება სასურველი მისთვის საქართველოს ნაკრების გამო თავის ატკივება, უახლოესი ორი თვე გვიჩვენებს. იმასაც იუწყებიან, რომ უკვე იყო საუბარი იმ სავარაუდო თანხის შესახებ, რომელსაც იტალიელ სპეციალისტს საქართველოს ნაკრებში მუშაობისთვის გადაუხდიან — ეს თანხა ორი მილიონი დოლარი გახლავთ.


ვისენტე დელ ბოსკე

არიგო საკის სახელს უკავშირდება იტალიის „მილანის" 90-იანი წლების აღზევება, ამ სპეციალისტის ხელში იტალიის ნაკრებმა ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი ბრაზილიის ნაკრებთან საფეხბურთო ლატარიით — პენალტებით წააგო.

სავარაუდო კანდიდატთა შორისაა იაპონიის ნაკრების მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე. ფრანგი სპეციალისტის ხელში იაპონელებმა მართლაც რომ თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს და მსოფლიო ჩემპიონატზე კარგად წარმოაჩინეს თავი. თუმცა, ერთია იაპონია და მეორე საქართველო. ჩვენი ქვეყანა წესრიგით განთქმულ ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს რომ ვერ შეედრება, ამაზე არავინ დაობს. ასეთ პირობებში რამდენად იქნება წარმატებული მუსიე ფილიპის მოღვაწეობა საქართველოში, ძნელი სათქმელია. ისე, ის კი სიმპტომატურია, რომ სწორედ ფრანგულმა მენტალიტეტმა და შეუპოვრობამ მუსიე კლოდ სორელის გარჯით რამდენიმე წელში ააღორძინა ქართული რაგბი და მსოფლიოში მეთექვსმეტე გუნდად აქცია საქართველოს რაგბისტთა ეროვნული ნაკრები. ასე რომ, შესაძლოა მართლაც ფრანგის იმედად იყოს ფიფას რეიტინგში ამჟამად 81-ე საფეხურზე გაჩხერილი ჩვენი ნაკრები.

უკვე საუბრობენ იმ თანხაზეც, რომელსაც სავარაუდოდ, ტრუსიე მიიღებს — მისი წლიური შემოსავალი რვაასი ათასი დოლარი იქნება.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავდნენ მადრიდის „რეალის" ყოფილ მწვრთნელს დელ ბოსკესაც, რომელსაც, სხვათა შორის, თბილისში უთამაშია 1981 წელს, როდესაც მადრიდის „რეალი" მოსკოვის „სპარტაკს" ხვდებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში სპარტაკელთა შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე, რომელსაც დღესაც ამჩნევია ფეხზე ის ნაიარევი, დელ ბოსკესთან შეტაკებისას სამახსოვროდ რომ დარჩა.

თუმცა, როგორც ჩანს, დელ ბოსკეს თბილისში ჩამოსვლა არ მოუწევს, მან თავაზიანი უარი შემოთვალა, სხვა გეგმები მაქვს და საქართველოს ნაკრებისთვის ვერ მოვიცლიო.

ვარაუდის დონეზე განიხილება წარსულში ცნობილი გერმანელი მცველის, ული შტილიკეს კანდიდატურაც. როგორც მწვრთნელმა, შტილიკემ შვეიცარიის ნაკრებში მოღვაწეობისას გაითქვა სახელი

ერთი სიტყვით, მოსკოვში, „ჩერკიზოვოზე" გამოსულ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, იმედია, უკანასკნელად დამოძღვრავენ არაპროფესიონალი მწვრთნელები. თუ ვინ ჩაიბარებს ჩვენს ეროვნულ გუნდს — საკი, ტრუსიე, შტილიკე თუ ჯერ ჩვენთვის უცნობი პიროვნება, ამას 5 დეკემბერს გამართული — მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის შემდეგ შევიტყობთ.

# დიდი რაგბი იწყება



10 სექტემბერს ავსტრალიაში სტარტს აიღებს მსოფლიო თასის გათამაშება რაგბიში. აღნიშნული მოვლენა გამორჩეულ ადგილს იკავებს ქართული სპორტის ისტორიაში, რადგანაც ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც სათამაშო სპორტის სახეობებში ქართველი სპორტსმენები მსოფლიო ფორუმზე გამოვლენ.

ბორჯღალოსნები უკვე ავსტრალიაში არიან და იქ ემზადებიან პირველი შერკინებისთვის. 12 ოქტომბერს პირველ მატჩში ჩვენი სპორტსმენები შეხვდებიან მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — ინგლისის ნაკრებს. ჩვენს ჯგუფში მოხვდნენ ასევე სამხრეთ აფრიკის, სამოასა და ურუგვაის ნაკრებები. ჯგუფიდან ორი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე გუნდი გავა გათამაშების შემდეგ ეტაპზე.

აქვე გეტყვით იმას, რომ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა შეიძლება გადახალისდეს. 30-კაციან სიაში მყოფი ირაკლი გუნდიშვილი, სამწუხაროდ, დაშავდა და ასეთ დროს ბორჯღალოსანთა გუნდის ხელმძღვანელობას უფლება აქვს დაიმატოს ერთი მორაგბე. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ქართული რაგბის სიმბოლო, საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანი, საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის, „მონფერანის" მოთამაშე ლევან ცაბაძე, რომელსაც ტრავმა აწუხებდა, რის გამოც ვერ ჩაერთო თავიდანვე კლოდ სორელის ამქარში..

**ლევან ცაბაძე:**

„ახლა მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ. დამინიშნეს სპეციალური პროგრამა, რომელსაც ზედმიწევნით ვასრულებ. ჩემმა მკურნალმა ექიმმა გუნდის ექიმთან ერთად მომცა უფლება მოედანზე გავსულიყავი და შერკინებაში მიმეღო მონაწილეობა. რაც მთავარია, მხარი აღარ მტკივა. ახლა მთელი დატვირთვით ვაგრძელებ ვარჯიშს და 15 ოქტომბრისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება. ახლა მთავარი სიტყვა „მონფერანის" ექიმმა უნდა თქვას. მოგეხსენებათ, თითოეული მოთამაშე, მათ შორის მეც, დაზღვეული ვარ და ამიტომაც ფრანგები სიფრთხილით ეკიდებიან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას. იმედი მაქვს, რომ ექიმი დათანხმდება ჩემს წასვლას ავსტრალიაში, თუ ასე არ მოხდა, მაშინ საკუთარ თავზე უნდა ავიღო პასუხისმგებლობა, რაც საკმაოდ ძნელი გადასაწყვეტია. თუმცა, ისე კარგად მიდის ჩემი ვარჯიშის პროცესი და ისეთ დიდ დატვირთვებს ვუძლებ, რომ იმედი მაქვს, „მონფერანის" ექიმი დამრთავს ნებას მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ვითამაშო."


მანუჩარ კვირკველია

# მანუჩარ კვირკველია მსოფლიო ჩემპიონია

საფრანგეთის ქალაქ კრეტეიში მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი და პლანეტის უძლიერესი ფალავნის ტიტული მოიპოვა ქართველმა მანუჩარ კვირკველიამ. 66 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ქართველმა მოჭიდავემ სომეხი ნაზარიანი დაჯაბნა.

ფინალში სომეხი სპორტსმენი 2 ქულით დაწინაურდა, თუმცა კვირკველიამ მალე გაათანაბრა ანგარიში და დამატებით წუთებში შეძლო ულამაზესი გდების შესრულება, რომელიც მსაჯებმა სამი ქულით შეაფასეს.

84 კგ წონით კატეგორიაში კი ისრაელის სახელით მოასპარეზე გოჩა ციციაშვილი გახდა ჩემპიონი, რომელიც საქართველოში დაიბადა, გაიზარდა და სპორტული კარიერაც აქ დაიწყო. ქართველმა ფალავანმა მძიმე წონაშიც ისახელა თავი — ყაზახეთის სახელით მოასპარეზე გიორგი წურწუმიამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

# ჩემპიონთა ლიგის „ქართული" ფრეები

## სენსაციების კასკადი, ანუ რა დაემართა „ჩელსის"?

მოსკოვში ჩამოსული არსენ ვენგერის შეგირდებისთვის „ლოკომოტივთან" გასამართი მატჩი ერთგვარი რეაბილიტაცია უნდა ყოფილიყო იმ სენსაციური მარცხის შემდეგ, რომელიც გუნდმა „ინტერთან" წინა ტურში იწვნია. თუმცა, სიომინი და მისი ბიჭები, მათ შორის ორი ქართველი — მოედანზე მყოფი მიხო აშვეთია და სათადარიგოთა სკამს მითური ამირანივით მიჯაჭვული მალხაზ ასათიანი სულ სხვა შემართებით დახვდნენ „მეთოფეებს". რკინიგზელებმა ტოლი არ დაუდეს მრისხანე მეტოქეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მათ კართან. ერთ-ერთი ყველაზე რეალური საგოლე მომენტი აშვეთიას ჰქონდა, მაგრამ მისი თავური არაზუსტი გამოდგა.

გამორჩეული დატვირთვა აქვს თურქული კლუბების თამაშს საკუთარ მოედანზე. ბოლო ხანს ჩამოყალიბდა ტენდენცია, თითქოსდა თურქეთიდან ქულის წაღება მეტად რთული საქმე გახლავთ, თუმცა, ბასკური „რეალ სოსიედადისთვის" ეს ბარიერი არცთუ რთულად დასაძლევი აღმოჩნდა. დარკო კოვაჩევიჩმა საკუთარი გუნდი ჯერ კიდევ მესამე წუთზე დააწინაურა „გალათასარაისთან" შეხვედრაში. მართალია ჰაქან შუქურმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ 72-ე წუთზე ჩაბის მიერ გატანილი გოლი გადამწყვეტი აღმოჩნდა.

ტურის ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი ისევ თურქული კლუბი — ამჯერად „ბეშიქთაში" გახდა, რომელმაც გასვლაზე მოუგო რომან აბრამოვიჩის ნაქებ „ჩელსის" — 2:0. ეს რამდენიმე წელია ისე განვითარდა მოვლენები თურქულ-ინგლისური დაპირისპირებისას, რომ ამ ქვეყნების კლუბების შეხვედრებზე, ყველა უშეღავათო ბრძოლას ელის. თუმცა, საკუთარი მოედნის ფაქტორი ამ მატჩებში გადამწყვეტ მომენტად რჩება. ყველას ეგონა, რომ ალმავლობის გზაზე მდგარი „ჩელსი" ისევ მოიგებდა, მაგრამ აქ უტეხეს პირი გულშემატკივრებს „არისტოკრატებმა" — ისეთი შედეგი გამოაცხვეს, ვერავინ რომ ვერ წარმოიდგენდა.

სენსაციად თუ არა, მოულოდნელობად მაინც უნდა ჩაითვალოს „მანჩესტერ იუნაიტედის" მარცხი გერმანიაში, თუმცა, ამაზე ოდნავ ქვემოთ...

## როგორ მოერია შოთა ბერძნულ სინდრომს

შოთა არველაძისა და ზურა ხიზანიშვილის „რეინჯერსს" გასვლითი თამაში ჰქონდა საბერძნეთში იქაურ „პანათინაიკოსთან". შოთას მატჩის წინ დავუკავშირდით. ქართველი ფორვარდი საკმაოდ შეფიქრიანებული გვეჩვენა:

„ეს ჩემი მეხუთე მატჩი იქნება საბერძნეთში. ადრე საქართველოს ნაკრების შემადგელობაში 0:3 წავაგეთ შეხვედრა, „აიაქსში" რომ ვთამაშობდი ევროთასებზე, „პანათინაიკოსს" ორჯერ შევხვდით, „ოლიმპიაკოსს" — ერთხელ. ყველა შეხვედრაში დავმარცხდით. „პანათინაიკოსთან" შეხვედრისას ფეხიც მომტეხეს, მოედანზე მხოლოდ ოცი წუთი დავყავი. მერე კი მოვიშუშე ფეხი, მაგრამ ტკივილი თითქმის ორი წელი გამყვა, ახლა ერთი სული მაქვს, რომ საღსალამათი ჩამოვიდე საბერძნეთიდან".

შოთა არველაძე არა მარტო საღსალამათი დაუბრუნდა „აიბროქსს", არამედ უსიამოვნო ტრადიციაც დაარღვია. გამარჯვებამდე „რეინჯერსს" მხოლოდ სამიოდე წუთი დააკლდა. თავად ბერძნებს მოუხდათ თამაშის მიწურულს ანგარიშის გათანაბრება.

*თამაშის შემდეგ კვლავ დავუკავშირდით* ***შოთა არველაძეს:***

„მატჩი, როგორც მოველოდი, მეტად დაძაბული გამოდგა. თავიდან გადაწყვეტილი იყო, რომ კონტრშეტევებზე აგვეგო შეხვედრა, თუმცა, აღმოჩნდა, რომ მეტოქის განლაგება და მათი მოქმედება უკეთესი თამაშის საშუალებას გვაძლევდა, ამიტომაც იყო, რომ ინიციატივა ჩვენ ავიღეთ და უპირატესობასაც დავეუფლეთ. სასიხარულოა, რომ ჩემი თანაგუნდელის ემერსონის გატანილი გოლით დასრულდა ის კომბინაცია, რომელიც ზურა ხიზანიშვილმა მარჯვენა ფლანგიდან წამოიწყო. ზურამ საკმაოდ კარგად ჩაატარა შეხვედრა, ეს ფაქტი „რეინჯერსის" მწვრთნელმა მაკლიშმა საგანგებოდ აღნიშნა კიდეც. რაც შეეხება გაშვებულ გოლს, ის არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. თამაში არ იყო იმ ხასიათის, რომ გოლი გაგვეშვა, თუმცა, ფეხბურთი ხომ სწორედ ამ ფაქტორით — მოულოდნელობის გამოა მიმზიდველი. თავიდან ჩვენ ფრეს ვგეგმავდით, არ უნდა ყოფილიყო გასვლაზე აღებული ერთი ქულა ურიგო შედეგი, თუმცა, ჩვენს ჯგუფში ისე დატრიალდა მოვლენები, რომ ახლა რთულია იმის პროგნოზირება, რა მოხდება. „შტუტგარტმა", რომელიც ჩვენი უშუალო კონკურენტია, საკუთარ მოედანზე დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი", ამან ვითარება საკმაოდ დაძაბა და ბუნდოვანი გახადა, არადა, ეს თამაში რომ მოგვეგო,


„ჩელსიმ" თურქებთან ვერაფერი გააწყო

ახლა სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა.

მომდევნო შეხვედრა „მანჩესტერ იუნაიტედთან" გვაქვს საკუთარ მოედანზე. ძნელი იქნება ამ გუნდთან დაპირისპირება, მაგრამ ჩვენი პუბლიკა მუდამ ბრძოლას მოითხოვს და არავინ იცის, როგორ დასრულდება ეს ბრძოლა. ახლა მიჭირს კონკრეტულ პროგნოზზე საუბარი..."

კახა კალაძის „მილანი" სტუმრად შეხვდა ესპანურ „სელტას" და ნულოვან ფრეს დასჯერდა. თავად კალაძეს ტრავმის გამო არ უთამაშია. სავარაუდოდ, იგი თვის ბოლოს დაუბრუნდება „მილანის" ძირითად შემადგენლობას.

ასე რომ, სამივე იმ კლუბმა, სადაც ქართველი ლეგიონერები გამოდიან, ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურის შეხვედრები ფრედ დაასრულა. სატურნირო მდგომარეობიდან და მეტოქეთა ვინაობიდან გამომდინარე, ეს შედეგები სამივესათვის დადებითად უნდა ჩაითვალოს.

### A ჯგუფი

**ანდერლეხტი — ბაიერნი 1:1**
**სელტიკი — ლიონი 2:0**

### B ჯგუფი

**ლოკომოტივი — არსენალი 0:0**
**ინტერი — დინამო (კიევი) 2:1**

### C ჯგუფი

**დეპორტივო — ეინდჰოვენი 2:0**
**მონაკო — აეკი 4:0**

### D ჯგუფი

**გალათასარაი — სოსიედადი 1:2**
**ოლიმპიაკოსი — იუვენტუსი 1:2**

### E ჯგუფი

**პანათინაიკოსი — რეინჯერსი 1:1**
**შტუტგარტი — მანჩესტერი 2:1**

### F ჯგუფი

**პორტუ — რეალი 1:3**
**მარსელი — პარტიზანი 3:0**

### G ჯგუფი

**ჩელსი — ბეშიქთაში 0:2**
**ლაციო — სპარტა 2:2**

### H ჯგუფი

**აიაქსი — ბრიუგე 2:0**
**სელტა — მილანი 0:0**

*გვერდი მოამზადა*
*გიგა ხირსელმა*

## №39 (365) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 580 მკითხველი გამოეხმაურა. სამი ბარათი არასწორად იყო შევსებული. 225-მა ქალმა და 351-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის გასართობი ტელეგადაცემების საუკეთესო წამყვანი მამაკაცი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენს მკითხველებს ჯერაც არ განელებიათ დუტა სხირტლაძის სიყვარული. მოგეხსენებათ, მსგავსი თემატიკის რეიტინგებს, უკვე რამდენი ხანია, „ვის უნდა 20 ათასის“ წამყვანი უდგას სათავეში.

რესპონდენტთა 56%-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 8 ქულა და **7,01** საშუალო ქულით დუტა პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე აშშ-დან სულ ახლახან დაბრუნებული, იუმორისტული იდეებით დატვირთული დათო გოგიჩაიშვილია. მკითხველთა დაახლოებით 20%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური ქულით. საშუალო ქულაა 5,40. „ღამის შოუს“ მხიარულ წამყვანს, სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება ბორის წიფურია — არანაკლებ მხიარული შოუმენი.

აღსანიშნავია, რომ „ბახალა“ — გიორგი გიორგანაშვილი გასულ წელს ანალოგიურ რეიტინგში სულ ბოლო ადგილზე იყო, დღეს კი, როგორც ვხედავთ, მეოთხე ადგილი მოიპოვა.

მკითხველმა შედარებით დაბალი შეფასება მისცა ნიკა ლომიძის, გია როინიშვილისა და მალხაზ ქვრივიშვილის „შოუმენობას“. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა — 35% „ტოტო-ლოტოს“ ხმაურიანმა და ენერგიულმა წამყვანმა დაიმსახურა და რეიტინგშიც ბოლო ადგილს დასჯერდა.

მამაკაცებს ბორის წიფურია ურჩევნიათ დათო გოგიჩაიშვილს. რაც შეეხებათ ქალებს, მათთან პატარების ფავორიტი — „გოგიჩა“ წინ უსწრებს „ბახალას“.

### ტელეწამყვანი მამაკაცები




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 22 წლის თბილისელი **ნათია წიკლაური**. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ნიკა ლომიძეს 3-ის ნაცვლად 2 ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო გია როინიშვილს პირიქით — 2-ის ნაცვლად — 3 (მეექვსე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII–VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII–VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI–V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V–IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №40 (366) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№40 (366) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 8 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 9 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

**საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №40 (366) — პრეზიდენტის „თავის ტკივილი“

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვინ არის პრეზიდენტის „თავის ტკივილი“** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

| №40(366) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | | |
|---|---|---|
| № | | ქულა |
| 1 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 2 | გოგი თოფაძე | |
| 3 | შალვა ნათელაშვილი | |
| 4 | ნინო ბურჯანაძე | |
| 5 | ასლან აბაშიძე | |
| 6 | იგორ გიორგაძე | |
| 7 | ზურაბ ქვანია | |
| 8 | ჯუმბერ პატიაშვილი | |
| 9 | ლევან გაჩეჩილაძე | |

### მკითხველის რეიტინგი

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ პარტიის ლიდერი. წინ გიდევთ პოლიტიკოსთა სია (იხ. საარჩევნო სიები. გვ.6). მიუხედავად ამ პოლიტიკოსთა პარტიული კუთვნილებისა, ამოარჩიეთ მათგან ათი, თქვენი აზრით, ყველაზე ღირსეული კანდიდატი და დააკომპლექტეთ თქვენი პარტია სასურველი პოლიტიკოსებით — შეადგინეთ პოლიტიკოსთა უნივერსალური ათეული.

| | |
|---|---|
| 1. | 6. |
| 2. | 7. |
| 3. | 8. |
| 4. | 9. |
| 5. | 10. |

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________ ტელეფონი

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**სექტემბრის თვის ადამიანი საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 2,2% |
| 2. | ნინო ბურჯანაძე | 15,7% |
| 3. | ელდარ კურტანიძე | 7,0% |
| 4. | ლევან მამალაძე | 6,3% |
| 5. | შალვა ნათელაშვილი | 4,3% |
| 6-7. | ირინა ონაშვილი („მის საქართველო“) | 1,7% |
| 6-7. | დათო გოგიჩაიშვილი | 1,7% |
| 8-9. | იგორ გიორგაძე | 1,2% |
| 8-9. | ზურაბ ჯაფარიძე | 1,2% |
| 10. | ედუარდ შევარდნაძე | 1,0% |



საკითხავია, ისეთ რეიტინგში, სადაც ქართველი სპორტსმენის გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკოსთა ცემა-ტყეპა და სკანდალებია, საერთოდ ღირს თუ არა მოხვედრა?

1%-მა განაცხადა, რომ ამ ტიტულს არავინ იმსახურებს; 0,7%-ს კი გაუჭირდა თვის ადამიანის დასახელება.

***მკითხველის რეიტინგში 422 რესპონდენტი მონაწილეობდა***

## ფოტოანეკდოტი © · ფოტოპალიტრა ·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

____________________

— მგავარ ახლა მე დიდი მსახიობის დიდ მსახიობ ცოლს?..

**ლ.მ.** — ბიძია, დამეხმარე, პარლამენტში მინდა კენჭი ვიყარო.

**ა.ბ.** — შენ სააკაშვილი გააჩერე და კენჭი კი არა, თუ გინდა ქვა ააგდე და თავი შეუშვირე.

**ლ.მ.** — (დაფიქრებით) ქვაა?

**სააკაშვილი** — ქვა-ოოო!

***ია ელიზბარაშვილი, თბილისი***

**ლ.მ.** — ჩემო ანზორ! ეს მუჭი ოქრო ჩვენი ბოლო „პენსიაა“. აჰა, გამომართვი!

***ნარგიზ წეველიძე, ხაშური***

**ა.ბ.** — *ლევან, მინდა რჩევა მოგცე,*
*ნუ იჩხუბებთ შენ და მიშა.*

**ლ.მ.** — *მოგვივარდა, დაგვარბია,*
*ჩემი ხალხიც გააგიჟა.*

***ანზორ თავართქილაძე, სამტრედია***

**ლ.მ.** — აი, ანზორ, გამომართვი, ნაწილი მოგიტანე, დანარჩენს ორ დღეში მოგიტან!

**ა.ბ.** — ჩუმად მომეცი, უკან სააკაშვილის აგენტია.

**ლ.მ.** — იმისი ნუ გეშინია, ბოლნისში თვალი ამოვთხარე.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**ა.ბ.** — ჩემო ლევან, შენ ახლა უმუშევარი ხარ, აჰა, შენ 14 ლარი, ოჯახს მოახმარე. ისე, თუ დაზოგავ, არჩევნებზე სამთავრობო ბლოკსაც მოახმარ. ვიცი, ფინანსურად უჭირთ.

***გ. ედილაშვილი, თბილისი***

„ხელი ხელს ბანს, ორივე ერთად კი ბაბუსო“.
**(წინასაარჩევნო ანდაზა)**

***ი. გუჯაბიძე, თბილისი***

**ა.ბ.** — ე, ბიჭო, ჩასწიე ხელები, მე ეგ კვერცხები კი არა, ოქროს კვერცხები მაინტერესებს.

***ნუგზარ ტუაევი, თბილისი***



ანზორ ბალუაშვილი, ლევან მამალაძე

**ა.ბ.** — *ეგ რა ქენი, ბიჭო ლევან,*
*დაგვიყენე თვალები;*
*ნაციონალებისათვის*
*დაგიხეთქავთ თავები.*

**ლ.მ.** — *ტკბილი სიტყვით ვერ გამიგეს,*
*პირველობა სჩვევიათ;*
*ამ ხალხს ვერ შევაგნებინე,*
*ბოლნისი რომ ჩემია.*

***ირაკლი ახობაძე, ქუთაისი***

C

# ფოტო კომენტარით



ეს არის ყველაზე გრძელყურა ძაღლი მსოფლიოში — ბატონი ჯეფრისი. მისი თითო ყურის სიგრძე 29,2 სმ-ია. ბატონი ჯეფრისი სექტემბერში გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს. პატრონმა უკვე დააზღვია საყვარელი ოთხფეხა მეგობრის ყურები — თითო 30.000 გირვანქა სტერლინგად...



# მელანი გრიფიტი კინოს სამყაროდან წავა



ჰოლივუდის 46 წლის კინოვარსკვლავმა გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტთან ცრემლმორეულმა აღნიშნა, რომ მას ჰოლივუდში როლებს აღარ სთავაზობენ და ამიტომ ბროდვეიზე მოუწია გადანაცვლება. „ჩემი აზრით, ჯერ კიდევ შემიძლია ფილმებში თამაში, მაგრამ ჩემს სახეზე გაჩენილმა რამდენიმე ნაოჭმა გამიფუჭა საქმე. თუმცა, არც ნიჭი დამკლებია და არც ფორმა დამიკარგავს. უბრალოდ ასაკი მემატება, მაგრამ ასაკთან ერთად ბრძოლის ჟინი გამიასკეცდა“.

5 ოქტომბერს მელანის ბროდვეის თეატრთან დადებული კონტრაქტის ვადაც გაუვიდა და ახლა მზადაა თუნდაც ტელეშოუში იმოღვაწეოს...

10/X ●

**სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეებია:**

8/X 11-დან 13 საათამდე

11/X 23-დან 12/X 01 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



* * *

— როგორ ფიქრობთ, რომელი კუბოა უკეთესი? ყიდვა მინდა.

— ძნელი სათქმელია. თუთიის, რა თქმა უნდა, უფრო გამძლეა, მაგრამ ხისა ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის!..



**თარაზულად:** 1. წმინდა ოქრო; 4. ფრანგული ჯიშის ყურძენი და წითელი ღვინო ამ ყურძნისგან; 6. მადრიდის „რეალის“ ესპანელი ფეხბურთელი; 7. ადამისა და ევას სასეირნო ადგილი; 8. მდინარე იტალიის დედაქალაქში; 9. ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი — ... გურგულია; 10. მთების უმაღლესი მასივი დასავლეთ ევროპაში; 13. ოთარ რამიშვილის საყვარელი ინსტრუმენტი; 16. შვიდი დღე; 18. შეუსაბამობა, უაზრობა, აშკარა მცდარობა; 19. ვენეციური ტრანსპორტი; 20. მომავალი მეზღვაური; 22. ლოცვის დროს საღმრთო წიგნების დასადები მაგიდა მართლმადიდებელ ეკლესიაში; 23. მიქელანჯელოს ქანდაკება; 25. ილია ჭავჭავაძე: „.... ადამიანი?!“ 27. გაღიზიანების გადამცემი თავისა და ზურგის ტვინში და პირიქით; 28. ოტია იოსელიანთან: როცა იგი გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდება; 29. ცეცხლგამძლე კარადა; 30. წითელი ან ლურჯი ფერის ძვირფასი ქვა; 31. დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას.

**შვეულად:** 1. ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა; 2. მუსიკოსთა დიდი კოლექტივი; 3. კარაქწასმული პურის ნაჭერი უცხოელთათვის; 4. ძველი სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი, რომელიც საფუძვლად დაედო რუსულს; 5. იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება სამშობლოდან სხვა ქვეყანაში; 11. რაიმე ნივთიერების ცომისებრი მასა; 12. ფრანგი მსახიობი, 60-იანი წლების სექს-სიმბოლო; 14. საქონლის საუკეთესო საკვები მცენარე; 15. აირი სასუნთქი ჰაერის შემადგენლობაში; 16. ბილიარდის აქსესუარი; 17. შხამიანი გომბეშო; 21. ქართული ხალხური ზღაპარი; 22. უფროს სამხედრო პირთან გამწესებული ოფიცერი სამსახურებრივ დავალებათა შესასრულებლად! 24. პოლიტიკურ პარტიათა, იდეათა, შეხედულებათა სისტემა. 25. შეჯიბრება, რომლის მიზანია მონაწილეთა შორის საუკეთესოს გამოვლენა; 26. თანამედროვე ეთიოპიის ძველი სახელწოდება, რომელსაც საქართველოში აბაშეთს უწოდებდნენ.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**




# დეპარდიეს შვილს მამა სჭირდება...



საფრანგეთის სიამაყემ ჟერარ დეპარდიემ ინტერვიუ მისცა ჟურნალ „პარი მატჩს“, სადაც განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს, რაც შეიძლება მეტი ეკონტაქტოს თავის ვაჟს — გიიომს, რომელიც მამაზე უფრო დაუოკებელი და უკონტროლო პიროვნება ბრძანდება. „იგი ნამდვილი პოეტია, მაგრამ ძალიან რთული ურთიერთობაში. ადრე გიიომმა სცადა ჩემთან დაახლოება, მაგრამ მე ვიყავი უარზე, რადგან მეგონა, რომ მისი სულიერი ჯანმრთელობისათვის უკეთესი იქნებოდა ჩემგან შორს ყოფილიყო. მაგრამ, ახლა გადავწყვიტე ნამდვილი მამობა გავუწიო, მას მამა სჭირდება“ — განაცხადა მსახიობმა.

დეპარდიეს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია შვილის ცხრათვიან პირობით სასჯელთან დაკავშირებით ნორმანდიის ერთ-ერთ ბარში ატეხილი სროლისათვის, მაგრამ ალბათ სწორედ ამ ინციდენტმა მიაღებინა ჟერარს გადაწყვეტილება, რომ მის შვილს მამა სჭირდება...

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

**(40) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№40 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 9 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი ©518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი